კვირის პალიტრა

N49 (287) 7/XII.-13/XII.2005

ფასი 60 თ.

ლადო ალექსი-მესხიშვილის ვიდეოლობა: სამი სიყვარული და სამი ქორწინება

„მსახიობობა იმას არ ნიშნავს, ყველაფერი გაიხადო...“

1168
2005

აბრესიული ხელისუფლება, მოდარაჯე ძალლები და საზოგადოება — „თვითკრიტიკულიც ვიქნები და ვალიარებ, რომ...“

დაგვიანებულ ფაქიფუც

რითი გვაჯობეს სომხებმა

ანუ „ბავშვური მიდგომებით გაზის საკითხები არ წყდება...“

ნიკა გილაური: „არც საფრთხეს ვგრძნობ და არც ცუდს მიგრძნობს გული...“

სიყვარული ან სიცოცხლე — სუპერმოდელი არჩევანის წინაშე დადგა

არ გამოგრჩეთ
დეკემბრის ნომერი

ლიტერატურული პალიტრა

პროზა

- ილია მარტოსაფლავი
- ოლია ოთელიანი
- ამირან ქიქინაძე

ჭკუა (საყმანწვილო რომანი
უფროსებისთვისაც)

- ნიკოფერ ანთაძე

პოეზია

- ლასტოდ ჯანლეტარია
- ფრა ზალაფაშვილი

თარგმანი

- ასფალ ყოლიო

ბაჰირი

- ვიქტორ ჰიგოვი

სახეობათა წარმოშობა

ესე

- მალხაზ ხანმაგომედოვი

პირადი ბიბლიოთეკა

№ 12 (15)

დეკემბერი, 2005

ფასი 1.5 ლარი

თქვენ ხომ გემოვნებიანი
მკითხველი ბრძანდებით...

№49 (287)
8 — 14 დეკემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„კაცი კაცსა შემოვტყორცნე“ ანუ კონსტრუქციული ურთიერთობა ახალქართულად 3
ერთი კითხვა 4
პრესა
ერთდღიანი შეგღუდვა თუ მორიგი შეტევის პრელუდია?.. 6
რეალითი-შოუ
● „ბოლო კვირას, როცა სახლში ორნი დარჩებიან, ბევრ პატარ-პატარა დავალებას მიიღებენ...“ 8
● „ფლირტმა“ ეკრანისკენ გზა ვერ გაიკვლია — რამ შეაცვლევინა გადაწყვეტილება მამუკა ღლონტს 10
ენერგეტიკა
დაგვიანებული ფაციფუცი — რით გვაჯობეს სომხებმა 11
კრიმინალი
„ერთადერთი შვილი მომიკლეს, დამნაშავეებს კი ხელს აფარებენ“ 13
ოპოზიცია
„ფრაქციის სხდომას ვტოვებდი, კარს მივიჯახუნებდი, ვჩხუბობდი და ეს საკმაოდ ხმირად ხდებოდა...“ 17
გზავნილები
„ფსიქოლოგი ვერ დამიშლის“ ანუ ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ! 19
საფრთხე
„ვცდილობ, არ გავაკეთო რაიმე ისეთი, რასაც შესაძლოა, ვირუსის ვინმესთვის გადადება მოჰყვეს...“ 23
ნამდვილი ამბავი
მოტაცებული სვანი 26
კოლეგა
აგრესიული ხელისუფლება, მეთვალყურე ძაღლები და საზოგადოება 27
თამადა
რამ აასრემლა გერმანელი ქალი ქართულ სუფრაზე და თემურ ჭკუასელის გამორჩეული საღღეგრძელო 29
ჯანმრთელობა
ინტელექტის მიკროელემენტები 30
რეკორდები
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები... 32
ტაძარი
ანდრია პირველწოდებულის ქადაგებანი და აღსასრული 34

რით გვაჯობეს სომხებმა ანუ „ბავშვური მიდგომებით გაზის საკითხები არ წყდება“

ბუნებრივი აირის საფასურს რომ გაგვიძვირებდა, რუსეთი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, სახელმწიფო სათათბიროდან — დუმიდან დაგვემუქრა. მართალია, ჩვენი ხელისუფლება ამ განცხადებას სევდანარევი ირონიით შეხვდა და პოლიტიკური „ტოპკის“ დასარტყმელადაც მოემზადა, მაგრამ...

11

„მსახიობობა იმას არ ნიშნავს, ყველაფერი გაიხადო“

ახალგაზრდა მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დაკავებულია და აკეთებს იმ საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს, 2005 წლით კმაყოფილი მაინც არ არის. თუმცა, იმედს არ კარგავს, რომ მომავალი — 2006 წელი საკმაოდ იღბლიანი იქნება მისთვის.

50

აგრესიული ხელისუფლება, მეთვალყურე ძაღლები და საზოგადოება

„ამერიკული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ ჩვენი მოსახლეობის 87% ენდობა ეკლესიას, ხოლო მეორე ადგილი მასმედიას ხვდა წილად. მე ვიტყოდი, რომ საზოგადოების ნდობა მასმედიის მიმართ გაცილებით დიდია, ვიდრე ვიმსახურებთ“.

27

რისი ეშინოდა განქორწინების შემდეგ დოდო ჭიჭინაძეს?

„ჩვენი დელეგაცია სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდა. ჩვენი დანახვისას, ერთ-ერთმა ჩინოსანმა გესლიანად თქვა: „გრუზინი ნე მოგუტ ნე ოგლიჩატსია“... სტალინი სულაც არ იყო ისეთი, როგორც აღწერენ ხოლმე. იგი საშუალოზე მაღალი, საკმაოდ ლამაზი გახლდათ. თბილად გვიყურებდა და იღიმოდა“...

57

სინქრონიზაციები

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატი 35

შემოქმედი

ლადო ალექსი-მესხიშვილის უიღბლობა: სამი სიყვარული და სამი ქორწინება 36

ვარსკვლავი

სიყვარული ან სიცოცხლე – კეიტ მოსი არჩევანის წინაშე 38

ბომონდი 41

ლეგიონერი

„ნაკრების პრესტიჟის ასამაღლებლად ყველამ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ“ 42

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 43

ასპარეზი

რა დაბარა ლავრენტი ბერიამ მიხეილ ჯოჯუას 47

სახე

ნანკა კალატოზიშვილი: „მსახიობობა იმას არ ნიშნავს, ყველაფერი გაიხადო...“ 50

საპატარძლო

წიწიბურა მწვანე ვარდების სანაცვლოდ 51

ავტო 53

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა ღვალის შაბის წიგნაკიდან 54

სიყვარული

სიყვარული, რომელიც ტყვეობას ჰგავდა 54

მსახიობი

რისი ეშინოდა განქორწინების შემდეგ დოდო ჭიჭინაძეს? 57

ასტროლოგია

მშვილდოსნის შეთავსება ზოდიაქოს ნიშნებთან 59

სიტყვათა მატიანე

ქართულ ენაში დამკვიდრებული გამოთქმები 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი ქალებისთვის

ვინ ვინ არის? 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ლადო ალექსი-მესხიშვილის უიღბლობა: სამი სიყვარული და სამი ქორწინება

ვერც დიდმა ასაკობრივმა სხვაობამ და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელმა საზოგადოებრივმა გაკიცხვამ, ვერც საკუთარი ოჯახის პირველ რიგში – მცირეწლოვანი შვილების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ ვერ გაანელა ლადოში ანასადმი დანთებული სიყვარულის ცეცხლი.

36

„ფლირტმა“ ეკრანისკენ გზა ვერ გაიკვლია, მაგრამ...

სტუდია „მაესტროს“ ხელმძღვანელს მამუკა ღლონტს არაერთი საინტერესო პროექტი შეუთავაზებია მაყურებლისთვის. ასეთებს წარმოადგენს „ამტანი“ და „ამტანი-2“. მათი დამთავრების შემდეგ კი, ის ახალ პროექტს ამზადებს, რომლის სახელწოდებაა „მდიდრები და ღარიბები“, იმის გასარკვევად, თუ როგორი იქნება ეს პროექტი, თავად მამუკა ღლონტი გვესაუბრება.

10

სიყვარული ან სიცოცხლე – კეიტ მოსი არჩევანის წინაშე



ოქტომბრის ბოლოს სამოდელო პოდიუმების სუპერვარსკვლავი კლინიკიდან გამოუწერა, სადაც ის ნარკოტიკების გამო აღმოჩნდა. სირცხვილი, დაკარგული კონტრაქტები, 3 წლის შვილთან განშორება და საავადმყოფოს კედლებში სრული იზოლაციის კომშარი წარსულში დარჩა, მაგრამ მთავარი სირთულეები მას ჯერ კიდევ წინ ელის...

38

თქეში

– მოგწონს? – ჰკითხა შვილიშვილს შუბლშეკრულმა ქეთომ.

– ჯერ არ ვიცი... – ბავშვივით აიჩეჩა მხრები ლანამ. – ეს ყველაფერი ნამდვილად ლამაზია, მაგრამ საკმაოდ სევდის მომგვრელიც. საერთოდ, გამხმარი ყვავილები არ მიყვარს. მერე კიდევ, ეს სანთელიც...

– ეჰ, ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი... – აწუწუნდა ქეთო.

43

„ყაცი ყაცსა შემოვცყორცნე"

ანუ კონსტრუქციული უთანხმობები ახალქართულად

ვინ ოხერს დასცდება აუგი და ენა ვის მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომ ჩვენი პოლიტიკოსები ხალხზე არ ზრუნავენ, მაგრამ ყველას ერთად რას აგვივა ეს ერთი მუჭა „სასტავი"?!. ვადროვოთ და გვეშველება თანდათან. ხომ ხედავთ, რომ ნელ-ნელა, პროფესიების მიხედვით გვეხმარებიან. ამჯერად, ტრავმატოლოგებზე იზრუნეს და უმუშევრად დარჩენილ ექიმებს რომ საქმე გასჩენოდათ, ისე უბათქუნეს ერთმანეთს დედაქალაქის საკრებულოში, რომ „თავმჯდომარე ფრაქციის წევრს არ აიყვანდა ხელში"!..

აქციაში სახელწოდებით — „ყველანი და ყველაფერი ექიმების დასახმარებლად", გამოყენებული იყო როგორც ცოცხალი ძალები რაიონული ორგანიზაციებიდან, ასევე ინვენტარი — სკამების, მიკროფონებისა და საქაღალდეების სახით. ამას მალევე მოჰყვა გამოხმაურება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც და გუშინდელმა თანაგუნდელებმა კიდევ ერთხელ იზრუნეს ერთმანეთის სხეულის კორექციაზე; მერე კი, რეგიონებიც გამოეხმაურნენ და სავარდოსამაისო ქალაქის ცენტრში, გუბერნატორმა გაიფინა ფიანდაზად ჟურნალისტი...

ახლა, ეს ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკურად ბეცი ადამიანებისთვისაა ასეთი მწირი ქველმოქმედება, თორემ, თუ ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ სინამდვილეში, მისი მასშტაბები ბევრად დიდია: ტრავმატოლოგის, რენტგენოლოგის და ანესთეზიოლოგის გარეშე რას გახდება?! ესეც არ იყოს, ნახეთ, ექიმების გარდა, რამდენ ვინმეს ეშველა ამ ჩხუბ-აქციით: მთელი წლის მანძილზე არ გაყიდულა ელიავაზე იმდენი თაბაშირი, რამდენიც ამ ერთ კვირაში გასაღდა; ამასთან ერთად, სადურგლო საამქროებმაც „წამოიდგეს წელი" და ხელჯოხებისა და ყავარჯნების შეკვეთებზე გააკეთეს დიდი ფული... ეს ცოტას ნიშნავს?!

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთმა ოპოზიციურმა ძალამ საპენსიო კოდექსში შესატანი ცვლილებები გააპროტესტა: რას ჰქვია, ქალების საპენსიო ასაკი 60-დან 65 წლამდე გაზარდეთო?! მართალია: რატომ უნდა იმუშაოს კიდევ ხუთი წელი ქალბატონმა 170-200 ლარად, როცა უკვე 60 წლის ასაკში შეუძლია დაჯდეს სახლში და 28-ლარიან ნეტარებაში გააატაროს ხანდაზმულობა...

ამას დაემატა თავის დროზე, მეანაბრეებისადმი მიცემული წინასაარჩევნო დაპირება, ყველაფერი დაგიბრუნდებათო... ფაქტებიც მოიყვანა ოპოზიციამ წინასაარჩევნო პერიოდში დაბეჭდილი გაზეთებიდან — აი, არ ვტყუითო...

კი, ბატონო, ვინ უარყოფს, რომ დაჰპირდა, მაგრამ შენ რამ გაგაღიზიანა ასე?! დაჰპირდა, მაგრამ აფექტის მდგომარეობაში უმძიმეს დანაშაულებს აპატიებენ კაცს და ერთი დაპირება რა გახდა ასეთი?! რავა, პირველი მთავრობაა, ვინც ამ ანაბრების აღებას დაგვპირდა და ვერ აგვაღებინა?! და თუ მაინცდამაინც ყელში გინდა სწვდე, შენც გვერდით არ ედექი, მაგას რომ ამბობდა?! იყავით ახლა ცალ-ცალკე „ბარიკადებზე" და უთვალეთ ერთმანეთს ნეკნები...

ამიტომ მადლობის მეტი რა გვეთქმის ორივე მხარისთვის! კი ვიცით, რომლის დამსახურება უფრო მეტია ამ კეთილშობილურ აქციაში, მაგრამ ჩვენ — ხალხს, ორივე ერთნაირად გვიყვარხართ — „პოზიციაც" და ოპოზიციაც. ამიტომ, ვინმე რომ გამოგვრჩეს, გვეშინია, არ გეწყინოთ და ყველას ერთნაირ მადლობას გიხდით.

მაგრამ არც მთლად ასეთი თავგადადებული ზრუნვაა საჭირო: რა ვიცი, მაინც გვეშინია; ასეთი პროფესიაც ხომ არსებობს — მესაფლავე? ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მათი დასახმარებელი აქციის იდეა რომ მოუვიდეს ვინმეს თავში, რაღა ვქნათ და სად გავიქცეთ მერე?!

P.S. *განცხადება თბილისის საკრებულოს შენობაზე:*

„სხეულის კორექცია (ცხვირი, ყბა, მკერდი, თეძო და ა.შ.) ნებისმერი ფორმით, გაუტკივარების გარეშე. მიიღება წინასწარი შეკვეთებიც. ასევე, ვმუშაობთ გამოძახებით ნებისმიერ მისამართზე საქართველოს მასშტაბით.

იჩქარეთ, „კმაყოფილი" დარჩებით. სურვილი — თქვენი, მუშტი — ჩვენი!..

შპს „ნაციონალები".

პროვოკატორი

„აბაშიძის წინააღმდეგ საქმის აღძვრა კანონიერია“

— უნდა დაერღვია თუ არა ასლან აბაშიძისთვის მიცემული ხელშეუხებლობის გარანტია საქართველოს პრეზიდენტს?

დავით უსუფაშვილი, *იურისტი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე:*

— სამართლებრივად, პრეზიდენტს მხოლოდ მსჯავრდებულის შეწყალება შეუძლია. პრეზიდენ-

ტის პრეროგატივა არ არის, იმაზე მსჯელობა, თუ ვინ უნდა მისცენ პასუხისგებაში და ვინ — არა. ამდენად, პროკურატურის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, სამართლებრივად კანონიერია. სააკაშვილის პრობლემა კი, ის არის, რომ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს და შემდეგ, თავადვე არღვევს საკუთარ სიტყვას. პრეზიდენტის თქმით, ის ვერ მისცემს ხელშეუხებლობის გარანტიას იმ ადამიანს, ვის გამოც, ბავშვები ნაღმზე აფეთქდნენ. ეს ახალი გარემოებაა, რომელიც სააკაშვილმა ორი წლის შემდეგ აღმოაჩინა?!. პირადად მე, ვისურვებდი, საქართველოს ჰყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ჯერ დაფიქრდება და შემდეგ ილაპარაკებს, ვინც საკუთარ სიტყვას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება. ეს კინკლაობა სახელმწიფოს სისუსტის მანიშნებელია. რაც შეეხება აბაშიძის საქმეს — პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გასაჩივრდება და ამის შემდეგ გამოცხადდება აჭარის ყოფილ ლიდერზე ძებნა. ■

„ცხედრებით ვაჭრობა რომ დიდი ცოდვაა, ამას უნდა აცნობიერებდნენ“

— ქართველების გატაცებამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რეკორდულ ციფრს მიაღწია. რა იქნება ხვალ ცხინვალის რეგიონში?

გურამ ვახტანგიშვილი, *მაჟორიტარი პარლამენტარი ლიახვის ხეობიდან:*

— ჩვენი სამართალდამცავები, რაც შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ. ოსებისგან კი ადეკვატური რეაქცია არ იგრძნობა. ლევან ხაჭაპურიძემ გამტაცებლების გვარები დაასახელა, მაგრამ ოსურმა მხარემ ეს ყურს მიღმა გაატარა. ასე იყო გენო პეტრიაშვილის გატაცების შემთხვევაშიც. მისი გატაცებიდან მეოთხე დღესვე, შს მინისტრი ოსურ მხარეს აწვდიდა მონაცემებს პეტრიაშვილის ადგილსამყოფლის შესახებ. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეძლოთ, ჟურნალისტების თანდასწრებით შეემოწმებინათ მონაცემები, მაგრამ ეს არ გაკეთდა. დადგეს სპექტაკლი, თითქოს ბავშვი ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. რეგიონში სიტუაციას კიდევ ის ართულებს, რომ ქართველებს უარს ეუბნებიან გატაცებული და შემდეგ დახოცილი ადამიანების ცხედრების გადმოცემაზე და ამაში ფულს სძალავენ. ოსებიც ქრისტიანები არიან, ჩვენ ერთ ეკლესიაში დავდივართ სალოცავად და ცხედრებით ვაჭრობა რომ დიდი ცოდვაა, ამას უნდა აცნობიერებდნენ. სამწუხაროა, ისინი იმდენად მოწამლეს რუსებმა, რომ სამშვიდობო ინიციატივის გაგონებაც არ უნდათ. არადა, ერთადერთი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან, სწორედ კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმაა. ეუთომ ოსებს სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ორმილიონნახევრიანი დახმარება შესთავაზა, სეპარატისტებს ეუთოს ფული უნდათ, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება — არა. რეგიონში კი სიტუაცია დღითი დღე მწვავდება. ■

„შეცვლიან ყველა მოსამართლეს, რომელიც ამათ ჭკუაზე არ ხტუნაობს“

— პარლამენტი ემზადება საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად, რომლის მიხედვითაც, მოსამართლედ 28 წლის ადამიანი შეიძლება დაინიშნოს. რას ემსახურება ეს ინიციატივა?

დავით ზურაბიშვილი, *„დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე:*

— ნორმალურ ქვეყანაში თავში აზრად არავის მოუვა, 28 წლის ადამიანი დანიშნოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ. შევარდნაძის დროსაც ასე კეთდებოდა — კანონს არგებდნენ კონკრეტულ ადამიანებს, ახლაც თავისი სამეგობროდან ვიღაცები ჰყავთ დასანიშნი და უნდათ კონსტიტუცია შეცვალონ. თავიდან, მოსამართლეების ასაკი იმიტომ შეამცირეს, რომ კოტე კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაენიშნათ. ის იმ მომენტში, 35 წლის არ იყო. ასე თუ გაგრძელდა, 15-16 წლის ბიჭებს დანიშნავენ მოსამართლეებად. საქართველოში არის კონკრეტული ჯგუფი, რომელიც სასამართლოებს მართავს. ისინი თავად ძალიან ახალგაზრდები არიან, მათ 35-40 წლის იურისტების მართვა გაუჭირდებათ, ამიტომ პატარა ბიჭუკებს არჩევენ. სამწუხაროდ, გიგა ბოკერია, ნიკა გვარამია, გენპროკურორი ზურაბ ადეიშვილი, სასამართლოს უფროსებად იქცნენ. მათი ყურმოჭრილი ყმა, ვალერი ცერცვაძე კი, იუსტიციის საბჭოს მდივანია. თავად იუსტიციის საბჭოს აპარატში 25 წლის ბიჭები არიან, რომლებიც მოსამართლეებს ნოტაციებს უკითხავენ და ახსნა-განმარტებებს აწერინებენ. დღეს ზოგიერთი მოსამართლე საკუთარი აზრის გამოთქმას კიდევ ახერხებს. ხვალ ამ ხალხსაც შეცვლიან და თავიანთ ჭკუაზე მოხტუნავე ადამიანებს მოიყვანენ. მე თავის დროზე კუბლაშვილის კანდიდატურას ხმა მივეცი. ახლა ფრაქციის წევრებს გვინდა, პარლამენტში დავიბაროთ და ვკითხოთ, რისთვის მოვიდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე?.. ■

„...დივერსიებია მოსალოდნელი“

— კიევში საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დსთ-დან გამოსვლის საკითხი არ განიხილება, როცა ამ თემაზე საკანონმდებლო ორგანოში სერიოზული დებატები მიმდინარეობს...

გიგა ბოკერია, *პარლამენტის წევრი:*

— ყველა, ვინც ამ თემაზე პოპულისტობს, ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. ჩვენ დსთ-ის არც ერთ ხელშეკრულებაზე არ მოგვიწერია ხელი, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებში არ შედის. ჩვენ დსთ-ზე ჯვარი არ გვაქვს დაწერილი, ამ გაერთიანებაში ყოფნა მხოლოდ ტაქტიკური საკითხია. ის უკავშირდება ეკონომიკურ ასპექტებს — პირველ რიგში, ექსპორტის დაბეგვრის რეჟიმს, რაც ჩვენი მოსახლეობის ინტერესებშია. ვფიქრობ, კრემლშიც კი აღარავის ეპარება ეჭვი, რომ კურსის შეცვლას და რუსეთში მიბრუნებას აღარ ვაპირებთ, რაც მათ გაღიზიანებას იწვევს. ამ ფონზე, გამორიცხული არ არის, ექსტრემალური აქტები და დივერსიები... ჩვენი ამოცანაა, დაწყებული რეფორმის გაგრძელება და უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება. როცა საქართველოს მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე რუსეთის ტელევიზიების ვარსკვლავად იქცა და იქიდან რჩევა-დარიგებებს გვაძლევს, უნდა ვივარაუდოთ, რომ კრემლს ტაქტიკური გათვლები აქვს და მისგან სიტუაციის დაძაბვაა მოსალოდნელი. მართალია, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება გვინდა, მაგრამ ეს მოგვარება არ უნდა მოხდეს ჩვენი ნაციონალური ინტერესების ხარჯზე. ამ ფონზე, დსთ-ში ყოფნა-არყოფნის საკითხით სპეკულირება უადგილოა. ■

„ოპოზიციის ცემა საქმეს ვერ უშველის“

— ხელისუფლება აცხადებს, რომ დანაპირები შეასრულა და პენსიები გააორმაგა. მათთვის გაუგებარია, ადამიანები, რომლებიც 14 ლარს მშვიდად იღებდნენ, 28 ლარის გამო ქუჩაში რატომ გამოდიან...

გიორგი გუგავა, *ლეიბორისტული პარტია:*

— თუ 14 ლარს მშვიდად იღებდნენ, მაშინ, ნოემბრის მოვლენების დროს, ვინ „გამოიტანა“ შევარდნაძე და ვინ „შეიტანა“ სააკაშვილი პარლამენტში? თანაც, თუ პენსია 28 ლარამდე გაიზარდა, იმავდროულად გაიზარდა ფასებიც. წინა წლებში, 14 ლარი უფრო მსყიდველუნარიანი იყო, ვიდრე დღევანდელი 30 ლარი. ეს ხელისუფლების კიდევ ერთი აფერაა. თავიდანვე იყო გათვლილი, რომ მოსახლეობის თვალის ასახვევად გაეზარდათ პენსიები, რასაც პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების მატება მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, აღარავინ საუბრობს დიფერენცირებულ პენსიებზე, ანაბრების დაბრუნებაზე, მეწარმეების ორი წლით გადასახადებისგან გათავისუფლებაზე. „წარმატება“ მხოლოდ უმუშევართა რიცხვის გაზრდაზე აისახა. შესამჩნევი პროგრესია, ჩინოვნიკთა ქონების გაორმაგების თვალსაზრისითაც. გიგი უგულავამ 3 მილიონი ლარი პირად ფონდში ჩაირიცხა, საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ კი 400 ათას დოლარად შეფასებული ბინა შეიძინა. პრეზიდენტის სასახლის მშენებლობისთვის უზარმაზარი თანხაა გამოყოფილი, მაშინ, როცა არც სკოლების შეკეთება გახსენებია ვინმეს და არც მიწისძვრით დაზარალებულები. თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ ოპოზიციის ცემით და კბილებამდე შეიარაღებული ადამიანების საკრებულოში შეშვებით ვინმეს შეაშინებენ, ცდებიან. თუ 100 ათასი კაცი რუსთაველზე გამოსვლას გადაწყვეტს, პოლიტიკოსების ცემა ვერაფერს უშველით. ■

„საპატრიარქოს მეტი პრეტენზია აქვს...“

— სომხური ეკლესია საქართველოში უფლებების დარღვევებზე საუბრობს, საკამათო ხდება ასობით ტაძრის ისტორიული კუთვნილებაც. თქვენი აზრით, რატომ გააქტიურდნენ სომხები?

ზურაბ ცხოვრებაძე, *საპატრიარქოს პრესცენტრი:*

— ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, სომხური მხარე სხვადასხვა დონეზე სვამდა საკითხს თავისი ეკლესიის იურიდიული სტატუსის შესახებ, რის გამოც, კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მათ ერთობლივი კომისიის შექმნა შესთავაზა. კომისიაში, სასულიერო პირების გარდა, მეცნიერებიც შევიდნენ. ჩვენ ვთქვით, რომ უფრო მეტი და საფუძვლიანი პრეტენზია აქვს საქართველოს საპატრიარქოს სომხური ეკლესიის მიმართ, მაგრამ ამ თემის აჟიტირებისგან თავს იკავებს. გვინდა, კომისიას ვაცადოთ მუშაობა. მიუხედავად ამისა, სომხური ეკლესია ხმაურიანი განცხადებების გაკეთებას არ ერიდება. კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების ფონზე, ეს მიზანშეწონილი არ არის. ვეჭვობ, რომ ამ განცხადებების უკან, მესამე ძალა დგას. საქართველოს საპატრიარქო ერთობლივი კომისიის მუშაობით კმაყოფილია. სომხებს მათ ისტორიულ კუთვნილებას არავინ წაართმევს, მაგრამ ქართულ ეკლესიაში სომხური წარწერების აღმოჩენა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სომხურმა ეკლესიამ მასზე პრეტენზია გამოაცხადოს. სომხების მიერ შედგენილი რუკის მიხედვით, საქართველოში ექვსასზე მეტი სომხური ტაძარი ყოფილა. ალბათ, თავადაც ესმით, რომ ეს აბსურდია. საკითხს ერთობლივი კომისია საფუძვლიანად შეისწავლის და ყველაფერი გაირკვევა. ■

განცხადება

საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების საყურადღებოდ!

საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 5 დეკემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2006 წელს ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განაცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს *საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის თანახმად (მასობრივი ინფორმაციის საშუალების ოფიციალურ ბლანკზე მისი ხელმძღვანელის თანდართული ხელმოწერით).*

საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდების მიზნით, განაცხადში მითითებულ უნდა იქნეს აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატები, კერძოდ, პირადი და ბინის ტელეფონები.

განაცხადების მიღება მიმდინარეობს ა.წ. 5 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით.

საკრედიტაციო ბარათების გაცემა — 2 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 99-00-00, 99-99-62.

საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

„სამოქალაქო დაპირისპირება მოსალოდნელია“

— საპროტესტო აქციების გახშირების გამო, ექსპერტები სამოქალაქო დაპირისპირებაზე ალაპარაკდნენ, ვინ უნდა განმუხტოს სიტუაცია?

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— სალომე ზურაბიშვილის და შემდეგ, კობა დავითაშვილის საპროტესტო აქციებზე საკმაოდ ბევრი ადამიანი მივიდა და სამომავლოდ, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას აქვს ორი გამოსავალი: სოციალური მდგომარეობის გამოსწორება და სამართლიანობის დამყარება ან დაშინების პრინციპით მოქმედება. თუ ხელისუფლება მეორე გზას აირჩევს, ქვეყანა რეალური სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის წინაშე დადგება. ქუჩაში ხალხის გამოსვლა იმის ნიშანია, რომ მოსახლეობაში უკმაყოფილება არსებობს, მაგრამ საზოგადოებამაც და პოლიტიკოსებმაც კარგად გაიცნობიერეს, რომ თუ ახალი რევოლუციისკენ გადაიდგმება ნაბიჯი, იგივე სცენარი გამეორდება და იმავე შედეგით დასრულდება. თუ ძალაუფლება რომელიმე სხვა ძალას გადაეცემა, მხოლოდ გვარები შეიცვლება, სურათი კი იგივე დარჩება. ახალი ხელისუფლება ისევ ძველ შეცდომებს დაუშვებს, რომლის გამომსწორებელი არავინ იქნება, მერე, ისევ ახალ რევოლუციაზე ვილაპარაკოთ?.. ამიტომ, სამოქალაქო დაპირისპირებები და რევოლუციები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ. მოსახლეობა მიხვდა, რომ მიტინგებით და შენობებში შეჭრით არაფერი იცვლება. ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ ხალხში უკმაყოფილება შემცირდეს. სიტუაციის განმუხტვაზე სწორედ მათ უნდა იზრუნონ, რადგან ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა მაღრაძემ

ხელისუფალნი ხშირად იმეორებენ, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების ხარისხი დღითი დღე უმჯობესდება და ქვეყანა დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე დგას. მაგრამ საამისოდ, ბეჭდვითმა მედიამ საზოგადოებას შეუზღუდავად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია. არადა, ზოგ ჩინოსანს ჟურნალ-გაზეთი სიგარეტისა და საღეჭი რეზინისგან ვერ გაურჩევია: კვირის დასაწყისში, პოლიციის თანამშრომლებმა ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარე მოვაჭრეებთან ერთად, პრესის გამავრცელებლების დევნას მიჰყვეს ხელი. ბოლო დროს, ეს უკვე მესამედ მოხდა. პირველ ორ შემთხვევაში, სამართალდამცველები პრესის გამავრცელებლებს არ ერჩოდნენ.

ერთდღიანი შეზღუდვა

თუ მორიგი იერიშის პრელუდია?..

თამუნა როსტიაშვილი

სამართალდამცველების ქმედების საპასუხოდ, პრესის გამავრცელებლებმა ყიჟინა დასცეს და დასახმარებლად, ამ პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულ პირებს — მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართეს: გვიშველეთ, თორემ, რასაც დაწერთ, მისი წაკითხვა თქვენვე მოგიწევთ, რადგან პრესის გავრცელებას ზღუდავენო (ჯიხურები კვლავინდებურად განაგრძობდნენ თავიანთ საქმიანობას). ბეჭდვითი მედია დაფაცურდა და შედეგმაც არ დააყოვნა: ორშაბათისგან განსხვავებით, სამშაბათს, ჟურნალ-გაზეთებით დახუნძლული, პრესის სტელაჟები ჩვეულ ადგილებზე დაგვხვდა. საგულისხმოა, რომ გარდა ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიისა, პრესის გავრცელების თაობაზე არავითარი შეზღუდვა თბილისის არც ერთ რაიონსა თუ უბანს არ შეხებია.

ლეილა ნაბახტეველი:

— 10 წელიწადია, რაც პრესის გავრცელების საქმეს ვემსახურები. როდესაც მე და ჩემმა მეუღლემ ეს საქმე წამოვიწყეთ, რედაქციებს ჟურნალ-გაზეთები სტამბიდან პირდაპირ ჩემს სახლში მოჰქონდათ. ამის შემდეგ, პრესა სხვადასხვა სარეალიზაციო პუნქტზე ნაწილდებოდა. შპს „პრესის გავრცელების სამსახური“, რომელიც ჟურნალ-გაზეთებს გვაწვდის, დაახლოებით 7-8 წლის წინ შეიქმნა. ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციის ნებართვას, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა გვაძლევდა. ნებართვის საფასურს — 15 ლარს ყოველთვიურად, ბანკში ვიხდიდით. შეიძლება ითქვას, საქმიანობა საათივით გვქონდა აწყობილი. ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვიცოდით. ახლა უკვე დაბნეულები ვართ, აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ და ვის მივმართოთ. კვირის დასაწყისში, პატრულის თანამშრომლები მოვიდნენ და გვითხრეს, რომ სადგურის მიმდებარე ტერიტორია გარე მოვაჭრეებთან

ერთად, პრესის გამავრცელებლებსაც უნდა გაეთავისუფლებინათ. მათი განცხადება მოულოდნელი იყო და აღარ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. ორშაბათს, რამდენიმე მაღალტირაჟიანი გაზეთი გამოდის და ამ სამუშაო დღის ჩავარდნამ არა

ცელებლებსაც შეეხოთ. მეორე დღეს, პოლიციელებმა ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციის ნება დართეს. რას ნიშნავს ეს — რაღაც გაუგებრობა მოხდა თუ მომავალში, გარევაჭრ-

ორშაბათს, რამდენიმე მაღალტირაჟიანი გაზეთი გამოდის და ამ სამუშაო დღის ჩავარდნამ არა მარტო რედაქციები, არამედ ჩვენც მნიშვნელოვნად დაგვაზარალა

მარტო რედაქციები, არამედ ჩვენც მნიშვნელოვნად დაგვაზარალა. გასაოცარია ის ფაქტი, რომ ჟურნალ-გაზეთების რეალიზაცია მხოლოდ სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აიკრძალა — სტადიონისა თუ თამარ მეფის გამზირის ჩაყოლებაზე გაზეთები ძველებურად იყიდებოდა. ვერ ვხვდებით, რისი მანიშნებელია პრესის გამავრცელებლების მხოლოდ ერთი დღით შეზღუდვა... შესაძლოა, სამართალდამცველებმა მომავალშიც შეგვავიწროონ, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ. დღეს ამ საქმეს რომ ვემსახურებით, ჟურნალისტების დამსახურებაა, რადგან დაიწყეს თუ არა ჩვენზე ზეწოლა, პრესაში უამრავი ინფორმაცია დაიბეჭდა ამის შესახებ.

— როგორ ფიქრობთ — ვის ინტერესებში უნდა შედიოდეს პრესის რეალიზაციის შეზღუდვა?

ნანა პოლიდაშვილი:

— ვფიქრობ, რომ ამისთვის სხვადასხვა მიზეზი უნდა არსებობდეს. შესაძლოა, ეს გარემოება უკავშირდებოდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას; მეორე მიზეზი — ამ ტერიტორიის შესყიდვა რომელიმე მსხვილ ბიზნემენს სურდეს ან კიდევ, ეჭვი მაქვს, რომ ეს ტერიტორია წინასაახალწლო ვაჭრობისთვის ძალიან ხელსაყრელი ხდება ხოლმე, ამდენად, პრესის გამავრცელებლებისთვის რამდენიმე გოჯი მიწა არ ეთმობათ. როგორც შარშან, ასევე წლეულსაც ალბათ, წინასაახალწლოდ გარე მოვაჭრეებს ვაჭრობის უფლებას მისცემენ, ჩვენ კი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მოვითხოვთ, პრესის გამავრცელებლებისთვის მერიის სამსახურმა საიჯარო ნებართვები დროულად გასცეს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი, ***რამაზ სულამანიძე*** *აღნიშნულ პრობლემაზე საუბრისას, მოკლე კომენტარით შემოიფარგლა და გვითხრა, რომ გარევაჭრობის აკრძალვა მისი, როგორც გამგებლის პრეროგატივა არ არის და მომავალში, საიჯარო ლიცენზიებს ქალაქის მერიის არქიტექტურის სამსახური გასცემს.*

— კვირის დასაწყისში გარევაჭრობის აკრძალვა პრესის გამავრ-

ბის აკრძალვასთან ერთად, პრესის გავრცელებაც შეიზღუდება?

— ადრე, გარე მოვაჭრეებისთვის ლიცენზიებს დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა გასცემდა. ამჟამად, ლიცენზირების კანონი მთლიანად გაუქმებულია. გარევაჭრობა ეკრძალებათ პრესის გამავრცელებლებსაც. მომავალში, ტერიტორიების იჯარით გაცემის ნებართვას თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური გასცემს. თუ რატომ იკრძალებოდა ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა გუშინ და რატომ არ იკრძალება დღეს — ამ კითხვაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ, ეს საპატრულო პოლიციას უნდა ჰკითხოთ.

გამგებელი თითს საპატრულო პოლიციის უფროსებისკენ იშვერს, პირველი პატრული კი — შს სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელისკენ. გურამ დონაძესთან ტელეფონით დაკავშირება კი, ჟურნალისტურ წრეებში საერთაშორისო დონის მიღწევად ითვლება: მისი მობილური ტელეფონი ან გამორთულია, ან არ პასუხობს... ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ამ „მტკივნეულ“ თემაზე საუბარი ჩინოსნებისთვის სასიამოვნო არ არის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ბევრი რამ გაურკვეველი და ბუნდოვანია.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი, ***ნიკა ჩხაიძე*** *ამბობს, რომ მერია მოვაჭრეებისთვის გარკვეული ტერიტორიების იჯარით გაცემის ლიცენზიებს ერთ თვეში გასცემს:*

— როგორც პრესის, აგრეთვე სხვა ნივთებით მოვაჭრეებისთვის ტერიტორიების იჯარით გაცემის ნებართვას მერიის არქიტექტურის სამსახური ერთ თვეში გასცემს. სწორედ ამ დროისთვის მოგვარდება პარკირების საკითხიც.

— ერთი თვის განმავლობაში, გარევაჭრობაც და პრესის გავრცელებაც შეიზღუდება?

— გარევაჭრობა იზღუდება, მაგრამ რაც შეეხება პრესის გავრცელებას — ამ საკითხზე ვერაფერს გიპასუხებთ.

სამწუხაროდ, ქალაქის „პირველმა არქიტექტორმა“ იმაზეც ვერაფერი გვიპასუხა, თუ რა ეღირება და როგორი სახე ექნება ლიცენზიების გაცემის წესს...

პრესის რეალიზატორებთან საუბრის შემდეგ, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიას ავუყევი. თითქოს იბარტყესო, იმდენად თვალში საცემი იყო სამართალდამცველების მომრავლება. მოვაჭრეები ხელზე გადაკიდებულ, გასაყიდად გამზადებულ ტანსაცმელს ისე დაატარებდნენ, თითქოს გამვლელ-გამომვლელებს აწონებდნენ. პატრულის ბრძანებაზე — ნუ ვაჭრობთო! — შეშინებულები პასუხობდნენ — არ ვვაჭრობთ, ისე დავდივართო... ■

PSP
პსპ

გვეკითხებით? გიპასუხებთ!

ჩვენი საინფორმაციო სამსახურის ნომერზე ხშირად შემოდის ზარები შეკითხვით:

რატომ არ გააჩნია პსპ-ს აფთიაქებს ე.წ. ხარისხის ნიშანი "A"?

პსპ საინფორმაციო სამსახური გაცნობებთ, რომ "PSP - აფთიაქის" პრიორიტეტი, უდავოდ, ხარისხია, რომელსაც ჩვენი სააფთიაქო ქსელი უზრუნველყოფს GPP (სათანადო სააფთიაქო პრაქტიკა) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ნიშანი "A" კი არ წარმოადგენს საერთაშორისო ექსპერტების ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილ ხარისხის ნიშანს. აღნიშნული ნიშანი კომპანია "ჯი-პი-სი"-ს ანუ რიგით მესამე ფარმაცევტული დისტრიბუტორის სარეკლამო კამპანიის ნაწილია.

პსპ-ს სააფთიაქო ქსელს გამოარჩევს თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნიშანი „PSP“. ჩვენ ყოველდღიურად ვემსახურებით 20 000 მომხმარებელს, რომელთათვისაც ხარისხი და "PSP" იდენტური ცნებებია.

პსპ-ს საინფორმაციო სამსახური

ნათია ქივიძე

ამ ბოლო დროს, რეალითი-შოუების ბუმია საქართველოში. ვინ — 3 თვის მანძილზე შიმშილობს და ვინ — მიმტანობის ხელოვნებას ეუფლება. ქართველების მენტალიტეტი მოგეხსენებათ — სხვისი ცხოვრებით ცხოვრება რომ ხიბლავთ და ყველა, ტელეეკრანს ჩაშტერებია; მერე, უახლოეს მეგობარს გადაურეკავს და საათობით ელაპარაკება იმაზე, თუ ვინ შეუყვარდა დონ ლევანს, რომ თურმე, მას შვილი ჰყოლია, მაგრამ ცოლი — არა, ხოლო თეო-თეო „ბარში" იმიტომ დააბრუნეს, რომ დანარჩენმა მოთამაშეებმა ბესოზე შური იძიონ... კიდევ, თურმე, გიორგი ფოჩხუას, ნატა ისე შეჰყვარებია, რომ უახლოეს მომავალში მის ცოლად მოყვანასაც აპირებს... მაყურებლის ფანტაზიას რა შეზღუდავს — იჭორავებენ და იჭორავებენ. საზოგადოების ერთი ნაწილი კი იმდენად აღშფოთებულია რეალითი-შოუს მონაწილეთა „აღვირახსნილობით", რომ ქუჩაში აქციებსაც მართავს და მის აკრძალვასაც მოითხოვს. ამბობენ, მამუკა ღლონტს სწორედ ქართული მენტალიტეტის გამო ჩაეშალა ახალი პროექტი „ფლირტი". მაგრამ ამის შესახებ — მოგვიანებით. ახლა კი, „ჯეიობარის" პროდიუსერთან, გიორგი ხაბურზანიასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

„ბოლო კვირას, როცა სახლში ორნი დარჩებიან, ბევრ პატარ-პატარა დავალებას მიიღებენ..."

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ ამდენი რეალითი-შოუდან მაინცდამაინც „ჯეიობარი" აგერჩიათ?

— დიდი ხნის განმავლობაში გვინდოდა, რომ „რუსთავი 2-"ზე რეალითი-შოუ გაგვეკეთებინა. მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ტელევიზიებზე უამრავი ასეთი გადაცემა არსებობს. ჩვენ მათ შორის, ყველაზე პოპულარულები შევისწავლეთ და „ბარი" აღმოჩნდა ისეთი შოუ, რომელიც ძალზე მოქნილია ანუ ძალიან მკაცრ ჩარჩოებში არ ზის, როგორიც, ვთქვათ, „ბიგ-ბაზარ" არის, რომელიც საკმაოდ შეზღუდულია: იქ მოქმედება მხოლოდ ბინაში ხდება. ჩვენ კი გვინდოდა, ისეთი რამ შეგვექმნა, სადაც ბევრი საინტერესო რამ მოხდებოდა. ძალიან მოგვწონა ბარის იდეა, რადგან იქ შესვლა უამრავ ადამიანს შეუძლია, ამასთანავე, შოუს ელემენტებითაც იქნებოდა დატვირთული. მაგალითად, ძალიან კარგია, რომ ბინა და ბარი ერთად არის. ბინაში ცხოვრობენ და ერთმანეთთან ურთიერთობენ და აქვთ სამუშაო ადგილი, სადაც მათთან კონტაქტი ჩვეულებრივ მაყურებელსაც შეუძლია. ასეთი ინტერაქტიური დეტალები სხვა შოუებში არ არის. აქამდე, ეს პროექტი სულ 18 ქვეყანაში განხორციელდა და ყველგან დიდი აღიარება მოიპოვა. ვიფიქრეთ, რადგან ამ პროექტმა ამდენ ქვეყანაში გაამართლა, ე.ი. ჩვენშიც გაამართლებს-თქო...

— თქვენი აზრით, გაამართლა?

— რა თქმა უნდა, ძალიან გაამართლა. ტელევიზიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის გადაცემის რეიტინგი, თუ გადაცემა რეიტინგულია, მაშინ მასში რეკლამაც არის და სპონსორებიც ჰყავს. სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს, რომ ამ პროექტმა გაამართლა. თავშეყრის ნებისმიერ ადგილას — ტრანსპორტში იქნება ეს თუ რაიმე წვეულებაზე, — ყველა ასაკის ადამიანი ამ პროექტზე ლაპარაკობს. ამასთანავე, დღე არ გავა, რომ ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე „ჯეიობარის" რომელიმე მოთამაშის სურათი არ დაიბეჭდოს.

— გამოდის, რომ თქვენ მიერ მოპოვებული რეიტინგი, ჩვენი — მასმედიის წარმომადგენელთა დიდი დამსახურებაცაა...

— რა თქმა უნდა. შოუბიზნესსა და ამ ბიზნესში პრესა დიდ როლს თამაშობს.

— რა რეაქცია გქონდათ, როდესაც „ჯეიობარის" საწინააღმდეგო აქცია მოეწყო და მისმა მონაწილეებმა მოთამაშეებს წერილი შეუგზავნეს?

— ის წერილი აქციის მონაწილეებს ჩვენ გამოვართვით და მოთამაშეებს ჩვენ თვითონ შევუგზავნეთ, რადგან მათი რეაქცია გვაინტერესებდა...

— ეი. ესეც შოუსთვის გამოიყენეთ, ხომ?

— გამოვიყენეთ, რადგან ეს იყო მოსახლეობის მცირე ნაწილის აზრი, რომლითაც ჩვენ, რა თქმა უნდა, დავინტერესდით. საქართველო თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანაა და ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი გამოხატოს. ვიღაცას ეს პროექტი თუ არ მოსწონს, შეუძლია, პიკეტიც მოაწყოს და მიტინგიც. თუ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება, ჩვენ რეაქცია არ გვექნება.

— როდესაც მოთამაშეებთან ხელშეკრულება გააფორმეთ, თუ იყო მასში შეტანილი პუნქტი ამა თუ იმ გავარდნილი მოთამაშის შესაძლო დაბრუნების შესახებ?

— ამ ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომელშიც წერია, რომ შესაძლოა, თამაშის დროს, წესები შეიცვალოს, თუმცა მოთამაშის დაბრუნება-არდაბრუნების ამბავი თავად მოთამაშეს არ ეხება. ეს შოუს ელემენტია, თუ გვინდა — დავაბრუნებთ, თუ გვინდა — ახალს შევიყვანთ.

— მარი ნაკანის დაბრუნება თავიდანვე გქონდათ განზრახული?

— რა თქმა უნდა. 12 ადამიანი 12 კვირას არ ჰყოფნის, რადგან ბოლოს, პროექტში 2 მოთამაშე უნდა დარჩეს. შესაბამისად, ეს თავიდანვე გვქონდა გათვლილი. მაგრამ ამას არ ვამბობდით, რათა შოუ უფრო საინტერესო ყოფილიყო მაყურებლისთვის. მარის წასვლა კი, ნამდვილად არ იყო წინასწარ ჩაფიქრებული. ამას არავინ არ მოველოდით და ჩვენ თვითონ ძალიან გაგვიკვირდა. მარის წასვლა და თეოს დაბრუნება არ გაგვითვალისწინებია. მარი მგონი, ემოციებს აჰყვა და ამიტომ დატოვა პროექტი. ვფიქრობ, ასე არ უნდა მოქცეულიყო. ის ჯარიმას გადაიხდის, თუმცა როდის — ეს ჩემი საქმე არ არის, იურიდიული საკითხია.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ პროექტში მაინცდამაინც მარი დაგებრუნებინათ?

— იმიტომ, რომ ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა, ხალხს დავახასიათებინეთ „ჯეიობარის" ყველა მონაწილე — როგორც თამაშიდან გასული, ასევე მოთამაშენიც. მარიმ ძალზე მკვეთრი შეფასებები მიიღო: მას ან ძალიან დადებითად ახასიათებდნენ, ან ძალიან უარყოფითად, შუალედური არ არსებობდა და ეს მოგვწონა, რადგან ადამიანი, რომელიც ხალხში ასეთ რეაქციას იწვევს, შოუსთვის ძალზე საინტერესოა. რაც შეეხება თეოს — ყველაზე მეტი დადებითი შეფასება სწორედ მან მიიღო — გარეგნობიდან დაწყებული, ხასიათით დამთავრებული. ერთადერთი მისი

მათ ჯერჯერობით არაფერი იციან. სწორედ ამ დავალებების შესრულება განსაზღვრავს მათ პოპულარობას

მინუსი ის იყო, რომ ჭურჭლის გარეცხვის გამო ატეხა ამხელა ამბავი. ხალხს მხოლოდ მისი ეს საქციელი არ მოეწონა.

— თქვენი აზრით, ვინ გახდება 35 ათასი ლარის მფლობელი?

— წინასწარ პროგნოზს ვერ გავაკეთებ, რადგან ეს საკმაოდ რთულია. 4 კვირაა დარჩენილი და ამ დროის მონაკვეთში შესაძლოა, კიდევ ბევრი რამ მოხდეს. ბოლო კვირას, როცა სახლში ორნი დარჩებიან, ბევრ პატარ-პატარა დავალებას მიიღებენ, რომლის შესახებაც მათ ჯერჯერობით არაფერი იციან. სწორედ ამ დავალებების შესრულება განსაზღვრავს მათ პოპულარობას. ახლანდელი სურათით შეუძლებელია, გამარჯვებულის ვინაობა გავთვალოთ.

— როგორც ხალხი, ასევე მოთამაშეები გამოთქვამენ ეჭვს, რომ ბესოს მხარდამჭერი ზარები იმდენად ბევრია, შესაძლოა, მისი ახლობლების მხრიდან რაიმე ეშმაკობას ჰქონდეს ადგილი...

— *(იცინის)* სატელეფონო ზარებს თვითონ „ჯეოსელი“ აკონტროლებს. შეუძლებელია, რომ ციფრი გაყალბებული იყოს, რადგან ამ პროცესს არა მარტო ფინანსთა სამინისტრო, არამედ გადასახადის გასაკონტროლებლად, არაერთი სხვა უწყება ამოწმებს.

— ბესოს პაემანი უკრაინელ გოგონასთან მართლა შემთხვევითი იყო თუ სკანდალის ასაგორებლად ესეც წინასწარ დაგეგმეთ?

— ჩვენ მიერ წინასწარ დაგეგმილი რომ ყოფილიყო, მაშინ დიტო და ტატო რატომ აიყვანდნენ ზემოთ?!. მსგავსი რამ ნამდვილად არ გაგვითვლია. ბარში უამრავი ადამიანი შემოდის და შეუძლებელია, ყველა მათგანი გავაკონტროლოთ.

— ეი. ხალხი თავად გეხმარებათ მსგავსი ინტრიგების შესაქმნელად, არა?..

— დიახ, ხალხი და ალკოჰოლური სასმელი... ის უკრაინელი გოგონაც, სხვათა შორის, საკმაოდ ნასვამი იყო.

— როგორც ცნობილია, ახალი შოუს მოწყობასაც აპირებთ...

— რა თქმა უნდა. უამრავი ახალი რეალური შოუს გაკეთებას ვაპირებთ. მაგალითად, ახალი წლიდან, შოუ „კანდიდატი“ გავა ეთერში. დანარჩენს, მოგვიანებით გეტყვით.

პროდიუსერის შემდეგ, ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რას ფიქრობს „ბარზე“ შოუდან წინა კვირას გასული **ნატა ნუცუბიძე**.

— ნატა, ალბათ „ბარიდან“ რომ წამოხვედი, გული ძალიან დაგწყდა, ხომ?

— ძალიან მინდოდა, ის 35 ათასი ჩემი გამხდარიყო, მაგრამ... იქ ყველა ამ ფულის გამოა, თუმცა თავს იკატუნებენ — ფული არ გვინდაო. ეს სისულელეა.

— როგორ შეაფასებ „ბარში“ მიმდინარე მოვლენებს? შენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს?

— აქამდე ვფიქრობდი, რომ აუცილებლად ბესო გაიმარჯვებდა. მაგრამ როგორც კი გავიგე, „ბარში“ თეო-თეო დაბრუნდა, ასე აღარ ვფიქრობ, რადგან თეო ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული მოთამაშეა და არ არის გამორიცხული, რომ მან მოიგოს ეს ფული. ასე რომ, ბესო დიდი საფრთხის წინაშე დგას.

— რამდენიმე დღის წინ, მოთამაშეებს ქვემოდან რაღაცებს ეძახდი. ქეთის დაუძახე, რომ მასზე რაღაც გაიგე, რაც ძალიან გეწყინა, რა იგულისხმე?

— მე არ ვიცოდი, თუ ქეთის, ბარში თავის ახლობლებთან საუბარი ჰქონდა. ეს პირველად ლაივ-შოუს დროს ვნახე, მაგრამ მაშინაც არ მიმიქცევია ამისთვის ყურადღება. ბარის დატოვების შემდეგ კი, ახლობლებმა მიამბეს, რომ ქეთის თავისი ნათესავებისთვის უთქვამს — აუტსაიდერის სკამზე ნატას დავსვამ, ის აუცილებლად გავარდება, პროექტში ერთადერთი გოგო დავრჩები და ხალხი აუცილებლად მე მომცემს ხმასო. ქეთის ძალიან ვენდობოდი და არ მეგონა, თუ ასე თამაშობდა.

— აუტსაიდერის სკამზე რომ დაჯექი, გქონდა თუ არა იმედი, რომ პროექტში დარჩებოდი?

— არა, თავიდანვე ვიცოდი, რომ მე დავტოვებდი პროექტს, რადგან ბესო საკმაოდ ძლიერი მოთამაშეა. თუმცა ამის გამო გული ნამდვილად არ მწყდება, რადგან ის სერიოზული კონკურენტი იყო და მიხარია, რომ სწორედ მასთან ერთად ვიჯექი და არა სხვა ვინმესთან.

რეალითი-შოუსადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო, საზოგადოების წარმომადგენელთა შეხედულებებითაც დავინტერესდით. კომენტარები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს ვთხოვეთ.

რეზო არჩვაძე, *რეჟისორი:*

— „ჯეობარი“ საქართველოში პირველი რეალური შოუა, რომელიც ასეთი მაღალი ხარისხისაა. ეტყობა, რომ მასზე ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ. როგორც კლიპმეიკერი, შემიძლია აღვნიშნო, რომ ეს გადაცემა დიდი გემოვნებითაა გაკეთებული.

— შენი ნათქვამიდან გამომდინარე, „ჯეობარში“ ისეთი არაფერია, რაც შენს გაღიზიანებას იწვევს...

— რა თქმა უნდა, ასეთი რაღაცები არსებობს. ეს რეალითი-შოუა და მასში ყველაფერი უნდა იყოს. არის მომენტები, როცა ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც საჭიროა. რეალითი-შოუ ჩვენში პირველ ნაბიჯებს დგამს და მასში რაღაც შეცდომები ნამდვილად არის, მაგრამ იქ ძალიან ნიჭიერი ჯგუფია, რომელიც ყველა შეცდომას ასწორებს.

ლიზა ბაგრატიონი, *მომღერალი:*

— არც ერთ რეალითი-შოუს არ ვუყურებ და საერთოდ, აზრზე არა ვარ, იქ რა ხდება, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ არ მომწონს და მისი ყურებით ამიტომ არ ვიწუხებ თავს. ჩემი მოკლე დასკვნა ასეთია და მეტს ველარაფერს გეტყვით.

გია ბალაშვილი, *მომღერალი, პროდიუსერი:*

— რეალითი-შოუებს საერთოდ არ ვუყურებ, რადგან საამისოდ დროს ვერ, უფრო სწორად — არ ვნახულობ. რამდენჯერმე, „ჯეობარს“ თვალი კი მოვკარი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მისით დიდად დავინტერესდი, რადგან სხვისი პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს. ის პროექტები, რომლებიც დღეს რეიტინგულია, და ის რეალითი შოუები, რომლებიც დღეს საქართველოში არსებობს, ყველა უდავოდ ყურებადია, ე.ი. მასზე საზოგადოების მოთხოვნილება არსებობს. თუ ვინმეს მისი ყურება არ უნდა, გადაცემის პროდიუსერები ხშირად მოიშველიებენ ხოლმე ფრაზას: არ მოგწონს — სხვა არხზე გადართე. მეც სწორედ ასე ვიქცევი. ისე, ერთი რამ მენიშნა, რაც არ მომწონა: მაყურებელში ინტერესის გაღვივება აშკარად, ინტრიგების გამძაფრების ხარჯზე ხდება. ეს ინტრიგები კი ადამიანის ქვენა გრძნობების გამომჟღავნების შედეგად მძაფრდება. ქვენა გრძნობებს ავლენენ, როგორც ბარის მონაწილეები, ასევე მაყურებლები. თუ ფსიქოგოლოგებს დავუჯერებთ, როცა ადამიანი სხვების პირად ცხოვრებას ადევნებს თვალყურს, საკუთარი პრობლემები ავიწყდება და ალბათ, ამის გამო ჰყავს ამ პროექტებს ბევრი მაყურებელი...

სტუდია „მაესტროს“ ხელმძღვანელს მამუკა ღლონტს არაერთი საინტერესო პროექტი შეუთავაზებია მაყურებლისთვის. ასეთებს წარმოადგენს „ამტანი“ და „ამტანი-2“. მათი დამთავრების შემდეგ კი, ის ახალ პროექტს ამზადებს, რომლის სახელწოდებაა „მდიდრები და ღარიბები“, იმის გასარკვევად, თუ როგორი იქნება ეს პროექტი, მამუკა ღლონტს ვესტუმრე.

„ფლირტმა“ ეკრანისკენ გზა ვერ გაიკვლია

ხომ შეაცვლევინა გადაწყვეტილება მამუკა ღლონტს



მარეხ ჭონიშვილი

— როგორც იცით, პროექტის სახელწოდებაა „მდიდრები და ღარიბები“. სახლში, რომელშიც იცხოვრებენ, იქნება 10 მონაწილე: მათგან 6 — მდიდარი, ხოლო 4 — ღარიბი. ჩვენ, მაყურებლები კი, დავაკვირდებით მათ ურთიერთობებს.

— როგორია პროექტის შინაარსი?

— როგორც გითხარით, სახლში იცხოვრებს 10 მონაწილე. ყოველი კვირის ბოლოს, 6 მდიდარი აღარიბებს 2 მონაწილეს. ერთი მოთამაშე ღარიბის მდგომარეობიდან გადადის მდიდრის მდგომარეობაში. მოთამაშის გავარდნა კი ხდება მხოლოდ ღარიბებიდან. ყოველი კვირის ბოლოს, თამაშის მონაწილეებს კიდევ ერთი მონაწილე შეემატებათ.

— როგორი იქნება მაყურებლის როლი ამ თამაშში?

— მაყურებელს ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება: თამაშს არ ტოვებს ის მონაწილე, რომელიც სარგებლობს მაყურებლის სიმპათიით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მდიდარი აღარიბებს რომელიმე მონაწილეს და მონაწილეები ერთნაირი რაოდენობის ხმებს დააგროვებენ, გაღარიბდება ის, ვინც ნაკლები ხმა მიიღო.

— „ამტანებს“ მკაცრ პირობებში უხდებოდათ ყოფნა. ამ პროექტში როგორი პირობები ექნებათ მონაწილეებს?

— პროექტის მონაწილეები იცხოვრებენ ძალზე კარგ პირობებში. სახლში ბევრი ოთახია, ის კარგი ავეჯით იქნება მოწყობილი, ექნებათ სამზარეულო, გათბობა, ცხელი წყალი, შესაძლებლობა — ითამაშონ ბილიარდი. რაც შეეხება ღარიბებს — მათ არ ექნებათ „ამტანური“ მდგომარეობა, მაგრამ არც მდიდრულად იცხოვრებენ. ისინი იცხოვრებენ ერთ ოთახში, სადაც იქნება ორსართულიანი საწოლები, ხის მაგიდა და ტაბურეტები. განსხვავებული ექნებათ მენიუც. ღარიბები ასევე ვალდებული იქნებიან, მოემსახურონ მდიდრებს: გაურეცხონ სარეცხი, დაულაგონ სახლი, მოუმზადონ საჭმელი და ა.შ.

— პროექტში ცნობილ სახეებს ხომ არ ვიხილავთ?

— ამ პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. ძალიან საინტერესო იქნება პროექტისთვის, თუ მიიღებენ მონაწილეობას ცნობილი სახეები: მომღერლები, მსახიობები, პოეტები.

— „ამტანებში“ თქვენ წამყვანი იყავით და ძალიან მკაცრად ექცეოდით მოთამაშეებს. ამ პროექტში რა როლი გაქვთ?

— პროექტს — „მდიდრები და ღარიბები“ ეყოლება სამი წამყვანი: ლუკა, გიორგი და მე. მაგრამ აქ წამყვანს სულ სხვა ფუნქცია აქვს. მონაწილეებს საშუალება ექნებათ, გული გადაუშალონ წამყვანებს, ესაუბრონ მათ. ამ პროექტში წამყვანსა და მონაწილეებს შორის მეგობრული დამოკიდებულება იქნება.

— როგორც გავიგეთ, თქვენ სულ სხვა პროექტის დაწყებას აპირებდით. რა პროექტი იყო ეს და რატომ შეიცვალეთ გადაწყვეტილება?

— დიახ, ჩვენ ვმუშაობდით პროექტზე, რომლის სახელიც იყო „ფლირტი“. პროექტის გაშვება არ მოხდა იმიტომ, რომ არ იყო მონაწილეთა საკმარისი რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ მოვიდა ძალიან კარგი ხალხი, ვერ მივაღწიეთ გოგონებისა და ბიჭების თანაფარდობას. თან ვფიქრობ, რომ პროექტის სახელმაც შეაშინა მონაწილეები: მათ იფიქრეს, რომ აქ ამორალურ ქცევას ექნებოდა ადგილი. არადა, პროექტის არსი სულ სხვაა: ფლირტი ნიშნავს მსუბუქ ურთიერთობას. მაგალითად, ბიჭი რომ არ გავარდნილიყო, თავი უნდა მოეწონებინა გოგოსთვის ან — პირიქით, რადგან პროექტის მიხედვით, გოგონები აგდებდნენ ბიჭებს, ბიჭები კი გოგონებს. მაგრამ თავის მოწონება არ გულისხმობდა გაშიშვლებას.

— „ჯეოპართან“ დაკავშირებულმა საპროტესტო გამოსვლებმა ხომ არ გადაგაფიქრებინათ ამ პროექტის გაშვება?

— ამას არ დავაკონკრეტებ...

— საინტერესოა, როგორია თქვენი აზრი „ჯეოპარზე“.

— ეს არის კარგად გაკეთებული, ჩვეულებრივი რეალური შოუ. იმაზე საუბარი და გამოსვლები, რომ ისინი ფულის გამო იბრძვიან ერთმანეთში, ჩემი აზრით, სისულელეა. განა, ფულის გამო არ იბრძვიან ფეხბურთელები, მოჭადრაკეები, კალათბურთელები! სწორედ ფულის გამო აყენებენ ისინი ერთმანეთს ტრავმებს. ხშირია შემთხვევა, როცა მეგობრები სხვადასხვა გუნდში თამაშობენ და ერთმანეთის წინააღმდეგ უწევთ თამაში და მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. იგივეა ეს პროექტიც, იმ განსხვავებით, რომ აქ 24 საათი, კამერაა ჩართული. ამ ყველაფერს უნდა შევხედოთ ისე, როგორც სერიალს, რომელშიც არაპროფესიონალი მსახიობები თამაშობენ.

— როდის დაიწყება და რამდენ ხანს გაგრძელდება „მდიდრები და ღარიბები“?

— პროექტი დაიწყება 24 დეკემბერს და დაახლოებით 3 თვე გაგრძელდება.

— რა თქმა უნდა, ჯილდოს გამარჯვებული მიიღებს. ფულადი თანხა იქნება თუ რაღაც პრიზი?

— პროექტის ბოლოს, დარჩება 2 მონაწილე: ერთი — მდიდარი და ერთი — ღარიბი. მათ შორის გამარჯვებულს მაყურებელი გამოავლენს. პირველ ადგილზე გასული მიიღებს 8.000 დოლარს, მეორეზე გასული კი — 2.000 დოლარს. ■

ბუნებრივი აირის საფასურს რომ გაგვიძვირებდა, რუსეთი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, სახელმწიფო სათათბიროდან — დუმიდან დაგვემუქრა. მართალია, ჩვენი ხელისუფლება ამ განცხადებას სევდანარევი ირონიით შეხვდა და პოლიტიკური „ტოპკის“ დასარტყმელადაც მოემზადა, მაგრამ გაზის ალტერნატიული წყარო ვერსად რომ ვერ მოიძია, მოსალაპარაკებლად ისევ მოსკოვს მიაშურა. „გაზპრომის“ თავკაცებს ჩვენი მინისტრთა მინისტრი — ზურაბ ნოღაიდელი შეხვდა; რა თქმა უნდა, თან ქვეყნის მთავარი ენერგეტიკოსი — ნიკა გილაურიც ახლდა, მაგრამ უკვე მიღებული გადაწყვეტილება, ჩრდილოელ მეზობელს ორმა მინისტრმაც ვერ შეაცვლევინა და საახალწლო ძღვნად, ბუნებრივი აირის თითქმის ორჯერ გაზრდილი ტარიფი ჩამოგვიტანეს.

დაგვიანებული ფაციფუცი

რით გვაჯობეს სომხებმა ანუ „ბავშვური მიდგომებით გაზის საკითხები არ წყდება“

ემა ტუხიაშვილი

თვეზე ნაკლები რჩება იმ დღემდე, როდესაც რუსეთი 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 60-ის ნაცვლად, 110 აშშ დოლარად მოგვყიდის. თქვენ კი, ჩემო თანამემამულენო, ყოველი მოხმარებული კუბმეტრი აირისთვის უწინდებურად, არა 27 თეთრის, არამედ მთელი 34-35 თეთრის გადახდა მოგიწევთ. მართალია, ენერგეტიკის სამინისტრო გვპირდება, რომ იანვარ-თებერვალში ფასთა სხვაობას თავად დაგვიფარავს, მაგრამ მარტიდან უკვე აღარ დაგჭირდებათ იმაზე ფიქრი თუ რაში დახარჯოთ მთავრობის ინიციატივით „უხვად“ გაზრდილი პენსია, ლეგალური ბიზნესით ნაშოვნი ფული, თუ ეკონომიკური ზრდით წარმოქმნილი სახელფასო დანამატი.

გია ხუსაშვილი, *ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში:*

— მართალია, რუსეთის ენერგეტიკული იარაღი საქართველოს მიმართ უკვე დიდი ხანია მუშაობს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენს ხელისუფლებას შეეძლო, თავიდან აეცილებინა გაზის ტარიფის ზრდა. „გაზპრომი“ საკმაო ხნის განმავლობაში მოუწოდებდა ჩვენი ქვეყნის მთავრობას, რომ შემდგარიყო მათ შორის მოლაპარაკებები, რასაც ჩვენმა ხელისუფლებამ ფუჭი და მცდარი გზით სიარული ამჯობინა. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ყაზახეთში სირბილი და მოლაპარაკებები საქართველოში ყაზახური გაზის შემოტანის თაობაზე, სრული აბსურდი იყო, რადგან საბოლოო გადაწყვეტილება მაინც კრემლში იქნებოდა მიღებული. მიმაჩნია, რომ უქმად გაიფლანგა ძვირფასი დრო, რადგან მართალია, რუსეთში ამის თაობაზე უკვე იყო მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, მაგრამ „გაზპრომი“, როგორც ტრანსნაციონალური კომპანია, უფრთხილდება საკუთარ სახელს და ბიზნესისთვის მიუღებელ ნაბიჯს არ გადადგამდა. საქართველოს ხელისუფლებას 2-3 თვის განმავლობაში ჰქონდა შესაძლებლობა, „გაზპრომისთვის“ ყველა კონტრარგუმენტი წარედგინა და გაცილებით უკეთესი შედეგისთვისაც მიეღწია, ვიდრე დღეს გვაქვს. მეტსაც გეტყვით — დღესაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი, მიღწეულ იქნას გარკვეული კომპრომისი. მაგრამ ამ შემთხვევაში, უნდა შეიცვალონ სახელისუფლებო ფიგურები, რადგან ფაქტია, რომ ეს ადამიანები თვეების განმავლობაში არასწორი გზით მიდიოდნენ და შესაბამისად, არ გააჩნიათ ინტელექტუალური რესურსი საიმისოდ, რომ ვითარება სასიკეთოდ შემოაბრუნონ. სამწუხაროდ, მათი შეცდომები ქვეყანას ძალზე ძვირი უჯდება.

— იქნებ, განგვიმარტოთ, რისი მიღწევა შეეძლო საქართველოს ხელისუფლებას „გაზპრომთან“ დროულად რომ ეწარმოებინა მოლაპარაკება?

— დღეს არც ჩვენ და არც რუსეთი არ ვართ მზად გრძელვადიანი სტრატეგიული ხელშეკრულებების მისაღებად, ამიტომ სავსებით შესაძლებელი იყო, „გაზპრომისთვის“ შეგვეთავაზებინა გაძვირების ე.წ. რბილი ვარიანტი, რომელიც ამ კომპანიისთვის აპრობირებულია და მთელ რიგ ქვეყნებთან სწორედ ასეთი სქემით მუშაობს. მართალია, გაზის ტარიფის ზრდა გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ რეალური შანსი გვქონდა, რომ 1000 კუბური მეტრი 80-90 დოლარად გვეყიდა. ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები ჩიხში შესულიყო. მეტიც, ჩვენი მთავრობის წევრებმა ისიც კი განუცხადეს „გაზპრომს“, რომ ყაზახური გაზის სახით, ალტერნატიული წყარო ჰქონდათ. თუმცა გაუგებარია, როგორ აპირებდნენ საქართველოში ყაზახური გაზის ჩამოტანას — ალბათ, ჩემოდნებით... საბოლოოდ კი გაირკვა, რომ ყაზახური გაზი მთლიანდ „გაზპრომის“ კონტროლის ქვეშაა. მაგრამ ამ ინფორმაციის მიღება დროულად, ინტერნეტის ღია საიტებითაც შეეძლოთ. ასე რომ, ჩვენმა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოავლინა სრული არაპროფესიონალიზმი და მინისტრების შეცდომები ქვეყანას მილიონობით დოლარი დაუჯდება.

— მაინც რა თანხით იზარალებს საქართველო ამ ყველაფრისგან?

— ყველა ფაქტორის გათვალისწინებით — ანუ თუ ფასთა სხვაობას დავუმატებთ მის თანამდევ შედეგებს — ინფლაციას, ელექტროენერგიის გაძვირებას და ა.შ. — შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე მცირე, ქვეყანა 150 მილიონი ლარით იზარალებს მხოლოდ მომავალ წელს.

— ხელისუფლება გვპირდება, რომ იანვარ-თებერვალში ფასთა სხვაობას თავად დაფარავს და გაზრდილი ტარიფი მოსახლეობას არ დააწვება კისერზე...

— სუბსიდირება ვერანაირად ვერ შეაჩერებს ინფლაციურ პროცესებს. მოგეხსენებათ, რომ გაზი ეკონომიკის საბაზისო ელემენტია, ამიტომ თუ ამ ორი თვის განმავლობაში არ გადაიხდით გაზის გაზრდილ ტარიფს, სამაგიეროდ, მეტის გადახდა მოგიწევთ იმ პირველადი მოხმარების საგნებში, რომელთა ფასიც, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მკვეთრად გაიზრდება. ხოლო ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა მოხდება უკვე 2-3 თვის შემდეგ. გასაგებია, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, თავისი წარუმატებლობა დამალოს და ადამიანურად, მესმის კიდეც მისი, მაგრამ გულუბრყვილო და ბავშვური მიდგომებით რომ არ წყდება ასეთი საკითხები, ხომ უნდა ესმოდეთ?! იქნებ ჰკითხოს ვინმემ ნიკა გილაურს — როდესაც ყაზახური გაზის იმპორტირებაზე გვესაუბრებოდა და მოსალაპარაკებლადაც ყაზახეთში დადიოდა, არსებობდა კონტრაქტი საქართველოსა და

მართლაც, შესაძლოა, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს და შეშფოთების საფუძველი არ არსებობს

ყაზახეთს შორის გაზის მოწოდების თაობაზე? გარწმუნებთ, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლებელია, შეიქმნას „გაზპრომისა“ და საქართველოს მთავრობის ერთობლივი კომპანია, რომელიც გაზის ტრანსპორტირების სისტემის ექსპლუატაციაზე იქნება პასუხისმგებელი. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რუსეთი ცდილობს, მოძებნოს რაღაც ხრიკი, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ხელში ჩასაგდებად?

— ეს გაცილებით რთული საკითხია, ვიდრე იგივე, გაზის ფასის ზრდა. გაზსადენის რუსეთისთვის გადაცემა საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისთვის პირდაპირ საფრთხის შექმნას ნიშნავს. ყველას კარგად გვახსოვს, რომ შარშან „გაზპრომი“ ამ მილსადენში ფულს იხდიდა, ახლა კი ფაქტობრივად, უფასოდ აძლევენ და თან ჰპირდებიან — ამერიკელების ფულით გავარემონტებთო. მსგავსი ნაბიჯი კი ეკონომიკურ საფუძველს გამოაცლის „შაჰდენისის“ პროექტს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ამერიკელების მოსალოდნელ რეაქციაზე: მილენიუმის პროექტით მიღებული 45 მილიონი დოლარი ხომ სწორედ გაზსადენის რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს, ხელშეკრულებაში კი შავით თეთრზე წერია, რომ 5 წლის განმავლობაში ამ მილის გადაცემა, არავისთვის არანაირი ფორმით არ უნდა მოხდეს. ყველაფერს სჯობია, რომ ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და რეალურად შეამციროს ის გაზის დანაკარგები, რომლებიც უმეტესწილად ხელოვნურად არის შექმნილი: რეალურად გააკონტროლონ ვინ და რამდენ აირს იპარავს და ურჩხულს ყოველთვის გარეთ ნუ ეძებენ, რადგან ხშირ შემთხვევაში, ურჩხული შიგნით ჰყავთ...

სანდრო თვალჭრელიძე,
ეკონომიკური ექსპერტი:

— ჩვენი ხელისუფლების შეცდომები შიშით არის განპირობებული. სამწუხაროდ, ჩვენ გვეშინია „გაზპრომის“, რომელსაც მსოფლიო გაზის 23% უპყრია ხელთ. მაგრამ ამ უდიდეს კომპანიას სტრატეგიული პარტნიორობაც შეუძლია — მაგალითად, ისე, როგორც ამას სომხეთთან ახერხებს, ჩვენც უნდა გამოგვეყენებინა ეს შესაძლებლობა და მაშინ ალბათ მივიღებდით გაზს უფრო შეღავათიან ფასად. ერთიც უნდა ითქვას — რომ „გაზპრომმა“ მართვაში მიიღო თურქმენული გაზი, ხოლო იმის გამო, რომ თურქმენბაშის ეკონომიკური პრობლემები აქვს, გაზის ტარიფი აწია. „გაზპრომი“ თვითონ ყიდულობს გაზს 60 დოლარად თურქმენეთის საზღვარზე, ამიტომ გაუგებარია, რატომ მისცემდა საქართველოს იმავე ფასად, მით უმეტეს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გარდა, არაფერი აკავშირებს ჩვენს ქვეყანასთან.

— შეუძლია თუ არა საქართველოს, გაზის რეალური, ალტერნატიული წყარო მოძებნოს?

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რომელთა გადაჭრასაც ქართველი ენერგეტიკოსები შეჩვეული არ არიან. ჩვენ შეგვიძლია, მივიღოთ ირანის გაზი, მაგრამ მაშინ უნდა აღდგეს გაზსადენი ლენქორანიდან ყაზახეთამდე, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში მოქმედებდა. სხვათა შორის, თავის დროზე, მე ვიშოვე ინვესტორი და პრივატიზაციის ხარჯზე ხელისუფლებას ამ გაზსადენის აღდგენა შევთავაზე, მაგრამ შევარდნაძემ უარი თქვა მის პრივატიზებაზე. როდესაც საუბარია ყაზახური გაზის მიწოდებაზე, ჩნდება კითხვა: ვინ უნდა მოგვაწოდოს იგი, თუ არა ისევ „გაზპრომმა“? კასპიის ზღვის ფსკერზე გაზსადენი ხომ არ არსებობს! ამიტომ ტრანსპორტირების ერთადერთი საშუალება, „გაზპრომის“ მილია. გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ყაზახეთში გაზი ცოტაა, ხოლო აღმოაჩენენ თუ არა მას თენგიზის საბადოს მახლობლად, ჯერ კიდევ არავინ იცის!

— როგორც ეკონომიკური ექსპერტი, რას გვეტყვით გაზის გაძვირების გამო, სამომხმარებლო ფასების შესაძლო ზრდის შესახებ?

— მოდი, პატარა გამოანგარიშება ჩავატაროთ: დღეს თქვენ ერთ კუბურ მეტრ აირში 27 თეთრის გადახდა გიწევთ. ეს არის 270 ლარი 1000 კუბურ მეტრზე — ანუ 170 აშშ დოლარი. გამოდის, რომ საქართველო „გაზპრომისგან“ გაზს ყიდულობდა 60 დოლარად, მაგრამ ყიდდა 160 დოლარად, თან ამბობდა — გაკოტრებულები ვართო. ამიტომ თუ სახელმწიფო აწარმოებს გაზის რეალურ „ადმინისტრირებას“, შეძლებს, რომ არ გაუძვიროს გაზი მოსახლეობას. სხვათა შორის, ეს მოვლენა შესაძლოა, ჩვენი ხელისუფლებისთვის ლაკმუსის ქაღალდადაც იქცეს: რამდენადაც გაუძვირებს ის გაზს მოსახლეობას, იმდენად ცუდი მთავრობა იქნება ხალხის თვალში...

— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ დაცული იყოს მისი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება?

— პროფესიონალი უნდა დაინიშნოს ენერგეტიკის მინისტრად.

ბიჯო ლეკიშვილი, *პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— საქართველოში გაზის მომხმარებელია მთელი კომუნალური სფერო და კერძო სექტორი. გაზს მოიხმარს, როგორც რესტორანი, პურის ქარხანა, ასევე ელექტროსადგური. ამიტომ გაზის ტარიფის ზრდა, გამოიწვევს, როგორც ელექტროენერგიის, ასევე პურისა და სხვა, პირველადი მოხმარების საგნების გაძვირებას. გარდა ამისა, გაიზრდება ჩვენს ქვეყანაში წარმოებული საექსპორტო პროდუქციის წარმოების ხარჯები, რაც მის ფასზეც აისახება და ვფიქრობ, რომ მთლიანად შეამცირებს ამ საწარმოთა საექსპორტო პოტენციალს. ამიტომ, თუ არ გამოვძებნეთ გაზის ალტერნატიული წყარო, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. გარდა ამისა, უნდა ვიფიქროთ საქართველოში გაზის მარაგის საცავების შექმნაზე. შესაძლოა, ეს ცოტა შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტის მომტანი პოლიტიკა როდემდე უნდა ვაწარმოოთ?!. ასეთი საცავები აქვს ჩვენს მეზობელ სომხეთს, რაც საშუალებას აძლევს, მნიშვნელოვანწილად დაარეგულიროს ბუნებრივ აირთან დაკავშირებული პრობლემები. ამის მაგვარად, საუბარია იმაზე, რომ საპასუხოდ, საქართველო რუსეთს, სომხეთში ბუნებრივი აირის ტარიფს გაუძვირებს. მსგავსი განცხადება სასაცილოდ მეჩვენება, ვინაიდან ჩვენ ამით რუსეთს კი არ ვუქმნით პრობლემას, არამედ — სომხეთს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ არსებული ვითარება და მსგავსი სახის განცხადებები ენეგეტიკის მინისტრს შესაძლოა, თანამდებობის დაკარგვად დაუჯდეს?

— კატეგორიული ტონით საუბარი არ მსურს, მაგრამ საერთოდ, ურემი რომ გადაბრუნდება ხოლმე, მერე იწყებენ დამნაშავეების ძიებას. არ მინდა, ვიღაცის პროფესიონალიზმში შევიტანო ეჭვი, მაგრამ უნდა არსებობდეს, კომპეტენტური ადამიანი, რომელიც განსაზღვრავს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რა სჯობს — 100 მილიონის ხარჯვა გაზის ტურბინის ასაშენებლად, თუ ამ თანხით 100-მეგავატიანი ელექტროსადგურის დადგმა. სტრატეგიული აზროვნება ამ სფეროში აუცილებელი პირობაც კია. კი, ბატონო, სახელმწიფო ზამთრის განმავლობაში დაფარავს წარმოქმნილ ფასთა სხვაობას და მოსახლეობა გაზის გაზრდილ ტარიფის არ გადაიხდის, მაგრამ ეს უდიდესი დარტყმა იქნება ფასებზე. სამომხმარებლო ფასები სავარაუდოდ, 15-20%-ით გაიზრდება.

— „გაზპრომი“ გაზს უკრაინა

საც უძვირებს, თუმცა ისინი, ჩვენგან განსხვავებით, ფლობენ ეკონომიკურ ბერკეტებს, რომლებსაც სავარაუდოდ, „გაზპრომის“ გადაწყვეტილებას დაუპირისპირებენ...

— გაზსადენი, რომლითაც რუსეთი ევროპას აწვდის აირს, უკრაინაზე გადის, ჩვენგან კი „გაზპრომის“ გაზი, მხოლოდ სომხეთს მიეწოდება. შესაბამისად, უკრაინა გაცილებით ეფექტურ ბერკეტებს ფლობს, ვიდრე ჩვენ. უდიდეს შეცდომად მიმაჩნია, 1996 წელს დაწყებული პროექტის შეწყვეტა, რომელიც საქართველოზე გავლით, რუსული გაზის თურქეთისთვის მისაწოდებლად ხორციელდებოდა. აი, მაშინ კი, მართლაც გვექნებოდა მძლავრი ეკონომიკური ბერკეტები. ამ ბოლო დროს, რუსეთი ბევრ სექტორში მწვავე სატარიფო პოლიტიკას აწარმოებს. გარდა გაზისა, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ნავთობის მსოფლიო ფასებზე. „გაზპრომი“ ფაქტობრივად, სახელმწიფოს დაემსგავსა, რადგან დაიქვემდებარა უზბეკეთის, თურქმენეთისა და ყაზახეთის მთელი გაზის რესურსები, რომ აღარაფერი ვთქვათ, მის დაქვემდებარებაში მყოფი ისეთი ნავთობკომპანიების შესახებ, როგორებიცაა „სიბნეფტი“ და „იუკოსი“. სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ მომავალში შესაძლოა, „გაზპრომის“ პრეზიდენტად ვლადიმირ პუტინი მოგვევლინოს. გაზისა და ნავთობის ამხელა რესურსები, სერიოზული ბერკეტი იქნება მის ხელში, ამიტომ „გაზპრომთან“ ურთიერთობა, სერიოზული საკითხია და ზერელე დამოკიდებულება ასეთი მნიშვნელოვანი თემისადმი, დაუშვებელია. როდესაც გაიძახოდნენ — წავალთ და ყაზახურ გაზს შემოვიტანთო, — ალბათ, სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ „გაზპრომში“: ყველამ იცის, რომ ნაზარბაევი ამ საკითხს რუსეთის გარეშე ვერ გადაწყვეტს... ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, მაგრამ — არა მაგისტრალური გაზსადენის ჩუქების ხარჯზე.

P.S. მიუხედავად უამრავი უარყოფითი შეფასებისა და პროგნოზისა, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური შესაშური ოპტიმისტური განწყობით გამოირჩევა, მან სულ ცოტა ხნის წინ, გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ (№46, 14-20 ნოემბერი) მიცემულ ინტერვიუში, კითხვაზე: „თქვენც ყვანიას კადრი ბრძანდებით და რამე ცუდს ხომ არ გიგრძნობთ გული?..“ უპასუხა: „არც საფრთხეს ვგრძნობ, არც ცუდს მიგრძნობს გული“ — და იქვე დასძინა: „საქმეს, რომელზეც პასუხისმგებლობა მაქვს აღებული, ბოლომდე რომ მივიყვან ანუ ენერგეტიკას რომ ფეხზე დავაყენებ, მერე ვისურვებდი, აფხაზეთში მდებარე ბუნგალოში ან ბარში ბარმენად მუშაობას... ძალიან მინდა, კოქტეილების შეზავება ვისწავლო...“ მართლაც, შესაძლოა, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს და შეშფოთების საფუძველი არ არსებობს — მით უმეტეს, რომ ბოლო დროს, ელექტროენერგიის მიწოდება რეგიონებში ნამდვილად გამოსწორდა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ■

„ერთადერთი შვილი მოგვიკლეს, დანაშაულის კი ხელს აფარებენ“

27 წლის ახალგაზრდის სიცოცხლე, სიყვარულს შეეწირა



მოკლული ლევან მაისურაძე

თბილისელი, 27 წლის ლევან მაისურაძე ახალგაზრდებთან საქმის გარჩევას ემსხვერპლა. 2003 წლის 30 მარტს, ცეცხლსასროლი იარაღიდან მისი მიმართულებით ჯერ ერთი, შემდეგ კი, ზედიზედ სამი ტყვია ისროლეს. დაჭრილი, საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მას ვეღარ უშველეს. ლევან მაისურაძე სასიკვდილოდ განწირული აღმოჩნდა... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, ოთხი ტყვიიდან ორი მას გულმკერდის არეში მოხვდა: ერთი — პირდაპირ გულში, მეორემ კი, ნეკნი დაუზიანა. დაზიანებები სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხს მიეკუთვნებოდა.

მეგი ცანავა

აღნიშნული მკვლელობის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლომ მიმდინარე წლის 17 ნოემბერს დაასრულა. განსასჯელის სკამზე, 1973 წელს დაბადებული იმედა ბენდიანიშვილი იჯდა. მას ლევან მაისურაძის განზრახ მკვლელობაში ედებოდა ბრალი, რაც სასამართლომ დაადასტურა და განსასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის ზომად, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენის თანახმად, მკვლელობა მან შურისძიების მოტივით ჩაიდინა და შემთხვევის დროს, დანაშაულის ერთადერთი ინიციატორი და შემსრულებელიც თავად გახლდათ. როგორც განაჩენშია აღნიშნული, განზრახვა მან სხვებთან შეუთანხმებლად, ყველასათვის მოულოდნელად მოიყვანა სისრულეში. მაგრამ ამ ვერსიას არ იზიარებს დაზარალებული მხარე. მოკლულის დედა — ნუნუ გვიმრაძე აცხადებს, რომ ამ დანაშაულში, ბენდიანიშვილის გარდა, არაერთი ადამიანის ხელი ურევია, ხოლო მსჯავრდებულს მისი შვილის მკვლელობა სხვამ დაავალა. მოკლულის დედის თქმით, მას სიყვარულის გამო მოუკლეს შვილი.

„მომხდარი უკავშირდება გოგონას, რომელიც ლევანს უყვარდა. სწორედ მასთან და მის ოჯახთან უთანხმოებას ემსხვერპლა ჩემი შვილის სიცოცხლე. მისი მხარდამჭერები უბანში ე.წ. ავტორიტეტებად ცნობილი პირები აღმოჩნდნენ. ლევანს საქმის გარჩევა მოუწყვეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მკვლელი წააქეზეს“, — აცხადებს დაზარალებული. ლევან მაისურაძე მისი ერთადერთი შვილი გახლდათ. ის ადამიანები კი, რომელთაც დაზარალებული დანაშაულის წაქეზებაში სდებს ბრალს, კატეგორიულად უარყოფენ ამას. *„გამწარებული დედაა და ყველას ეჭვის თვალით უყურებს. უდიდესი სულიერი ტრავმა გადაიტანა და მისი მდგომარეობა გასაგებია, მაგრამ არც მე და არც ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ამ დანაშაულთან არანაირი კავშირი არ აქვს,“* — აცხადებს **რ. ხიზანიშვილი**, რომელიც აწ გარდაცვლილს უყვარდა. ამის შესახებ ნათქვამია საქმის მასალებშიც. რ. ხიზანიშვილი ამ საქმეზე პროკურატურამ მოწმის სახით ოფიციალურად დაჰკითხა.

ნუნუ გვიმრაძე, დაზარალებული:

„ეს გოგონა ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. ჩემს შვილს უყვარდა და როგორც ვიცი, არც ის იყო მასთან ურთიერთობის წინააღმდეგი. ერთმანეთთან კარგა ხნის მანძილზე ჰქონდათ ურთიერთობა. ხვდებოდნენ, ტელეფონზე საათობით, გვიანობამდე საუბრობდნენ. ლევანი რ. ხიზანიშვილის ოჯახისგანაც, განსაკუთრებით დედამისისგან გრძნობდა თანადგომას. მას საკმაოდ თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს შვილთან. ერთხელ, ლევანისთვის ისიც უთქვამს, დაქორწინება ჩემს უკითხავად არ გადაწყვიტოთ,

საქმის კურსში ჩამაყენე, თუ რამეს დააპირებო. მაგრამ რატომღაც, თავად გოგონა ვერა და ვერ წყვეტდა, ჩემს შვილს ცოლად გაჰყოლოდა. ლევანმა იფიქრა, უჭირს ამ ნაბიჯის გადადგმაო და გადაწყვიტა, თავად გამოეჩინა აქტიურობა. ამ გადაწყვეტილებას არც მიიღებდა, თავად გოგონას ოჯახისგან რომ არ ეგრძნო მისდამი კეთილგანწყობა. სწორედ ამით შეგულიანებულმა, 2004 წლის 14 აპრილს, მეგობრების დახმარებით, რ. ხიზანიშვილი წაიყვანა. თუმცა, ამ ფაქტს სრულიად მოულოდნელი რეაქცია მოჰყვა. თავად გოგონასა და მისი ახლობლების თხოვნით, ლევანმა რამდენიმე საათში, სახლში დააბრუნა იგი. 2004 წლის 29 აპრილს, იმ გოგომ ჯვარი სულ სხვა პიროვნებაზე დაიწერა. ამ ამბავმა ჩემი შვილი ძალიან დათრგუნა, რადგან არ მოელოდა მისგან ასეთ საქციელს. აღმოჩნდა, რომ ის, ლევანთან ურთიერთობის პარალელურად, სხვა ბიჭს ხვდებოდა. ცოლადაც სწორედ მას გაჰყვა. იმავე ღამეს, დაახლოებით პირველის 15 წუთზე, ლევანი სახლიდან პირად საქმეზე გავიდა. რამდენიმე წუთში, ეზოდან ხმა შემომესმა, ლევანი ყვიროდა — ვის ამოუღე იარაღიო?! მაშინვე გავედი გარეთ და დავინახე, რომ ლევანი და მალხაზ ქოჩიაშვილი ჩხუბობდნენ. იქვე იყო იმედა ბენდიანიშვილიც. მოვიდნენ მეზობლებიც. იმედამ იკითხა — სად არის იარაღიო? მეზობლებმა მოჩხუბრები შეარიგეს და დაიშალნენ. ლევანი სახლში წავიყვანე. როცა ვკითხე — რა მოხდა-მეთქი? მიპასუხა — მალხაზი შემხვდა შემთხვევით ქუჩაში, შევეკითხე, თუ სად იყო და მითხრა — სად ვიყავი და რ. ხიზანიშვილის ჯვრისწერაზეო. ამას ძალიან გაუღიზიანებია ლევანი და შელაპარაკებაც ამას მოჰყოლია. მეორე დღეს, პოლიციისგან შევიტყვე, რომ ლევანი დაუჭრიათ და საავადმყოფოში წაუყვანიათ. მოგვიანებით მითხრეს, რომ ჩემი შვილი გარდაიცვალა. მეორე დღეს მითხრეს — ლევანისთვის ბენდიანიშვილს უსვრიაო. ბენდიანიშვილი ჩემს შვილს კარგად იცნობდა. ლევანი ხშირად ახსენებდა მას და სწორედ მისგან ვიცი, რომ საკმაოდ ახლო და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ვერ წარმომიდგენია, სასიკვდილოდ როგორ გაიმეტა“.

დაზარალებულ მხარეს პრეტენზიები სასამართლოს მიმართაც აქვს. *„დავაყენეთ შუამდგომლობა, რ. ხიზანიშვილისა და დედამისის დაკითხვის მოთხოვნით, მაგრამ სასამართლომ არ დაგვიკმაყოფილა. მე ვაცხადებდი, რომ რ. ხიზანიშვილის მოტაცებით გაღიზიანებულმა მისმა დამ და დეიდამ ტელეფონზე დამირეკეს და მუქარის ტონით მელაპარაკნენ. დამემუქრნენ — იცოდე, შენს შვილს არ გავახარებთ, მოვაკვლევინებთო. მე კავშირგაბმულობაში ვმუშაობ, მაშინაც სამსახურში გახლდით და ეს სატელეფონო საუბარი პარალელური ხაზით ჩემმა თანამშრომელმა — ელზა კაცაძემაც მოისმინა. ცოტა ხანში, შვილი მართლაც მომიკლეს, თანაც ეს ამბავი სწორედ მისი ოჯახის ახლობელთან — ქოჩიაშვილთან შელაპარაკებას მოჰყვა. მართალია, დადგინდა, რომ ლევანს იმედა ბენდიანიშვილმა ესროლა, მაგრამ ჩემს შვილს მასთან არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია. შემთხვევის ადგილზე ქოჩიაშვილიც ფიქსირდება და ცხადია, რომ მკვლელობა მისი დავალებით მოხდა. ასევე საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება, რომ ქოჩიაშვილი იმ გოგომ და მისი ოჯახის წევრებმა წააქეზეს. სამწუხაროდ, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გამოძიება ამ კუთხით არ წასულიყო. სასამართლოში ამიტომაც ვითხოვდი მათ დაკითხვას, ისევე, როგორც ჩემი თანამშრომლის დაკითხვას, რათა მუქარის ფაქტი დაედასტურებინა“,* — აცხადებს დაზარალებული.

რ. ხიზანიშვილი და მისი ოჯახის წევრები კატეგორიულად უარყოფენ, როგორც მუქარის ფაქტს, ასევე მომხდარ დანაშაულთან რაიმე კავშირს. რ. ხიზანიშვილის თქმით, მას არასდროს ჰქონია სასიყვარულო ურთიერთობა აწ გარდაცვლილთან და მასთან მხოლოდ მეზობლობა და მეგობრობა აკავშირებდა.

რ. ხიზანიშვილის ჩვენებიდან (წინასწარი გამოძიებისას, მოწმის სახით დაკითხვის დროს):

„ძალიან დიდი ხანია, ვიცნობ ლევან მაისურაძეს, ბავშვობიდან მოყოლებული, რადგან ის ჩემს უბანში, მეზობლად ცხოვრობდა. შემთხვევამდე დაახლოებით 6 თვის წინ, ლევანმა მითხრა, რომ ჩემ მიმართ განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა და სიყვარულში გამომიტყდა. მე მასთან ერთად ქალაქში პაემანზე არ დავდიოდი. უბრალოდ, გარეთ როცა გავდიოდი, მაშინ თუ შემხვდებოდა და დამელაპარაკებოდა. მის მიმართ მხოლოდ მეგობრული გრძნობა მქონდა. ურთიერთობაც შესაბამისი გვქონდა. 2004 წლის 14 აპრილს, ეზოში გავედი, ამ დროს მომიტაცეს ლევანმა და მისმა მეგობრებმა. უფრო სწორად, ლევანმა, რადგან დანარჩენებს ეგონათ, თითქოს მეც მიყვარდა ის. იმავე საღამოს დამაბრუნეს სახლში. აქედან გამომდინარე, მისთვის არ მიჩივლია. 2004 წლის 29 აპრილს, ჩემი ნებით, სიყვარულით გავყევი მ. კაკაურიძეს. მეორე დღეს კი, ლევანის სიკვდილის შესახებ შევიტყვე. მოგახსენებთ, რომ კარგად ვიცნობ მალხაზ ქოჩიაშვილსაც. მაგრამ მასთან ჩემი და ლევანის ურთიერთობის შესახებ არასდროს მისაუბრია. რაც შეეხება იმედა ბენდიანიშვილს, მას საერთოდ არ ვიცნობდი. 2004 წლის პირველ მაისს, ჩემს მეუღლესთან ერთად ბორჯომში გახლდით, როცა დედაჩემმა პოლიციიდან დამირეკა და მითხრა ლევანის სიკვდილის შესახებ. ამის შემდეგ, მომთხოვეს, სასწრაფოდ ჩამოვსულიყავი თბილისში. ქოჩიაშვილსა და მაისურაძეს შორის ჩხუბის შესახებ არაფერი ვიცოდი, არც არაფერი გამიგია, რადგან იმ ღამეს მქონდა ჯვრისწერა. მალხაზ ქოჩიაშვილისთვის არასდროს მითხოვია, რომ ლევანს ჩემთვის თავი დაენებებინა. საქმრო რომ მყავდა, ლევანმა მაშინ გაიგო, როცა მომიტაცა. სწორედ იმ დღეს დამირეკა ჩემმა ამჟამინდელმა მეუღლემ და ლევანს ვუთხარი, ჩემი შეყვარებულია-მეთქი. მაშინ ლევანმა ეს არ დაიჯერა. მასა და ჩემს მეუღლეს არასდროს, არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ქმარმა ლევანის არსებობის შესახებ მოტაცების დღეს შეიტყო. იმ დღის შემდეგ, მე ლევანთან არც ტელეფონით მისაუბრია და არც შევხვედრივარ მას“.

თუმცა, დაზარალებულის თქმით, მოტაცების ფაქტის შემდეგ, ლევან მაისურაძეს, რ. ხიზანიშვილის ახლობლები რამდენჯერმე შეხვდნენ. *„ერთხელ, თავად იმ გოგოსაც შეხვედრია. ეს ჩემი შვილისგან ვიცი. მაშინ ლევანს მისთვის უთქვამს — უბრალოდ, მოგესალმები და თუ ესეც არ გინდა, არც გამარჯობას გეტყვიო. ანუ აუხსნა, რომ მასთან ურთიერთობის გაგრძელებას და მით უმეტეს, მოტაცებას არ აპირებდა“,* — აღნიშნავს მოკლულის დედა.

რ. ხიზანიშვილი კატეგორიულად უარყოფს მისი ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან მუქარის ფაქტსაც: *„არავის დავმუქრებივართ. ამ საქმესთან საერთოდ, შეხება არ გვაქვს. მკვლელობა ჩემ გამო არ მომხდარა. მთელმა უბანმა იცის, რომ ბიჭებმა ერთმანეთთან ვერ გაარკვიეს რაღაც და სროლაც ამას მოჰყვა. ჩხუბის კონკრეტული მიზეზი არ ვიცი. დანაშაულის ჩადენის მომენტში, ჩემს მეუღლესთან ერთად ბორჯომში გახლდით“.*

დაზარალებული მხარის განცხადებით, საქმის გამოძიება არაობიექტურად და არასრულყოფილად ჩატარდა. *„პოლიციამ მკვლელი დაიკავა, მაგრამ გამოძიებამ დანარჩენ პირებს, რომელთაც ამ დანაშაულთან პირდაპირი კავშირი აქვთ, ხელი დააფარა და პასუხისმგებლობა ააცილა. არაფერია ნათქვამი საქმის მასალებში იმის შესახებ, რომ ჩემი შვილი ჯერ სცემეს და შემდეგ, მოკლეს. მის ცემაში, ცხადია, შემთხვევის ადგილზე მყოფი პირები მონაწილეობდნენ, თუმცა ამისთვის პასუხი არავის უგია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ლევანს სხეულზე, კერძოდ — თავის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული, მსუბუქი ხარისხის დაზიანება აღმოაჩნდა. ამაზე გამოძიებას ყურადღება საერთოდ არ გაუმახვილებია“.*

რაც შეეხება მსჯავრდებულს, იმედა ბენდიანიშვილს, სასამართლო პროცესზე მან წარდგენილი ბრალდება

უარყო. ოფიციალური ცნობების თანახმად, ის დაბადებულია ონის რაიონში, მიღებული აქვს საშუალო განათლება და წარსულში ნასამართლევი გახლდათ. გასამართლებული იყო რუსეთის ფედერაციაში 1998 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლით და სასჯელის ზომად, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. იმედა ბენდიანიშვილი სწორედ მის წარსულს უკავშირებს იმ ფაქტს, რომ ამჟამად, სასამართლოს წინაშე განზრახ მკვლელობის ბრალდებით წარდგა. თავს დამნაშავედ არ ცნობს და როგორც ადრე ნასამართლევ განსასჯელთა უმრავლესობა, **ბენდიანიშვილიც** აცხადებს: *„იმის გამო, რომ ნასამართლევი ვიყავი, პოლიციისთვის შესაფერისი კანდიდატურა აღმოვჩნდი და საქმის გახსნის მიზნით, დანაშაულში, რომელიც მე არ ჩამიდენია, ბრალი დამდეს“.*

ბრალდების თანახმად, დანაშაული 2004 წლის 30 აპრილს, დაახლოებით 19 საათისთვის მოხდა. თბილისში, უიარაღოს ქუჩის მეორე შესახვევის №18-ში იმედა ბენდიანიშვილმა შელაპარაკების დროს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, სასიკვდილოდ დაჭრა ლევან მაისურაძე. მან შემთხვევის ადგილიდან მიმალვა შეძლო. მოგვიანებით დაკავებულმა ბენდიანიშვილმა სამართალდამცველებს ჩვენება არ მისცა და დუმილის უფლება გამოიყენა. სასამართლო სხდომაზე კი, ასე წარმოადგინა საქმის ვითარება:

„2004 წლის 29 აპრილს, უბნელმა — მალხაზ ქოჩიაშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ლევან მაისურაძესთან ჰქონდა დავა. ავედი უბანში და იქ დამხვდნენ: მაისურაძე, შალვა ბეგაშვილი და მალხაზ ქოჩიაშვილი. ლევანი და მალხაზი ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, იქვე ხალხი იყო შეკრებილი. მოჩხუბრები შევარიგე და მალხაზი თვითონ წავიყვანე სახლში. ამის შემდეგ, მე შინ წავედი. მეორე დღეს ისევ დამირეკეს და მითხრეს, ამოდი უბანშიო. ჯერ ქოჩიაშვილთან ავედი, მაგრამ ის სახლში არ დამხვდა. გადავწყვიტე, დავლოდებოდი. როცა მოვიდა, მითხრა — გუშინ მე და ლევანი ნასვამები ვიყავით და დღეს უნდა დავილაპარაკოთო. ამასობაში ლევანიც მოვიდა. ორივეს მივმართე: გუშინ ხომ შერიგდით და რაღა გაქვთ სათქმელი-მეთქი? ამ დროს მოვიდა შალვა ბეგაშვილიც. მალხაზმა თქვა — რაღაც მაქვს გასარკვევიო, — და ლევანს მიუბრუნდა; ჩემი თანდასწრებით არ უნდა შეგეგინებინა იმ გოგოსთვისო, — და დაიწყეს ერთმანეთში დავა. კიდევ ერთხელ მოვუწოდე ორივეს, დაწყნარებულიყვნენ, მაგრამ არ მიჯერებდნენ. მაშინ ვთქვი — რახან ჩემი არ გჯერათ, მე გვერდზე გავდივარ-მეთქი, — და იქიდან წავედი. დაახლოებით 500-600 მეტრის გავლის შემდეგ, გასროლის ხმა გავიგონე. უკან არ მივბრუნებულვარ, გავაჩერე ტაქსი და სახლში წავედი. დავინახე, რომ იქ მყოფი ბიჭები ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ. ამის შემდეგ, ახლობლებისგან შევიტყვე, რომ ლევან მაისურაძე მოუკლავთ. ახლობელმა ისიც მთხოვა — ზემოთ არ ახვიდე, პოლიციაა მოსული და რადგანაც ნასამართლევი ხარ, ეჭვი შენზე არ აიღონო. 5 დღის განმავლობაში სახლიდან არ გავსულვარ. მაგრამ როცა შევიტყვე, რომ ქოჩიაშვილმა და ბეგაშვილმა გამომძიებელს ჩემი საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს, იქაურობა დავტოვე და მივიმალე. ლევან მაისურაძეს ვინ ესროლა, არ ვიცი, არ დამინახავს და არც შემდეგ გამიგია რაიმე მკვლელის შესახებ. იარაღი არ მქონია და არც მკვლელობა ჩამიდენია“.

სასამართლომ განსასჯელის ჩვენება არ გაიზიარა და ჩათვალა, რომ მან ყველაფერი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოიგონა. სასამართლომ, დამატებითი მოწმის სახით, შალვა ბეგაშვილის დაც დაჰკითხა. მისი თქმით, მასთან სახლში მივიდა ბენდიანიშვილის ცოლი და უთხრა — ჩემს ქმარს შენთან დალაპარაკება უნდა ტელეფონითო. მან იმედას დაურეკა. *„სატელეფონო საუბრის დროს, იმედამ მითხრა — შენი ძმის ჩვენებით, 15 წელზე მეტზე მივდივარ, გამოვალ ციხიდან და სადაც ერთი მოვკალი, იქაც მეორეო... იმედას მეუღლეს ვკითხე — რა გინდათ ჩემი ძმისგან-მეთქი? მიპასუხა — შალვამ თქვას, რომ არაფერი იცის და შემდეგ, გამოძიებამ იტეხოს თავიო“.*

შალვა ბეგაშვილი, ძირითადი მოწმე:

„30 აპრილს ლევანმა დამირეკა და მთხოვა, უიარაღოს ქუჩაზე გავსულიყავი. იქ დამხვდნენ: მალხაზ ქოჩიაშვილი, ლევან მაისურაძე, ჩემი ნათესავი — იმედა ბენდიანიშვილი და ჩემთვის უცნობი ორი ახალგაზრდა პირი. ლევანმა და მალხაზმა საუბარი დაიწყეს, რაც მალე ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბში ჩაერია იმედაც. იმედას და ლევანის საუბრის დროს, იმედამ სახეში გაარტყა სილა ლევანს, მაშინ მივედი და ჩავდექი მათ შორის... შევძელი ლევანის სახლის კართან მიყვანა. კარი ცალი ხელით გავაღე, მეორე ხელით ლევანი შევაგდე სახლში და სწორედ ამ მომენტში გაისმა გასროლის ხმაც. ლევანი კარს მიეყუდა და ჩაიკეცა. ამას კიდევ რამდენიმე გასროლა მოჰყვა. მეორე გასროლის დროს, ჩემს მხარზე დავინახე იარაღიანი ხელი. იმწამსვე მივტრიალდი უკან და დავინახე, რომ შავი ცეცხლსასროლი იარაღი იმედას ეჭირა ხელში. დავიყვირე — ლევანი მოკალითმეთქი! — და ისინი იქიდან გაიქცნენ“.

ეს ჩვენება ბეგაშვილმა, როგორც განაჩენშია აღნიშნული, სასამართლო სხდომაზე დაადასტურა. თუმცა, საინტერესოა, რომ სამართალდამცველებისთვის მიცემულ პირველ ჩვენებაში ის ბენდიანიშვილს კი არა, ქოჩიაშვილს ადებს ხელს. ჩვენებაში ბეგაშვილი აღნიშნავს, რომ ლევან მაისურაძეს სწორედ მალხაზ ქოჩიაშვილმა ესროლა. სასამართლო სხდომაზე ეს სიტყვები ბეგაშვილმა უარყო და ეს ჩვენება იმით ახსნა, რომ პოლიციაში ეუბნებოდნენ — ქოჩიაშვილმა ესროლა და შენც ასე დაწერეო. შემდეგ გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა. *„დავინახე, რომ ჩემს ბეჭზე ბენდიანიშვილს იარაღიანი ხელი ედო და ლევანის მიმართულებით ისროდა“,* — დააზუსტა მან სხდომაზე.

სამართალდამცველებმა მალხაზ ქოჩიაშვილი ეჭვმიტანილის სახით დაჰკითხეს. მან დანაშაულის ჩადენა კატეგორიულად უარყო და აღნიშნა, რომ ის, რაც შემთხვევის დღეს მოხდა, მისთვის გაუგებარი და ძალზე ბუნდოვანია.

ქოჩიაშვილის ჩვენებიდან (ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას):

„1999 წლიდან ვმუშაობ შპს-აფთიაქ „ნიკეს“ მუშად. ამ აფთიაქის დირექტორი არის რ. ხიზანიშვილის დედა — მ. ხიზანიშვილი. სწორედ აქედან, მათთან და ოჯახის დანარჩენ წევრებთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. ლევან მაისურაძე ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. დაახლოებით 2-3 თვის წინ გავიგე, რომ მას რ. ხიზანიშვილი უყვარდა. შემთხვევამდე ერთი თვით ადრე, ლევანმა ის მოიტაცა, მაგრამ იმის გამო, რომ გოგო უარზე იყო, იმავე დღეს დააბრუნა სახლში. შემთხვევის წინადღეს — 29 აპრილს, რ. ხიზანიშვილმა ჩემთვის უცნობ პიროვნებაზე დაიწერა ჯვარი და გათხოვდა. იმავე საღამოს, დაახლოებით 20 საათისთვის, კახიანის ქუჩაზე მცხოვრებ ხიჯავაძეების ოჯახში ვიმყოფებოდი. მათგან პირველი საათის შემდეგ წამოვედი. გზაში ლევანი შემხვდა. ორივე ნასვამები ვიყავით. ლევანი გაღიზიანებული იყო იმ გოგოს გათხოვების გამო, შეაგინა მას და მის ოჯახს. ვუთხარი — ლევან, ნუ აგინებ, ხომ იცი, ჩემი ახლობლები არიან და ჩემი თანდასწრებით მათ ნუ შეაგინებმეთქი. ამის მიუხედავად, გაცილებით უწმაწური სიტყვებით განაგრძო მათი მოხსენიება. თუ დამჭირდება, უფრო ბევრჯერ გავიმეორებო, — თქვა. იმ მომენტისთვის, მარტო ვიყავით. შეიძლება, შორიდან ვინმეს გაეგონა ჩვენი ხმაური. ლევანმა რამდენჯერმე ხელი გამარტყა სახეში, მაგრამ ამ შეურაცხყოფის მიუხედავად, მას ხელი არ შევუბრუნე, რადგან ჩემი მეგობარი იყო. ამასობაში, მეზობლებიც მოვიდნენ და სიტუაცია განიმუხტა. კამათის დროს, ლევანმა, შალვა გაბაშვილს დაურეკა, ხოლო მე — შალვას ნათესავსა და ჩემს ნაცნობს, იმედა ბენდიანიშვილს. ისინი ერთდროულად მოვიდნენ. ჩხუბის დროს გამოვიდნენ ლევანის დედა და ბებიაც. ბებიას ვუთხარი — ნარი

დეიდა, შეხედე, როგორ მაგინებს, იქნებ, შენც უთხრა რამე და გაჩერდეს-მეთქი. მიპასუხა — ლევანი მთვრალია და არ მიჯერებსო. რამდენიმე ხანში, ლევანი წაიყვანეს, მე იქაურობა უფრო ადრე დავტოვე. მეზობლებიც დაადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მე ლევანის დაწყნარებას ვცდილობდი, მიუხედავად შეურაცხყოფისა, რადგან ის ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. მე და ლევანი ერთმანეთს ისე დავშორდით, რომ მეორე დღის შეხვედრაზე საერთოდ არ გვისაუბრია... 2004 წლის 30 აპრილს დილით, სამსახურში წავედი. სახლში რომ ვბრუნდებოდი, დაახლოებით საღამოს 6 საათისთვის, უბანში იმედა ბენდიანიშვილი შემხვდა. მითხრა — გუშინ მე, ლევანმა და შალვამ უშენოდ მოვილაპარაკეთ, რომ დღეს საღამოს შევხვდებით ერთმანეთს და ფხიზლები დავილაპარაკებთ გუშინდელი ჩხუბის შესახებო. ამ რამდენიმე წუთში, ჩვენ გვერდით ავტომანქანა „მერსედესი“ გაჩერდა. მანქანაში ჩემი ნათესავი, ლაშა აბესაძე და მისი მეგობარი, გიორგი ისხდნენ. ლაშამ მითხრა — მამაშენის სანახავად ვარ მოსულიო. მამა ავადმყოფია და მისი მონახულება ამიტომაც სურდა. ვუთხარი — მოიცადე ცოტა ხანი, გუშინ კამათი მომივიდა მეგობართან, ლევან მაისურაძესთან, მეტსახელად წვრილასთან, მოვა, შევრიგდებით და მერე, ერთად წავიდეთ ჩემთან სახლში-მეთქი. ამასობაში, ლევანიც მოვიდა. მას ჩვეულებრივად შევხვდი... მითხრა — დავიწყოთ ლაპარაკიო, — რაზეც ვუპასუხე — შალვაც დავისწროთ-მეთქი. მან შალვას რამდენჯერმე დაურეკა. ერთად ვიდექით. ამ დროს წვიმა დაიწყო და იქვე, ერთ-ერთი სახლის ეზოში შევედით. საუბარი იმედამ და ლევანმა დაიწყეს. შალვაც მოვიდა. იმედა ეუბნებოდა ლევანს — მოიხადე ბოდიში და შერიგდითო. ამ დროს, გადაიღო წვიმამ. ისინი ისევ გარეთ გავიდნენ. გავყევით: მე, შალვა, ლაშა და გიორგი. ლევანის და იმედას საუბარი ჩხუბში გადაიზარდა. შალვამ უთხრა მათ — გაჩუმდით, ხალხმა არ გაიგონოსო. მაშინ იმედა, ლევანთან ერთად, №18 სახლის ეზოში შევიდა. ჩვენც შევყევით... ეზოში გაფუჭებული ავტომანქანა იდგა. ლევანი და იმედა მის წინ დადგნენ, ხოლო მე და შალვა სახლის შესასვლელ კართან ვიდექით. ასე რომ, ჩვენ შორის დაახლოებით 3-4 მეტრის მანძილი იყო. იმედამ ლევანს სახეში სილა გაარტყა. შალვა მივარდა პირველი და მათ შორის ჩადგა, შეეცადა, სიტუაცია გაენეიტრალებინა. ლევანი რომ სახლის კართან მივიდა, ამ დროს გავიგონე სროლის ხმა. ჯერ, ერთი გასროლა გაისმა, შემდეგ — ზედიზედ რამდენიმე. მივტრიალდი და იარაღი ბენდიანიშვილის ხელში დავინახე. პირველი გასროლის დროს, მას იარაღი წელის გასწვრივ ეკავა. ლევანის მიმართულებით. ამის შემდეგ მივუახლოვდი მას. ბენდიანიშვილმა იარაღიანი ხელი გადაყო ბეგაშვილის ზურგზე და დანარჩენი გასროლა ისე აწარმოა. როცა პირველი გასროლა მოხდა, შალვა გადაეფარა ლევანს, ალბათ, ამიტომაც მივიდა მასთან ასე ახლოს ბენდიანიშვილი და მის ზურგზე გადაყო იარაღიანი ხელი, სხვა შემთხვევაში, ლევანს ტყვიას ვერ მოახვედრებდა. სროლის შემდეგ, შემოტრიალდა და ჭიშკრისკენ გაიქცა. შეშინებული მივყევი. ჩავჯექით გარეთ მდგარ „მერსედესში“ (უკან — მე და ბენდიანიშვილი, ხოლო წინ — ლაშა აბესაძე და მისი მეგობარი). გზაში დავინახე, როგორ გადაგვისწრო შალვამ მანქანით. გიორგიმ იკითხა — რა მოხდაო? ბენდიანიშვილმა უპასუხა — ვესროლეო, — მაგრამ არ დაუკონკრეტებია, თუ ვის ესროლა. მე და იმედა გადასასვლელ ხიდთან ჩამოვედით, ლაშა და გიორგი წავიდნენ, საით — არ ვიცი. არც ის ვიცი, ამის შემდეგ, იმედა სად წავიდა... შემთხვევის ადგილიდან იმიტომ გავიქეცი, რომ შეშინებული ვიყავი და საკუთარ თავს ვერ ვაკონტროლებდი, მიუხედავად იმისა, რომ მე არ მისვრია ლევანისთვის“.

აღსანიშნავია, რომ პოლიციამ ქოჩიაშვილის სახლიდან ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიები ამოიღო. ეს ფაქტი სამართალდამცველებს ქოჩიაშვილმა ასე აუხსნა: *„ეს ტყვიები მამაჩემისაა. კარგად მახსოვს, მამაჩემმა როგორ მოიტანა ისინი სახლში დაახლოებით 7 წლის წინ. ამას ჩემი ოჯახის წევრებიც დაადასტურებენ. როგორც მახსოვს, მამაჩემი მაშინ ტაქსის მძღოლი იყო და თქვა — ტყვიები მანქანაში ვიღაცას დარჩაო...“*

გამომძიებლის კითხვას — რატომ უნდა ესროლა ბენდიანიშვილს მაისურაძისთვის, მაშინ, როცა ამ უკანასკნელს კონფლიქტი პირადად მასთან არ ჰქონია და კამათი უშუალოდ ქოჩიშვილთან მოუხდა? — **ქოჩიაშვილმა** ასეთი პასუხი გასცა: *„ჩემთვის დღესაც გაურკვეველია, თუ რატომ ესროლა იმედამ ლევანს, იქ ისეთი არაფერი მომხდარა“.*

საინტერესოა, რომ მომხდარის შემდეგ, საცხოვრებელი ადგილი ქოჩიაშვილმაც დატოვა, სამართალდამცველებთან არ გამოჩნდა და მიიმალა. ეს ფაქტი მან ასე ახსნა: *„შემეშინდა მომხდარის გამო, ამიტომაც წავედი სახლიდან და მივიმალე“.*

პოლიციაში გამოცხადებაზე ის, როგორც თავად ამბობს, ძმამ დაითანხმა. სხვათა შორის, ბეგაშვილი არ არის ერთადერთი, ვინც სამართალდამცველებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ქოჩიაშვილი დაასახელა. მოწმე გიორგი მინდიაშვილმაც იგივე დააფიქსირა. თავდაპირველად, მან ქოჩიაშვილს დაადო ხელი, მაგრამ მოგვიანებით, ეს უარყო და აღნიშნა, რომ ქოჩიაშვილის დასახელების შესახებ მითითება თავად პოლიციელებისგან მიიღო. თუმცა, ზემოთ აღნიშნული ჩვენებების მიუხედავად, მოგვიანებით, გამოძიებამ გეზი ბენდიანიშვილისკენ აიღო და ქოჩიაშვილი ამ საქმისგან გაათავისუფლეს. მოტივად ის დაასახელეს, რომ ქოჩიაშვილის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები არ მოგროვდა. ამას არ იზიარებს დაზარალებული. ის მალხაზ ქოჩიაშვილს, როგორც უშუალო მკვლელს, ხელს არ ადებს, მაგრამ აცხადებს, რომ მისი შვილის მკვლელობის შემკვეთი სწორედ ის გახლავთ, ბენდიანიშვილი კი, უბრალოდ შემსრულებელია.

დაზარალებული:

„ბენდიანიშვილს ჩემი შვილისთვის უთქვამს — დაიჩოქე და ბოდიში მოიხადეო. ლევანი თავმოყვარე ბიჭი იყო. ასეთ ვითარებაში, თუნდაც იარაღის მუქარის ქვეშ, ის არ დაიჩოქებდა და ბოდიშს არ მოიხდიდა. ეს საკმარისი გახდა იმისთვის, რომ იგი სასიკდილოდ გაეწირათ...“

ის, რომ შემთხვევის დროს, ხელში შავი ცეცხლსასროლი იარაღი ბენდიანიშვილს ეჭირა, მოწმე ლაშა აბესაძემაც დაადასტურა. სასამართლო-ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მაისურაძის სხეულიდან ამოღებული ორი ტყვია, 7,62 მმ კალიბრის, „ნაგანის“ სისტემის რევოლვერისთვის განკუთვნილი ვაზნების შემადგენელი ნაწილია და გასროლილია „ნაგანის“ ლულიდან.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის იარაღი სამართალდამცველებს არ ამოუღიათ. საქალაქო სასამართლომ იმედა ბენდიანიშვილი ორი — 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება) მუხლით ცნო დამნაშავედ. სასჯელის შეფარდების დროს, სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ის, რომ ბენდიანიშვილს აქვს ოჯახი და ჰყავს მცირეწლოვანი შვილი. მსჯავრდებული განაჩენს სააპელაციო წესით ასაჩივრებს, იმ მოტივით, რომ აღნიშნული დანაშაული მას არ ჩაუდენია. რაც შეეხება დაზარალებულს, საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატას ის განაჩენის ძალაში დატოვებას სთხოვს. *„დაუშვებელია, რომ პალატამ განაჩენი გააუქმოს ან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის ვადა შეუმციროს, მაშინ, როცა ის სასჯელის მაქსიმუმს იმსახურებს. რაც შეეხება დანაშაულის თანამონაწილეებს, ამ მხრივ ჩემს განცხადებებს ყურადღება არავინ მიაქცია, რადგან ფაქტია, რომ საქმეში ბევრი ფულია ჩაყრილი. მაგრამ ადვოკატის დახმარებით ამ საკითხს შესაბამის სამართალდამცავ სტრუქტურებში კვლავ დავაყენებ“*, — აცხადებს მოკლულის დედა.

■

პარლამენტარმა გია თორთლაძემ უმრავლესობის დატოვების შემდეგ, ახალ ოპოზიციურ ფრაქციას მიაშურა. „ჩვენ ბევრ რამეს ვპირდებოდით მოსახლეობას, მაგრამ არც ერთი პირობა არ შეგვისრულებია... რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიას, ის იმისთვის კი არ არსებობს, რომ რაღაცას დაგვპირდეს, არამედ იმისთვის, რომ ოპონირება გაუწიოს ხელისუფლებას“, — განაცხადა მან. როგორ ოპონირებას უწევენ დღევანდელი ოპოზიციონერები უმრავლესობას და საერთოდ, სჯერა თუ არა მოსახლეობას რომელიმე პარტიის?.. ბატონი გია გვპირდება, რომ ის და მისი თანაგუნდელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ ხალხმა მათი ირწმუნოს...

„fraqciis sxdomas vtovebdi, kars mivijaxunebdi, vCxubobdi da es sakmaod xSirad xdeboda..."

ლიკა ქაჯაია

— პროფესიით არქეოლოგი ვარ და არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ვმუშაობ. რაც შეეხება ალპინიზმს, დღესაც ვაგრძელებ ამ სფეროში მოღვაწეობას. მაგალითად, მომავალი წლის იანვარში, შვეიცარიაში მივდივარ ძალზე რთული კედლის დასაპყრობად.

— რამდენი წელია, რაც მთამსვლელობით ხართ დაკავებული და ყველაზე დიდი წარმატება რომელი მწვერვალის დაპყრობამ მოგიტანათ?

— უკვე 29 წელია. რაც შეეხება წარმატებას, ვერც ერთ ასვლას ვერ გამოვყოფ, რადგან თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემთვის ის ასვლები უფრო ფასობს, რომელშიც ბევრი შრომა მაქვს ჩადებული.

— ყველაზე ძნელად მისაღწევ მწვერვალს ვერ დაგვისახელებთ?

— თუ მაინცდამაინც უნდა გამოვყო, მაშინ ევერესტს დავასახელებ. ზამთრის პირობებში, 7-8 რთული ასვლა მაქვს მასზე განხორციელებული. ასეთ ასვლებს ჩვენთან ფრთხილად ეკიდებიან და ამდენი ჯერ არავის გაუბედავს.

— როგორც ვიცი, თქვენი მშობლებიც ალპინისტები იყვნენ. მთამსვლელობა თქვენთვის ჰობია თუ პროფესია?

— მშობლები მართლაც, ალპინისტები იყვნენ. მათთან ერთად მხოლოდ ერთხელ წავედი მთაში. იმის მერე... თავიდან, „მარტივ“ მწვერვალებზე დავდიოდი, „სერიოზულ“ ასვლებზე არ ვფიქრობდი... ახლა, ალპინიზმი ჩემთვის ჰობი არ არის. თუმცა, არც პროფესიაა. ეს ჩემი ცხოვრების წესია.

— რამ გადაგაწყვეტინათ პოლიტიკაში მოსვლა და კიდევ: ეს თქვენი ცხოვრების წესს ხელს არ უშლის?

— 29 წელი მთაში გავატარე და ამ საქმიანობისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ. ამაში პოლიტიკა ხელს არანაირად არ მიშლის. მთაში წასვლა რაღაცნაირი განმუხტვის საშუალებაა, ამ საგიჟეთს ცოტა ხნით მოვცილდები ხოლმე და მეტი ენერგიით, „განახლებული“ ტვინით, ახალი მუხტით ვბრუნდები... რაც შეეხება პოლიტიკაში მოსვლას, ეს მიზნად არ დამისახავს. უბრალოდ, შევარდნაძის დროს, საქართველოში აუტანელი პირობები იყო, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში *(ბატონი გია მთაწმინდის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს. — ავტ.)*, შევსულიყავი პარლამენტში, მებრძოლა შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ.

— ეს მგონი, არ გამოგივიდათ...

— შევარდნაძემ არჩევნები გააყალბა. ამას მოჰყვა ვარდების რევოლუცია — თუ რაც გინდათ, ის დაარქვით — და მოხდა ისე, რომ ჩვენ უმრავლესობით მოვედით ხელისუფლებაში. ამიტომაც, ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაგვჭირდა.

— წინასაარჩევნო პერიოდში რას ჰპირდებოდით მოსახლეობას?

— პირადად მე — არაფერს. პარტიასთან ერთად კი, მოსახლეობას ვპირდებოდი დანგრეული სახლების აღდგენაშეკეთებას, იმას, რომ ქვეყანაში იქნებოდა მაქსიმალური სამართლიანობა, დემოკრატია, რომ გაიზრდებოდა ხელფასები, პენსიები. მოკლედ, არაფერიც არ შეგვისრულებია.

— მაგრამ გაკეთდა გზები, სპორტული მოედნები, შადრევნები...

— ეს ისედაც კეთდებოდა. ამას ჩვენ მოსახლეობას არ შევპირებივართ... არა, ეს ცუდი კი არ არის, პირიქით, ამ ყველაფერს მივესალმები. მაგრამ მთავარი არ კეთდება.

— მთავარი რა არის?

— ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ქვეყანა დადგეს სხვა რელსებზე ანუ დავიწყოთ ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა და არა ისეთივე ტოტალიტარული გზის გაგრძელება, როგორიც იყო.

— ეი. ახალმა ხელისუფლებამ, რომლის წევრიც იყავით, ვერაფერი შეცვალა?

— ვფიქრობ, რომ ამ ხელისუფლებამ მაინცდამაინც არ გაამართლა. უბრალოდ, ერთმა კაცმა მეორე შეცვალა. ამ ორ ადამიანს (შევარდნაძესა და სააკაშვილს) ერთმანეთს ვერ შევადარებ, აბსოლუტურად განსხვავებულები არიან, მაგრამ ის, რომ ორივეს მმართველობა ტოტალიტარულია, ამას ვხედავთ. რისთვისაც შევარდნაძეს ვებრძოდით, ხელუხლებელი დარჩა — ეს არის ერთი კაცის მმართველობა, რაც ჩემთვის მიუღებელია, ამიტომაც დავტოვე უმრავლესობა.

— რას გულისხმობთ ერთი კაცის მმართველობაში?

— იმას, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს, არავის აზრი არ აინტერესებთ, თვითონ წყვეტენ ყველაფერს. მოსახლეობას ბევრი პირობა მივეცით, მაგრამ არც ერთი არ შევუსრულეთ.

— როგორ ფიქრობთ — ვინ წყვეტს ყველაფერს?

— უმრავლესობაში, 135 კაცში, 5-6 წყვეტდა საქმეებს. ისინი იღებდნენ დესპოტურ კანონებს, რომლებსაც არ ვეთანხმებოდი. დეტალები საინტერესო არ არის...

— და თქვენ პროტესტის გამოხატვის საშუალება არ გქონდათ?

— როცა უმრავლესობის ფრაქციის დახურულ სხდომებზე ვიკრიბებოდით, ჩემს პროტესტს იქ გამოვთქვამდი.

— რატომ დახურულ სხდომებზე და არა — ღიად?

— მე უმრავლესობის წევრი ვიყავი, ქუჩაში ვერ გამოვიდოდი და ამაზე ყვირილს ვერ დავიწყებდი. ისე, როცა რაღაც მოსაზრებებს არ ვეთანხმებოდი, პროტესტს გამოვხატავდი იმით, რომ ფრაქციის სხდომას ვტოვებდი, კარს მივიჯახუნებდი, ვჩხუბობდი და ეს ბოლო დროს, საკმაოდ ხშირად ხდებოდა.

— თქვენსავით პარლამენტში ბევრი ფიქრობს?

— უკმაყოფილოი ბევრია, მაგრამ ყველას თავისი გზა აქვს. ისინი სულ ჩურჩულებენ, თუმცა, უმრავლესობას არ ტოვებენ. მე ასე ყოფნა არ შემეძლო.

— თქვენ ოპოზიციურ ფრაქციაში გაერთიანდით. რას ჰპირდებით მოსახლეობას?

— ჩვენ არავის არაფერს ვპირდებით. საქართველოში გამეფებულია აბსოლუტურად მცდარი აზრი — რას გაგვიკეთებს ოპოზიციაო?! ოპოზიცია იმისთვის არ არსებობს, რომ დაპირებებით აგავსოს. ჩვენს ხელში არანაირი ბერკეტი და ძალაუფლება არ არის — ჩვენ არ ვმართავთ პროცესებს, არ გვყავს ჩვენ მიერ დანიშნული მინისტრები, ხელისუფლების არც ერთ რგოლში არა ვართ ასულები, გარდა იმისა, რომ ვართ პარლამენტის წევრები და ვაფიქსირებთ ყველაფერს. ყველაფერში განსაკუთრებით იმ კანონპროექტებს ვგულისხმობ, რომლებიც ბოლო დროს მიიღეს... ოპოზიცია ოპონირებას უკეთებს ხელისუფლებას. ჩვენ დღეს ძალა რომ გვქონდეს, ამ ძალას აუცილებლად გამოვიყენებდით.

— რას გააკეთებდით?

— ხელისუფლებას შევცვლიდით... ამ ძალის მოპოვება მხოლოდ არჩევნების დროს შეიძლება, რა თქმა უნდა, თუ ხალხმა დაგვიჭირა მხარი.

— თუ ოპოზიციას ძალა არ აქვს, მაშ, რაშია მისი არსებობის აზრი?

— აზრი იმაშია, რომ დღეს კანონპროექტებზე საუბრობენ და ეს ჩვენი დამსახურებაა. საიდან გაიგებდით თქვენ, რა კანონებს ვიღებდით?.. ერთ დღეში შემოიღეს 87 კანონი, ე.ი. ვიღაცამ დიდხანს იმუშავა, შეადგინა პროექტი, მოიტანა და ეს აუცილებლად უნდა მიგვეღო, ისე, რომ საქმის კურსშიც არ ვიყავით, თუ რა კანონმდებლობაზე იყო საუბარი.

— თქვენ ხომ შეგეძლოთ, გასცნობოდით კანონპროექტებს?

— ამას უბრალოდ, ვერ მოასწრებ. ამ პროექტების გაცნობას კი არა, სათაურების წაკითხვასაც ვერ მოასწრებ, ისე ხდება მათი მიღება. მაგრამ არის კონკრეტული კანონპროექტები, რომლის შინაარსი ზუსტად ვიცით და ისინი ქვეყნისთვის დამღუპველი შინაარსისაა. ამაზე ღიად ვსაუბრობთ, ხალხს ვაგებინებთ — საითკენ მიდის ქვეყანა, რა ხდება სინამდვილეში... რაც შეეხება დაპირებებს, მოვა არჩევნების დღეც და ჩვენ მოსახლეობას შევპირდებით იმას, რასაც მათ ნაციონალური მოძრაობა ჰპირდებოდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, ჩვენ ამას შევასრულებთ.

ერთ დღეში შემოიღეს 87 კანონი, ე.ი. ვიღაცამ დიდხანს იმუშავა, შეადგინა პროექტი, მოიტანა და ეს აუცილებლად უნდა მიგვეღო

— როგორ გგონიათ — მოსახლეობა ამას ირწმუნებს? თქვენ ხომ იმ უმრავლესობის წევრი იყავით, რომელმაც თქვენივე თქმით, პირობა არ შეასრულა?

— ჩვენი ოპოზიციური ფრაქციის 90% ნაციონალური მოძრაობიდან მოვდივართ. ყველანი ერთ ბლოკში ვიყავით გაწევრებული, მაგრამ სხვადასხვა დროს, ყველანი გამოვედით ამ მოძრაობიდან. სწორედ იმიტომ, რომ არაფერი კეთდებოდა. დღეს არ არის შადრევნების, ფესტივალების, საწნახელების დრო, რადგან ქვეყანაში გამეფებულია შიმშილი, ხალხი ნაგავში იქექება... რომ ამბობენ — ოპოზიცია სუსტიაო, — რას ნიშნავს სუსტი? ის, ვისაც ძალა აქვს, ოპოზიცია კი არა, მმართველი პარტიაა. ოპოზიცია თუ სუსტია, მაშინ გამოკითხვა ჩავატარეთ — გავიდეთ ქუჩაში და ნებისმიერ ადამიანს ვკითხოთ: მოსწონს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება? თუ 100 გამოკითხულიდან 90 გვეტყვის, რომ არ მოსწონს, ე.ი. ოპოზიცია ძლიერია... ჩვენ ძლიერები ვართ იმითაც, რომ პარლამენტში 135 კაციდან 100 ისეთია, რომელიც არც ერთხელ არ მისულა მიკროფონთან, არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია არც ერთ საკითხზე. რა უნდა ასეთ ხალხს პარლამენტში?! იცით, რა უნდათ?.. მათ არ გააჩნიათ საკუთარი აზრი, რასაც მიუთითებენ, იმას აკეთებენ. ოპოზიციიდან პარლამენტში სულ 34 კაცი ვართ (17 კაცი — „დემოკრატიული ფრონტიდან“, 17-იც — „მემარჯვენეები“). შეგიძლიათ დაითვალოთ მიკროფონთან მიმსვლელთა რაოდენობა ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს; 2-ჯერ, 3-ჯერ მეტი ადამიანი ჩვენი ფრაქციიდან იქნება, რადგან მათ აქვთ სურვილი, საშუალება, ტვინი, რომ გამოვიდნენ და ილაპარაკონ... მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია სუსტი კი არ არის, მას უბრალოდ, ზურგი არ აქვს გამაგრებული. ამიტომ, მოსახლეობამ არ უნდა იმსჯელოს პრიმიტიულად. ხშირად გამიგონია — ოპოზიცია მარტო ლაპარაკობსო. ასეც უნდა იყოს, სხვა რა შეგვიძლია? თოფს ხომ არ ვისვრით!..

— საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმასაც ამბობს, რომ „პოზიცია“-ოპოზიცია — ეს უბრალო თამაშია, დადგმული შოუა, რომელსაც ხელისუფლება მოსახლეობის თვალის ასახვევად აწყობს...

— რა სისულელეა! ასე ამბობდნენ შევარდნაძემდეც და მერეც: სააკაშვილს ხელისუფლება შევარდნაძემ გადააბარაო. თუ ამის გაკეთება უნდოდა, ეს არჩევნების საშუალებით მოხდებოდა, რაღა საჭირო იყო ამდენი შეურაცხყოფა, მივარდნები?!.

— ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ...

— არც ვითხოვ — უბრალოდ, უნდა იცოდეთ, რომ ბევრ რაღაცას ამბობენ. ოპოზიციაში სააკაშვილს არ გავუშვივარ, პირიქით — ბატონი პრეზიდენტი გამხეცებულია, ვერ გვიტანს. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩაგვძიროს და ვერ ვხვდები, ერთად როგორ უნდა ვიყოთ!.. ჩვენ ხელისუფლებისთვის ვიბრძვით, ისინიც იბრძვიან, ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით — ადგილების შესანარჩუნებლად. სააკაშვილს ოპოზიცია რომ ნდომოდა, უფრო მეტ ხალხს გამოუშვებდა. ამაზე მახსენდება ფილმები „შპიონებზე“... ეს მოსახლეობის ფანტაზიის ნაყოფია, სერიოზულ ხალხს ასეთი რაღაცების არ სჯერა და მართალიცაა — პოლიტიკაში ასეთი რამ არ ხდება...

■



ფრაზა

გენიალური

ის მოღვაწეები, რომლებიც ცდილობენ, უბრალო ხალხს საკუთარ და არა მის ენაზე ელაპარაკონ, ვერასდროს მიაღწევენ საწადელს. თუმცა, არსებობს უამრავი ცნება, რომელსაც ხალხის ენაზე ვერაფრით „თარგმნი“.

ჟან-ჟაკ რუსო

ცუდი საქციელი

„ფსიქოლოგი ვერ დამიშლის“ ანუ ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!

ადამიანს სიცოცხლე ერთხელ ეძლევა, სამაგიეროდ, ბევრჯერ უჩნდება შესაძლებლობა, ცუდად მოიქცეს. საკმარისია, მოიწადინო და უცებ მოიხვეჭ უსაქციელო ადამიანის სახელს. ყოველდღიური ცხოვრება შედგება უამრავი დაწერილი თუ დაუწერელი კანონისგან. უმჯობესი იქნება, თუ მათ შეძლებისდაგვარად დავიცავთ. ცუდად მოქცევა კი, ყველაზე იოლია. მაინც, რა შეიძლება ჩაითვალოს ცუდ საქციელად? მაგალითად, თუ მეტროში ან ლიფტით მგზავრობისას უეცრად მოგინდება, ფეხი დაახვედრო კარს, რომ არ დაიკეტოს, ეს ცუდი საქციელია. არც პირის საპარსი ქაფის ბალონიდან მთლიანად გამოშვებაა მოსაწონი, მიუხედავად იმისა, რომ ლამაზად ფუვდება და ძნელია, ცდუნებას სძლიო. ზაფხულის ცხელ დღეს, თუ ქალაქში, შადრევნის ქვეშ ბანაობა მოგინდება, ეცადე, თავი შეიკავო, თორემ, პატრულის ყურადღებას მიიპყრობ... მოკლედ, ცუდ „საქციელებს“ რა გამოლევს?! ადამიანის გონებას ხომ უსაზღვრო ფანტაზიის უნარი აქვს! ასე რომ არ იყოს, ვერც ჩვენი რესპონდენტის უახლოესი ნათესავები მოიფიქრებდნენ ასეთი ცუდი საქციელის ჩადენას.

მარი ჯაფარიძე

ერთი ტონით მაღლა!

„30 წლის კაცი ვარ, უცოლო და ამიტომ, ვცხოვრობ ჩემს მშობლებთან და 2 უმცროს დასთან ერთად, რომლებიც მუდამ ჩემს მასხრად აგდებას ცდილობენ. ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც ჩემი დაბადების დღის წინა დღე გახლდათ, დებმა მომართვეს ერთი ბოთლი „ხვანჭკარა“. ყურადღება უზომოდ მესიამოვნა და მადლობა გადავუხადე, მაგრამ არ მომეშვნენ — გინდა თუ არა, ეს ბოთლი გავხსნათ და შენი დაბადების დღე ამაღამვე აღვნიშნოთო. ბევრი ვიუარე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ბოლოს დავყაბულდი და სუფრას მივუსხედით, თუმცა, ჩვენი სუფრა დიდი სიუხვით არ გამოირჩეოდა. არ ვიცი, რა შეურიეს ღვინოში, მაგრამ მხოლოდ ის მახსოვს, რომ პირველი სადღეგრძელო დავლიე; მეორე — ბუნდოვნად... დილით რომ გავიღვიძე, თავი უზომოდ მტკიოდა. ოთახს თვალი მოვავლე და აღმოვაჩინე, რომ სრულიად უცხო სახლში მძინებია. ტანზე მხოლოდ ტრუსი მეცვა. ვერ მივხვდი, სად შეიძლებოდა, ვყოფილიყავი. არც ჩემი ტანისამოსი ჩანდა სადმე. რას ვიზამდი? უცხო სახლში, უცხო ხალხში შიშველი ხომ ვერ გავიდოდი „ზალაში“! ერთი კი ვიფიქრე — მოდი, ზეწარს შემოვიხვევ და გავალ-მეთქი, — მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარვყავი. ისევ მოცდა ვამჯობინე. ვიღაც მაინც დაინტერესდებოდა ჩემით, გავახსენდებოდი და შემომაკითხავდა. საათი საათს მისდევდა და ჩემი პატრონი არ ჩანდა. კარგად „მოშუადღევებული“ იქნებოდა, როცა გადავწყვიტე, ვინმესთვის საშველად მეხმო. თანაც, ტუალეტში გასვლა მომინდა და უკვე ველარ ვჩერდებოდი საწოლში. რაც არის — არის-მეთქი, — გავიფიქრე და ხმადაბლა დავიძახე — მასპინძელო! არავინ შემეხმიანა. არადა, ხმები აშკარად მესმოდა, ე.ი. შინ ვიღაცები იყვნენ. ისევ მოვსინჯე და დავიძახე — ეეეე! ისევ არავინ გამცა ხმა. ავდექი და ზეწარი შემოვიხვიე — ისეთი გასაჭირი მადგა, რომ მეტი გზა არ მქონდა. ოთახის კარი ფრთხილად გამოვაღე და მეორე ოთახში გავედი თუ არა, თავზე მამაჩემი დამადგა. გაოცებულმა შევხედე. ერთი ამას უყურეთო! — დაიძახა და ოთახში თხუთმეტიოდე ადამიანი „შემოლაგდა“, მათ შორის: დედაჩემი, ჩემი დები, ჩემი შეყვარებული, სასიდედრო, რამდენიმე მეგობარი და ბიძაშვილი. ვდგავარ ასე, გიჟივით, ზეწარშემოხვეული და ვაფასულებ თვალებს... ისინი კი გულიანად იცინიან. საქმე კი აი, რაში ყოფილა: ჩემს ერთ-ერთ დას რომელიღაც ლატარიაში მანქანა მოუგია, ის მანქანა და ძველი ბინა გაუყიდიათ და ახალი, უფრო დიდი და მაგარი ბინა უყიდიათ. ჩემთვის კი სიურპრიზის მოწყობა უნდოდათ და ყველაფერი მხოლოდ ჩემს დაბადების დღეზე გავიგე. მხოლოდ ერთ რამეს არ მიმხელენ: რა შეურიეს იმ დღეს ღვინოში, ასე რომ გავითიშე. აბა, ეს ცუდი საქციელი არ არის?!. ვითომ სიურპრიზი მომიწყვეს და სინამდვილეში, დამტანჯეს კაცი“.

როდესაც ბავშვობაში სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ წავიკითხე და იმ ადგილს მივადექი, სადაც მელია აღმოაჩენს, რომ უფლისწულის პლანეტაზე არც მონადირეა, არც ქათამი და ამბობს — სამყაროში სრულყოფილება არ არსებობსო, — რატომღაც გამეცინა. ახლა, ისევ რომ გადავიკითხო ეს ნაწარმოები, ალბათ, აღარ გამეცინება, რადგან ვფიქრობ, ამაზე უფრო ზუსტად შეუძლებელია გადმოსცე ზოგადად სამყაროს შექმნის და კერძოდ — ოჯახური ცხოვრების პრინციპი.

„ის ურჩევნია მამულსა...“

„გამარჯობა. მინდა, ჩემი ცუდი საქციელის შესახებ მოგიყვეთ. საქმე ისაა, რომ ცხოვრებაში რამდენჯერმე შევიცვალე შეხედულებები და პრინციპები. როდესაც 12 წლის ვიყავი, ჩემს მშობლებს შორის სიტუაცია ძალზე დაიძაბა. დედა სულ უხასიათოდ იყო, მამა — გაბრაზებული. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა მათ შორის, მაგრამ ვხვდებოდი იმას, რომ ოჯახი დანგრევის საშიშროების წინაშე იდგა. ხშირად მესმოდა ფრაზები — „წადი, მოგვშორდი, მარტონი უფრო დასვენებული ვიქნებით!“, „წავალ, თქვენი დანახვა აღარ შემიძლია!“ და ა.შ. დედა რომ ტიროდა ხოლმე, მეც მასთან ერთად ვიცრემლებოდი. ჩხუბის დროს კი ყოველთვის მის მხარეს ვიჭერდი და მამას მალულად მუშტებს ვუღერებდი. ასე გაგრძელდა 3 წელი. შემდეგ ისინი ერთმანეთს გაშორდნენ და მამა საცხოვრებლად სხვა ქალთან წავიდა. უკვე დიდი ბიჭი ვიყავი და ყველაფერს ვხვდებოდი. მამას არ ვაპატიე სხვა ქალის გულისთვის ოჯახის მიტოვება და სამუდამოდ გავწყვიტე მასთან კონტაქტი. ის ყურადღებას არ მაკლებდა, ათასი რამით მანებივრებდა, მაგრამ ჩემი გული ვერ მოიგო. ერთხელ ქუჩაში შემთხვევით შემხვდა და გამარჯობაც არ ვუთხარი. დამეწია, მკლავში ხელი ჩამავლო, თავისკენ მიმბრუნა და მითხრა: დიდი ბიჭი რომ გაიზრდები, ყველაფერს მიხვდები, მაგრამ უკვე გვიან იქნებაო. ის მაშინ დაიღუპა ავარიით, როცა მე ჯარში ვიყავი. ტვერში ვმსახურობდი და მის გასვენებას ვერ დავესწარი. თუმცა, ამის გამო, დიდად არ მიდარდია... გავიდა დრო, მეც დავოჯახდი და კარგა ხნის განმავლობაში,

როგორც იტყვიან, ტკბილად და ბედნიერად ვცხოვრობდი, ვიდრე ჩემს ცხოვრებაში ერთი ქალბატონი არ გამოჩნდა. დანახვისთანავე მოვინუსხე მისით. შეიძლება ითქვას, რომ ერთი ნახვით შემიყვარდა და იმდენად ძლიერი იყო ეს გრძნობა, რომ დამალვაც კი მიჭირდა. ჩემს ცოლს შეუმჩნეველი არ დარჩენია ის ცვლილება, რომელიც ჩემში ხდებოდა. ოჯახში სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ მე ეს ნაკლებად მაღელვებდა. მთავარი იყო, რომ ჩემი მზია მყოლოდა გვერდით... სწორედ მაშინ გამახსენდა მამაჩემი და შემრცხვა... ცოტა ხნის შემდეგ, მტკიცედ გადავწყვიტე ოჯახიდან წასვლა. ამის შესახებ ცოლს რომ განვუცხადე, ისეთი ისტერიკა დაემართა, ისეთი სცენები გამართა და იმდენჯერ წაუვიდა გული, რომ ვერც წარმოიდგენთ. მივხვდი, რომ უკან უნდა დამეხია, თორემ, უბედურება დატრიალდებოდა. სხვა რა გზა მქონდა? ავდექი და პირობა მივეცი, რომ გამოვსწორდებოდი. მერე მოვახერხე ის, რომ ცოლს სამსახური ვუშოვე. ვიფიქრე, ხალხში გავა, გულს გადააყოლებს, იქნებ, ვინმე გაიცნოს კიდეც, შეუყვარდეს, მერე ჩემზე აღარ იეჭვიანებს და მეც ფრთებს გავშლი-მეთქი. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი! მალე მივხვდი, რომ ვიღაცას ხვდებოდა. მეცინებოდა მის საქციელზე. ვითომ ვეჭვიანობდი, ის კი უფრო გულდაგულ ინიღბებოდა. ბოლოს მივხვდი, რომ დადგა დრო, როცა ოჯახიდან წასვლაზე კიდევ ერთხელ უნდა ჩამომეგდო სიტყვა. ხმაც არ ამოუღია, როგორც გული გიკარნახებს, ისე მოიქეცი, — მხოლოდ ეს მითხრა. მეორე დღესვე, გახარებული გავიქეცი მზიასთან და ახალი ამბავი მასაც ვახარე. მაგრამ ჩემდა გასაკვირად, აღფრთოვანება ვერ შეენიშნე.. ბოლოს, იმანაც ხელი მკრა და მითხრა, რომ სხვაზე იყო შეყვარებული და მასზე გათხოვებასაც აპირებდა. მხრეებჩამოყრილი წამოვედი იქიდან და პირდაპირ მამაჩემის საფლავზე წავედი. პირველად მივდიოდი და ძლივს მივაგენი. ქვაზე დახატულ მის სურათს რომ შევხედე, მომეჩვენა, რომ ირონიული ღიმილით მიყურებდა...“

ჩვენმა მკითხველმა თხრობა აქ შეწყვიტა. სათქმელიც აღარაფერია, ალბათ...

პალტო, ქურქი, შარფი, ხელთათმანი, ციგა და თხილამურები — ზამთრის ატრიბუტებია. ზაფხულში კი, უფრო, მზის ქოლგას, საცურაო ტრუსებს, „შლოპანცებსა“ და გასაბერ ლეიბს თუ გამოიყენებ. მით უმეტეს, როცა დასასვენებლად, ვთქვათ, ანტალიაში მიდიხარ. მაგრამ ხომ არსებობენ ადამიანები, ვინც განსხვავებულად აზროვნებენ!..

„ანტალიაში ხვალ გავფრინდები...“

„უკვე დიდი ხანია, რაც მე და ედუარდი დავქორწინდით და 3 შვილიშვილიც გვყავს, მაგრამ ორივე საკმაოდ ახალგაზრდულად გამოვიყურებით და საკმაოდ აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობთ. გვაქვს საოჯახო, შემოსავლიანი ბიზნესი, რომელიც ჩემი მეუღლის თაოსნობით ავაწყვეთ. ახლა ამ საქმეს მე ვუძღვები, ის კი სულ შინ ზის. მუდამ ინტერესდება იმით, თუ რა ხდება ოჯახის წევრებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ შვილების, რძლისა თუ ჩემ შესახებ ყველაფერი უნდა იცოდეს. ჯერ კიდევ წლების წინ, შეიძინა სპეციალური ტელეფონის აპარატი, რომელიც სახლის ტელეფონის პარალელურ ხაზზე მიაერთა და თავის ოთახში დადგა. როგორც კი ვინმესთან დარეკავდნენ, მაშინვე იღებდა ყურმილს და თავიდან ბოლომდე ისმენდა საუბარს. ყველამ ვიცოდით ამის შესახებ და მხოლოდ და მხოლოდ გვეცინებოდა. მარტო ჩვენ კი არა, ამის შესახებ იმ ხალხმაც იცოდა, ვინც ჩვენთან რეკავდა ხოლმე და საუბარს ასე იწყებდნენ: „გამარჯობა, ნინო, გამარჯობა, ედიკ!..“ მას კი სულაც არ აღელვებდა ეს ამბავი და მაინც ბოლომდე ისმენდა საუბარს... უკვე რამდენიმე წელია, ყოველ ზაფხულს დასასვენებლად ანტალიაში აპირებს წასვლას, მაგრამ ხან რამ შეუშალა ხელი, ხან — რამ. ამის გამო, სულ წუწუნებდა. გასულ ზაფხულს, ერთ საღამოს, სტუმრები გვეწვივნენ. იქეიფეს და როდესაც სტუმრები გავაცილეთ, ედუარდი რაღაცაზე აგვიხირდა. შეეკამათეთ და სულ მთლად გადაგვერია. გამოგვიცხადა, მივდივარო და უზარმაზარი ჩემოდნის ჩალაგება დაიწყო. თუ რამ ძვირფასად მიაჩნდა, ყველაფერი ჩააბარგა. ჩემოდანი ისე გატენა, რომ თავისი ქურქი ვეღარ ჩატია. ხვნეშა-ხვნეშით უტრიალა ჩემოდანს, ხან აქედან ცდილობდა, ქურქი ჩაეტენა, ხან — იქიდან, მაგრამ ამაოდ. რომ ვერაფერი მოუხერხა, ადგა და ტანზე ჩაიცვა. ჩემი პასპორტი მომეცი და აეროპორტში წამიყვანეო, — მიბრძანა, ჩემოდანს ხელი დაავლო და კიბეზე დაეშვა. მეც უკან მივყევი. კიბეზე მეზობელი მამაკაცი შეხვდა, რომელსაც გულიანად დაემშვიდობა; დასასვენებლად მივდივარ თურქეთშიო, — აუწყა და გზა განაგრძო. ის კი გაოცებული უყურებდა და ვერ მიმხვდარიყო, შუა აგვისტოში, 40-გრადუსიან სიცხეში ანტალიაში მიმავალ კაცს რატომ ეცვა „დუბლიონკა“... სახლიდან ქალაქის ცენტრამდე ძალზე ნელა ვიარე მანქანით, რომ იქნებ, ცოტა გამოფხიზლებულიყო და წასვლა გადაეფიქრებინა. მერე შევთავაზე — მოდი, განშორების წინ თითო ჭიქა ყავა მაინც დავლიოთ-მეთქი. დამთანხმდა და ერთ-ერთ კაფეში შევედით. უნდა გენახათ იქ მყოფი ადამიანების გაოცებული სახეები... ეს კი არაფერს დაგიდევდათ. ცხელი ყავა მომიტანეთო, — გასცა ბრძანება და მაგიდასთან მოკალათდა. ჯიბიდან საბუთები ამოალაგა და შეამოწმა, პასპორტი თან ჰქონდა თუ არა. მე კი ჩემი პასპორტი შევეპარე წინასწარ. რომ დახედა, გადაირია: ეს რა ჯანდაბად მინდა? იქნებ გგონია, რომ შენც წაგიყვანო?! კარგად რომ მოძებნა და აღმოაჩინა, რომ თავისი საბუთები შინ დარჩენოდა, გადაწყვიტა, უკან მობრუნებულიყო და წამოეღო. ყავა დავლიეთ, სახლამდე ისევ ნელა ვატარე მანქანა და როგორც იქნა, გამოფხიზლდა. შინ რომ მოვედით, უკან გაბრუნება დაუზარა და გამოგვიცხადა — ახლა უკვე გვიანია, ანტალიაში ხვალ გავფრინდებიო... იმის შემდეგ, სიტყვაც აღარ დაუძრავს წასვლაზე... აი, ასეთი უცნაური ქმარი მყავს“.

კომპლიმენტის თქმა ყველა კაცს როდი ეხერხება, მაგრამ თურმე, არ არსებობს მამაკაცი, რომელიც გულგრილი დარჩება მისი მისამართით ნათქვამი კომპლიმენტის მიმართ. ერთმანეთის შექებას მხარზე ხელის დადებითა და მოწონების შეძახილით გამოთქვამენ, მაგრამ წინააღმდეგი სულაც არ არიან, თუ მშვენიერი სქესის წარმომადგენელი, ცეცხლოვანი მზერით, ალერსიანი ღიმილითა და ემოციური შეძახილით გამოხატავს აღტაცებას. ასე რომ, თუ მამაკაცს კომპლიმენტს ეტყვით, ამით არც თქვენ დარჩებით შეუმჩნეველი და მის ყურადღებასაც უცებ მიიპყრობთ. დაიმახსოვრეთ, რომ შეფი საშუალო სქესის კი არა — მამრობითი სქესის გახლავთ და ხანდახან მის მიმართ ნათქვამი კომპლიმენტი შესაძლოა, ძალზე წაგადგეთ.

ნაზი მზერა, სასიამოვნო კომპლიმენტი და „მსუნაგი“ ღიმილი

„მივესალმები ჩემს საყვარელ ჟურნალს და მარის! ალბათ, ჩემზე ერთგული მკითხველი არ გეყოლებათ, მაგრამ მესიჯს პირველად გიგზავნით. მე 27 წლის, გასათხოვარი გოგო ვარ, თეონა მქვია. ჯერ კიდევ 17 წლის ვიყავი, როცა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. ჩაფიქრებული მქონდა, რომ ძალიან მაგარი ექიმი გამოვსულიყავი. ამიტომ მამაჩემს ტვინი შევუჭამე — გინდა თუ არა, სამსახური მიშოვე რომელიმე კლინიკაში, სანიტრად-მეთქი. სულ მალე, ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მორიგე სანიტრის ადგილი მიშოვა და მუშაობაც დავიწყე. თან ვსწავლობდი, თავს არ ვზოგავდი... სამსახურში კი ყველა საქმეში ცხვირს ვყოფდი, ავადმყოფებს გვერდიდან არ ვშორდებოდი, ექიმებს ვთხოვდი, ექთანის საქმეც დაეევალებინათ ჩემთვის. მესამე კურსიდან, იქვე ექთანად გადამიყვანეს. უკვე ოპერაციებსაც ვესწრებოდი და ბევრი რამ ვისწავლე. ერთ საღამოს, როდესაც ვმორიგეობდი, ცოტა ხანს თავისუფალი ვიყავი და მე და მორიგე ექიმი ჭაუბრობდით. რომ დავამთავრებ, აქვე მინდა ექიმად მუშაობა-მეთქი, — გავანდე ჩემი ოცნება. გაეცინა. ძალიან კარგი გოგო ხარ, ნიჭიერი, ჩვენ თვალწინ გაიზარდე და მოხარული ვიქნებით, თუ ასე მოხდება, მაგრამ ჩვენი მთავარი ექიმი ისეთი კაცია, თუ საჯდომზე ხელი არ მოგისვა და ლოგინშიც არ ჩაგიწვინა, ისე არაფერი გამოგივაო... საგონებელში ჩავვარდი. ჯერ პატარა ვიყავი საიმისოდ, რომ ცხოვრების ასეთ მხარეს შევეჯახებოდი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მეცადა შეფის შუბმა. გვერდით რომ ჩავუვლიდი, ისეთ ნაზ მზერას ვესროდი ხოლმე, რომ შეუძლებელი იყო, არ შეემჩნია. რამდენჯერმე სასიამოვნო კომპლიმენტიც ვუთხარი. ვგრძნობდი, რომ მისი სიმპათია დავიმსახურე და ვატყობდი, რომ მისი ღიმილი თანდათან უფრო „მსუნაგი“ ხდებოდა... მალე მისგან რესტორანში მიწვევაც მივიღე. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ასე გავაბი მასთან ფლირტი და მალე ექიმობასაც გამოვკარი ხელი... ამის შემდეგ, უკვე კონკრეტული წინადადებაც მივიღე მისგან — რომ ღამე ერთად გაგვეთია. ამის გაფიქრებაც კი არ მინდოდა და ჩემს თავს ვკიცხავდი: ხომ იცოდი, რომ ყველაფერი ასე უნდა დამთავრებულიყო, თვალებს რომ უჟუჟუნებდი, რისი იმედი გქონდა-მეთქი?! ერთი სიტყვით, მტკიცე უარი ვუთხარი ინტიმურ ურთიერთობაზე. ის უცებ მიხვდა, თუ რა მიზანს ისახავდა ჩემი ფლირტი. კაბინეტში დამიბარა და მითხრა — ის, რაც შენ გააკეთე, ძალიან ცუდი საქციელია, ამიტომ ხვალიდან, შეგიძლია, სხვა სამსახური ეძებოო... აი, ასეთი ცუდი საქციელი ჩავიდინე. თუმცა, მე ასე არ ვთვლი. ალბათ, ცუდი საქციელიც პირობითი ცნებაა და იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი კუთხიდან განვიხილავთ... ახლა სხვა

კლინიკაში ვმუშობ, იქ, სადაც კარიერის გასაკეთებლად მხოლოდ ნიჭი და პროფესიონალიზმი ფასობს და შეფთან დაწოლა სულაც არ არის საჭირო. გკოცნით, თეონა“.

მშობლის შუბლის ძარღვი

„ერთი ბიჭი შემიყვარდა. კარგა ხანს ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენს ურთიერთობას მისი ძმის ცოლიც უწყობდა ხელს: მათთან სტუმრად მივდიოდი ხოლმე, ის კი ხშირად, მარტო გვტოვებდა... ჰოდა, ჩვენი ურთიერთობა ფიზიკურ კავშირში გადაიზარდა. ჩემსა და გიას შორის ნამდვილი, ძლიერი სიყვარული იყო. როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება, დავფეხმძიმდი... გია წინააღმდეგი არ ყოფილა ჩვენი ქორწინების, მაგრამ დრო გაიწელა და მხოლოდ მაშინ გავყევი ცოლად, როცა 6 თვის

ფეხმძიმე ვიყავი. მისმა ოჯახმა კარგად მიმიღო. ჩემზე ზრუნავდნენ კიდეც. მერე ბიჭი შემეძინა და ბედნიერი ვიყავი, მაგრამ... ჩემმა ქმარმა სამშობიაროში მიმატოვა და აღარ მომაკითხა... ილია ახლა უკვე 3 წლისაა და მამა ჯერ არც უნახავს. არ ვიცი, რა დავუშავე გიას, რატომ მომექცა ასე ცუდად. ან რატომ არავინ ეუბნება, რომ შვილს მაინც მოაკითხოს, თუ ჩემი ნახვა არ უნდა... ამაზე ცუდი საქციელი რაღა გინდათ?! ახლა კი მინდა გთხოვოთ, ჩემი შვილის სურათიც გამოაქვეყნოთ; იქნებ, ჟურნალში მაინც მოჰკრას თვალი მამამისმა და „მშობლის შუბლის ძარღვი“ შეკურხიო. პატივისცემით, კესო“.

ახლა კი მოკლე მესიჯებსა და „საჩივრის სვეტს“ გავეცნოთ.

„მამაჩემივით არ დაგემართოს, ბიძია!“

„ჩემი ცუდი საქციელი ის არის, რომ ქმარს ვღალატობ. მაგრამ საწოლში მისი ზურგის ყურებამ დამღალა, ცხოვრებაში — მისმა წუწუნმა. საყვარელი არ ჰყავს, უშნო არა ვარ — მეტი რა უნდა, ვერ გავიგე... ხშირად ეჭვიანობს. თუ ასეა, უნდა იცოდეს, რომ ქალს ალერსი და სითბო სჭირდება. მერე მეტყვის, რქები დამადგიო. ამ ჩემმა აღსარებამ თუ ჩემს ქმარს არა, იქნებ, სხვის ქმრებს არგოს?!. დასავლეთი“.

„ამ მესიჯს ათენიდან გწერთ. ჩემი მეუღლეც აქ გახლავთ. მას მხოლოდ წამლის კეთება შეუძლია. ჩემდამი ინტერესი საერთოდ არ აქვს. ჩემგან მხოლოდ ფულს ითხოვს. ნუთუ შვილები იმისთვის დავტოვეთ საქართველოში და აქ იმისთვის გადმოვიხვეწეთ, რომ ნარკოტიკებზე ეფიქრა?! ჩემს შვილებს დედაც ენატრებათ და მამაც. ეს არის ცხოვრება?!. მინდა, ეს მესიჯი იმ დიდმა ადამიანმა წაიკითხოს, რომლის გვარსაც ვერ დავასახელებ და გაიგოს, რომ მისი დისშვილი მასავით პარლამენტში კი არა, მისგან განსხვავებით, წამლის კაიფში ზის... ის ჩემი შვილების მამაა და გასაწირად ვერ ვიმეტებ“.

„მე ისეთი ვინმე მიყვარს, ვისი სიყვარულიც არ შეიძლება. უკვე 14 წელია, ერთმანეთს ვხვდებით და მივხვდი, რომ დროა, დავემშვიდობო. რა ვქნა, რომ ვერ ველევი?! გმადლობ, მარი, რომ მომისმინე, მე ხომ ამას ვერავის ვეტყვი...“

„მინდა მივმართო ვანელ გიოს ანუ ლიმონას: ძალიან ვწუხვარ, რომ ასე ცუდად დავშორდით ერთმანეთს. იმედი მაქვს, აპოიცნობ, ვინც ვარ. მე შენი ბელურა ვიყავი, შენ კი დღესაც, ჩემი ლიმონა ხარ. ძალიან მომენატრე. თუ მიცნობ, დამიკავშირდი. მართალია, უკვე აღარაფერი გამოგვივა, მაგრამ მაინც მინდა, რომ სიმართლე იცოდე. ნეტავ, მიცნო!..“

„დათო ნ-შვილო, უშენოდ ჩემს სიცოცხლეს აზრი არ აქვს. როცა არ გელოდი, მაშინ გაგიცანი, როცა არ ვფიქრობდი, მაშინ შემიყვარდი. მარი, თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებ, ალბათ, დათოს დავკარგავ. ერთგული მკითხველი და მომავალი ჟურნალისტი“.

„ვოვას წერილი რომ წავიკითხე, ლამის გული გამისკდა. არ მეგონა, თუ ოდესმე, მასთან დაკავშირებას შევძლებდი. ვოვა, მიყვარხარ!“

„ცუდად მაშინ მოვიქეცი, როდესაც მ-ს ვუთხარი, რომ მიყვარდა. ამაზე იმის შემდეგ დავიწყე ნერვიულობა, რაც მივხვდი, რომ ის დავკარგე, როგორც მეგობარი და ვერც შეყვარებულად ვივარგე. იქნებ, კოცნის უფლება რომ არ მიმეცა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო?.. ახლა კი პატიების თხოვნის გარდა, აღარაფერი დამრჩენია. ასე არ მინდოდა. ალბათ, ჯერ პატარა ვარ სიყვარულისთვის“.

„მიყვარხარ, შენ ხარ ჩემი სულის ნაზი სიმღერა, შენ ის ხარ, ვისაც ვერასოდეს გადავეჩვევი, გულმა პირველად მხოლოდ შენთვის, შენთვის იმღერა, მე ვერასოდეს უშენობას ვერ მივეჩვევი... შენს საქციელს ცუდის მეტი რა დავარქვა, გოგა?! მე და მარიმ ადრეც გამოგაჭენეთ „გზავნილებში“ სახალხოდ და გაჭრა კიდეც... ჰა-ჰა�ა! ასე მოგიხდება! მაკა“.

„ცუდად მაშინ მოვიქეცი, როცა შეყვარებული სხვას წავართვი, მაგრამ არ გამომადგა... შუაზე გაგლეჯის ღირსი ვარ... ვიკა“.

„მინდა მამაიაშვილებს ვუთხრა, რომ ცუდი საქციელი არ არის, თუ ადამიანს ერთხელ, ოჯახი დაენგრევა, შემდეგ, ცხოვრება გამოცდას მოუწყობს და ვერ ჩაბარებს. ცუდი საქციელი ის იქნება, გვარის გამგრძელებელს რომ არ აღიარებენ და არ სჯერათ, რომ მათ სისხლსა და ხორცს ვატარებ მუცლით... მომავალი მარტოხელა დედა“.

„ცუდი „საქციელების“ კოლექციონერი ვარ. ყველაზე ცუდ საქციელს კი, ახლა ჩავდიავარ: ჩემი დაქალის ქმარს რამდენჯერმე საყვარელთან მივუსწარი და ვერ ვბედავ, რომ დაქალს ვუთხრა...“

„ძალიან ცუდი ფაქტია ის, რაც ვოვამ (იგულისხმება არუთუნიანი, რომლის მესიჯიც „გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა. — ავტ.) გააკეთა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრებაზე ხელი უნდა ჩაიქნიოს. რა იცის, ცხოვრება რას უმზადებს. პირადად მე მგონია, რომ ის ვიღაცამ გამოიყენა. ანი“.

„მინდა, ჩემი ცუდი საქციელის შესახებ მოგიყვეთ. ისეთი რამ დამემართა, რასაც ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი. შემიყვარდა ადამიანი, რომელსაც ცოლი და 2 შვილი ჰყავს. მასაც ვუყვარვარ. ნეტავ, ღმერთმა მაპატიოს ჩემი საქციელი! არ მინდა, რომ მიყვარდეს, მაგრამ უძლური ვარ... უამრავი თაყვანისმცემელი მყავს, რაღა ეგ შემიყვარდა?! ვერავის ვუმხელ, ალბათ, ვერ გამიგებენ. არადა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. თვითონ უარეს დღეშია. რა საშინელებაა ეს ცხოვრება! გიყვარდეს და ეს გრძნობა ტკივილს გაყენებდეს?!. მარი, ბოდიში, თუ ჩემმა მესიჯმა გაგაღვიძა...“

„ცუდ „საქციელებს“ 4-5 წლის წინ ჩავდიოდი, როდესაც განურჩევლად თეზისა, ყოველთვის ტყუილს ვამბობდი. ამით საყვარელ ადამიანებს გულს ვტკენდი. მერე, ყველამ მიმატოვა და მაშინ ვიგრძენი თავი საცოდავ ადამიანად... მივხვდი, რომ უნდა შევცვლილიყავი. ნელ-ნელა, მეგობრები დავიბრუნე. ამჟამად კი მათზე ახლობელი არავინ მყავს. ხვალ იტალიაში მივდივარ და მინდა, ჩემს დაქალს ვუთხრა: სოფო, ძალიან მომენატრები“.

„მარი, შვილო, იქნებ, ბადრი პატარკაციშვილთან ან ვინმე მდიდარ ადამიანთან დამაკავშირო, რადგან ოჯახში გაუსაძლისი მდგომარეობა მაქვს. რომ იცოდე, შვილო, რა ცუდად ვარ!..“

„იცით, ჩემი ცუდი საქციელი რა არის?.. ჩემი ყოფილი შეყვარებული ჭიდაობაში საქართველის ჩემპიონატში მონაწილეობდა. მე კი სანთლები დავანთე და ღმერთს ვთხოვე, რომ ამ შეჯიბრებაში წაეგო. აი, შედეგიც: ნოკნებდამტვრეული, ლოგინში წევს. ახია მასზე!.. ნიპა“.

„გზავნილებს“ არ ვკითხულობდი, რადგან პირადულზე სახალხოდ ლაპარაკი მეტიჩროობად მიმაჩნდა. ახლა კი ვხვდები, როგორი საჭირო ყოფილხართ. მინდა, ჩემი სათქმელი გაგიზიაროთ, რადგან თუ ეს დაგროვილი დარდი არ ვთქვი, შესაძლოა, გული გამისკდეს. ეს ამბავი ტელეფონით გაცნობილ გოგონას ეხება. მისი სიყვარული ყოველწამს იზრდებოდა. მე კი, ბედნიერებისგან თავბრუდახვეულმა, ცოტა გართობა და მასთან თამაში გადავწყვიტე. მინდოდა, მისთვის ჩემი სიყვარულის ძალა მეჩვენებინა. ის ნერვიულობდა, თან მაფრთხილებდა, გულს ნუ მტკენო, — მეუბნებოდა... ჩემმა საქციელმა ის საბოლოოდ დამაკარგვინა. თავს სიყვარულის ვამპირად ვთვლი. მინდა, „გზის“ ფურცლებიდან მას ისევე მივმართო, როგორც მისთვის მიწერილ მესიჯს ვამთავრებდი ხოლმე: მენატრები, სალო. გკოცნი, პაატა“.

„მე ყველაზე ცუდი ბავშვი ვარ მსოფლიოში, რადგან დედიკოს ვაბრაზებ და ცუდად ვიქცევი. დედი, პირობას ვდებ, რომ არასოდეს გაგაბრაზებ. დადუ ბაჭია“.

„მთელი ცხოვრების განმავლობაში, შეცდომას შეცდომაზე ვუშვებ. ჯერ მხოლოდ 24 წლის ვარ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში უკვე ბევრი ბიჭი არსებობდა. ვერთობოდი, დროს ვატარებდი... მათ შორის ყოფილან ცოლიანებიც

და უცოლოებიც. არც ერთთან არ მქონია ფიზიკური კონტაქტი. ვერთობოდი, მერე კი მწყინდებოდა და ვშორდებოდი. ახლა კი, ცოლიან ბიჭზე ვარ შეყვარებული ისე, რომ უიმისოდ სუნთქვაც კი მიჭირს, მაგრამ არ ვიმჩნევ, რადგან არ მინდა, სხვისი ოჯახი დავანგრიო. ამიტომ გადავწყვიტე, გავთხოვდე იმ ადამიანზე, ვისაც ბავშვობიდან ვუყვარვარ და მაღმერთებს. იქნებ, მეც შემიყვარდეს?.. თუ არა და, მთელი ცხოვრება დამენგრევა. აბა, ეს ცუდი საქციელი არ არის, რომ უსიყვარულოდ გათხოვებას ვაპირებ?.. თემო, უზომოდ მიყვარხარ!"

„ჩემი ყველაზე ცუდი საქციელი ის იყო, რომ ბებოს ტელეფონზე ვურეკავდი ხოლმე და ვაშაყირებდი. მას კი, ბაბუს საყვარელი ვეგონე. მერე მირეკავდა ხოლმე და მიყვებოდა, როგორ დაურეკა „იმ გათახსირებულმა ქალმა"... თათია".

„მარი, პირველად გწერ მესიჯს და ვგრძნობ, როგორ მჭირდები. არ მეგონა, ქალს 27 წლის ასაკში თუ შეეძლო ქალწულობის ისე დაკარგვა, რომ აზრზე ვერ მოსულიყო, რა და როგორ მოხდა... ვენდობოდი იმ ადამიანს, რომელიც მეგობრობას მპირდებოდა. მე კი ისიც არ ვიცი, ვინ ვარ მისთვის — მორიგი საყვარელი, საცოლე თუ გასართობი ნივთი. ვფიქრობ, ყოველი შეხვედრის შემდეგ ვუთხრა: მორჩა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა და ვიდრე ჩემი ოჯახის წევრები სასიკვდილო განაჩენს გამომიტანენ, წადი-მეთქი, — მაგრამ მისი თვალები ამის საშუალებას არ მაძლევენ და მისი ცივი და გრძელი ხელები ჭაობისკენ მიმათრევენ... აი, ეს არის ჩემი ყველაზე დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა, რომელსაც მეგობრობას ამოფარებული გრძნობა ერქვა".

„ლაშა, ჯიგარი ხარ! ხალხო, მარი არ იგონებს ამ ამბებს! მარი, არავის მოუსმინო, ჩვენ გვჯერა შენი. ლაშა, შენ კი, გამოჯანმრთელებას გისურვებ! ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!.. ანი".

„მარი, წინა კვირას როგორ გთხოვე, მესიჯი გამომიქვეყნე-მეთქი, მაგრამ არ შეისმინე. ეს ხომ ცუდი საქციელია!.. ახლა მაინც შემისრულე თხოვნა... გიო, მიყვარხარ და ამ სიტყვებს შენ გიძღვნი: მუდამ ვაღმერთებ მე შენს კაცობას, ალერსმა ფიფქად გადამაქცია, ცხოვრება ისე გამილამაზე, შენზე ფიქრებმა ქალად მაქცია".

„მარი, ცუდი საქციელია, აბა, რა არის, რომ ჩემს მესიჯებს არ აქვეყნებ. მე კი ასე ვიტანჯები. გათხოვილი ვარ და ერთი ბიჭი მეფიცება, მიყვარხარო! რა ვქნა, დავუჯერო?"

„იმედა, ჩემი ცხოვრება ხარ! საქმე ისაა, რომ შენ პატიმარი ხარ და ცოდვა ჩაიდინე. მერე რა, რომ შემთხვევით?! რადგან შენზე 11 წლით უმცროსი ვარ, ტუტუც გოგოდ ნუ ჩამთვლი. მე შენთან ყოველთვის გულახდილი ვიყავი".

„მინდა, ჩემმა „მულატკამ" გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს. სახელს არ ვიტყვი, რადგან მას არ უყვარს, როცა მისი სიყვარულის ამბავს სხვებიც იგებენ. მგონი, მასაც ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ მაინც დამშორდა. მას არ უყვარს, როცა ბიჭები სიგარეტს ეწევიან. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მოწევა დავიწყე (არა მარტო სიგარეტის...). ახლა, როგორც იქნა, გადავეჩვიე და მგონი, შემირიგდება. ის ჩემგან შორს ცხოვრობს, მაგრამ ძალიან მიყვარს. ბიჭებო, მოწევა ვნებს თქვენს სიყვარულს! გიგი".

„მე ავად ვარ ლეიკემიით (ე.წ. სისხლის გათეთრება) და მიყვარს მამუკა მ-ლი. არც თვითონ არის ჩემ მიმართ გულგრილი. ცუდი საქციელი იქნება, ცოლად რომ გავყვე?.. ის ამისთვის მზად არის".

„ვიცი, რომ ერთ ბიჭს ჩემზე ჭკუა ეკეტება, მაგრამ მე მის ძმას ვხვდები. ეს ცუდი საქციელია, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. ცუდი გოგო, ქუთაისი".

„ჩემი ცუდი საქციელი ის არის, რომ 20 წლით უფროსი მამაკაცი შემიყვარდა. არც მე ვარ თინეიჯერი გოგონა. სიყვარული ცუდი არ არის, მაგრამ ცუდი ის გახლავთ, რომ ამ ადამიანს ოჯახი აქვს. თანაც, ძალიან კარგი ოჯახი... მასაც ძალიან ვუყვარვარ და ერთმანეთს სიხარულს ვჩუქნით. მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ ცუდად ვიქცევით. ეს ძალზე მაწუხებს. მერწმუნეთ, დიდი გულმოდგინებით ვცდილობ, ყველაფერ ამას წერტილი დავუსვა, მაგრამ ჯერჯერობით არ გამომდის..."

„მე და პაატას ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი. ერთი წელი, შორიდან ვუყვარდი და ეს მშვენივრად ვიცოდი. ერთი სული მქონდა, როდის გავიცნობდი. როგორც იქნა, ეს დღეც დადგა. გავიცანი და წავიდა ჩვენ შორის მესიჯობანა. ისე შემაჩვია, რომ ყოველ დილით მისი მესიჯი მაღვიძებდა, სალამოს, მის მესიჯზე ვიძინებდი, ხშირად კი, მესიჯების წერაში თავზე დაგვთენებია. არასდროს მითქვამს მისთვის, რომ მიყვარდა... სამწუხაროდ, ეს ამბავი მშობლების ყურამდე მივიდა და მათ არჩევანის წინაშე დამაყენეს: ან ჩვენ, ან — ისო. მე მშობლები ვარჩიე. პაატამ კი ჩათვალა, რომ ის სიღარიბის გამო დავიწუნე და მითხრა — ქონებას, სიყვარული სჯობსო".

„საშინელი საქციელი ჩავიდინე: ბავშვობის მეგობარს შეყვარებული წავართვი უნებლიეთ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ისინი — ორივე — ბიჭები არიან. ეს საშინელი ამბავია თავისი დასაწყისით, განვითარებითა და დასასრულით... ნია".

„გზავნილებს" სულ ვკითხულობ, მაგრამ პირველად გწერთ. წინა ნომერში პატიმარი რომ გწერდათ, სახლში მინდაო, ამ მესიჯმა ძალიან იმოქმედა ჩემზე. ცხოვრებაში პირველად ვინატრე, რომ მაღალი თანამდებობა მქონოდა, რომ „მალიშას" დავხმარებოდი. ეკა".

„ვერა და ვერ მოვიგე თაკო ქ-იას გული. ჩემი „კაქტუსი", მთლად „სტერვა" გახდა. ჩემს ნერვებზე მაგრად თამაშობს. ახლახან, საყვარელი ადამიანი გარდაეცვალა და გავიგე, დეპრესიაში ყოფილა. მე კი ვერც ვანუგეშე. ერთი თვეა, არ მინახავს და გიჟს ვგავარ. თაკო, მაპატიე, მიყვარხარ!"

„ვფიქრობ, რომელ ჩემს საქციელზე მოგწეროთ... პუდელის ლეკვი მყავდა, პელე ერქვა. ძალიან მინდოდა, რომ მეორე ასეთიც მყოლოდა. ერთ დღეს, ღია ბარში ვიჯექი. ჩემთან მოვიდა უმშვენიერესი პუდელი, ოღონდ — ქერა. ვაჭამე, მერე თან გამომყვა. აშკარად გამოქცეული იყო. მეც უცებ მომინდა, რომ ჩემი ყოფილიყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, პატრონს ეცნო და წაერთმია. ავდექი და შავად გადავლეტე. თან პელედ მოვნათლე. აი ეს იყო ჩემი ცუდი საქციელი".

„ცუდი საქციელია, აბა, რა: საკუთარი ქორწილიდან გამოვიპარე, რადგან წინადღეს გავიგე, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია... გიუნა, მაპატიე, ვერ გაგაუბედურებდი!.. ლიზი".

საჩივრის სვეტი

„ვუჩივი ჩემს ქმარს, რომელიც 10 წელია, პატიმარია და ციხეს თავი ვერ დაალწია. კობა, სასწრაფოდ გამოდი, თორემ, გიჩივლებ ტერიტორიის უკანონო მითვისებისთვის. ვინ გაგიფორმა რუსთავის ზონა?!. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ მაინც გიჩივლებ. მედეა".

„ვუჩივი ჩვენს მთავრობას, კერძოდ — სასამართლოს, არაკორექტულობის გამო. ახლა (02.12.05) ვიმყოფები საქალაქო სასამართლოში. დილის 10 საათიდან ველოდები მოსამართლის თანაშემწის გამობრძანებას. გიორგი ზვიადაძე, გეყოთ ხალხის აბუჩად აგდება! გავიყინე, ადამიანი არ ხართ?!. გაწამებული, განსასჯელის მეუღლე".

„ვუჩივი იმ კაცს, წინა „გზავნილებში" რომ წერდა, ჯარის მეზობელი შევაბიო. ვურჩევ, თავის ცოლს გულს ნუ ატკენს... მამაჩემივით არ დაგემართოს, ბიძია! ნანიკო".

„ვუჩივი ჩემს დაქალ თათიას, რომელიც თავის შეყვარებულებზე ლაპარაკით ტვინს მიბურღავს და გულს მიწყალებს. აღარ შემიძლია, მიშველეთ რამე, ხალხო!"

„ვუჩივი ჩემს ექიმს. მას გაუკვირდა, რომ ლექსებს ვწერ. თვლის, რომ გიჟი ვარ და იცით, რატომ?.. იმიტომ, რომ გვიანობამდე მღვიძავს. ის კი ამბობს, რომ 10 საათზე უნდა მეძინოს. როცა მარტო რჩები, ღამით უფრო რომანტიკული გარემო იქმნება და მუზაც მაშინ მოდის. ისე, მართლა მაგარია: მარტო ხარ, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს, შენ ცეცხლთან ხალიჩაზე ხარ წამოწოლილი და ლექსებს წერ... ამას ვერც ექიმი დამიშლის და ვერც ფსიქოლოგი. ლაშა-1".

„მარი, თუ ნამდვილად კითხულობ ამ მესიჯებს, რამით მანიშნე. ან ზარი გამოუშვი, ან 6 თეთრი გაიმეტე და მესიჯი გამომიგზავნე. ანი".

„ვუჩივი დედაჩემს, რომელსაც არ ვუყვარვარ. ის ახლა საზღვარგარეთაა. მისგან სიყვარული არასდროს მიგრძნია. ამიტომ არც მე გამოვხატავდი მის მიმართ სიყვარულს. ახლა კი საშინელ დღეში ვარ. დედის სიყვარული მჭირდება, მაგრამ... დედაჩემი 59 წლისაა. ყოველთვის მინდოდა, ახალგაზრდა, ლამაზი დედა მყოლოდა. როცა ახალგაზრდა, მოსიყვარულე დედებს ვხედავ, თვალზე ცრემლი მადგება ხოლმე. ისიც არ ვიცი, ამას რატომ გწერთ, თქვენ ხომ ვერაფერს მიშველით, მაგრამ ვინმესთვის გულის გადაშლა მინდოდა... სალი".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ — „ვის რა უნდა, თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო..." გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61, მოგვწერეთ, ანიჭებთ თუ არა გარშემო მყოფთა აზრს მნიშვნელობას თუ თქვენთვის სულერთია, ვინ რას იტყვის და მაინც იმას აკეთებთ, რაც გსურთ. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

"ვცდილობ, არ გავაკეთო რაიმე ისეთი, რასაც შესაძლოა, ვირუსის ვინმესთვის გადაცემა მოჰყვეს..."

უკურნებელი, მაგრამ უკვე არასასიკვდილო სენი

თამუნა როსტიაშვილი

„ანალიზების გაკეთების შემდეგ, ექიმმა პირდაპირ მითხრა, რომ უკურნებელი სენი მჭირდა. შიდსის შესახებ მანამდე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ამ დაავადებით ფრედი მერკური გარდაიცვალა. ეს ჩემთვის გამაოგნებელი იყო... არ მინდოდა, ანალიზის პასუხი დედისთვის მეთქვა, მაგრამ იმ დროს ჩემ გვერდით სხვა არავინ იყო და იმდენად ვიყავი აღელვებული, რომ ვერ დავუმალე“, — ამბობს სოფო და საკუთარი თავგადასავლის თხრობას იწყებს იმ მიზნით, რომ მკითხველი ამ ამბის გაცნობის შემდეგ, უფრო მეტად დაფიქრდეს იმაზე, თუ რაოდენ გამოუსწორებელი ზიანის მიყენება შეუძლია ნარკოტიკებს ადამიანისთვის. არადა, თავად სოფოს, ნარკოტიკი ერთხელაც არ გაუსინჯავს, მაგრამ ე.წ. ინიექციურმა მომხმარებელმა — მეუღლემ „ძღვენი“ სახელად შიდსი, ქორწინების პირველსავე ღამეს გადასდო...

სოფო ამჟამად, ინფექციური პათოლოგიების, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის თანამშრომელია და სხვა აივ-ინფიცირებულებთან ერთად, მკურნალობის კურსს გადის. ამბობს, რომ ცხოვრება გრძელდება და ფარხმლის დაყრას არ აპირებს. მისი უმთავრესი სურვილი, შვილის გაჩენაა და ამაზე უკვე სერიოზულადაც ფიქრობს.

— თბილისის ცენტრალურ უბანში, ერთ-ერთ მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე. პატარაობიდანვე სიცელქით გამოვირჩეოდი. გოგონებთან მეგობრობას, ბიჭებთან ფეხბურთის თამაში მერჩივნა. ზედმეტად თამამი ვიყავი და ხანდახან სითამამე თავხედობაშიც გადამდიოდა. მიუხედავად ამისა, სკოლაში ყველა საგანს ფრიადზე ვსწავლობდი და თუ რომელიმე კონკურსში მივიღებდი მონაწილეობას, ყოველთვის წარმატებას ვაღწევდი. უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტზე საკუთარი ცოდნის წყალობით ჩავირიცხე და სესიებზე გამომცდელები ნიშანს ხშირად, კოლოკვიუმების შედეგების მიხედვით მიწერდნენ. ირგვლივ გოგოებს ჩემი ძალიან შურდათ და ამიტომ მათგან მოშორებით ყოფნას ვამჯობინებდი. მეზობლად ჩემზე 5 წლით უფროსი ირაკლი ცხოვრობდა, რომელსაც, როგორც უფროსი ძმა, ისე მივიჩნევდი და თუ რაიმე პრობლემა მქონდა, რჩევას ვეკითხებოდი. ხშირად, მამაჩემს არ ვუზიარებდი ჩემს გასაჭირს და ირაკლის ვუყვებოდი... ჩემი ოჯახის წევრებიც მას ძალიან ახლობელ ადამიანად მიიჩნევდნენ. მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე, მე და ირაკლის ერთი სამეგობრო წრე გვყავდა. სწორედ მისგან გავიცანი ჯაბა — ირაკლის მამიდაშვილი. მაშინ ის ახალი ჩამოსული იყო საზღვარგარეთიდან, სადაც 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. გაცნობისთანავე შევეჩვიე, ძალიან მალე კი დავმეგობრდით კიდეც. ჯაბას, ისევე, როგორც ირაკლის, ჩემს ძმად მივიჩნევდი და თვალდახუჭული ვენდობოდი. რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჯაბას ვუყვარდი და ჩემს ცოლად შერთვას აპირებდა. ამაზე საშინელი რეაქცია მქონდა, რადგან ვერ წარმოვიდგენდი, თუ ძმადნაფიცი ამას შემომთავაზებდა. მანამდე, მას ორი ცოლი ჰყოლია... თან, ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თურმე, ჯაბა სიგიჟემდე უყვარდა ჩემს უფროს დას... მისი სურვილის შესახებ რომ გავიგე, გადავწყვიტე, მასთან ყოველგვარი კავშირი გამეწყვიტა. ვეუბნებოდი — შენი ცოლი არასოდეს გავხდები და თავი დამანებე-მეთქი. შეიძლება ითქვას, მის მიმართ ძალიან უხეში გავხდი და სულ აგდებით ველაპარაკებოდი. ამით ჩემდამი ინტერესი უფრო გაუცხოველდა. დაჟინებით ცდილობდა ჩემს შებმას. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, თუ რაოდენ საშინელი რეაქცია ჰქონდა ჩემს დას.

— ირაკლი ამ ყველაფერს შორიდან ადევნებდა თვალყურს?

— როდესაც ირაკლიმ, ჯაბას გულის წადილი გაიგო, გაბრაზდა. მაგრამ შემდეგ, მათი ინტერესების თანხვედრა მოხდა და შეთანხმდნენ, რომ თუ ირაკლი ჯაბას დაეხმარებოდა და მომიტაცებდნენ, ირაკლი სანაცვლოდ, მამიდაშვილისგან ერთ „მზეთუნახავ“ გოგოს „მიიღებდა“... ორკვირიანი პაუზის შემდეგ, ჯაბა და ირაკლი გამომეცხადდნენ და მთხოვეს, რომ საქმეზე წავყოლოდი. ირაკლის იმდენად ვენდობოდი, რომ მანქანაში ჩემი ნებით ჩავუჯექი. სწორედ აქ დავუშვი შეცდომა. ირაკლიმ და ჯაბამ მომატყუეს და ცოტა ხანში, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ამოვყავი თავი. ვუძალიანდებოდი და ვეუბნებოდი, რომ მასთან არაფრით დავრჩებოდი, რომ მეზიზღებოდა, მაგრამ ჩემს ხვეწნა-მუდარას არავინ ისმენდა. მანქანიდან ოთხმა კაცმა გადმომათრია და ამათრია ბინაში, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში, ჯაბას ჩაკეტილი ვყავდი. მიუხედავად იმისა, რომ ვუძალიანდებოდი და ვცდილობდი, არ დავნებებულიყავი, ჯაბამ საწადელს მაინც მიაღწია... ჩემს მშობლებს დაურეკეს და აცნობეს, რომ ჩემი ნებით გავყევი, რადგან ჯაბა მიყვარდა... მშობლებმა რამდენიმე დღის შემდეგ მომაკითხეს. ჯაბა და ირაკლი იმ დროს, უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანები იყვნენ. ეს კი ვიცოდი, მაგრამ ჩემ გარშემო, უბანში თითქმის ყველა ნარკომანი იყო და ეს არ მაკვირვებდა. რა ვიცოდი, რომ ამ მავნე სენს შეეძლო, ჩემთვის სიცოცხლე მოესწრაფებინა?!. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მათ, მეგობრებთან ერთად, წამალი ჩემ თვალწინ გაუკეთებიათ... მიუხედავად იმისა, რომ ჯაბა ნარკომანი იყო და თავისანი-

შიდსის ცენტრში აღრიცხვაზე აივ-ვირუსით დაინფიცირებული 22 ორსული იმყოფებოდა...

რი მეგობრები ჰყავდა, არასოდეს გამ-ჩენია სურვილი, მეც გამესინჯა ნარკო-ტიკი. ჩემი უბედურება გათხოვების პირვ-ელსავე დღიდან დაიწყო. გარდა იმისა, რომ ჯაბა ქრონიკული ნარკომანი იყო, როგორც აღმოჩნდა, პათოლოგიური სიმთვრალეც ჰქონია. რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ ერთად და თითქმის ყოველ-დღე მცემდა. მიმეორებდა — ხომ გეუბ-ნებოდი, ჩემი ცოლი გახდები, რატომ არ მიჯერებდიო?!. სულ დალურჯებუ-ლი დავდიოდი. ძალიან კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწეოდი და საზოგადოე-ბასთან კონტაქტი თითქმის არ მქონდა.

— ამ ყველაფერს მშობლებს უმალავდი?

— ვუმალავდი, რადგან მეშინოდა. ვშიშობდი, რომ ის ჩემს ძმებს გააუბე-დურებდა. მემუქრებოდა — კრინ-ტი არავისთან დაძრა, თორემ მთელ შენს ოჯახს გავაუბედურებო!.. შე საცოდავო, ჯერ კიდევ არ იცი, რა ცხოვრება მოგელისო... მოკ-ლედ, რამდენიმეთვიანი თანაცხ-ოვრების შემდეგ, ადამიანს აღარ ვგავდი. მასთან გატარებული ყოვე-ლი დღე ჯოჯოხეთს ჰგავდა.

— როგორ გაიგე, რომ ინფიცირებული იყავი?

— ჯაბა ხშირად მიმეორებდა, რომ მალე მოვკვდებოდი. ერთხ-ელაც, წამოსცდა, რომ უკურნებე-ლი სენი გადმომდო. ვიფიქრე, რომ

რაღაცას როშავდა, მაგრამ პირგკიანებით, ეჭვი შემეპარა, რადგან ბოლო პერიოდ-ში, ამას ხშირ-ხშირად მიმეორებდა. გინეკოლოგიურ კაბინეტში ჩემი ახლო-ბელი მუშაობს და გადავწყვიტე, ანალი-ზები გამეკეთებინა. პირველ ჯერზევე დადგინდა, რომ ინფიცირებული ვიყავი, მაგრამ ჩემს ახლობელს იმედი ჰქონდა, რომ რაღაც შეცდომა მოხდა და ანალ-იზების მეორედ ჩატარება მირჩია. მაშინ უკვე საბოლოოდ დადასტურდა, რომ შიდსით ვიყავი დასნებოვნებული... ეს ჩემთვის გამაოგნებელი იყო. არ მინდო-და, ანალიზის პასუხი დედისთვის მეთქ-ვა, მაგრამ იმ დროს ჩემ გვერდით სხვა არავინ იყო და იმდენად ვიყავი აღელვე-ბული, რომ ვერ დავუმალე. მამაჩემმა დღესაც არ იცის, რომ უკურნებელი სენით ვარ დაავადებული. გულით ავადმყოფი კაცია და ამის შესახებ რომ გაიგოს, გული გაუსკდება.

— ჯაბას თავი როგორ დააღ-წიე?

— ჯაბა მიხვდა, რომ დაავადების შესახებ ყველაფერი გარკვეული მქონდა და სახლიდან წავიდა. იმ პერიოდში, ჩემი მშობლების სახლში ვცხოვრობდი. მიუხედავად იმისა, რომ შეძლებული ოჯახის შვილია, ჯაბა მესამე ცოლთან ერთად სახლში არ შეუშვეს — არ სურდათ, რძლად ღარიბი ოჯახის შვილი ჰყოლოდათ... ამის შემდეგ, ურთიერ-თობა ირაკლისთანაც გავწყვიტე. ისევე, როგორც ჯაბა, ირაკლიც შემზიზღდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, ჯაბას მეორე ცოლი, რომელიც საზღვარგარეთ ჰყავს მიტოვებული, აგრეთვე ინფიცირ-ებულია. ჯაბამ იცოდა, რომ შიდსი სჭირდა. მისი მიზანი იყო, გავეუბედურე-ბინე, რასაც მიაღწია კიდეც...

— თუ მან იცოდა, რომ უკუ-რნებელი სენი სჭირდა და ცოლად შეგნებულად მოგიყვანა, გამოდის, რომ ბოროტმოქმედია.

— როცა გავიგე, თუ რა მჭირდა, ცხოვრება აღარ მინდოდა. მთელი დღეე-ბი, საძილე წამლების დახმარებით, გაბრუებული ვიყავი. სახე იმდენად მქონ-და დასივებული, რომ ადამიანს თითქ-მის აღარ ვგავდი. ისიც კი გადავწყვიტე, რომ ვენები გადამეჭრა, მაგრამ ამით ისევ ჩემს ახლობლებს გავაუბედურებდი... თან-დათან, ოჯახის წევრებისა და მეგობრე-ბის დახმარებით, ცხოვრების ხალისი დამიბრუნდა და გადავწყვიტე, ჯაბა დამე-საჯა: რაიონულ სასამართლოში სარჩე-ლი შევიტანე. ჯაბას მამამ, რომელიც კანონიერი ქურდია, მოსამართლე მოისყ-იდა და 4 ათასი დოლარის სანაცვლოდ, მის შვილს მხოლოდ ერთწლიანი პატიმ-რობა მიუსაჯეს, შემდეგ კი, მამიკოს ფულების წყალობით, დროზე ადრეც გაათავისუფლეს. რომ დავინახე, ფულის გამო, თავად სამართალდამცველები არ-ღვევდნენ კანონს, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის გაგრძელების სურვილი მქონ-და, იურისტობაზე ხელი ავიღე... ჯაბა დიდი ხანია, რაც არ მინახავს და როგორც მეუბნებიან, ძალზე ცუდად არის. გავიცანი ქალი, რომელიც მან ცოტა ხნის წინ ასევე დაასნებოვნა. ვიცი, რომ არც თავისი მამიდაშვილი დაინდო: ირაკ-ლის არაერთხელ უსარგებლია ჯაბას მიერ ნახმარი შპრიცით... ჯაბა შეგუე-ბულია იმ ფაქტს, რომ უკურნებელი სენ-ითაა დაავადებული. მკურნალობაზე კატ-ეგორიულ უარს აცხადებს და ამბობს, რომ ღირსია, მოკვდეს... საკუთარ შეც-დომებს ძალზე ნანობს, მაგრამ სამწუხ-აროდ, ეს სინანული გვიანია... გათხოვე-ბამდე, ნარკომანებისადმი ძალზე ლოიალური ვიყავი. ახლა რომ გავიგო, ჩემმა ძმამ ერთხელ მაინც გაიკეთა ნარკო-ტიკი, ვამჯობინებ, რომ მოკვდეს. ყველა ნარკომანი მეზიზღება: სწორედ ნარკო-მანის „დამსახურებაა“, რომ დღეს, როდე-საც სიცოცხლის წყურვილი მაქვს, უკუ-რნებელი სენით ვარ შეპყრობილი...

— ახლა რას საქმი-ანობ?

— შიდსის ცენტრში ვმუშაობ, კონსულტაციებს ვუ-ტარებ ინფიცირებულებს. ყოველდღიურად, 6 დასახელებ-ის წამალს ვსვამ და თავს მშ-ვენივრად ვგრძნობ. არანაირი სისუსტე და ტკივილი არ მაწუხ-ებს. ცხოვრების ხალისი დამი-ბრუნდა. ჩემ გვერდით არის ად-ამიანი, რომელსაც ისეთი ვუყ-ვარვარ, როგორიც ვარ. ჩემი პრობლემის შესახებ მას ურთ-იერთობის დასაწყისშივე ვუთხ-არი. ვფიქრობდი, რომ ამის შემდეგ, ჩემს გულისტკივილს მთელ ქვეყ-ანას მოსდებდა და ზურგს შემაქცევდა, მაგრამ ის ძალზე კეთილი და სულგრძე-ლი ადამიანი აღმოჩნდა. ძალიან გვიყ-ვარს ერთმანეთი. სურვილი გვაქვს, შევქმ-ნათ ოჯახი და შვილიც გავაჩინოთ. მისი ოჯახის წევრებს კარგად ვიცნობ. ინ-ფიცირებული რომ ვარ, არ იციან... ოჯახი და მეგობრები ძალიან მეხმარებიან. სახ-ლში არაფერს ვაკეთებ. ბასრი იარაღის დანახვაზე, მყისვე ჩემი ავადმყოფობა მახ-სენდება. თავს ძალზე ვუფრთხილდები, რომ ხელი არ გამეჭრას ან რაიმე ისეთი არ გავაკეთო, რასაც შესაძლოა, ვირუ-სის ვინმესთვის გადადება მოჰყვეს.

— რამდენად რელიგიური ხარ?

— ვცდილობ, ქრისტიანული წესები მაქსიმალურად დავიცვა. მყავს მოძღ-ვარი, რომელმაც ჩემი ცხოვრების შესახებ ყველაფერი იცის. ძალიან მეხმარება იმა-ში, რომ ამ დიდ პრობლემას გა-ვუმკლავდე. დიდი სურვილი მაქვს, გარკვეული დროით მონასტერში წავ-იდე. გაზაფხულზე, ორ კვირას მაინც ვიცხოვრებ მონასტერში. მსურს, მონაზ-ვნების ცხოვრებას გავეცნო და ყოველდ-ღიურ პრობლემებს გარკვეული პერი-ოდით მოვწყდე.

— გრძნობ თუ არა სტიგმას, რომელიც საზოგადოებაში შიდსით დაავადებულების მიმართ არსებობს?

— ის ადამიანები, რომლებიც გათხ-ოვებამდე, ჩემ გვერდით იყვნენ, დღესაც

არიან. ხანდახან, მათი ზედმეტი ყურადღება მაღიზიანებს. ერთ-ერთმა ნაცნობმა, რომელმაც ჩემი პრობლემის შესახებ არ იცის, მითხრა — რომ გავიგო, ჩემს ნაცნობს შიდსი სჭირს, სახლში არ შემოვუშვებო... გული მეტკინა, რადგან საზოგადოების ნაწილში არ არსებობს შესაბამისი განათლება და ბევრმა არ იცის, რომ სახლში შეშვებით, საუბრით ან თუნდაც, ჩვეულებრივი ურთიერთობით ეს დაავადება არ გადადის. ამდენად, ვფიქრობ, რომ მოსახლეობა მეტად უნდა იყოს ინფორმირებული ამ სენის შესახებ.

რა ვუყოთ შიდსთან ასოცირებულ სტიგმას? ალბათ, მართლაც, მეტ ინფორმაციას უნდა ვფლობდეთ ამ დაავადების შესახებ — მაშინ უფრო შემწყნარებლები გავხდებით იმ ადამიანების მიმართ, ვინც საკუთარი თუ სხვისი გაუფრთხილებლობის გამო დაინფიცირდა.

გასულ კვირას, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა. აივ-ით (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი) ინფიცირების პირველი შემთხვევა ჩვენში 1989 წელს დაფიქსირდა. სადღეისოდ, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში, აივ-ვირუსით დაინფიცირების 847 შემთხვევაა რეგისტრირებული: 674 მამაკაცი და 173 ქალი, მათ შორის, 3 ორსულია.

ძეთი სტვილია, *ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის პროფილაქტიკური განყოფილების ხელმძღვანელი:*

— ბოლო წლებში, აივ-ვირუსით დაინფიცირებულ ადამიანთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ შარშან, წლის ბოლოსთვის, ცენტრში 135 პაციენტი იყო რეგისტრირებული, წლეულს მათი რაოდენობა 209-ს აჭარბებს. მედიცინის განვითარების წყალობით, ეს დაავადება სასიკვდილო აღარ არის. ავადმყოფის გამოჯანმრთელება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ მისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება შესაძლებელია.

— იქნებ, კიდევ ერთხელ, კონკრეტულად ჩამოვთვალოთ დაავადების გადადების გზები.

— ადამიანს იმუნოდეფიციტის ვირუსი გადაეცემა: სქესობრივი გზით, ინფიცირებულის სისხლის ან სისხლის კომპონენტების გადასხმით, ვირუსით დაბინძურებული შპრიცით ან ნემსით და ინფიცირებული დედიდან — შვილს, მუცლადყოფნის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს. გავრცელებული მითები, თითქოს დაავადების გავრცელების სხვა წყაროებიც არსებობს, დაუზუსტებელია. დამტკიცებულია მხოლოდ ის ვერსიები, რომლებიც ჩამოვთვალე. საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულ აივ-ინფიცირების მსხვერპლთა 70% ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებელია, 28%-ს კი ვირუსი სქესობრივი გზით გადაეცა.

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულ აივ-ინფიცირების მსხვერპლთა 70% ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებელია, 28%-ს კი ვირუსი სქესობრივი გზით გადაეცა

— რამდენად დიდია შანსი, რომ ინფიცირებულ ორსულს ჯანმრთელი შვილი შეეძინოს?

— საქართველოშიც აღინიშნა შემთხვევები, როდესაც ინფიცირებულ მშობლებს ჯანმრთელი შვილი შეეძინათ. ბოლო წლების განმავლობაში, შიდსის ცენტრში აღრიცხვაზე აივ-ვირუსით დაინფიცირებული 22 ორსული იმყოფებოდა. მათგან 3-ს ჩვილი გარდაეცვალა. დაავადება სიცოცხლისთვის გაცილებით სახიფათოა ბავშვებში, რადგან ვირუსთან საბრძოლველად, მათი იმუნიტეტი იმდენად სუსტია, რომ არ შესწევს ძალა, შეეწინააღმდეგოს ამ სენის განვითარებას. სადღეისოდ, შიდსის ვირუსით 5 ბავშვია დასნებოვნებული. მათ ინტენსიური მკურნალობა უტარდებათ.

— ძირითადი გავრცელების წყარო, ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებლები არიან. რა მდგომარეობაა აივ-ინფექციის გავრცელების მხრივ პენიტენციარულ სისტემაში?

— პენიტენციარულ სისტემაში საკმაოდ დიდია აივ-ინფექციების გავრცელების საფრთხე. ცნობილია, რომ სადღეისოდ, ციხეებში მრავლადაა ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი. ჩაკეტილ სივრცეში ნარკოტიკის რამდენიმე მომხმარებელი საზიარო შპრიცით სარგებლობს. ამდენად, დაავადების გავრცელების საშიშროება დიდია. ვერ ვიტყვი, რომ ციხეებში შიდსის ეპიდემიის პრობლემა დგას, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა დავაფიქსირეთ. ავადმყოფები მკურნალობის კურსს გადიან.

— აივ-ვირუსზე თითოეული პატიმარი შეამოწმეთ?

— ადამიანი აივ-ვირუსზე ანალიზებს ნებაყოფლობით იტარებს. პატიმრების გამოკვლევა სწორედ სურვილის მიხედვით მოხდა. ციხის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ანალიზები გარკვეულ ნაწილს (ვისაც სურვილი ჰქონდა) ჩაუტარდა. აღსანიშნავია, რომ პატიმრებს უფრო მეტად აქვთ სურვილი, შიდსზე გამოკვლევები ჩაიტარონ, ვიდრე რიგით მოქალაქეებს. ამჟამად, შიდსის ცენტრში აღრიცხვაზე 20-მდე პატიმარი იმყოფება. ისინი ყოველგვარი იზოლაციის გარეშე ცხოვრობენ. უკიდურეს შემთხვევაში, მათი ჰოსპიტალიზაცია ციხის საავადმყოფოში ან შიდსის ცენტრში ხდება. სამომავლოდ ვგეგმავთ, რომ განვახორციელოთ ზიანის შემცირების პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ციხეში ინტრავენურ ნარკომანებს ეტაპობრივად, ერთჯერად შპრიცებს მივაწვდით. გავმართავთ აგრეთვე საგანმანათლებლო, საინფორმაციო საუბრებს და ინდივიდუალურ კონსულტაციებს.

— დამეთანხმებით, შიდსის ვირუსის მაღალი რისკის ჯგუფს მეძავები მიეკუთვნებიან. თუ ხდება მათი გამოკვლევა და რამდენად მრავლადაა ინფიცირებული მეძავის გამოვლენის შემთხვევა?

— მართლაც, მეძავები მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან. ხშირად, ისინი ინტრავენური ნარკომანებიც არიან. არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“ მეძავებში ეტაპობრივად ახორციელებს გამოკვლევას. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ინფიცირებული მეძავები გამოვლენილან. ისინი შიდსის ცენტრში აღრიცხვაზე არიან აყვანილი და მკურნალობის კურსს გადიან. ჩვენ არ გვაქვს უფლება, მათი ცხოვრება გავაკონტროლოთ, თვალყური ვადევნოთ, თუ რას აკეთებენ შიდსის ცენტრიდან გასვლის შემდეგ. ამიტომ მოსახლეობას მინდა ვურჩიო, შემთხვევით სქესობრივ კავშირებს მოერიდონ.

— როგორც ვიცით, აივ-ინფიცირებულთა მკურნალობა „გლობალ ფონდის“ დაფინანსებით ხდება. ეს პროგრამა მხოლოდ ამბულატორიულ მკურნალობას ითვალისწინებს თუ სტაციონარულსაც?

— ტუბერკულოზთან, მალარიასა და შიდსთან ბრძოლის ხარჯებს მთლიანად „გლობალ ფონდი“ ფარავს. იგულისხმება, როგორც ამბულატორიული, აგრეთვე, სტაციონარული მკურნალობა. აივ-ინფიცირებულ ადამიანს გარკვეული წლების განმავლობაში ვირუსი არ აწუხებს და შესაბამისად, აქტიური მკურნალობა არ სჭირდება. როდესაც ვირუსი ძლიერდება, მედიკამენტოზურ მკურნალობას იწყებენ. პაციენტებს ძირითადად, ამბულატორიული მკურნალობა ესაჭიროებათ. არსებობს სამი სტაციონარი, სადაც შიდსით დაავადებული, მძიმე პაციენტები მკურნალობენ. „გლობალ ფონდის“ დახმარებით, შიდსთან ბრძოლის ცენტრებს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ჩამოვაყალიბებთ, რადგან ამის მოთხოვნილება არსებობს. სამწუხაროდ, აივ-ინფიცირებული, როგორც თბილისში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშიც მრავლადაა... ■

მოცვლებული სვანი

ინგა ჯაყელი

დაქალებს ტრადიციად გვაქვს ქცეული, დაძაბული სამუშაო წლის ბოლოს ერთად ვიღებთ შვებულებას და საქართველოს იმ კუთხეში მივდივართ დასასვენებლად, რომელიც ყველაზე მეტად მოგვენატრება ხოლმე. სულ ხუთნი ვიყავით, ხუთივენი გაუთხოვრები, მაგრამ — აქედან ოთხი ვართ მხოლოდ — „ფესვგადგმული“ შინაბერები, მეხუთე — თიკა, სამჯერ იყო გათხოვილი და არც ერთი ქმარი წელიწადზე მეტხანს არ გაიჩერა — პირველს ხელმოკლეობა არ აპატია, მეორეს — სიზარმაცე და მესამეს — ეჭვიანობა, მაგრამ სასურველი „უფლისწულის“ პოვნის იმედი მაინც ყველაზე მეტად შეინარჩუნა იმ მოტივით — ერთხელ ჭირს გათხოვება, თორემ, მერე და მერე, იოლდებაო! — და იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ იდეალური კაცი არ არსებობს, თითო ნაკლი მაინც ყველას მოეძებნება და ყველაფრის დათმობა შეიძლება, თუ გარეგნულად მაინც იქნება ვაჟკაცურიო...

ამ სამი წლის წინ, სვანეთის „დალაშქვრა“ გადავწყვიტეთ, ავავსეთ ზურგჩანთები აუცილებელი ნივთებით და ჩავლაგდით თიკას ახალ „ნივაში“, თავის ეჭვიან ქმარს რომ წაართვა წილში...

მერე კი, მართლა ზღაპარს დაემსგავსა ჩვენი მოგზაურობა: ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, ცხრა და ბევრად მეტი მთაც გადავიარეთ და სვანეთსაც მივადექით. ერთ-ერთი სოფლის განაპირას, მოთიბული ველი ვნახეთ თივის ზვინებით და კარავიც გავშალეთ. საღამოს კოცონიც დავაგიზგიზეთ, როცა მართლაც მთასავით სვანი დაგვადგა თავზე, ქერათმიანი და ისეთი ცისფერი თვალებით, უძირო ზღვად მოგვეჩვენა მათი თავბრუდამხვევი მორევი...

მოგვესალმა და იქვე გვისაყვედურა:

— რომელ ჭკუათმყოფელს მოგაფიქრდათ აქ ცეცხლის დანთება, ნაპერწკალი რომ მოხვდეს თივას, ხომ მაშინვე აბრიალდა და სოფელიც თუ არ გადაწვა, პირუტყვი ნამდვილად მშიერი გაწყდება ზამთარში!..

იარაღი — ძველებური თოფი, მოიხსნა და გვერდზე მიდო, ცეცხლს გული გამოაცალა, მერე, დათვის ტორებივით ძლიერი ფეხებით შედგა და ჩააქრო...

— ყავისთვის წყალი როგორ ავადუღოთ? — დავინუწუნე.

— აქ რა გინდათ, ჩემთან წამოდით, შინ მე და დედაჩემი ვართ მარტო, ყავისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სასმელ-საჭმელს ნამდვილად არ მოგაკლებთ, თან, კარავში მგელი და დათვი თუ არ შემოგივარდათ, გველი და ხვლიკი მაინც გესტუმრებათ!..

...გველის ხსენებაზე ყველას ერთად შეგვამცივნა და მაშინვე დავთანხმდით სტუმრობაზე ცისფერთვალება გოლიათს, უკან ცხვრებივით ავედევნეთ და თან ვებოდიშებოდით, შეწუხებისთვის, მასპინძლობისთვის თანხას ვთავაზობდით, რაზეც მოკლედ მოგვიჭრა: ქალაქში კი არა ხართო!..

ეზოში ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი გამოგვეგება და მოგვესამლა, მერე შვილს რაღაც უთხრა სვანურად და გაიღიმა. გოლიათი ალალად მოგვიბრუნდა:

— დედაჩემი სულ ცოლის მოყვანას მეხვეწება და ახლა ის მითხრა: ჯერ ერთი არ მაღირსე და ახლა ხუთი ერთად მოიყვანეო?!.

— უცოლო ბრძანდებით?! — ისე თაფლად დაიღვარა თიკა, ნინომ მაშინვე უჩქმიტა — შენებურად არ დაიწყოო!..

თიკამ დაგვიმარტოხელა თუ არა, უტიფრად გამოგვიცხადა: — გათხოვება ისეთი რამეა, მეგობრობა ამ დროს უკანა პლანზე გადადის, ეს ბიჭი ჩემთვის მინდა და ტყუილად ნუ შემებრძოლებითო!..

ამაოდ ვუჩიჩინეთ, რომ სვანები სამჯერ განათხოვარს კი არა, კაცთან თამამად მოლაპარაკე ქალს არ უშვებენ სახლშიო, მაგრამ არც მოგვისმინა: არც მინდა მაგის სახლში შესვლა, აქ რა გამაჩერებს, იქით წავიყვან ქალაქშიო! — ჰოდა, დროც არ დაკარგა, ცეცხლივით დატრიალდა და ხუთივეს საკეთებელი გააკეთა, „სადედამთილოს“ საქმეს ხელიდან სტაცებდა და ქალიც „ააკვნესა“: „ე-ეჰ, არ გვიკადრებ, თორემ სწორედ შენისთანა გოგო სჭირდებაო ჩემს შვილს...

თავის ცხოვრებაში უწელო შარვლებისა და მოკლე ტოპების მეტი რომ არაფერი სცმია, რომელიც ყოველთვის ასკდებოდა ჯიშიან მკერდზე, კოჭებამდე კაბა ჩაიცვა და ყელამდე შეკრული სპორტული მოსაცმელიც არ დავიწყნია... მერე კი, გიტარა რომ მოიმარჯვა და თაფლად დაიღვარა მისი ხმა, აშკარად ჩრდილში მოგვაქცია ყველა, გოლიათის ცისფერ თვალებში კი აღარავისთვის დატოვა ადგილი. მაგრამ რად გინდა, დღეები გადიოდა, ჩვენი შვებულება დასასრულს უახლოვდებოდა, კაცი ხმას არ იღებდა და გადაირია თიკა — წყალში მეყრება შრომაო!.. იმ დილით თავის ტკივილი მოიმიზეზა და თავისი „ნივით“ აფთიაქისკენ გაინავარდა, მეგზურად ჩვენი მასპინძელი გაიყოლა და... დაიკარგნენ, არც დღე გამოჩნდნენ და არც ღამით, ჩვენ ხომ შიშით გადავირიეთ და ბიჭის დედა დასაბმელი გახდა: ქალს საჭესთან რა უნდა, ალბათ სადმე გადაცვივდნენო!..

ალიონზე შეყარა ბიჭები და დაკარგულების საძებნელად გაემართნენ — ზოგი ცხენით და ზოგიც ფეხით... ერთ საათში მობრუნდა ორი ამბის მომტანად და დარცხვენილებმა ძლივს მოაბეს სათქმელს თავი: ვნახეთ, ცოცხლები არიან, მაგრამ... ბესო (ცისფერთვალება გოლიათი!) კოშკში ჩაიკეტა და არ გამოდის გარეთ, თავის მოკვლით იმუქრება, ქალი კიდევ ტირის და ხმას არ იღებს, სიმართლეს არ ამბობს, მაგრამ... რაღაც უნდა იყოს მაგათ შორის მომხდარიო...

გავიქეცით ყველანი შემთხვევის ადგილზე. ბევრი ხვეწნის შემდეგ, ბესომ ორი მეგობარი შეუშვა და იმათ გამოუტყდა: სტუმარი მენდო, მე კი დავთვერი, გონი დავკარგე და უკადრებელი ვაკადრე, სანამ დამიჭერდნენ, თავს მოვიკლავ, თავად გამოვუტანან საკუთარ თავს განაჩენსო!..

...როგორც გითხარით, მას შემდეგ, სამი წელი გავიდა და ბესოს დღემდე სჯერა, რომ თიკას „უკადრებელი“ აკადრა, არადა, როცა ბევრი ხვეწნის შემდეგ თავის მოკვლა გადავაფიქრებინეთ ალალ სვანს და იმავე საღამოს სახელდახელო ქორწილიც გავმართეთ, თიკა გამოგვიტყდა — აფთიაქში ძილის წამალი ვიყიდე, მერე სასმელში შევურიე, ხელად გაითიშა, ძლივს გავხადე მანქანაში, საკინძე ჩემი ხელით შემოვიხიეო!..

მოკლედ, გაუმართლა და „დაითრია“ სასურველი კაცი, ახლა უკვე ორი წლის ვაჟკაციც ჰყავთ, ჩვენ კი ისევ გაუთხოვრები ვართ და ოთხნი დავდივართ ლაშქრობებში...

თიკამ კი იმის შიშით, მისი ალალი ქმრისთვის არავის წამოეძახებინა მისი სამჯერ განათხოვრობა, საცხოვრებელიც შეიცვალა და დედაქალქის ბრწყინვალება ზღვისპირა პატარა ქალაქის მყუდროებაზე გაცვალა... ■

ემა ტუხიაშვილი

როდესაც პოლიტიკიდან კვლავ ჟურნალისტურ საქმიანობას უბრუნდები, გაცილებით იოლია განსაზღვრო ამ ორი „პარტნიორის“ თამაშის წესები, მათი ურთიერთდამოკიდებულება და შენი თავისუფლების ხარისხი. ასეთ ადამიანთა რიგს, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი თარგამაძე მიეკუთვნება.

აგრესიული სელისუფლება, მეთვალყურე ძალები და სიზოგადოება

ანუ „მედიის „მოქრთამვის“ ყველაზე ყეთილშობილური ხერხი...“

— გიორგი, როგორ გგონიათ — ჟურნალისტის თვალით დანახული სამყარო უფრო საინტერესოა თუ პოლიტიკოსის?

— ჟურნალისტი, განსაკუთრებით კი ტელეჟურნალისტი, სამყაროს, კამერის ობიექტივით უცქერს და ამჩნევს იმას, რაც შესაძლოა, საინტერესო იყოს მაყურებლისთვის. პოლიტიკოსი კი თითოეულ მოვლენაში ეძებს თავისი ამომრჩევლისთვის დაინტერესების საბაბს. ამდენად, მგონია, რომ ძალზე დიდი განსხვავება არ არის ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის მოტივაციებს შორის. რაც შეეხება ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს, ალბათ, ვისთვისაც რა პროფესია უფრო საინტერესოა, იმას ირჩევს და ამის შესაბამისად აღიქვამს სამყაროს. მე ჟურნალისტი ვარ და ჩემი პროფესიის პრინციპებიდან გამომდინარე მაინტერესებს, პოლიტიკური თუ აპოლიტიკური სამყაროს ცქერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკაში ვიქნებოდი.

— ეი. დღესდღეობით საკუთარ თავს ვერც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში ვერ ხედავთ?

— სიმართლე გითხრათ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის არანაირი სურვილი არ მაქვს, რადგან თუნდაც გარკვეული ვარაუდების გამოთქმა ამ თემაზე, მოითხოვს დაფიქრებას... მე დღეს ვარ დამკვირვებლის როლში, ეს არის ჩემი საზოგადოებრივი და პროფესიონალური ფუნქცია — ვიყო ჟურნალისტი და ვაკვირდებოდე ქვეყანაში მიმდინარე, მათ შორის, პოლიტიკურ მოვლენებს. ამიტომ ნებისმიერი კერძო სიმპათიის გამოხატვა, თუნდაც მინიშნების დონეზე, ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა.

— იქნებ, ზოგადად მიპასუხოთ — ხედავთ საკუთარ თავს პოლიტიკაში თუ არა?

— არც ამას გეტყვით, რადგან იდეალური პოლიტიკური სპექტრი არც საქართველოში და არც რომელიმე სხვა ქვეყანაში არასოდეს იქნება. არსებობენ პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები, რომლებიც იმსახურებენ ჩემს სიმპათიას და ისეთებიც, ვინც იდეოლოგიური თუ პირადი მოსაზრებების გამო, ჩემს კეთილგანწყობას არ იმსახურებენ. მაგრამ თითქმის ყველა მსხვილ პოლიტიკურ მოძრაობაში არსებობენ ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, ვის მიმართაც პატივისცემით ვარ განწყობილი.

— თქვენ პოლიტიკურ საქმიანობას თითქმის 4 წელი მიუძღვენით, ამის შემდეგ, ხომ არ გაგიჭირდათ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში ადგილის დამკვიდრება?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის ძალზე რთული იყო, მაგრამ მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გათვალისწინებით (მხედველობაში მაქვს სპეციფიკური ორგანოდან — ანუ პარლამენტიდან ჟურნალისტიკაში დაბრუნების თავისებურება, რაც ადვილი ნამდვილად არ არის), სერიოზული მონდომება და ძალისხმევა დამჭირდა. გარდა ამისა, ადაპტირება აუცილებლობას წარმოადგენდა მხოლოდ იმის გამო, რომ თავად ტელევიზია იმდენად დინამიკურად და სწრაფად განვითარებადი სფეროა, რომ რამდენიმეკვირიანი ჩავარდნაც კი მკვეთრად აისახება ჟურნალისტის პროფესიონალიზმზე. ამიტომ მართლაც, დამჭირდა რამდენიმე თვე იმისათვის, რომ ფეხი ამეწყო ტექნოლოგიური სიახლეებისთვის, რომლებიც თანამედროვე ჟურნალისტიკაში არსებობს.

— ახლა, როგორც ჟურნალისტი, პოლიტიკური თამაშის წესებშიც ამჩნევთ ცვლილებებს?

— პოლიტიკური თამაშის წესები ყველგან ერთნაირია. ვერ გეტყვით, რომ ამ თვალსაზრისით, ბოლო დროს ისეთი რადიკალური ცვლილებები მოხდა, რომლებსაც არ ველოდი. მაგრამ რაღაც მაინც შეიცვალა, მით უმეტეს, რომ ჩემი პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ, მოხდა სახელისუფლებო ცვლილება, რომელიც მთლად ევოლუციური ფორმით არ განხორციელებულა. ამის პირველი შედეგი იყო მმართველი პოლიტიკური ელიტის შეცვლა. თუმცა, ამ თემაზეც არსებობს ბევრი კითხვა: ზოგი მიიჩნევს, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტა ქვეყანაში არ შეცვლილა — უბრალოდ, მოვიდა სხვა ლიდერი, თორემ, არსებული სახელისუფლებო ჯგუფი წლების განმავლობაში, ისედაც მართავდა სახელმწიფოს. მე ვფიქრობ, ეს მოსაზრება არც ბრალდებაა ვინმეს მისამართით გამოთქმული და არც უპირატესობა. ეს არის უბრალოდ ფაქტი, რომელსაც აღნიშვნა სჭირდება. ამდენად, ჩემთვის დიდად მოულოდნელი შედეგები, პოლიტიკური თამაშის წესების ცვლილების თვალსაზრისით, ზემოთ თქმულ მოვლენებს არ მოჰყოლია. მეც და თქვენც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები ვართ, ხოლო სისტემაში, სადაც შეიძლება იგრძნობოდეს მკვეთრი ცენტრალიზაციისა და ვერტიკალიზაციის პროცესი, თავისუფალი პროფესიის ადამიანები, თავს მაინცდამაინც კომფორტულად ვერ გრძნობენ. ხაზს ვუსვამ არა კონკრეტული ადამიანების კომფორტულ განწყობილებას რომელიმე პროფესიაში, არამედ მთლიანად პროფესიის „კომფორტულობას“. ამდენად ვინ, თუ არა პირველ რიგში ჩვენ, ჟურნალისტები (ვინც თავისუფალ პროფესიათა რიგს მივაკუთვნებთ თავს) ვართ დაინტერესებული იმაში, რომ ქვეყანაში დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესი მიმდინარეობდეს სწრაფად და რაც მთავარია, ეს პროცესი იყოს შეუქცევადი.

— რას იტყვით მასმედიის თავისუფლების ხარისხზე ვარდების რევოლუციამდე და მას შემდეგ?

— იმის მიუხედავად, რომ ძველი ხელისუფლების დროს, არსებობდა რამდენიმე პრეცედენტი, ჟურნალისტური ნამუშევრების მიმართ, ასე ვთქვათ, სამართლებრივად კრიტიკული დამოკიდებულებისა (როდესაც სასამართლოებში მოხდა ამ საქმეების გარჩევა), სიტყვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე საუბარი, მაინც არაობიექტური იქნებოდა: ყველა ამბობდა იმას, რისი თქმაც სურდა, ხოლო რამდენად კომპეტენტურად და დასაბუთებულად, ეს უკვე სხვა განსჯის საკითხია. მაგრამ მაშინდელი დროის უბედურება ის იყო, რომ ყველა მიეჩვია ნებისმიერი ბრალდების გამოთქმას, რეაგირების გარეშე. თავისუფალ და კრიტიკულ სიტყვას სწორედ მაშინ აქვს აზრი, როდესაც მასზე რეაგირება ხდება. მართალია, აღნიშნულზე არ რეაგირებდა ხელისუფლება, ოფიციალური სტრუქტურები, მაგრამ თავისუფლად გამოხატული აზრი აირეკლებოდა საზოგადოებრივ განწყობილებაზე და ამან მოიტანა სწორედ ის შედეგი, რომელიც ე.წ. რევოლუციის დღეებში მივიღეთ.

მე ყოველთვის ზომიერების მომხრე ვარ. მიმაჩნია, რომ მედიისა და სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები არ უნდა გამოირჩეოდნენ, განსაკუთრებული სიახლოვით, თუმცა, არც ურთიერთდაპირისპირება ვარგა...

რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფის მიერ სწორად ორგანიზებულ პოლიტიკურ აქტივობას დახვდა მომზადებული ნიადაგი, საზოგადოებრივი განწყობილების სახით. ალბათ, თქვენც და იმ პოლიტიკური პარტიების მესვეურებიც დამეთანხმებიან, რომ მხოლოდ მათი ორგანიზაციული რესურსით რევოლუციის მოხდენა ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა.

— ახლა რა ხდება?

— ახლა ხდება ის, რომ ისევე, როგორც ჟურნალისტიკა, ბევრი სხვა სფერო ცდილობს, ახალ ვითარებასთან ადაპტირებას. მაგალითად, ახალ გარემოსთან შეგუება უხდებათ პოლიციელებს, სავაჭრო ობიექტების მეპატრონეებს, ვინც იძულებულია, შეეგუოს ახალ საგადასახდო კოდექსს და ფინანსურ ორგანოებს, რომლებიც მოქმედების მკვერთი ფორმებით გამოირჩევიან. დღევანდელი ხელისუფლება, წინა ხელისუფლებასთან შედარებით, გაცილებით ენერგიულია, დინამიკურია თავის მოქმედებაში, გაცილებით პრეტენზიული და აგრესიულიც. როდესაც მასმედიასთან მის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი ხელისუფლების დიდი ნაწილი, თავად არის მოსული ან არასამთავრობო სექტორიდან, ან მედიიდან. ამდენად, მათ კარგად იციან ის ტექნოლოგიები, განწყობილება, პროფესიონალიზმის დონე, რომელიც იყო და არის ამ სფეროში, ამიტომ მათ უფრო დამაჯერებლად და არგუმენტირებულად შეუძლიათ მედიის წარმომადგენლებთან კამათი, ვიდრე მათ წინამორბედებს. თავისუფალი მედია და ხელისუფლება, დემოკრატიული სისტემის დანაწილების ფუნქციებიდან გამომდინარე, ერთმანეთის კონკურენტები ვართ. ცნობილი გამოთქმის მიხედვით, ჟურნალისტებს დემოკრატიის მეთვალყურე ძაღლებს უწოდებენ. მართლაც, ჩვენი ფუნქციაა, მუდმივი მეთვალყურეობა სახელისუფლებო სტრუქტურებზე და მათ წარმომადგენელთა საქციელზე. მაგრამ ეს არ არის მტრობის გამოხატულება, სუბიექტური დამოკიდებულების შედეგი — ეს ჩვენი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და ფუნქცია გახლავთ. ამიტომ ამ ურთიერთდაკვირვების, კონტროლის პროცესში მე ყოველთვის ზომიერების მომხრე ვარ. მიმაჩნია, რომ მედიისა და სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები არ უნდა გამოირჩეოდნენ, განსაკუთრებული სიახლოვით, თუმცა, არც ურთიერთდაპირისპირება ვარგა. ასე რომ, ამ ორი უკიდურესობისაგან თავის შორს დაჭერა და საკუთარი ფუნქციის შესრულება, ოქროს შუალედია, რომლისკენაც მეც და ჩემი კოლეგებიც უნდა ვისწრაფოდეთ.

— თქვენი აზრით, არსებობს მედიასაშუალებები, ვისთვისაც ერთგვარი სასათბურე პირობებია შექმნილი? ვგულისხმობ იმას, რომ ხელი მიუწვდებათ კონფიდენციალურ ინფორმაციამდე, მათთვის ღიაა ყველა მალალჩინოსანის კარი...

— ნამდვილად არსებობს. მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ ეს ნორმალურია. თუმცა, არც ჩვენს ტელევიზიას და არც საკუთარ თავს ასეთთა რიგს არ მივაკუთვნებ. ყველა სახელმწიფოში სხვადასხვა ხელისუფლების დროს, ყოველთვის არსებობს ისეთი მედიასუბიექტი, რომელსაც შედარებით ახლო ურთიერთობები აქვს სახელისუფლებო წრეებთან. მაგრამ მსგავსი ვითარება სულაც არ შეიძლება მივიჩნიოთ იდეალურად, თავად ტელევიზიისთვის. დღეს საქართველოში არსებული ყველა ტელევიზია დაფუძნებულია კონკრეტული ადამიანების თუ საინვესტიციო ჯგუფების მიერ, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანი, რაღაც დროის მანძილზე, აღმოჩნდეს ახლო ურთიერთობაში სახელისუფლებო ოლიმპთან. კარგია, როდესაც ტელევიზია ახერხებს, რომ მისი საინფორმაციო და სარედაქციო პოლიტიკა წარმართოს დამფუძნებლის მკვეთრად გამოხატული ინტერესების გავლენის გარეშე. მოგეხსენებათ, ნებისმიერი მედიასაშუალება უნდა ისწრაფოდეს, მისდამი მაყურებლის ნდობის ამაღლებისკენ. ხელისუფლება ტყუილად არავის შეუქმნის სასათბურე პირობებს, გამოდის, რომ ისიც რაღაცას ელის შენგან და გარკვეულ ეტაპებზე, დათმობებზე წასვლა მოგიწევს. მართალია, დღეს სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული ინფორმაცია, სავაჭრო ვალუტაა მედიასთან მიმართებაში. მედიასაშუალებისთვის ამ ინფორმაციის გაცემა ინდივიდუალურად ან — სხვებთან შედარებით — უფრო ადრე, თუნდაც რამდენიმე წუთით, — მედიასაშუალებების „მოქრთამვის“ ყველაზე კეთილშობილური ხერხია. რა თქმა უნდა, ტელევიზია, რომელიც არ არის კარგ ურთიერთობაში სახელისუფლებო წრეებთან, იჩაგრება, რის გამოც ხშირად აგებს ოპერატიულობის თვალსაზრისით, სამაგიეროდ, მიუკერძოებლობის ხარჯზე ახერხებს, შეიძინოს აუდიტორიის დიდი ნდობა.

— რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ნდობის მოპოვება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ნდობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ქმედითია მედიასაშუალება. მაინტერესებს — თქვენი გადაცემის კრიტიკულ სიუჟეტს თუ მოჰყოლია კონკრეტული შედეგი?

— ყოველთვის, როდესაც მედიის ქმედუნარიანობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ იმ პოლიტიკური სისტემის ქმედუნარიანობა, რომელშიც მედიას თავისი ფუნქცია აქვს. წარმოუდგენელია ილაპარაკო მედიის მუშაობის ეფექტურობაზე, თუ დემოკრატიული სისტემისთვის დამახასიათებელი, სხვა რამდენიმე ძირითადი რგოლი არ ფუნქციონირებს. დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში, სახელისუფლებო შტოების, მათ შორის, ძალაუფლების დანაწილებას, ურთიერთკონტროლსა და დაბალანსებას, პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას, მის სიძლიერესა და გავლენას, არასამთავრობო სექტორის ეფექტურობას და მედიის ქმედუნარიანობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ აქ ჩამოთვლილი რამდენიმე რგოლიდან, მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს და სხვა დანარჩენები მოიკოჭლებენ, მის ქმედუნარიანობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამერიკული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ ჩვენი მოსახლეობის 87% ენდობა ეკლესიას, ხოლო მეორე ადგილი მასმედიას ხვდა წილად. მე ვიტყოდი, რომ საზოგადოების ნდობა მასმედიის მიმართ გაცილებით დიდია, ვიდრე ვიმსახურებთ. თუმცა მგონია, რომ რა დონეზეც შეიძლება იყოს დღეს, ქართული მედია, ის არის კიდეც. არ იმალება ქვეყანაში მომხდარი არც ერთი მოვლენა. სხვა საქმეა, უკვე შემდგომ, ამას რა გაგრძელება მოჰყვება ხოლმე. ამავე დროს, თვითკრიტიკულიც ვიქნები და ვაღიარებ, რომ ხშირად უნდა ვუბრუნდებოდეთ საკითხს, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოებისთვის შესაფერი რეაგირება არ მოჰყოლია. ეს თავად ხელისუფლებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

■

ამერიკული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ ჩვენი მოსახლეობის 87% ენდობა ეკლესიას, ხოლო მეორე ადგილი მასმედიას ხვდა წილად

„ქართული ხმების“ ხელმძღვანელი, ბატონი თემურ ჭკუასელი სიმღერით მხოლოდ სცენას კი არა, სუფრასაც ძალზე ამშვენებს — გნებავთ, სიმღერით, გნებავთ — იუმორითა და მჭევრმეტყველებით. თამადობა არ უყვარს, თუმცა აღიარებს, რომ ეს საქმე კარგად გამოსდის. სუფრა მისთვის ქართული ტრადიციების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა და მათ, ვისაც ლხინი და ღრეობა ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია, სთავაზობს — სუფრა გაშალონ და მეგობრებთან ერთად მიიპატიჟონ...

რამ ააცრემლა გერმანელი ქალი ქართულ სუფრაზე და თემურ ჭკუასელის გამორჩეული სადღეგრძელო

ნინო ჯავახიშვილი

— ბატონო თემურ, სიმღერის მოყვარულ კაცს ალბათ ლხინიც გეყვარებათ, არა?

— ქეიფი და ლხინი როგორ არა, მაგრამ თამადობისა რა მოგახსენოთ — მაინცდამაინც არ მიყვარს, თუმცა ხშირად მიწევს. როდესაც უარის თქმა არ გამოდის და თამადად ვდგები, ვცდილობ, ყველაფერი ლამაზად და კარგად დამთავრდეს. უნდა ვაღიაროთ, რომ გამომდის ეს საქმე. ლხინი და სუფრა ხომ ჩვენი ერთ-ერთი კარგი ტრადიციაა, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად მესმის ვიღაც-ვიღაცეებისგან, რომ ქართული სუფრა თურმე, არ ვარგა! კაცს ყველაფერში დაფიქრება მართებს. სუფრა კი ამის ბრწყინვალე მაგალითს გვაძლევს, ის კარგად ინახავს ტრადიციებს. მათ კი, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენი ლხინი მხოლოდ ღრეობაა და მასში კარგი არაფერია, უბრალოდ არ იციან, როგორ უნდა იქეიფონ. გაშალონ სუფრა, დამპატიჟონ მეგობრებთან ერთად და მერე ვნახოთ, შეეცვლებათ თუ არა აზრი...

— ყველაზე მეტად რა ამშვენებს ქართულ სუფრას?

— სიდარბაისლე, სიტყვა, სიმღერა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც, რაც უფრო ხმამაღლა ვმღეროდით, თანამესუფრენიც უფრო უმატებდნენ ხმას და ლაპარაკს. ერთხელ, სიმღერა უეცრად შევწყვიტეთ — გვაინტერესებდა, რა მოხდებოდა. თვითონვე გაუკვირდათ, იმხელა ხმით ყვიროდნენ... ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, ვბრაზდები. ყოფილა შემთხვევა, რომ სუფრაც დამიტოვებია. საერთოდ, ძალიან ძნელია ისეთ ადამიანებთან ქეიფი, რომელთაც მოსმენა არ იციან და სიმთვრალეში ჩხუბისთავები არიან.

— ვფიქრობ, სუფრის დამამშვენებელი კიდევ ერთი რამ გამოგრჩათ — ქალი...

— *(იცინის)* თავისთავად. როდესაც ქალბატონებიც გვიმშვენებენ გვერდს, მაშინ უფრო ლამაზი და დახვეწილია სუფრა. ერთ ამბავს გავიხსენებ. გერმანიაში გახლდით გასტროლებზე. იქაურმა მასპინძლებმა რესტორანში დაგვპატიჟეს. ერთი გერმანელი ქალი წამოდგა გასასვლელად და იმწუთშივე მის გვერდით მსხდარი ჩვენი ბიჭები ფეხზე წამოხტნენ და სკამი გამოუწიეს. როდესაც დაბრუნდა ქალბატონი, კვლავ ადგნენ, სკამი გამოუწიეს და დასვეს. ხომ არაფერია ეს ჩვენთვის, ელემენტარული რამაა!.. იმ ქალმა სადღეგრძელოს თქმა ითხოვა. ფეხზე რომ წამოდგა, გერმანელების გარდა, ყველა მამაკაცი ფეხზე წამოვდექით და იცით, რა გვითხრა?.. აი, ახლა რაც მოხდა, ამის სადღეგრძელო მინდა ვთქვა; საკმარისი აღმოჩნდა 15 წუთით თქვენთან ერთად ყოფნა და ვიგრძენი, რომ — ქალი ვარ; 30 წელია, გერმანელი მამაკაცებისგან ეს არ მიგრძნიაო. ტირილი დაიწყო და ჩვენი სადღეგრძელო დალია. ისე გამოვიდა, რომ იქ დამსწრე გერმანელი კაცები ზრდილობიანად გამოლანძღა, რამაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო...

— თქვენი აზრით, თამადა მკაცრი და წესრიგის მოყვარული უნდა იყოს?

— სუფრაზე აუცილებლად წესრიგი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, თამადას ცოტა სიმკაცრე შვენის. იცით, რა ძნელია სუფრის გაძღოლა?! სუფრის მაჯისცემას უნდა გრძნობდე, უნდა ხვდებოდე, როდის უნდა იყოს სიმღერა, როდის — ცეკვა, როდის — იუმორი; როდის უნდა თქვა სადღეგრძელო, როდის უნდა მისცე სხვას სიტყვა. ასეთ შემთხვევაში, ხმაური და აყალ-მაყალი არასდროს იქნება სუფრაზე. როცა მარტო შენ ლაპარაკობ და სხვას ხმას არ აღებინებ, ბუნებრივია, ეს არავის მოეწონება. ერთმა ნაცნობმა, რომელიც ბასკი იყო, ქართველი გოგონა მოიყვანა ცოლად, მართლმადიდებლად მოინათლა და ქორწილი ჯერ აქ, თბილისში გადაიხადა. ქორწილში თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მომღერალი ჰყავდა დაპატიჟებული. თამადობა მთხოვა. ქორწილი კი არ იყო — ეს იყო კონცერტი, ზეიმი, ხალისი, ყველა მოიხიბლა ლხინით. შემდეგ, სიძე-პატარძალი ბასკეთში წავიდნენ და ქორწილი იქაც გადაიხადეს. სიძეს გამოუცხადებია — თბილისში ასეთი და ასეთი ქორწილი გადამიხადეს, ესა და ეს კაცი თამადობდა, ვიდეოკასეტიდან ყველაფერი შევისწავლე და რადგან აქ ასე თამადობა არავის შეუძლია, თვითონვე გავუძღვები სუფრასო. ერთი სიტყვით, კაცი საკუთარ ქორწილში დადგა თამადად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა (შემდეგ ვიდეოთი ვნახე ქორწილის კადრები). სუფრაზე იყო აურზაური, ყვირილი... სუფრის თითოეულმა წევრმა უნდა იგრძნოს, რომ მისი დიდი პატივისმცემელი ხარ, მაშინ იქნება ყველაფერი კარგად.

— ახალგაზრდობაში ალბათ, უფრო ხშირად გიწევდათ სმა. კარგ მსმელად ითვლებოდით?

— თუ ჩემს ძმაკაცს — დათო აბესაძეს დავუჯერებთ, თემურ ჭკუასელი მთვრალი არასდროს უნახავს! ერთხელ ვთქვი — იმიტომ არ ვუნახავვარ მთვრალი, რომ ჩემზე ადრე თვრება და აღარაფერი ახსოვს-მეთქი... დიდი მსმელი არასდროს ვყოფილვარ, ასე — 3 ლიტრ ღვინოს ვსვამდი ხოლმე. საერთოდ არ მიყვარს გადათრობა და ალბათ, ორი ან სამი შემთხვევა ყოფილა, როცა მთვრალს ფეხი ამრევია ან რაიმე ისეთი გამიკეთებია... ადრე უფრო ხშირად მიწევდა სმა. ახლა სასმელს ვარჩევ — თუ არ მომეწონება, არ ვსვამ ხოლმე. ისე, საქეიფოდ, რა თქმა უნდა, ღვინოს ვამჯობინებ.

— გამორჩეულად საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვთ?

— გამორჩეულად საყვარელი სადღეგრძელო არ მაქვს, მაგრამ ერთ ჩემეულ სადღეგრძელოს გეტყვით, რომელიც მანამდე არავისგან მომისმენია: „მიცვალებული ყველას გვყავს. თუ ვირწმუნებთ იმას, რომ არის სააქაო და საიქიო, სანამ ჩვენ აქ ვართ და ისინი იქ არიან, ერთმანეთს ვერ შევხვდებით, მაგრამ თურმე, მაინც არის ერთი ადგილი, სადაც ერთმანეთს ვნახულობთ სააქაოს და საიქიოს ხალხი — ეს არის ჩვენი სიზმრები. სიზმარში ვხვდებით იმ ადამიანებს, ვისზედაც ძალიან ხშირად ვფიქრობთ. მოდით, იმ ადამიანებს გაუმარჯოს, ვისაც ჩვენ სიზმრებში ვხვდებით!“ ხომ ლამაზი სადღეგრძელოა?!. საერთოდ, თავიდან ბოლომდე იმპროვიზაციის მომხრე ვარ. შეიძლება, ტრადიციები სულ ავურ-დავურიო — იმის მიხედვით, თუ რა ემოციური მუხტი მაქვს იმ მომენტში... ■

ინტელექტის მიკროელემენტები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ტვინის წარმატებულ მუშაობას სამი მნიშვნელოვანი მიკროელემენტი განაპირობებს: იოდი, რკინა და თუთია. თუ ბავშვი არ იღებს ამ ნივთიერებას საკმაო რაოდენობით, მას მეხსიერებაც სუსტი ექნება, შრომისუნარიანობაც — დაქვეითებული და აზროვნებასაც ვერ შეძლებს სათანადო დონეზე.

დაეწაფეთ იოდს

იოდი რომ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე ზემოქმედებს, მეცნიერებმა დიდი ხანია იციან. თითების ნატიფი მოძრაობები, მეტყველების განვითარება, ყურადღება, მხედველობითი და სმენითი მეხსიერება უკეთესია, თუ ბავშვის რაციონში საკმარისადაა ეს მიკროელემენტი, მისი დედა კი ორსულობისას იღებდა იოდის პრეპარატებს (რაღა თქმა უნდა, ექიმთან შეთანხმების შემდეგ).

იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც იოდის ბუნებრივი უკმარისობა აღინიშნება და იოდის პროფილაქტიკა არ ტარდება, მოსახლეობის ინტელექტი საშუალოდ 10-15%-ით უფრო დაბალია, ვიდრე სხვა — იოდით უზრუნველყოფილი მოსახლეობისა.

იმის დასადგენად თუ რა ცვლილებებს განიცდის ბავშვის ინტელექტი იოდის ნაკლებობისას, მეცნიერებმა ექსპერიმენტები ჩაატარეს. მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში სპეციალისტებმა შეაფასეს მოსწავლეთა მეხსიერება, ყურადღება და შრომისუნარიანობა. ერთ ჯგუფში შევიდნენ ბავშვები, რომლებსაც ორგანიზმში იოდის დაბალი მაჩვენებელი და შესაბამისად, დაბალი შრომისუნარიანობა ჰქონდათ. მეორეშე კი ისინი, ვისაც ეს მაჩვენებელი ნორმალური ჰქონდა და შრომისუნარიანობა — მაღალი.

პირველი ჯგუფის ბავშვებს 6 თვის განმავლობაში აძლევდნენ იოდის პრეპარატებს ფიზიოლოგიური განვითარებისთვის საჭირო დოზით. ნახევარი წლის შემდეგ, სასკოლო დატვირთვის პიკზე, ამ ბავშვების გონებრივი, შრომისუნარიანობის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო, მეორე ჯგუფში შემავალ ბავშვებთან შედარებით. ნახევარწლიანმა მცდელობამ მშვენიერი შედეგი გამოიღო: სამოსნებმა სწავლა ოთხებზე დაიწყეს. ამასთან მასწავლებლებმა არ იცოდნენ ექსპერიმენტში მათი მონაწილეობის შესახებ.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა მწვავე იოდდეფიციტის კერადაა მიჩნეული — ჩვენს წყალსა და კვების პროდუქტებში იოდი ცოტაა. თუმცა...

გამოსავალი არსებობს! მოიხმარეთ იოდიზებული მარილი! მათთვის კი, ვინც რაციონში მარილის შეზღუდვას ცდილობს, არსებობს სპეციალური მინერალური კომპლექსები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის იოდი. ამ კომპლექსებში იოდი შედის არა სამკურნალო, არამედ პროფილაქტიკური დოზით და ბავშვი არ მიიღებს იმაზე მეტს, ვიდრე სჭირდება.

რკინის ჭირვეულობა

ბავშვები, რომელთაც რკინა აკლიათ, ფერმკრთალები, უხალისონი არიან, აღენიშნებათ გემოსა და ყნოსვის გაუკუღმართება, ინტელექტუალური აქტიურობის დაქვეითება — მათი ტვინი ხომ გამუდმებით ჟანგბადოვან შიმშილს განიცდის, რადგან ჟანგბადის ატომები ტვინამდე რკინას მიაქვს. ბავშვს უუარესდება მეხსიერება, ყურადღება, აბსტრაქტული აზროვნება, მოსწავლეები კარგავენ ინტერესს სწავლისადმი, უჩნდებათ სიძნელეები მათემატიკის ათვისებისას.

რკინის დეფიციტის (ანემიის) სიმპტომები მკვეთრად ვლინება ბავშვის განვითარების კრიტიკულ პერიოდებში: როცა პატარა მიდის ბაღში, შედის სკოლაში, სქესობრივად მწიფდება. გოგონებში პრობლემა მწვავედ იჩენს თავს მენსტრუაციის მოსვლისას, განსაკუთრებით, თუ ისინი დიეტას იცავენ გახდომის მიზნით. ანემიის განვითარებას ხელს უწყობს ხშირი გაცივება, კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებები (დაზიანებული ლორწოვანი გარსი ხელს უშლის რკინის ათვისებას).

რკინას შეიცავს ბევრი ისეთი პროდუქტი, რომლითაც ყოველდღიურად ვიკვებებით: ხორცი, ღვიძლი, წიწიბურა, ხორბალი, ბარდა, პური... მაშ, რატომ ვითარდება მისი დეფიციტი? საქმე ისაა, რომ რკინა ცუდად შეიწოვება. ამ ჭირვეულ მიკროელემენტს განსაკუთრებული პირობები სჭირდება.

გამოსავალი არსებობს! ყველაზე უკეთ იწოვება ჰემის რკინა, რომელსაც შეიცავს ცხოველური პროდუქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ჭამოთ ღვიძლი და ხორცი. მაგრამ ცხიმი ხელს უშლის რკინის შეწოვას, ამიტომ ხორცი მჭლე უნდა იყოს.

რკინის ათვისებას ეწინააღმდეგება კალციუმი და ფოსფორიც, ამიტომ ხორცთან ერთად ნუ მიირთმევთ რძესა და ყველს, რომლებიც მდიდარია ამ მიკროელემენტებით.

რკინას იკავშირებს ტანინი, ამიტომ ხორციან სადილს ნუ მიაყოლებთ ჩაისა და ყავას.

ხილში, ბოსტნეულში, ბურღულეულსა და თხილეულში შემავალი რკინა უკეთ შეიწოვება C ვიტამინის კომპანიაში. ამიტომ კარგი იქნება, თუ წიწიბურას ან ხორბლის ფაფას ერთ ჭიქა წვენს ან ასკილის ნაყენს მიაყოლებთ.

ვერაგი თუთია

თუთიის უკმარისობისას ვითარდება ალერგია, ფერხდება სქესობრივი მომწიფების პროცესები, შეიძლება უნაყოფობაც კი განვითარდეს. სამეცნიერო გამოკვლევებმა კიდევ უფრო გააფართოვა ეს სია. თუთია რკინის მსგავსად იცავს ტვინის უჯრედებს მავნე ზეგავლენისაგან. ის გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე, შედის ტვინის ქსოვილთა შემადგენლობაში, აკონტროლებს იმ ცილების სინთეზს, რომლებიც მეხსიერებასა და სწავლის უნარზეა პასუხისმგებელი...

ამ მიკროელემენტის ვერაგობა ისაა, რომ მისი დეფიციტი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გარეგნულად არაფრით ვლინდება. უბრალოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაძლიერებული სასწავლო დატვირთვები, სტრესები აქვეითებს მის შეწოვას. ამიტომ დაძაბულ პერიოდებში უნდა გახსოვდეთ, რომ საჭიროა მისი მარაგის შევსება.

თუ ბავშვი კარგად ვეღარ ხედავს ბინდში, თვალებს ჭუტავს, თუმცა არა აქვს დარღვეული მხედველობა, შეამოწმეთ, ხომ არ აღენიშნება თუთიის ნაკლებობა. გონივრული იქნება თუთიის შემცველობის განსაზღვრა სისხლში. გამოვლინდა ნაკლებობა?

გამოსავალი არსებობს! თუთიას დიდი რაოდენობით შეიცავს ქაშაყი, ღვიძლი, ხორცი, კვერცხი, სოკო, მარცვლეული, თხილეული, გოგრის კურკა... იგი უკეთ შეითვისება ცხოველური პროდუქტებიდან, ვიდრე მცენარეულიდან.

დადგენილია, რომ მთელი მსოფლიოს, მათ შორის, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 48% თუთიის ნაკლებობას განიცდის.

შვეიცარიის გამოცდილება

ოდესღაც იოდის მხრივ მეტად არახელსაყრელ რეგიონად ითვლებოდა შვეიცარია. ჯერ კიდევ ნაპოლეონმა, როცა ამ ქვეყანაში თავისი ჯარით გაიარა, შენიშნა, რომ იქ ძალიან ბევრი დაბალი ტანის და გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი ცხოვრობდა. ახლა კი შვეიცარიელებმა არც კი იციან, რომ მათი მიწა იოდით ღარიბია. უკვე მრავალი ათეული წელია, რაც საკონდიტრო წარმოებაში, ხორცის პროდუქტების წარმოებისა და საქონლის საკვებად გამოყენებული მარილი იოდიზდება სპეციალური სტანდარტებით. იოდის საჭირო დოზას ყველა იღებს, ამიტომ აღარ არის ამ მიკროელემენტის სპეციალური კომპლექსის მეშვეობით მიღების აუცილებლობა. შვეიცარიული ვიტამინები არ შეიცავს იოდს.

არც გონება, არც შთამომავლობა

მეცნიერები სერიოზულად დაინტერესდნენ თუთიის დეფიციტის პრობლემით მას შემდეგ, რაც 1961 წელს ამ მიკროელემენტის უკმარისობა აღმოაჩინეს ახალგაზრდა მამაკაცებში ირანში: ეს ადამიანები გამოირჩეოდნენ დიდი თავით, იყვნენ დაბლები და დაქვეითებული ჰქონდათ სექსუალურობა.

■

მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის დაწყება 10 წლამდე ასაკშია საჭირო. ამ დროს ფორმირდება ბავშვებში მუსიკალური უნარი და ჩვევები, რომელთა შეძენა მოზრდილ ასაკში ძნელია. ასეთ დასკვნამდე მივიდა შვედი ნევროლოგი და პიანისტი ფრედერიკ ულენი. იგი აღნიშნავს, რომ ადამიანს ბავშვობაში უვითარდება ტვინის თეთრი ნივთიერება და პირამიდული ტრაქტი — ტვინსა და თითებს შორის ნერვული იმპულსების გამტარი მთავარი „არხი“. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პირამიდული ტრაქტი პიანისტებს არამუსიკალური ადამიანებისგან განსხვავებით, უკეთ აქვთ სტრუქტურირებული.

■

ტვინის ევოლუცია გრძელდება



ადამიანის ტვინის ევოლუცია გრძელდება, დარწმუნებულნი არიან ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერები.

ასეთ დასკვნამდე ისინი ტვინის განვითარებაზე, მის მოცულობასა და სტრუქტურაზე პასუხისმგებელი ორი გენის შესწავლის შემდეგ მივიდნენ. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ გენების სწრაფმა განვითარებამ განსაზღვრა თანამედროვე ადამიანის წინაპართა „ევოლუციური გარღვევა“. მეცნიერებმა 90 ადამიანი შეისწავლეს და გააანალიზეს ამ გენთა აგებულების განსხვავებები (ეს ადამიანები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ) და აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი ვარიანტი გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება. ეს იმას მოწმობს, რომ ბუნებრივი გადარჩევა გრძელდება. მეცნიერთა ვარაუდით, მილიონი წლის შემდეგ, ადამიანის შთამომავალთა ტვინი გაცილებით უფრო სრულყოფილი იქნება.

■

ბაქტერიამ ნობელის პრემია მოუტანა

ნობელის პრემია ფიზიოლოგიასა და მედიცინაში 2005 წელს ავსტრალიელმა მეცნიერებმა რობინ უორენმა და ბარი მარშალმა მიიღეს. მათ პირველებმა აღმოაჩინეს ბაქტერია Helicobacter pylori და დაამტკიცეს მისი მნიშვნელობა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის განვითარებაში. აღმოჩენა 1982 წელს გაკეთდა და გააკვირვა სამედიცინო საზოგადოება — ამგვარად გამოვლინდა წყლულოვანი დაავადების ინფექციური ხასიათი. რამდენიმე თვეში კი შემუშავდა მკურნალობის ახალი სქემა, რომელიც ანტიბიოტიკებსაც შეიცავდა.

■

სიმდიდრე და ჯანმრთელობა

ფულით უზრუნველყოფა და კარგი ჯანმრთელობა ყოველთვის არ არის ერთმანეთთან კავშირში, თვლიან ბრიტანელი მეცნიერები, რომლებიც ბავშვთა ჯანმრთელობის საერთაშორისო პრობლემებს შეისწავლიან. მაგალითად, დანიაში მდიდარი ოჯახების შვილებს ჯანმრთელობის მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ (ინსულინორეზისტენტობის დონე, წონა, სიმაღლე, არტერიული წნევა, წელის გარშემოწერილობა), ესტონეთისა და პორტუგალიის შეძლებულ ოჯახთა ბავშვებს კი — არასასურველი. ამ ქვეყნებში კარგი ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც წესი, დასავლეთის ცივილიზაციის წარუმატებელი „მიღწევებისაკენ“ უხსნის ბავშვებს გზას — უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჰამბურგერები, ჩიფსები, გაზიანი სასმელები. ეს ყველაფერი კი, მათ ჯანმრთელობას მხოლოდ საფრთხეს უქმნის.

■

ციტრუსი გზაში დაგეხმარებათ



ოქსფორდელი ფსიქოლოგები მუშაობენ მძღოლთა პრობლემებზე და ეძებენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირების გზებს.

მათ აღმოაჩინეს, რომ ციტრუსების არომატი აფხიზლებს ადამიანს, პიტნის სუნი კი ზრდის ყურადღების კონცენტრაციას. მეცნიერები გვთავაზობენ, ავტომობილში მოვათავსოთ სპეციალური მოწყობილობა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, სალონს გამოსაფხიზლებელი არომატით აავსებს. მათი ვარაუდით, მომავლის ავტომობილის კომპლექტაციაში უნდა შედიოდეს ვიბრაციული ნაწილები — სავარძელი, უსაფრთხოების ქამარი და პედალიც კი. როდესაც მძღოლი სიჩქარეს გადააჭარბებს ან მაგნიტოფონის მუსიკა მეტისმეტად ხმამაღლა იქნება ჩართული, ვიბრაციული დეტალები აცნობებენ მძღოლს საშიშროების შესახებ.

■

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე ილბლიანები...

ყველაზე მაღალი ქალი პლანეტაზე

ამერიკელი სენდი ალენის სიმაღლე 2მ-სა და 31,7 სმ-ს შეადგენს. ის 142 კგ-ს იწონის და ამერიკული სისტემით 22 (ევროპულით კი — 55!) ზომის ფეხსაცმელს ატარებს. მას თავის ნაცვამ ფეხსაცმელს საჩუქრად გადასცემს ხოლმე კალათბურთის ვარსკვლავი, გუნდის — „ინდიანა პეისერს“ — მოთამაშე რიკ სმიტი, რომლის სიმაღლე 2 მ და 23,5 სმ გახლავთ.

ყველაზე მჩატე ტყუპი

ყველაზე მჩატე სამეული, რომელიც გადარჩა და საღ-სალამათი, დღეს უკვე 7 წლისაა, 1998 წლის 30 ნოემბერს აშშ-ის ქალაქ შარლოტსვილში დაიბადა. კოფების ოჯახში გაჩენილი ჩვილები დაბადებისას იწონიდნენ: პეიტონი — 585 გ-ს, ჯექსონი — 420 გ-ს, ბლეიკი — 380 გ-ს.



უგრძესი მანძილი – სახეიბრო ეტლით

ყველაზე დიდი მანძილი სახეიბრიო ეტლით კანადელ როკ ჰანსენს დაუფარავს. ჰანსენმა, რომელიც 1973 წელს მომხდარი ავტოავარიის შედეგად, წელს ქვემოთ მოწყვეტილია, საკუთარი სავარძლით 4 კონტინენტის 134 ქვეყანაში იმოგზაურა და სულ 40075 კმ გაიარა. მან 1985 წელს, კანადის ქალაქ ვანკუვერში აიღო სტარტი და 1987 წლის 22 მაისს დაბრუნდა იქ.



უდიდესი და ყველაზე „მრავალთავიანი“ ცისარტყელა

2004 წლის 18 სექტემბერს, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, რიზალ-პარკის მოედანზე, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის თაოსნობით, 30365 კაცმა გიგანტური ცისარტყელა ააგო.



მექსიკის დედაქალაქი	სასულიერო პირი	მტაცებელი ფრინველი	გამის ნოტი	მხატ. ... გრეკო	აშშ-ის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო	ბოროტი გოლიათი ქართ. ზღაპარში	ჩანჩქერი აშშ-ში					
ბაზილიკა	ბერაკა	ბაჟანა	ბიარი		ლსა	ჰიპ	ბ13	ბოაჟაჰა				
ხეზე დაცემული ელექტრული შუხტი	მ/ფ „ბაში-აჩუკი“ მსახიობი ოთარ ...	... ჯიოვანოლი — „სპარტაკი“			საფუტკრე	პირბადე	მ/ფ „... შეკაზმა ცხენი“	ყვავილი	ავტოფარ			

უხუცესი მოქმედი კლოუნი

ამერიკელი ენდრიუ ბეიერი, რომელიც კლოუნი ბიმბოს ფსევდონიმით გამოდიოდა არენაზე, 1918 წლის 4 მარტს დაიბადა. მისი ჯამბაზური კარიერა 1952 წელს დაიწყო. 2004 წლის 9 ნოემბერს, 86 წლისა და 250 დღის ბიმბო, მსოფლიოში უხუცეს მოქმედ კლოუნად აღიარეს. აღსანიშნავია, რომ ცირკის ისტორიას ღრმა მოხუცებულობამდე მომუშავე ბევრი კლოუნის სახელი შემოუნახავს, მათ შორის იყვნენ: გერმანელები — გროკი (1880-1959) და ოტო გრიბლინგი (1896-1972), რომლებსაც 74 წლის ასაკამდე უმუშავიათ, ასევე გერმანელი ლოუ იაკობსი (1903-1992), რომელიც 82 წლის ასაკამდე ართობდა პუბლიკას და ესპანელი ჩარლი რიველი (1896-1983), რომელიც 85 წლისა გავიდა პენსიაზე.

უხანგრძლივესი საცეკვაო მარათონი

საცეკვაო მარათონი — „ჰატ ჰელს ჰოპ“ — რომლის ორგანიზატორები, ჯოზეფ ასპირინი და კომპანია „როულანდ კომიუნიკეიშნლ უორლდვაიდ“ იყვნენ, აშშ-ის ქალაქ კლივლენდში, როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში გაიმართა. ის 2003 წლის 29 ივლისს, 5 სთ-სა და 10 წთ-ზე დაიწყო. 42-დან 41-მა მონაწილემ 52 სთ და 3 წთ — ე.ი. 2003 წლის 31 ივლისამდე გაძლო საცეკვაო მოედანზე.

რეკორდსმენი, სქესის შეცვლის ოპერაციების რაოდენობით

პერუელმა ფულვია სელიკა სიგუას სანდოვალმა 1979 წლის დეკემბრიდან, სქესის შეცვლის 64 ოპერაცია გაიკეთა. მათ შორის 25 — სახისა და კისრის არეში ცვლილებების შეტანას ისახავდა მიზნად, დანარჩენი — ყურებისა და ფეხების ფორმის შესაცვლელად კეთდებოდა ან ხელების ლიპოსაქციას წარმოადგენდა. ამ ქალბატონმა განსაკუთრებით კი იმით გაითქვა სახელი, რომ 1998 წელს, პერუს დედაქალაქ ლიმას მერის პოსტზე იყრიდა კენჭს.



„ჩემპიონი“ – ბიგმაკების მოყვარულებს შორის

32 წლის მანძილზე, ამერიკელი დონალდ გორსკე ყოველდღიურად თითო ბიგმაკს მიირთმევს. 2004 წლის 19 ივლისს დაფიქსირდა მის მიერ დამყარებული რეკორდი — 20 ათასი. გორსკე ირწმუნება, რომ ქვეყნის 50-ვე შტატში, ამერიკული ფეხბურთის ნაციონალური ლიგის 32-ვე სტადიონზე, ნაციონალური საკალათბურთო ლიგის 30-ვე მოედანსა და საცხენოსნო ლიგის 30-ვე იპოდრომზე დაუგემოვნებია ბიგმაკი.

...ლებური ...ლანდ. ...ეკვა	ვივიენ ...	ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება	მანეთის მეასედი	მდინარე, რომელშიც ქრისტე მოინათლა	მდინარე ქართლში	დაბალი და გამხდარი კაცი
მუხლებიდან შევიწროებული სამხედრო შარვალი	მსახიობი ... მაკქუინი	ძაღლის პირის ასაკრავი თასმა	ბილიარდის ჯოხი	„... ზღვას შუა“	მ/ფ „აფონია“ (რეჟისორი)	მსახიობი იპოლიტე ...

ანდრია პირველწოდებულის ქადაგებანი და აღსასრული

13 დეკემბერს, წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია, უფლის წმინდა მოციქულთაგან ერთ-ერთს — ანდრია პირველწოდებულს იხსენიებს. ანდრია მოციქულის ღვაწლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან სწორედ ის იყო ქრისტეს სჯულის პირველი მქადაგებელი ჩვენს ქვეყანაში. „ოძრხის ხეობაში შემოვიდა მოციქული რკინისჯვრის გავლით“, — გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“. ოძრხეს ამჟამად ოცხე ეწოდება. რკინისჯვარი კი — მთაა აბასთუმნის ზემოთ, რომელიც დღესაც ამავე სახელწოდებითაა ცნობილი...

შორენა მერკვილაძე

წმინდა ანდრია პირველწოდებული ებრაელი იყო, იგი მეთევზეობით ირჩენდა თავს და საღვთო კანონებისა და წინასწარმეტყველების შესახებ არაფერი უწყოდა. მან უფლის წინამორბედის — იოანე ნათლისმცემლის ქადაგება მოისმინა, მისი ირწმუნა და დაემოწაფა.

როდესაც განკაცებული უფალი ხალხის წინაშე გამოჩნდა, იოანე ღვთისმეტყველმა ერს მაცხოვარზე მიანიშნა: „აჰა, ტარიგი ღუთისა, რომელმან აღიხვნა ცოდვანი სოფლისანი“. ესმა თუ არა ეს სიტყვები ანდრიას, მიხვდა, რომ მესია, კაცობრიობის მხსნელი იდგა მის წინაშე და იესო ქრისტეს მიმართ ნდობით აღიჭურვა. მან პირველად აღიარა იესო ქრისტე მესიად შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ შევიძინეთ მესია, წოდებული ქრისტედ“. წმინდა ანდრიას თავად უფალმა მოუხმო მოციქულად, მოწაფედ, ამიტომაც ეწოდა მას პირველწოდებული.

ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს მოსვლის შესახებ თავის ძმას, პეტრეს — შემდგომში „კეფად“ (კლდედ) წოდებულსაც ამცნო და უფალს წარუდგინა. მაცხოვარმა, იხილა თუ არა პეტრე, იმავდროულად შეიწყნარა მეგობრად და უწოდა „კლდე“ (მტკიცე კლდე სარწმუნოებისა)...

მას შემდეგ, რაც უფალი ჯვარს ეცვა, მკვდრეთით აღდგა და ზეცად ამაღლდა, თავის მოციქულებს სულიწმიდა მოუვლინა. სულიწმიდის გარდამოსვლის, სულთმოფენობის შემდეგ, მოციქულებს სხვადასხვა მხარეში დაევალათ ქრისტიანული სჯულის ქადაგება. საეკლესიო გადმოცემა გვაუწყებს, რომ მოციქულებმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა წილი ყარეს, თუ ვინ რომელ მხარეში უნდა წასულიყო საქადაგებლად. წმინდა მარიამს ივერიის (საქართველოს) ქრისტიანულ სჯულზე მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ სულ მალე, მთავარანგელოზისგან ეუწყა, რომ მისი ამა სოფლიდან გასვლის ჟამი ახლოვდებოდა და იერუსალიმში უნდა დარჩენილიყო. ღვთის ნებით, ყოვლადწმინდა ქალწულმა ყოველივე ანდრია მოციქულს აცნობა და ივერთა ქვეყნის მოსაქცევად წარმოგზავნა, თან ლოცვაკურთხევა და თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოაყოლა: მან ანდრია მოციქულს მოუხმო და სახეზე ფიცარი მიიდო, რომელზეც გამოისახა ღვთისმშობელი ყრმით. ეს ხატი დღესაც არსებობს — იგი აწყურის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.



წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი საბერძნეთის ქალაქ პატრაში

ანდრია პირველწოდებული „სახარების“ საქადაგებლად ჩრდილო-აღმოსავლეთის ქვეყნებში წამოემართა, მან მოიარა საბერძნეთი და მცირე აზია, სადაც მრავალი ადამიანი დაიმოწაფა და ქრისტიანულ სჯულზე მოაქცია. მცირე აზიიდან, ივერთა ქვეყანაში შემოვიდა — აჭარის მხრიდან. აჭარაში, სოფელ დიდ აჭარაში მან პირველი ქრისტიანული ტაძარი ააგო. ეკლესია აღაშენა აწყურშიც, სადაც ღვთისმშობლის ხელთუქმელი ხატიც დააბრძანა, რომელსაც შემდგომში, აწყურის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა.

სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული მოციქულები, ზოგჯერ, პასექის (ქრისტეს აღდგომის) დღესასწაულზე იერუსალიმში იკრიბებოდნენ, რათა ერთად ეზეიმათ და ერთმანეთისთვის წმინდა საქმეში მიღწეული ღვაწლის შესახებ გაეზიარებინათ. ამიტომ, როდესაც პასექის ჟამი მოახლოვდა, ივერთა ქვეყნიდან წასული ანდრია პირველწოდებულიც, პათევისანის მხარის გავლით, იერუსალიმში ჩავიდა, სადაც სულიწმიდის დღესასწაულამდე დაყო, შემდეგ კი, სხვა მოციქულების მსგავსად, კვლავ სამოგზაუროდ გაემართა.

მეორე მოგზაურობის დროს, ანდრია მოციქული, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად, უფლის სიტყვის საქადაგებლად ქალაქ ეფესოში ჩავიდა. იქიდან, ულუმბოს მთის გავლით, ქალაქ ნიკეაში გადავიდა, სადაც ორი წელი დაყო. ნიკეაში ყოფნისას, წმინდა მოციქულმა მრავალი სასწაული მოახდინა და უამრავი წარმართი მოაქცია ქრისტიანულ სჯულზე. ამის შემდეგ, მან არტაან კოლა, პართეთი, სომხეთი მოიარა და კვლავ იერუსალიმში დაბრუნდა.

მესამე მოგზაურობისას, ანდრია პირველწოდებულმა „სახარება“ კიდევ ერთხელ იქადაგა დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთში, სადაც სვიმონ კანანელთან ერთად ჩავიდა. აფხაზეთში სვიმონ კანანელი მოწამებრივად აღესრულა და იქვეა დაკრძალული.

აფხაზეთის შემდეგ, ანდრია პირველწოდებულმა „სახარება“ იქადაგა კიევში, რომელიც იმ პერიოდში რუსული სამთავრო იყო. მრავალწლიანი მოგზაურობის დროს, უფლის მოციქულს მრავალი განსაცდელის გადატანა მოუხდა, ბევრჯერ მისი მოკვლაც განიზრახეს, მაგრამ უფლის შეწევნით, ყოველივე დაითმინა და მრავალი ადამიანი აზიარა ჭეშმარიტებას.

ბოლოს, მან საბერძნეთში, პატრაში იქადაგა, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოაქცია ქრისტიანულ სჯულზე, მათ შორის, ქალაქის პიტიახშის (მთავრის) — ეგეატის ცოლიც, რომელიც მძიმე სენისგან განკურნა. თავად ეგეატი კი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა წმინდა მოციქულს და კერპთაყვანისმცემლობის ერთგული რჩებოდა. მისი ბრძანებით, ანდრია პირველწოდებული ჯერ ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი, ჯვარზე გაკვრა მიუსაჯეს. იხილა თუ არა ანდრიამ მისთვის გამზადებული ჯვარი, წარმოთქვა: „გიხაროდეს, ჯვარო, ქრისტეს სხეულით ნაკურთხო, წინათ ვიდრე ქრისტეს მიაკრავდნენ შენზედ, საშინელი იყავ, ახლა კი სიხარულით და აღტაცებით გლებულობ შენ, გიყურებ ნეტარებით, მიმიღე შენ მე, ქრისტეს მოწაფე“. ტანჯვის გასახანგრძლივებლად, წმინდა ანდრია ჯვარზე თოკებით მიაბეს და 3 დღე-ღამის მანძილზე დატოვეს. მოციქული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მადლობას სწირავდა უფალს და ჭეშმარიტ სარწმუნოებას ქადაგებდა. იგი ნოემბრის 30-ში (ძველი სტილით) აღესრულა, ქრისტეს შობიდან 62 წელს. მისი წმინდა გვამი ჯვრიდან ეპისკოპოსმა სტრატოკლეოსმა და ქრისტეს მხევალმა, მაქსიმილამ გარდამოხსნეს, შემურეს და დიდი პატივით დაკრძალეს. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ანდრია პირველწოდებულის უხრწნელი ნაწილები კონსტანტინოპოლში, ლუკა და ტიმოთე მოციქულების გვერდით დაასვენეს, მისი თავის ქალა კი პატრაში ინახება.

■

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატი

2005 წლის ოქტომბერში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სიწმინდეებს კიდევ ერთი — ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატის ასლი შეემატა. ხატი 11 ოქტომბერს სადღესასწაულოდ გადაადგილეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, სადაც 40 დღის მანძილზე, დედანთან — ამავე მუზეუმის ოქროს ფონდში დაცული ახალი შუამთის დედათა მონასტრის ხახულის ღვთისმშობლის ხატის პირისპირ იყო დაბრძანებული, რათა მისგან მადლი მიეღო...

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატის მატიანე, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული, XV საუკუნიდან იწყება. ეს უდიდესი სიწმინდე, გურიის თავადმა — მამია გურიელმა თავის ასულს, თინათინს მისცა მზითვად, როდესაც იგი კახეთის მეფეს — ლევანს შერთეს ცოლად. თუ როგორ გახდა ხახულის ღვთისმშობლის ხატი მამია გურიელის საკუთრება, ამის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ალავერდის ეპარქიის საინფორმაციო სამსახურის უწყებაში ვკითხულობთ: „ერთ-ერთი ვერსიით, ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატი თავის დროზე, ხახულის მონასტერში იყო დაბრძანებული. შემდეგ, როდესაც თურქოსმალებმა საქართველოს ისტორიული სამხრეთის აოხრება დაიწყეს, მტერთან მებრძოლმა სამცხის დიდებულებმა ხახულის მონასტერში დაცული სიწმინდეები ურჯულოებს გამოარიდეს, მონასტრიდან გახიზნეს, ხოლო ხახულის ღვთისმშობლის დედა-ხატის პირი, როგორც უდიდესი სიწმინდე, მადლიერების ნიშნად, გურიის მთავარს, მამია გურიელს უბოძეს, როგორც ოსმალთა წინააღმდეგ მათ ერთადერთ ერთგულ თანამებრძოლს. თავის მხრივ, მამია გურიელმა საყვარელი ქალიშვილი თინათინი ამ სიწმინდით დალოცა და აკურთხა“...

როდესაც დედოფალი თინათინი მამისეული სახლიდან წამოიყვანეს, თან ხახულის ღვთისმშობლის ხატიც წამოუბრძანებიათ, რომელსაც სამეფო ამალა ახლდა. ისინი იმ ადგილას შეჩერებულან, სადაც ამჟამად ახალი შუამთის დედათა მონასტერი დგას. ხატი ხის ძირას დაუსვენებიათ. როდესაც გზის გასაგრძელებლად მოემზადნენ, სიწმინდე ადგილიდან ვერასგზით ვერ დაძრეს. ამის მხილველმა დედოფალმა თინათინმა, უფალს აღუთქვა, რომ ამ ადგილზე წმინდა სავანეს ააშენებდა და წმინდა ხატსაც იქ დააბრძანებდა. მალე მართლაც, ააგეს მონასტერი, რომელსაც ახალი შუამთის მონასტერი ეწოდა. აღთქმისამებრ, თინათინის ბრძანებით, ხახულის ღვთისმშობლის ხატიც იქვე დაუბრძანებიათ. შემდგომში ის, ახალი შუამთის ხახულის ღვისმშობლის ხატის სახელწოდებით გახდა ცნობილი.

მოგვიანებით, თინათინ დედოფალი მის მიერვე დაარსებულ წმინდა სავანეში მონაზვნად აღიკვეცა და იქვე აღესრულა. იგი მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან არის დაკრძალული.

იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს სხვადასხვა ჯურის დამპყრობელი ესხმოდა თავს და ქვეყნის აწიოკებასა და აოხრებასთან ერთად, ქრისტიანულ სიწმინდეებსაც ხელყოფდა, ხახულის ღვთისმშობლის ხატი რამდენჯერმე გამოუბრძანებიათ ახალი შუამთის მონასტრიდან და შედარებით უსაფრთხო ადგილებზე — ხან ალავერდის მამათა მონასტრეში, ხან კი — სვეტიცხოვლის ტაძარში დაუმალავთ. შემდეგ კვლავ ახალი შუამთის მონასტერში აბრუნებდნენ.

1925 წლამდე, ხახულის ღვთისმშობლის ხატი, ახალი შუამთის დედათა მონასტრის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს სიწმინდეს წარმოადგენდა. შემდეგ, ის გადარჩენის მიზნით, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გადაუბრძანებიათ.

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატის ოქროს პერანგი შემკულია ძვირფასი თვლებით (ფირუზი, ლალი, ამეთვისტო, მარგალიტი), უკანა მხარეს ამოკვეთილი აქვს 44 ბუდე, რომლებიც ვერცხლის ფირფიტებითაა დაფარული, თითოეულ მათგანში სხვადასხვა წმინდანის წმინდა ნაწილები ინახება.

რაც შეეხება ხატის ასლს — იგი შეიქმნა ალავერდის ეპისკოპოსის, მეუფე დავითის ლოცვა-კურთხევით, ახალი შუამთის მონასტერში მოღვაწე დედების ლოცვით და მრევლის შეწირულობებით. ხატის ასლი 3 წლის მანძილზე იწერებოდა, ხატმწერის, ეკატერინე ჩხიკვიშვილის მიერ. ხატის პერანგი შუა საუკუნეების საოქრომჭედლო ხელოვნებათმცოდნემ — ერმილე მაღრაძემ შეამკო. ხახულის ღვთისმშობლის ხატის ასლი, ახალი შუამთის დედათა მონასტერში დააბრძანეს.

■



ლადო ალექსი-მესხიშვილის პილპლობა: სამი სიყვარული და სამი ქორწინება

თამუნა კვინიკაძე

...სარდიონ და სოფიო ალექსი-მესხიშვილებს 4 შვილი შეეძინათ: აპოლონი, ლეონიდე, ლადო და სარდიონი. აპოლონმა საიუნკრო სასწავლებელი დაამთავრა. 23 წელი იმსახურა ოფიცრად ქართველ გრენადერთა პოლკში. მას ცოლად ჰყავდა გენერლის და — ლოლა კვინიკაძე. დაიღუპა 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომში.

ლეონიდე ერთხანს, თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ კი, ხარკოვში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება.

1857 წლის, 16 თებერვალს, ალექსი-მესხიშვილებს მესამე ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც მშობლებმა ლადო დაარქვეს. ყმაწვილმა ბავშვობა ანჩისხატის უბანში, პაპისეულ სახლში გაატარა. საოცარი ნიჭის პატრონი აღმოჩნდა ლადო თურმე, ის თავის თანატოლებს აგროვებდა და ძველი სახლების ქართულ ბანებზე პატარ-პატარა სცენებსა და სანახაობებს მართავდა.

ლადო 4 წლისაც არ იყო, როცა მისი ძმები თბილისში კარგად ცნობილ — „კანონიჩის პანსიონში“ მიაბარეს. მან მოითხოვა, ისიც ძმებთან წაეყვანათ. მშობლებმა მისი სურვილი ჟინიანობად ჩათვალეს. ერთხელ, შემთხვევით, მამამ ლადო თავის ძმებთან წაიყვანა. ბავშვი შინ აღარ წამოჰყვა და იქ დარჩა.

„კანონიჩის პანსიონში“ ბავშვებს ძირითადად, მაღალ საზოგადოებაში გამოსასვლელად ამზადებნენ. არისტოკრატიული ქცევის ნორმებს ასწავლიდნენ. იქ მეცადინეობა ფრანგულ ენაზე ტარდებოდა. ლადომ 4 წელი დაყო ამ სასწავლებელში, შემდეგ კი მშობლებმა პასტორ ლეზენდორფის გერმანულ პანსიონში გადაიყვანეს. იქ უკვე პატარები „მამაო ჩვენოს“ და სხვა ლოცვებს გერმანულ ენაზე იზეპირებდნენ. ასეთმა აღზრდამ ლადოზე ისეთი გავლენა მოახდინა, რომ ერთი პერიოდი ეპისკოპოსობაზეც კი ოცნებობდა.

1863 წელს, ალექსი-მესხიშვილების ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს: 49 წლის ასაკში ლადოს მამა გარდაიცვალა. ამ ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე, ლადოს უმცროსი ძმა — სარდიონი დაბადებულა. მაშინ ცრუმორწმუნეებს ეს ორი ფაქტი ერთმანეთისთვის დაუკავშირებიათ. „ისე გამოვიდა, თითქოს მე ვიყავი უბედურების მომტანი; მამის დაღუპვამ ძლიერ იმოქმედა დედაჩემზე. მან გულიდან მომიგლიჯა და გასაზრდელად ჩვენს დროებით ვალდებულ ყმა-გლეხს სიდონია საიბულიშვილს გადამცა“, — წერს თავის მოგონებებში სარდიონი.

ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება 110.000 მანეთად შეაფასეს. ქმრის სიკვდილის შემდეგ, იგი დედაზე — სოფიოზე გადაფორმდა მემკვიდრეობითი წესით. მაგრამ ობლად დარჩენილი შვილების სასარგებლოდ გამოყენება ვერ მოხერხდა: ძმის გარდაცვალებისთანავე სოფიოს მაზლი შეუჩნდა — ქონების ნახევარი ჩემზე გადააფორმეო. სოფიო მიუხვდა ჩანაფიქრს და უმამო შვილებისთვის ლუკმაპური რომ არ წაერთმია, რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად, იქაური მამულების საპატრონოდ.

მაზლის მიერ მოწყობილმა ინტრიგებმა და პროვოკაციულმა გამოხდომებმა შეარყია სოფიოს ჯანმრთელობა. ბუნებით მშვიდი, თავაზიანი და აუღელვებელი ქალი თანდათან, ნერვიული, ეჭვიანი და უკარება გახდა. ყოველივე ამის შედეგად, 1868 წელს სოფიო გარდაიცვალა. დასაფლავებულია შუამთის მონასტერში, მეუღლის გვერდით.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ლადოსა და მისი ძმების ცხოვრება აიწეწა. ათასგვარი ხრიკით, ბიძამ ობლების მეურვეობა გაიფორმა. პირველ ხანებში, ხალხის თვალის ასახვევად, თითქოს მზრუნველობას იჩენდა, შემდეგ კი როცა ძმის ქონებას მთლიანად დაეუფლა, უფროსი ძმა აპოლონი სახლიდან გააგდო, მეორე — ლეონიდე ჯარში გაგზავნა, უმცროსი, სარდიონი პანსიონში მიაბარა, ხოლო ლადოს კიევის კადეტთა კორპუსში უკრა თავი. აი, როგორ იგონებს ამ ამბავს ლადოს ძმა: „პანსიონატის პატრონს გრძელტარიანი ჩიბუხის მოწევა უყვარდა. ერთ დღეს, სადილის შემდეგ მას ლადოსთვის თუთუნის მომზადება დაუვალებია. ლადოს თუთუნში ცოტაოდენი თოფის საფანტი შეურევია. ადვილი წარმოსადგენია, რა აურზაური ატყდა, როცა ჩიბუხის მოწევისას საფანტი აფეთქდა“.

ამ ამბავთან დაკავშირებით, ბიძას სასტიკი ზომები მიუღია: გრძნობის დაკარგვამდე უცემია ლადო და გაუგზავნია კიევში, კადეტთა კორპუსში, სადაც რუსეთის ყველა კუთხიდან ჩაჰყავდათ გამოუსწორებელი, დაუმორჩილებელი და მორალურად საეჭვო მოზარდები.

ნათესავ-ახლობელთაგან სრულიად მიტოვებულ 12 წლის ლადოს მძიმე სულიერ და მატერიალურ პირობებში მხსნელად მოევლინა უცხო ტომის კაცი, პროფესორი დობროდეევი. სწორედ ამ კაცის დახმარებით შეძლო ლადომ მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩარიცხვა. მაგრამ რუსეთის ჰავამ, ლადოს ისედაც სუსტი ჯანმრთელობა მთლად შეურყია. მისი სამშობლოში დაბრუნება აუცილებელი იყო. ამ შემთხვევაშიც, დობროდეევმა აღმოუჩინა დახმარება. მან ლადოს, მასწავლებლის დიპლომი ააღებინა და საქართველოში გამოისტუმრა.

თავდაპირველად, ლადომ თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე, დატოვა ეს სასწავლებელი და თბილისის რუსულ დრამატულ თეატრში გადავიდა. ამ პერიოდში ოჯახიც შექმნა. მან ნინო ნასიძეზე იქორწინა, 3 შვილი შეეძინათ. სიმამრის პატივსაცემად ლადომ უფროს ვაჟს დიმიტრი დაარქვა, ქალიშვილს — ნინო, მეუღლის სიყვარულის ნიშნად, ხოლო უმცროს ბიჭს — შალვა.

ლადოსა და ნინოს ახალშექმნილ ოჯახს ბედნიერების ნაცვლად, მწუხარება და გაუნელებელი დარდი სდევდა თან. პირველი ორი შვილი — დიმიტრი და ნინო — მცირეწლოვანნი გადაცვლილან, რის შედეგადაც, მოსალოდნელი უბედურებისაგან შეშინებულ მშობლებს მთელი ყურადღება და მზრუნველობა მესამე შვილზე — შალვაზე გადაუტანიათ.

იმ პერიოდში მსახიობთა ცხოვრებისთვის დამახასიათებელმა ხელმოკლეობამ, მოხეტიალე ცხოვრებამ, საარსებო საშუალებათა გამოსანახავად ხანგრძლივი დროით ოჯახისგან მოწყვეტამ, ლადოსა და ნინოს ცოლქმრულ ურთიერთობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. დროთა განმავლობაში, მათ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, რაც თანდათანობით, სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარ-

ლადო ალექსი-მესხიშვილი ოჯახთან. მარცხნივ ქალიშვილი ვარია, შუაში მეუღლე ზინაიდა და ქალიშვილი ნინო

და. შექმნილი მდგომარეობის გამო, ლადო იძულებული გახდა, ოჯახი მიეტოვებინა.

ამ ამბიდან გარკვეული დროის შემდეგ, მსახიობი თეატრთან ერთად გაემგზავრა გასტროლებზე ვლადიკავკაზში. იქ გაიცნო ზინაიდა დიაჩენკო, მოიხიბლა და ცოლადაც შეირთო. ზინა ტანმორჩილი, პირმშვენიერი ქალი ყოფილა, გულკეთილი, გამრჯე და ქმარშვილის მოყვარული.

მათ 3 ქალიშვილი შეეძინათ — თამარი, ნინო და ბაბალე (ანუ ვარია). მაგრამ ბედმა ამჯერადაც უმუხთლა ლადოს: უფროსი ქალიშვილი თამარი ბავშვობაში გარდაეცვალა. ნინო და ვარია მშობლების გზას გაჰყვნენ.

ლადომ ზინასთან ერთად 21 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში, მთელი მისი ცხოვრება გაჭირვებითა და ხელმოკლეობით იყო დაღდასმული. სამწუხაროდ, ოჯახიც დაენგრათ.

იმ პერიოდში, თბილისის ქართულ დრამატულ თეატრში ძალზე მძიმე პირობები იყო შექმნილი. გაჭირვება მუდმივი წილხვედრი გახდა ლადო მესხიშვილის ოჯახისთვის. მალე ბავშვების სწავლის ქირის შეტანის საშუალებაც კი მოესპოთ. ყოველდღიური ლუკმაპურისთვის ზრუნვა შეურაცხმყოფელი შეიქმნა ლადოსთვის. ამის გამო მან დატოვა საქართველო და ნივთების დაგირავებით აღებული თანხით ოჯახთან ერთად რუსეთში გაემგზავრა. მალე, სახელგანთქმულ მოსკოვის სამხატვრო თეატრში დაიწყო მუშაობა. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ სამშობლოზე ფიქრი არ ასვენებდა ხელოვანს. სამხატვრო თეატრში თავისებური კანონები მოქმედებდა. ლადოს გაუჭირდა ამ კანონებთან შეგუება და მალე დატოვა იქაურობა. ოჯახი კვლავ მატერიალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა ლადო, ციმბირში გამგზავრებულიყო და კრასნოიარსკის დრამატულ თეატრში დაეწყო მუშაობა. იქ გაიცნო და დაუახლოვდა მსახიობ ქალს — ანა კონოვალოვას. მალე ზინაიდას გაშორდა და მესამედ იქორწინა. „მამა ჩაუვარდა ხელში ამ ქალს, — წერდა ვარია, — რომელიც მამაზე ბევრად ახალგაზრდა იყო ხნით და რომელმაც დაუმორჩილა მისი ნება თავის ხასიათს“...

ვერც დიდმა ასაკობრივმა სხვაობამ და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელმა საზოგადოებრივმა გაკიცხვამ, ვერც საკუთარი ოჯახის პირველ რიგში — მცირეწლოვანი შვილების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ ვერ გაანელა ლადოში ანასადმი დანთებული სიყვარულის ცეცხლი, რაზეც მთელი სიცხადით მოწმობს მისი წერილები: „ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარა და გამამხნევა შენმა დეპეშამ. შეიძლება არც კი გჯერა, რასაც გწერ ჩემი აუტანელი განცდების შესახებ, მაგრამ იცოდე, რომ გულწრფელად გეუბნები: პირველად ვარ ასე ძლიერ შეყვარებული. ვგრძნობ, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მე შენ მიყვარხარ მთელი შენი უარყოფითი მხარეებითაც... რაც უნდა, ის თქვან, არაფერი არ მენაღვლება. რაოდენიც არ უნდა შეეცადონ ჩემს გადაჯერებას, სულ ერთია, ვერაფერს გახდებიან, მე შენ მაინც მეყვარები“.

ლადოს დამოკიდებულება ანასადმი პირველი ხანებიდანვე, ხანში შესული მამაკაცის ახალგაზრდა ლამაზი ქალით დროებით გატაცებას არ ჰგავდა. მას კეთილშობილური, ჭეშმარიტი სიყვარული ედო საფუძვლად. რაც დრო გადიოდა, ეს გრძნობა მით უფრო ძლიერდებოდა: „ჩემო ძვირფასო ანა! — სწერდა 1909 წლის 21 დეკემბერს ლადო თბილისიდან კონოვალოვას მოსკოვში. — ახლა მივიღე შენი ბარათი, რომელმაც ძალიან გამახარა... გულწრფელად გეუბნები, განშორებით გამოწვეულ მწუხარებას ვერ ავიტან, ნებისმიერ დანაშაულს ჩავიდენ. ეს სამი დღე, რაც შენ წახვედი, ჩემთვის აუტანელი ტანჯვითა და სულიერი წამებით აღსავსე მთელი საუკუნეა... რა ვქნა, რა ვუყო?! გუშინ შენი ოთახის კართან შევჩერდი და გარკვევით შემომესმა, რამდენჯერმე დამიძახე — „ლადო,

მამა და შვილი — ლადო და შალვა ალექსი-მესხიშვილები

მოდი აქ!“ დღითი დღე სულ უფრო ვრწმუნდები, რომ სიყვარულის გრძნობამ გამიტაცა და ღრმად მითრევს მორევში... ახლა ვნანობ, რატომ ყველაფერი არ გავყიდე და შენთან ერთად არ გამოვემგზავრე. ვიცი, შემოგიჩნდებიან და ჩემს წინააღმდეგ შენს ამხედრებას შეეცდებიან. შენც ადვილად შეიძლება დაჰყვე მათ ნებას და დაივიწყო გულწრფელად, თავდავიწყებით შენზე შეყვარებული ლადო. ცრემლები მახრჩობს...“

ლადოს სიყვარული ცალმხრივი არ ყოფილა. ასეთივე ძლიერი გრძნობით გახლდათ განმსჭვალული მისადმი ანაც, რომელიც მატერიალური პრობლემებით შეწუხებული ლადოს განმარტოებით ცხოვრებას ძალზე მტკივნეულად განიცდიდა. ანას მოსვენებას არ აძლევდა ეჭვი, რომ ლადოს შესანიშნავი გარეგნობა ქალებს ატყვევებდა. კაცი ამ ეჭვიანობაზე ასე პასუხობდა ხოლმე: „ძალიან გამაკვირვა შენმა დეპეშამ, რომელშიც მთხოვ, რომ უშენოდ არსად არ გავემგზავრო. ნუთუ დღემდე ვერ დარწმუნდი, რომ უშენოდ არამცთუ გამგზავრება, სიცოცხლეც არ მინდა... მრცხვენია, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, ზოგჯერ მთელი ღამეები არ მძინავს, შენს სურათს შევყურებ და ვტირი. ხმამაღლა მოვთქვამ. ხშირად ვსაყვედურობ ჩემს თავს, თუ რატომ შეგიყვარე ასე“.

1909 წლის მიწურულს, ლადო და ანა შეუღლდნენ. მალე მათ ვაჟიც შეეძინათ, რომელსაც ლადიკო დაარქვეს. ამის შემდეგ, ლადოს სიყვარული და პატივისცემა ანასადმი კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.

ოჯახიდან ქმრის წასვლამ ძლიერ იმოქმედა ზინაიდაზე, მაგრამ დარდი და ნაღველი გულში ჩაიკლა. ბედმა მწარედ დასცინა უიღბლო ქალს. მძიმე ოჯახური პირობების გამო სცენას სამუდამოდ ჩამოშორებულს, ბედმა ყოველდღიურ ცხოვრებაში არგუნა მსახიობობა. ლადოსგან განშორებით გამოწვეული მწუხარება შვილებისათვის არასოდეს უგრძნობინებია. არასოდეს, ერთი სამდურავი სიტყვაც კი არ წამოსცდენია ქმრის მიმართ. დიდმა სულიერმა ტკივილმა მაინც თავისი შედეგი გამოიღო — ქალი ლოგინად ჩავარდა.

1910 წლის პირველი თებერვლით დათარიღებულ წერილში ლადო ანას აცნობებს: „ზინა მთხოვს, მიეწერო, მივატოვებ მათ თუ არა. მეხვეწება, არ დავტოვო ბავშვები მატერიალური დახმარების გარეშე... მივცე მათ ფეხზე დადგომის საშუალება. თავად კი შეურიგდა ჩვენი დაშორების ამბავს. მას უკვე დასწყებია ფილტვებიდან სისხლის დენა“...

ლადო ალექსი-მესხიშვილმა მთელი ცხოვრება გაჭირვებასა და ლუკმაპურის შოვნისთვის წვალებაში გაატარა. იმ დიდი სახელისა და აღიარების მიუხედავად, რომელიც მან ქართულ თეატრს მოუტანა, სამაგიერო სარგებლობა, გარდა თავისი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემისა, არ უგრძნია. ხშირად მას იმის საშუალებაც კი არ ჰქონია, რომ პური მაინც ეყიდა ხოლმე. „თავი ძლივს გამაქვს... შიმშილმა ძილად მიმაგდო და არც სადმე გასვლის სურვილი მაქვს“, — სწერდა შემოქმედი 1911 წელს თავის ახალ მეუღლეს.

ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, შვილები უყურადღებოდ, სხვის ხელში შემყურედ ლადოს არასოდეს მიუტოვებია. ანას იმდენად უყვარდა ქმარი და იმდენად დიდ პატივს სცემდა, რომ ხელმოკლეობის მიუხედავად, წინააღმდეგობას არ უწევდა იმაში, რომ შვილებს დახმარებოდა. ამის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ლადოს კაცურკაცობაში, შვილებისადმი მის უსაზღვრო სიყვარულში უნდა ვეძიოთ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დიდი იყო წვლილი ამ საქმეში პირადად ანასიც. როგორც ჩანს, იგი გრძნობდა თავის დანაშაულს ლადოს ოჯახის დანგრევაში. ამიტომ ყველანაირად ცდილობდა, ხელი შეეწყო ქმრისთვის, რათა შვილებთან ჯანსაღი ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

ლადო არა მარტო მატერიალურად ეხმარებოდა შვილებს, არამედ, ყველანაირად ცდილობდა, გაეღვივებინა მათში ერთმანეთისადმი სიყვარული. ეს გრძნობა დედმამიშვილებს შორის, ლადოს გარდაცვალების შემდეგ, ერთგვარად განელდა. რატომღაც ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. შალვა პოლიტიკურმა და იურიდიულმა საკითხებმა გაიტაცა, ვარია და ნინო ჯერ მოსკოვში ცხოვრობდნენ, შემდეგ — კიევში გადავიდნენ და იქ რუსულ დრამატულ თეატრში დაიწყეს მოღვაწეობა. როგორ წარიმართა ლადოს სიკვდილის შემდეგ ანასა და პატარა ლადიკოს ცხოვრება, ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1939 წლიდან, დედა-შვილი სტალინგრადში იმყოფებოდა, 1943 წელს კი, გერმანელთა მიერ ქალაქის დაბომბვისას დაიღუპა. ■

ოქტომბრის ბოლოს სამოდელო პოდიუმების სუპერვარსკვლავი კლინიკიდან გამოეწერა, სადაც ის ნარკოტიკების გამო აღმოჩნდა. სირცხვილი, დაკარგული კონტრაქტები, 3 წლის შვილთან განშორება და საავადმყოფოს კედლებში სრული იზოლაციის კოშმარი წარსულში დარჩა, მაგრამ მთავარი სირთულეები მას ჯერ კიდევ წინ ელის...

სიყვარული ან სიკვდილი — ყველა მოსი ძიებების წინაშე

ამერიკულ კლინიკა „მიდოუზში“ (არიზონის შტატი) გატარებული თითოეული დღე ავადმყოფს 4.000 დოლარი უჯდებოდა. კეიტ მოსმა ამ საავადმყოფოს კედლებში სრული ერთი თვე გაატარა. „მიდოუზის“ მესვეურნი კლინიკის VIP-სტატუსით სამართლიანად ამაყობენ, რადგან სხვადასხვა დროს სარეაბილიტაციო კურსი სწორედ აქ გაიარეს მომღერალმა და მსახიობმა უიტნი ჰიუსტონმა, ტოპმოდელმა სინდი კროუფორდმა, ინგლისის სამეფო ოჯახისა და პრინც ჩარლზის ნათესავმა ტარა პალმერ ტომპკინსონმა. მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და უპოპულარულესი მოდელისათვის ნებაყოფლობითი 30-დღიანი პატიმრობა უმძიმესი ცხოვრებისეული გამოცდა აღმოჩნდა. პირველი, რასთან შეგუებაც კეიტს მოუხდა — უმკაცრესი დისციპლინა იყო. კლინიკის პაციენტს სასტიკად ეკრძალებოდა: სატელეფონო საუბრები, ყავის სმა, სიგარეტის მოწევა, აღმგზნები მუსიკის მოსმენა და ტანზე შემოტმასნილი სამოსის ტარება (რათა პაციენტი ეროტიკულმა ფიქრებმა არ გაიტაცოს) — ბუნებრივი ინსტინქტები არაფერმა არ უნდა გააღვიძოს.

კეიტი მთელი თვის მანძილზე გარე სამყაროსთან კავშირს სრულიად მოწყვეტილი იყო. მოდელის მონახულების უფლება მხოლოდ მის 56 წლის დედას და ყოფილ ბოიფრენდს კეიტის ქალიშვილის მამას, გამომცემელ ჯეფერსონ ჰეკს ჰქონდათ. ახალგაზრდა დედა პატარა ლილუსთან განშორებას მტკივნეულად განიცდიდა. გოგონა საკუთარ დაბადების დღეს ლონდონში შეხვდა. ამ დღეს მას დედისგან 85000 კილომეტრი აშორებდა.

ყველაფერი კი სექტემბრის თვეში დაიწყო, როდესაც ბრიტანულმა გაზეთმა „დეილი მირორმა“ სკანდალური ფოტო გამოაქვეყნა. სურათზე 31 წლის კეიტი და მისი ამჟამინდელი ბოიფრენდი, 26 წლის როკმუსიკოსი პიტ დოერტი სიამოვნებით ყნოსავენ კოკაინს და ამისათვის მილის ფორმით დახვეულ 5 გირვანქა სტერლინგის ღირებულების კუპიურას იყენებენ. გაზეთმა ფოტოსურათი იმ 45-წუთიანი ვიდეოჩანაწერიდან გააკეთა, რომლის ნაწყვეტები ოქტომბერში ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტელეარხმა აჩვენა კიდეც და ის, რაც ამ ჩვენებას მოჰყვა, ატომური ბომბის აფეთქებას წააგავდა. ლონდონის დასავლეთ რაიონში მდებარე, ხმის ჩამწერ სტუდიაში გადაღებულმა კადრებმა მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო. ქერათმიანი სუპერმოდელი თეთრ ფხვნილში ჩვეული მოძრაობებით, მოხერხებულად ავლებდა ხაზებს და 40 წუთის განმავლობაში, კოკაინის 5 დოზა მიიღო. მისი მოძრაობები თვალნათლივ ამტკიცებდა, რომ კეიტი ამ საქმეში ახალბედა სულაც არ იყო, საიდუმლო კადრების ავტორი ვარსკვლავური წყვილის ერთ-ერთი მეგობარი აღმოჩნდა, რომელმაც ამ ღალატისთვის „დეილი მირორისგან“ სოლიდური გასამრჯელო — 1 მლნ დოლარი მიიღო. სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ სულ რაღაც ორიოდე თვის წინ, მეორე ბრიტანული გაზეთი „სანდი მირორი“ იძულებული შეიქნა, მოსისთვის საჯაროდ მოეხადა ბოდიში იანვარში გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო, რომელშიც ნაომი კემპბელის ყოფილი თანაშემწე, რებეკა უაიტი ირწმუნებოდა, რომ 2001 წლის ივნისში ბარსელონაში ყოფნისას, კეიტი ნარკოტიკების ზედმეტი დოზის მიღების გამო კომაში ჩავარდა და საავადმყოფოში აღმოჩნდა. სასამართლოზე ტოპმოდელმა საკუთარი სიმართლის დამტკიცება შეძლო. გაზეთმა საჯაროდ ბოდიში მოიხადა და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად კეიტს სოლიდური თანხაც გადაუხადა. ორიოდ თვეში კი ახალი სკანდალი აგორდა... სკანდალი, რომელშიც დაკვირვებული თვალი სასტიკი ირონიის კვალს დაინახავს. როდესაც ოდნავ მოუხეშავი მოზარდი გოგონა ლონდონის გარეუბნიდან მაღალი მოდის სამყაროში შეიჭრა, მას მაშინვე „ჰეროინის წიწილის“ მეტსახელი მიაკერეს. კეიტის გარეგნობა მოდელის კლასიკურ სტერეოტიპში არაფრით ჯდებოდა. პოდიუმის დედოფლისთვის უჩვეულოდ დაბალმა (169 სმ), ბავშვის წონის (43 კგ), ულამაზო ცხვირის, არცთუ ისე იდეალური კბილების მქონე ჭორფლიანმა გოგონამ შეძლო, რომ საკუთარი გარეგნობის ყველა ნაკლი ღირსებად ექცია და სილამაზის ახალი ტიპი — ეროტიკის საბურველში გახვეული ბიჭური მოუხეშაობა — შეექმნა, რომელიც წამყვანმა სავაჭრო მარკებმა სწრაფად აიტაცეს და „ჰეროინის წიწილა“ მოდის ინდუსტრიის მწვერვალზე ატყორცნეს, მაგრამ მათ მიერ შექმნილი სახე იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ თავადვე შეძრწუნდნენ და საკუთარი ქმნილება გაანადგურეს. სილამაზის ინდუსტრია ხომ ჯუნგლის კანონებით იმართება და როდესაც ქრება ის პიროვნება, რომელიც სავაჭრო მარკის რეპუტაციას ჩრდილს აყენებს, პრობლემაც ქრე-

ამერიკული კლინიკა „მიდოუზის“ მესვეურნი სამართლიანად ამაყობენ კლინიკის VIP-სტატუსით



სკანდალური წყვილი, 26 წლის დებოშიორი მუსიკოსი პიტ დოერტი და 31 წლის ტოპმოდელი კეიტ მოსი. ზაფხულში მათ დაქორწინებაც მოასწრეს, საბედნიეროდ, მათი ქორწინება ერთდღიანი ხუმრობა აღმოჩნდა. ფოტოზე — ახალდაქორწინებული წყვილი ქორწილის დღეს. გალსტონბერის როკფესტივალი (დიდი ბრიტანეთი)

კეიტ მოსის და ჯონი დეპის რომანი 4 წელს გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ, დეპმა წესიერი ვანესა პარადი ამჯობინა

ბა. ამჯერადაც ასე მოხდა — გასაჭირში ჩავარდნილ სუპერმოდელს ცნობილმა ფირმებმა: „შანელმა“, „ბერბერიმ“, „რობერტო კავალიმ“ და სხვებმა ზურგი აქციეს.

პიტ დოერტი — ველური ურჩხული

ჟურნალისტთა შენიშვნებს მისი სიგამხდრის შესახებ, კეიტი აგდებულად პასუხობდა — რომ „ჭამა ეზარება“. მოდელი წლობით დუმდა, ინტერვიუების მიცემაზე უარს აცხადებდა და ამ საქციელით საკუთარი თავის მიმართ ინტერესს კიდევ უფრო მეტად აღვივებდა; შემდეგ კი, მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა და პრესას საკუთარი ცხოვრების პიკანტურ დეტალებს გულახდილად უზიარებდა. როგორც აღმოჩნდა, კეიტ მოსს მამაკაცებზე ნაკლებად არც ქალები ჰყვარებია, ორგიები იზიდავს და როგორც თავად ამბობს, მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებები მასში ველური, სექსუალური კატის თვისებებს აღვიძებს.

გასაკვირი არ არის, რომ ულამაზეს ტოპმოდელს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, კეიტის პირადი ცხოვრება მუდამ პრობლემებით იყო სავსე. მსახიობ ჯონი დეპთან ოთხწლიან რომანს მრავალი სასიყვარულო თავგადასავალი მოჰყვა. ოცნების მამაკაცის ძიებაში ერთმანეთს ცვლიდნენ, მომღერალი ენტონი ლანგდონი, ბრიტანელი გამომცემელი, 33 წლის ჯეფერსონ ჰეკი, რომლისგანაც 2002 წელს კეიტს ქალიშვილი, ლილუ გრეისი შეეძინა; მსახიობი დენიელ კრეიგი, ახალი ჯეიმს ბონდი; ჯონი ნოკსვილი, MTV-ს კასკადიორი და, გავრცელებულ ხმებს თუ ვერწმუნებით, ჯეკ ნიკოლსონი, ვიდრე კეიტმა ბრიტანელი როკმუსიკოსი პიტერ დოერტი არ გაიცნო. საოცარია, რომ ბრწყინვალე ლამაზმანმა, პოდიუმის დედოფალმა ცხოვრების თანამგზავრად ფეთხუმი არსება აირჩია, რომელსაც მეტსახელად ბეხრეკი შეარქვეს. დოერტი საკუთარი გარეგნული იერის მიმართ იმდენად გულგრილია, რომ ჩამოძონძილი სამოსის, მუდამ გაქონილი თმისა და შეშუპებული სახის გამო, ხშირად, მაწანწალა ჰგონიათ (ამ ზაფხულში პიტმა და კეიტმა მუსიკალური კომპოზიცია ჩაწერეს, რომელსაც „მზეთუნახავი და ურჩხული“ ეწოდა), მაგრამ როგორც ჩანს, ის კეიტის მოთხოვნილებებს სრულად აკმაყოფილებდა. პიტ დოერტი ნისლიანი ალბიონის ყველაზე ცნობილ ნარკომანთა რიგებს მიეკუთვნება და უყვარს, როდესაც ნარკოტიკულ ეიფორიას მეგობარ გოგონასთან ერთად ეზიარება. კეიტის კოკაინით გაბრუებულ წარმოსახვას პიტი დაუმორჩილებელი, ამოუცნობი, ალოგიკური რაინდის სახით წარუდგა და მონუსხა კიდეც — მოდელმა ახლობლების გაფრთხილება, რომ ეს კავშირი მას სიკეთეს არ მოუტანდა — ყურად არ იღო. მისი სიყვარული დოერტის სკანდალურმა თავგადასავლებმაც ვერ გაანელა. თავგადასავლები კი მრავლად იყო: ერთ-ერთ კონცერტზე პიტმა მცველს მიკროფონით თავი გაუხეთქა. მის პირად დოსიეში არაერთი პირობითი სასჯელია და იმის გამო, რომ სხვისი ბინა გატეხა და ქურდობაზე წაასწრეს, 3 თვე ციხეშიც იჯდა. ერთადერთ ინტერვიუში, რომელმაც ჟურნალისტის მისამართით ლანძღვა-გინებისა და ფურთხების(!) გარეშე ჩაიარა, პიტ დოერტმა განაცხადა: „მან ჭეშმარიტ სიყვარულს მაზიარა, ეს მარადიული გრძნობაა. კეიტი უმშვენიერესი სულის ადამიანია და რაც მთავარია, ბოლომდე ვენდობი“. შეყვარებულმა წყვილმა სვირინგებიც გაიკეთა და სხეულზე ერთმანეთის სახელები ამოიტვიფრა! ამ ზაფხულში კი იქორწინეს კიდეც, საბედნიეროდ, მხოლოდ ხუმრობით! მათი ერთდღიანი ქორწინება გლასტონბერის როკფესტივალზე, იმ კარავში შედგა, რომელსაც სიმბოლურად „სიყვარულისა და სიძულვილის სამრეკლო“ ჰქვია... კეიტი ნარკოტიკებით გაბრუებულ საყვარელს ჯერ სახლიდან აგდებდა, შემდეგ კი, სიყვარულით გაბრუებული, ისევ და ისევ თავად ურიგებოდა. ასე მოხდა ივლისშიც, როდესაც პიტმა სომა-

ბრიტანელი გამომცემლის ჯეფერსონ ჰეკისგან კეიტ მოსს ქალიშვილი ლილუ გრეისი შეეძინა (2004 წლის ფოტო)

ლელებს ქუჩაში ხელჩართული ჩხუბი გაუმართა... გააგდო, მაგრამ წყენა მალევე დაივიწყა და ისევ შეურიგდა, რასაც ახლა ალბათ ნანობს კიდეც, რადგან მაშინ სიმტკიცე რომ გამოეჩინა, ორი თვის შემდეგ, კოკაინის სკანდალს თავიდან აირიდებდა... საქმიანი რეპუტაციის შებღალვა კეიტ მოსს მხოლოდ პოდიუმის დატოვებით და მრავალმილიონიანი კონტრაქტების დაკარგვით როდი ემუქრება. ამგვარი აღმასვლა და დაცემა მის კარიერაში მრავალჯერ ყოფილა. ამჯერად მოდელს საქმე საციხოდ აქვს. სკოტლანდიარდმა გამოძიება დაიწყო და ეს ქმედება ასე დაასაბუთა: „კეიტ მოსის წინააღმდეგ სერიოზული ბრალდება არსებობს და მისი პოპულარობის მიუხედავად, ამ ბრალდებებზე თვალს ვერ დავხუჭავთ.“ ეს კიდევ ყველაფერი როდია. მოხერხებულმა ადვოკატებმა შესაძლოა, პატიმრობის პირობითი სასჯელით შეცვალა მოახერხონ და უზარმაზარი ჯარიმის

სუპერმოდელის დედა, 56 წლის ლინდა გრეისი ქალიშვილს გასაჭირში წუთითაც არ ტოვებს. კეიტის მოთხოვნით, ის შვილის ფსიქოანალიტიკურ სეანსებსაც ესწრება

გადახდის წყალობით, კეიტი ციხიდან იხსნან, მაგრამ მთავარი საფრთხე დედობის უფლების ჩამორთმევაა, რადგან მსოფლიოში ჯერაც არ მოიძებნება ისეთი სასამართლო, რომელიც ნარკომან დედას შვილის აღზრდის უფლებას მისცემს! კეიტს მშობლის უფლებების შენარჩუნების ერთადერთი გზა ჰქონდა — ნებაყოფლობითი მკურნალობა და ტოპ-მოდელი სპეციალიზებულ კლინიკაში აღმოჩნდა.

„მიდოუზის“ პაციენტები მკურნალობის 12-საფეხურიან კურსს გადიან, რომელიც ცხოვრების ასკეტურ წესს და საკუთრივ მედიკამენტოზურ მკურნალობას, ლოცვას,

თუ კეიტ მოსი ნარკოტიკებს თავს ვერ დააღწევს, მას დედობის უფლების ჩამორთმევა ემუქრება (კეიტი ქალიშვილთან ლილუ გრეისთან ერთად)

მედიტაციას, ჰიპნოზს, იოგების ვარჯიშებს გულისხმობს. კეიტი გარე სამყაროდან მხოლოდ იმ ინფორმაციას იღებდა, რასაც კლინიკის მკაცრი ცენზურა აწვდიდა. საავადმყოფოს მედპერსონალმა პიტ დოერტის კეიტთან შეღწევის ყველა მცდელობა ჩანასახშივე აღკვეთა. თავდაპირველად, თავად მოსიც აცხადებდა, რომ სკანდალური შეყვარებულის დანახვაც არ სურდა, რომელმაც პოდიუმის დედოფალი კოკაინის კეიტად გადააქცია, მაგრამ მკურნალობის კურსის დასრულების მოახლოებასთან ერთად, კეიტის სიმტკიცეს სილბო შეეპარა. საკუთარ თავთან ბრძოლა მოდელის ლირიკულ სტრიქონებში აისახა, რომელიც... ურჩხულ პიტს ეძღვნებოდა. ერთ-ერთი ასეთი ოპუსი პრესაში მოხვდა. კეიტ მოსის სულის ამოძახილი, ლექსი — „რა არის მთავარი?“ — თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ცივი გონება ავტორს ურჩხულთან განშორებას კარნახობს, მაგრამ მისი გული სისხლისგან იცლება. ნორმალური ცხოვრება, კარიერა, დედობა, მეგობრები და წარმატება პიტ დოერტისთან ერთად შეუძლებელია. ამიტომ ახლა კეიტმა მისი ცხოვრების უმთავრესი არჩევანი უნდა გააკეთოს. საკითხი ასე დგას: სიყვარული თუ სიცოცხლე?.. ექიმების თქმით, თუ კეიტს ნორმალური ცხოვრება სურს, პიტ დოერტი მისი ცხოვრებიდან უნდა გაქრეს.

კეიტიც ცდილობს! მან ლონდონში მდებარე ბინა გააქირავა და ორი მცველი დაიქირავა, რომელთა მოვალეობაა, დოერტი მოდელს ახლოსაც არ გააკარონ და თავად კეიტი დაუფიქრებელი საქციელის ჩადენისგან დაიცვან.

ღერალი უიტნი ჰიუსტონი, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში ნარკოლოგიურ კლინიკაში აღმოჩნდა. ამ საშინელი სენისგან თავის დაღწევას მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ. ნაომი კემპბელს ნარკომანიის 15-წლიანი სტაჟი აქვს, მაგრამ დედობის სურვილმა მასში უდიდესი გარდატეხა მოახდინა და შავმა ავაზამ კოკაინს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა. ახლა ამ ბრძოლაში კეიტ მოსიც ჩაება, მაგრამ როგორც ჩანს, მისი ახლობლები ტრაგედიის სიღრმეს ბოლომდე ვერ აცნობიერებენ! სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ უცნაურ საჩუქარს, რომელიც კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ კეიტმა ჯონი დეპისგან მიიღო?! „საკუთარი თავის ხილვა არ შეგეშინდეს“, განუცხადა ჯონი დეპმა ყოფილ საყვარელს და სარკე აჩუქა. როგორც საქმეში ჩახედულნი ირწმუნებიან, სარკის ელვარე ზედაპირზე გაბნეულ მომაკვდინებელ თეთრ ფხვნილში ხაზების გავლება ძალზე მოსახერხებელი ყოფილა. ასე რომ, ჯონი დეპის ექსტრავაგანტური ხუმრობა ძალზე უადგილოდ გამოიყურება... ■

ჯონი დეპის უცნაური საჩუქარი

შოუბიზნესის სამყაროს ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკანდალები არ აკლდება. მხოლოდ ბოლო ექვსი თვის მანძილზე ნარკოტიკების მოხმარებაში კეიტ მოსის გარდა, კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი ამხილეს. მათ შორის — მომღერალი და დიზაინერი ბოი ჯორჯი, რომელსაც სახლში კოკაინის დიდი მარაგი აღმოუჩინეს, მსახიობი და მომ-

კეიტ მოსმა ერთხელ აღიარა, რომ „აქტიურობის მსუბუქ სტიმულატორებს“ (ნარკოტიკებს) გემო 15 წლის ასაკში გაუსინჯა

იმანი: თქვენთვის, გოგონებო!

ამ ცოტა ხნის წინ, დევიდ ბოუის მეუღლის, ექსსუპერმოდელ იმანის ახალი წიგნის — „უნიკალური გიდი ფერადი კანისათვის“ — პრეზენტაცია შედგა; წიგნის ავტორი, ფერადკანიან გოგონებს სახის კანის სრულყოფასთან დაკავშირებულ რჩევა-დარიგებებს აძლევს. „წიგნში არსად არის დაკონკრეტებული, როგორ უნდა წარმოაჩინო აზიური თვალის ჭრილი უფრო ფართოდ და გადიდებულად ან როგორ დაიპატარავო აფრიკული ტუჩები, — უზიარებს თავის გამოცდილებას 50 წლის სომალიში დაბადებული ექსსუპერმოდელი ფერადკანიან გოგონებს. — ჩემი წიგნი თვითრეალიზებასა და საკუთარი თავის სრულყოფას ასწავლის მკითხველს, ვინაიდან ეს წიგნი ფერადკანიანი ქალების ხოტბას წარმოადგენს. ამასთან ერთად, ის საოცრად მარტივი და მსუბუქი ენითაა დაწერილი“. იმანის კოსმეტიკური კომპანია ბაზარზე 1994 წლიდან გამოჩნდა და მას შემდეგ, სპეციალურად ფერადკანიანი ქალებისათვის შექმნილ პროდუქციას წარმატებით სთავაზობს მომხმარებელს. ფერადკანიანი ქალბატონები ხშირად უჩივიან იმას, რომ მათი კანის თავისებურებებს ცუდად ერწყმის ჩვეულებრივი კოსმეტიკა. „ჩვენი კომეტიკური ხაზის მიერ გამოშვებულ პროდუქციაში, ჩვეულებრივ, ხუთი სტანდარტული შეფერილობაა წარმოდგენილი, — ამბობს იმანი. — განსხვავებული კოსმეტიკური პროდუქციის გამოშვების იდეა, მას შემდეგ მომივიდა თავში, რაც ჩვენებებზე გამოსასვლელად მზადებისას, ჩვეულებრივი კოსმეტიკის გამოყენების დროს, უამრავ სიძნელეს წავაწყდი. მაშინ სასწრაფოდ დავიწყე მისი შემცვლელის ძიება და საბოლოოდ, საკუთარი კოსმეტიკური ხაზის გამოშვების იდეამდე მივედი“. ■

ანჯელინა ჯოლი „ლარა კროფტის“ მესამე ფილმში

საიტზე The Business Online — გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ კომპიუტერული გმირის ლარა კროფტის საავტორო უფლების მფლობელი კომპანია აკლდამათა მძარცველის შესახებ მესამე ფილმის გადაღებას იწყებს. კომპიუტერული თამაშების მწარმოებელმა კომპანიამ — SCI და Paramount Pictures-მა მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს. როგორც SCI-ს წარმომადგენელმა განაცხადა, ლარა კროფტს მესამე სურათშიც ანჯელინა ჯოლი განასახიერებს. როგორც ცნობილია, წინა ფილმების — „ლარა კროფტი: აკლდამათა მძარცველი“ (2001) და „ლარა კროფტი: „სიცოცხლის აკვანი“ (2003) — მსოფლიო გაქირავების შემოსავალმა 450 მლნ დოლარს გადააჭარბა. ■

„პიკის საათი — 3“ ეკრანებზე მაინც გამოვა

ყველაზე პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, „პიკის საათის“ მთავარი როლების შემსრულებლებს შორის კომპრომისი მიღწეულია! ეს იმას ნიშნავს, რომ მაყურებელი მალე ჯეკი ჩანისა და კრის ტაკერის გმირების — დეტექტივების ლისა და კარტერის ერთობლივი მოღვაწეობის კიდევ ერთ ეპიზოდს იხილავს.

ახალი სურათის გადაღებას დიდი ხნის მანძილზე ამ მსახიობთა გაზრდილი „მადა“ აფერხებდა. ტაკერი შემოსავლის 20%-ს ითხოვდა, ჯეკი ჩანი კი მხოლოდ 15%-ს სჯერდებოდა. საბოლოოდ, კომპრომისული ვარიანტი ასე გამოიყურება: ტაკერი 20 მლნ დოლარს მიიღებს, ჩანი — 15 მლნს, გაქირავებიდან შემოსული თანხა კი მთლიანად დისტრიბიუტორს რჩება. ამასთან, კონტრაქტის თანახმად, ტაკერს სცენარის რედაქტირების საშუალება არ ექნება.

ახალი სურათის შინაარსი ჯერჯერობით უცნობია. როგორც მოსალოდნელია, ფილმის მოქმედება აფრიკაში განვითარდება. მსახიობებს შორის ამ საკითხშიც უთანხმოებაა. ჯეკი ჩანი მოქმედების ადგილად ეგვიპტეს ამჯობინებს, ტაკერს — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ურჩევნია. 2005 წლის ივლისში, ჯეკი ჩანმა პრესას განუცხადა, რომ ტაკერს პროექტზე გავლენის მოპოვება სურს. „ის ხომ ჯერ ახალბედა მსახიობია?! განა რამდენ ფილმში ითამაშა? მან პოპულარობა მხოლოდ ორიოდე სურათით მოიხვეჭა!“ — განაცხადა აღშფოთებულმა ჩანმა.

კომპანიები Spyglass Entertainment და Arthur Sarkissian ახალი სურათის გადაღებების დაწყებას ჯერ კიდევ 2004 წლის იანვარში გეგმავდნენ, მაგრამ ზემოთ ხსენებული საბიუჯეტო პრობლემების გამო, ფილმის გადაღება რამდენჯერმე გადაიდო. New Line Cinema-მ ახალი სცენარისტი ჯონ როჯერსი მიიწვია და სიუჟეტის საბიუჯეტო პრობლემებთან შესაბამისობაში მოყვანა დაავალა. „პიკის საათი 3“-ის გადაღებები 2006 წლის მარტში დაიწყება. ■

კურტ კობეინი თავად მოგვითხრობს საკუთარ თავზე

ჯგუფ Nirvana-ს აწ გარდაცვლილი ლიდერის, კურტ კობეინის ცხოვრებაზე ლოს-ანჯელესელი კინოდოკუმენტალისტები კიდევ ერთ ფილმს იღებენ — ოღონდ, ამჯერად მაყურებელს მთხრობელის როლში თავად კურტ კობეინი მოევლინება. მსგავსი სასწაულის მოსახდენად, ფილმოგრაფებმა მუსიკოსის ინტერვიუს საკასეტო ჩანაწერის შტუდირება მოახდინეს. ეს ვრცელი ინტერვიუ თავის დროზე მაიკლ აზერადმა, Nirvana-ს ბიოგრაფიის — Come As You Are-ის ავტორმა ჩაიწერა. სურათის ვერსია სწორედ კურტის თხრობის მიხედვით აეწყობა. ახალი ფილმის რეჟისორი ეი-ჯი შნაკი იმედოვნებს, რომ მსგავსი ტრიუკი ანუ კობეინის მიერ პირველ პირში წარმართული თხრობა, კურტის „გაადამიანურებას“ შეუწყობს ხელს. — მომღერალი ხომ კერპად აქცია მისმა თავბრუდამხვევმა აღმასვლამ და ტრაგიკულმა ვარდნამ. 37 წლის რეჟისორი შნაკი ამბობს, რომ ის და მისი ძმისშვილები კურტის ფანატები არიან. „ოღონდ, დასძენს შნაკი, — ის მათთვის მიუწვდომელ ბუმბერაზად იქცა. მას ჩვეულებრივად, ვერ მიუდგები, რადგან ის ხატად იქცა“. შნაკი მიიჩნევს, რომ მისი სახების ამგვარი აღქმა, სწორედ კობეინის სიცოცხლის უკანასკნელი წლების მოვლენებმა და მისმა სიკვდილმა განაპირობა. „საქმე არც მის მუსიკაშია და არც იმაში, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ. უბრალოდ, მისი ჭეშმარიტი სახის რეკონსტრუირების სურვილი გამიჩნდა — ამისთვის კი, ყველაზე უკეთესი იქნება, თუკი კურტი თავად მოგვითხრობს საკუთარ თავზე“, — თავის ჩანაფიქრს ამხელს რეჟისორი. ■

«ნაკრების პრესტიჟის ასამაღლებლად ყველამ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ»

ტრავმით გამოწვეული ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოგა გახოკიძე მინდორს დაუბრუნდა. ჰოლანდიური „ტვენტეს“ ქართველმა ლეგიონერმა კუნთის ტრავმის გამო კარგა ხანს „დაისვენა“ და მოედანზე დანიის ნაკრებთან ავადსახსენებელი სტუმრობის შემდეგ აღარ გამოჩენილა. არადა, გახოკიძე ეროვნული გუნდისთვის, ვფიქრობთ, საჭირო ფეხბურთელია. მაგალითისთვის უკრაინელებთან მატჩის უკანასკნელ წუთებზე ლამის ცენტრიდან გატანილი საჯარიმოც იკმარებს. რამდენიმე დღეში ერედივიზიონში ქართული დერბი შედგება — „ტვენტე“ შოთა არველაძის „ალკმაარს“ მიიღებს. რას უნდა ველოდეთ ტიტების ქვეყანაში გამართული ქართული დუელისგან, რა სარგებლობა მოაქვს ჩინურ მასაჟს და რატომ ვერ ჩამოვა ზაფხულამდე საქართველოში, ამაზე თავად გოგა გახოკიძე გვესაუბრება.

რატი შელეგია

— პაუზა მართლაც დიდი გამომივიდა. ორ თვეზე მეტი გამიცდა და გასულ კვირას, „სპარტასთან“ მატჩისას დავბრუნდი. კუნთის ტრავმამ გამაწამა, ვარჯიშს დავიწყებდი თუ არა, თავს მახსენებდა. ახლა, როგორც იქნა, თამაში დავიწყე და მინდა, რაც შეიძლება მალე აღვიდგინო ფორმა.

— ტრავმა ბოლომდე მოიშუშე?

— ჩინურ მასაჟს ვიკეთებ, დღეს უკვე მეხუთედ ვიყავი პროცედურებზე და შედეგი აშკარად თვალში საცემია. მგონი, ერთხელ და სამუდამოდ მოვახერხებ ამ ტრავმისგან განკურნებას.

— „სპარტასთან“ ბოლო ნახევარი საათი ითამაშე. ამ დრომ რა დაგანახვა, ძველი კონდიციების აღდგენას რამდენ ხანში შეძლებ?

— ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორს ვარ, მაგრამ ამის შემდეგ, სათამაშო დროც მეტი მექნება და თანდათანობით მოვუმატებ. ამ ყველაფერს დრო სჭირდება, რადგან ორი თვე ცოტა არ არის და რა გასაკვირია, ჯერ ძველებურად თუ ვერ ვითამაშებ. მთავარია, მოვიგეთ — „ტვენტეს“ ქულები ძალიან სჭირდება...

— ზაფხულში მუნდიალი იმართება და სხვა ქვეყნების მსგავსად, წელს, ჰოლანდიის ჩემპიონატიც უფრო დატვირთული გრაფიკით, შემჭიდროებულ ვადებში გაიმართება?

— დეკემბერში შესვენება, ფაქტობრივად, არ იქნება და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, კიდევ ოთხი თამაშის ჩატარება მოგვიწევს — მესამიდან მეცხრე ადგილამდე გასული გუნდები გადათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. ასე რომ, ზაფხულამდე საქართველოში ჩამოსვლას ვერ მოვახერხებ.

— მორიგ ტურში არველაძის „ალკმაარს“ უმასპინძლებთ. შოთას კლუბი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერია და ალბათ, მეგობრის წინააღმდეგ სათამაშოდაც განსაკუთრებულად ემზადებით.

— „ალკმაარი“ მართლაც კარგი გუნდია. მწვრთნელიც ჩინებული ჰყავს და მოთამაშეებიც. ისე, სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ჩვენს მოედანზე კარგა ხანია არ მოუგია და შევეცდებით, ტრადიცია გავაგრძელოთ. საინტერესო მატჩი იქნება და იმედია, ორივე ქართველს მოგვეცემა თამაშის შესაძლებლობა.

— შოთასთან ურთიერთობას ხშირად ახერხებ?

— უმეტესწილად ტელეფონით ვუკავშირდებით ერთმანეთს. ჰოლანდია პატარა ქვეყანაა და ის ქალაქებიც ახლოსაა ერთმანეთთან, სადაც ჩვენ ვთამაშობთ, მაგრამ ორივეს ისეთი დაძაბული გრაფიკი გვაქვს, თავისუფალი დრო თითქმის აღარ გვრჩება.

— ჰოლანდიური პრესა როგორ აფასებს არველაძის თამაშს? შოთამ მართლაც შთამბეჭდავად დაიწყო სეზონი...

— კაცი ჰოლანდიის საუკეთესო ბომბარდირია და მისით უკმაყოფილო რატომ იქნებიან? 14 თამაშში მე-13 გოლი „გაიფორმა“ *(„ალკმაარმა“ გასულ შაბათს „ჰერენვენს“ მოუგო 2:1. — ავტ.)*

— საქართველოს ნაკრებში მომხდარი ცვლილებები გეცოდინება...

— რა თქმა უნდა. თუ არ ვცდები, დარსაძის ნაცვლად გერმანელი სპეციალისტის ჩამოყვანა უნდათ. ლაპარაკია მათიას ზამერზეც...

— ზამერის ჩამოსვლა გამოირიცხა. ყველაზე რეალურ კანდიდატებად კლაუს ტოპმიოლერი და სრეჩკო კატანეცი რჩებიან...

— მწვრთნელი რაც უფრო გამოცდილი და ავტორიტეტული იქნება, მით უკეთესია ჩვენთვის. ზამერს ევროპაში კარგი სახელი აქვს, მაგრამ თუ საქართველოში მუშაობა არ სურს, ხომ ვერ დავაძალებთ?

— ისე, შენ ვის კანდიდატურას შესთავაზებდი ფედერაციის ხელმძღვანელობას? სახელიანი მწვრთნელები ჰოლანდიაშიც საკმაოდ არიან...

— შეთავაზებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე იმათი დახასიათება შემიძლია, ვისთანაც მიმუშავია. გუს ჰიდინკი, ერიკ გერეტსი, ბობი რობსონი ჩინებული სპეციალისტები არიან. იმის მიუხედავად, რომ ჰიდინკი ძლიერი მწვრთნელია და ჩამოთვლილთაგან ყველაზე შედეგიანიც, მცირე უპირატესობას ერიკ გერეტსს მივანიჭებდი — გამოცდილი და რაც მთავარია, ძალზე მოწესრიგებული მწვრთნელია. დათანხმდებოდნენ თუ არა საქართველოში მუშაობაზე, ძნელი სათქმელია, ფაქტი კი ის არის, რომ ამჟამად ორივე მათგანს კონტრაქტი აკავშირებს — ჰიდინკი ავსტრალიის ნაკრებს წვრთნის, გერეტსი კი „გალათასარაიში“ მუშაობს. ისე კი, ვინც არ უნდა ჩამოვიდეს, თუ ერთსულოვნება არ იქნა, ვერაფერს მივაღწევთ. ნაკრების პრესტიჟის ასამაღლებლად ყველამ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ.

— როგორ ფიქრობ, მხოლოდ ძლიერი სპეციალისტის ჩამოყვანა უშველის ჩვენს ნაკრებს? უამრავი მწვრთნელი გამოვიცვალეთ, შესარჩევი ჯგუფებიდან გასვლა კი ისევ ოცნებად რჩება...

— არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს და ბევრი მათგანი ძლიერ ევროპულ კლუბშიც გამოდის. ამის მიუხედავად, შედეგს ვერ ვაღწევთ. რაღაც გვაკლია — შესაძლოა, სწორი ტაქტიკა, დისციპლინა... თანამედროვე ფეხბურთში წვრილმანებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ალბათ, როცა ყველაფრის თანხვედრა მოხდება და მოთამაშეებიც ბოლომდე მოვინდომებთ, ნაკრებსაც ეშველება... ■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-48)

ახალგაზრდა ქორეოგ ლანა მესხს, რომელსაც მთავარი ექიმი სამსახურიდან დაითხოვს, კოლეგა — გიზო ვაშაკიძე ახალგახსნილ ფარმაცევტულ ფირმაში სამუშაოდ წაიყვანს, რომელიც მას და მის მეგობარს ეკუთვნის. ჯერჯერობით, ლანას დიდად არც პირად ცხოვრებაში უმართლებს, რის გამოც დედამისი — თამარი განსაკუთრებით ნერვიულობს. ჯერ კიდევ საავადმყოფოში მუშაობისას, ავადმყოფის სანახავად მიმავალ ლანას თავს დაესხმება ნარკომანი, რომლისგანაც ახალგაზრდა მამაკაცი დაიხსნის. ლანას მხსნელი — ლევანი კერძო სამშენებლო ფირმის მეპატრონეა. მას მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს და 6 წლის ქალიშვილს მარტო ზრდის. ახალგაზრდებს ერთმანეთი თავიდანვე მოეწონებათ. თუმცა ლანა თავს მაინც შორს დაიჭერს. ამასობაში, ლევანს რამდენიმე თვით გერმანიაში, სტაჟირებაზე მოუწევს წასვლა. მანამდე ის ლანას ხვდება და თავის ყველაზე დიდ საიდუმლოს უმხელს. ლევანის ახალგაზრდა მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ, თავად ლევანი კი ამ დროს თურმე ყოფილ საყვარელთან პაემანზე ყოფილა. ამის გამო ის ძალზე იტანჯება. ლევანის გაგზავრების შემდეგ, ლანა გიზოს ფირმაში იწყებს მუშაობას. ფირმის შეფი — გივი გიგაური ქალს მაშინვე არშიყობას დაუწყებს, რაც ლანას დიდად არ აშფოთებს. სამაგიეროდ, ის შეფის მდივანს — თინიკო ელიავას დაუმეგობრდება, რომელიც მას ფირმის მთელ „შიდასამზარეულოს“ გადმოულაგებს...

მოულოდნელად, ლანას კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდება: დედა მის ტანზე უცნაურ ლაქებს შენიშნავს და თავის მეგობარ ექიმთან გააქანებს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დიაგნოზს დაუსვამს. მაგრამ ექიმის მიერ დანიშნულ წამალს ლანა არ სვამს, რითიც დედის გულისწყრომას გამოიწვევს. შემდეგ, თამარი შემთხვევით აღმოაჩენს ათას დოლარს, რომელიც ლანას, ლევანმა დაუტოვა. ქალიშვილი მოკლედ მოუყვება დედას ამ კაცის შესახებ, მაგრამ თამარი უეცრად ეტყვის — შენ ის კაცი უკვე გიყვარსო... ამ საუბრის დროს, თამარი შვილს სთხოვს, წავიდეს სოფელში ბებიასთან, რომელსაც სურს, წამლების საგვარეულო რეცეპტები გადასცეს.

სოფელში მიმავალი ლანა გზაში შემთხვევით გაიცნობს ლევანის დედასა და პატარა ქალიშვილს თამუნას. სოფელში, ბიძის ოჯახში ლანას ძალზე გულთბილად მიიღებენ. ბებია ქეთო კი შვილიშვილს მალევე გამოუტყდება — ჩემი საქმის გამგრძელებლად მეგულებიო.

ბებია, ლანას ჭკუასუსტ ყმაწვილს — იონას გააცნობს, რომელიც კარგადაა გარკვეული სამკურნალო მცენარეებში. შემდეგ, იმ ოთახს უჩვენებს, სადაც წამლების დასამზადებელი სხვადასხვაგვარი ჭურჭელი და ბალახი აქვს და არავის უშვებს... ლანა ქეთოს თავისი ავადმყოფობის ამბავს მოუყვება და აჭრელებულ მკლავებსაც უჩვენებს. ბებია დაჰპირდება, რომ მის მიერ დამზადებული წამალი ერთ თვეში მოარჩენს. მეორე დღეს, ლანას, გივი გიგაური დაურეკავს და შეახსენებს წინადადებას, რომელიც მას ქეთოსთვის უნდა გადაეცა. ლანას ბიძაშვილ გოგას ეს წინადადება მოეწონება — იქნებ, ამ გივიმ ფული გაგვაკეთებინოსო...

მეორე დილით ლანა ჯერ წესიერად გამოღვიძებულიც კი არ იყო, რომ გოგა ისევ მობილურით ხელში წამოადგა თავზე:

— ე, ბოშო, შემჭამეს ამ შენმა უფროსებმა! უკვე მესამედ დარეკა...

— ხომ გაგაფრთხილე, არ დამიძახო-მეთქი!.. — ბიძაშვილს აპარატი ხელიდან გამოჰგლიჯა გაღიზიანებულმა ლანამ და გათიშა.

— ეს სხვა უფროსია, ბოშო — რაჭველი, არჩვაძე...

— ბატონი დავითი? — აპარატი ისევ სასწრაფოდ ჩართო გაოცებულმა ლანამ.

აპარატის ჩართვა და დარეკვა ერთი აღმოჩნდა.

— გისმენთ! — ყურმილში ჩასძახა გახარებულმა ლანამ. — ბატონო დავით, თქვენ ბრძანდებით?

— როგორ?.. უკვე სხვა დავითიც გაიჩინე თუ?!. — გაისმა ყურმილში ლანას უფროსი მეგობრისა და კოლეგის როხროხი.

— როდის ჩამობრძანდით?

— სად — საქართველოში თუ რაჭაში?

— როგორ?.. თქვენც რაჭაში ხართ?

— მეც კი არა — მე!.. შენ ჯერ „პროექტშიც“ არ იყავი, მე რომ რაჭაში უკვე ოპერაციების გასაკეთებლად დავდიოდი!..

— დიახ, რა თქმა უნდა... ეგ ხომ მეც ვიცი... — როგორც იქნა, გონს მოეგო ლანა — უბრალოდ, თქვენი ხმის გაგონებამ იმდენად გამახარა, რომ თავადაც აღარ ვიცი, რას მივედ-მოვედები...

— მაშინ მე დამიგდე ყური! — გამოსავალი სწრაფად მოძებნა არჩვაძემ.

— დიახ, გისმენთ!

— თბილისში როდის უნდა დაბრუნდე?

— ზეგ ვაპირებ.

— ხვალ დილით რაიონში ჩამოსვლას თუ მოახერხებ?

— თუ საჭიროა, ხვალაც მოვახერხებ და დღესაც.

— არა, დღეს არ მჭირდები. ხვალ კი, ორი — ბრმა ნაწლავის და ერთიც — თიაქრის ოპერაცია მაქვს გასაკეთებელი. შენც თუ მომეხმარები, საღამომდე ყველაფერს მოვრჩებით და ზეგ თბილისში ჩემი მანქანით წაგიყვან.

— ჰო, მაგრამ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა ლანამ.

— რა იყო?.. არ მითხრა ახლა, ბრმა ნაწლავის ოპერაციის გაკეთების მეშინიაო...

— არც უმაგისობაა, — ამოიოხრა ლანამ, — თქვენ, ალბათ, ჯერ არ იცით, რომ...

— უკვე ყველაფერი ვიცი, — გააწყვეტინა დავითმა. — ჩხიკვიშვილისგან სხვას, აბა, რას ელოდი?!. მაგრამ არა უშავს, ცოტაც მოითმინე და მერე, ჩემთან დაგაწყებინებ მუშაობას.

— მართლა?! — სახე გაუნათდა ლანას. — საკუთარი კლინიკის გახსნას ხომ არ აპირებთ?

— ჰო... უცხოეთში ცოტა ფულს უკვე მოვუყარე თავი... აპარატურის ნაწილს საჩუქრად მაძლევენ... მოკლედ, საბოლოო ჯამში, რაღაც კარგი უნდა გამოვიდეს, ოღონდ, ცოტა მოცდა მოგვიწევს... ალბათ, ასე, გაზაფხულზე, საქართველოში საბოლოოდ რომ დავბრუნდები...

— როგორ?.. — ისევ მოიღუშა ლანა. — კიდევ აპირებთ უცხოეთში წასვლას?

— შენ გგონია, იქ ვინმემ იცის, რომ საქართველოში ვარ?.. გამოვიპარე, გოგო, პატარა ბიჭივით გამოვიპარე!.. შვილიშვილები ისე მომენატრნენ, რომ ვეღარ გავუძელი... მერე აქეთ გამოვიქეცი დედაჩემის სანახავად, მაგრამ ვინ გვაცალა!.. ზოგი თიაქარჩამოკიდებული მომადგა კარზე და ზოგიც — ბრმანაწლავაფეთქებული... მოკლედ, მოვრჩეთ ახლა ლაპარაკს! ხვალ დილით მანქანას გამოგიგზავნი და ჩამოირბინე!..

— ნუ შეწუხდებით, ბატონო დავით, ჩემს ბიძაშვილს ვთხოვ და ის ჩამომიყვანს...

— ბიძაშვილებს თავი დაანებე და მე მომისმინე! — გააწყვეტინა არჩვაძემ. — ხვალ 10 საათზე მანქანა მანდ იქნება და მზად იყავი! — დაუმატა მან შემდეგ და კავშირიც მაშინვე გაწყდა.

— ბიძაშვილიო? სად ჩამომიყვანსო? — ჰკითხა გოგამ ლანას. — საინტერესოა, სად და ვისთან მიბრძანდები?

— რაიონში. ჩემი მასწავლებელი, დავით არჩვაძე ოპერაციებს აკეთებს და მე ასისტენტობა უნდა გავუწიო! — სიამაყით გამოუცხადა ბიძაშვილს ლანამ. — ახლა კი უნდა ავდგე და ამიტომ აქედან მოუსვი!

— ქეთო! — გასძახა შუა ოთახში მოფუსფუსე ბებიას გოგამ. — გესმის, შენი შვილიშვილი რას აპირებს?

— არაფერიც არ მესმის, — უპასუხა ქეთომ. — აქეთ გამობრძანდი და ისე მელაპარაკე!

გოგას გასვლისთანავე, ლანა ფეხზე წამოფრინდა და ტანსაცმელი სწრაფად ჩაიცვა.

— რას მიედ-მოედება ეს ბიჭი? — ჰკითხა ოთახში შესულ ლანას ქეთომ. — ხვალ მართლა სადმე მიდიხარ თუ?..

— ჰო, — დამნაშავესავით მოიბუზა ლანა. — აუცილებლად უნდა წავიდე.

— კარგი, დაჯექი... ჯერ ვისაუზმოთ და მერე ამიხსენი, რა მოხდა.

ლანა ხელის დასაბანად აივანზე გავიდა და ჭიშკართან მდგარ იონას მოჰკრა თვალი.

— იონა! — დაუძახა მან ახალგაზრდას. — ჩვენთან მოდიხარ?

იონამ თანხმობის ნიშნად თავი პატარა ბავშვივით დაუქნია.

— მერე, რაღას უდგარხარ?.. ჩქარა, თორემ საუზმე გაცივდება! — აივნის ბოძზე მიმაგრებულ ხელსაბანზე ხელები სწრაფად გადაიბანა ლანამ.

იონამ ჭიშკარი ფრთხილად გააღო და კიბისკენ მოკლე ნაბიჯებით წამოვიდა.

— ცოტა ჩქარა, თორემ გავიყინე! — სველი ხელები მოიფშვნიტა ლანამ.

იონამ ნაბიჯს აუჩქარა, კიბე წამში აირბინა, ლანას წინ თოფნაკრავივით შედგა და უზარმაზარი მავედრებელი თვალები შეანათა.

— რა იყო? — უხერხულად შეიშმუშნა ლანა. — მოხდა რამე?

იონამ მაშინვე თავი დაუკრა.

— ეტყობა, ენა გადაყლაპე, ხომ? — იხუმრა ლანამ.

იონამ ახლა, უარის ნიშნად გააქნია თავი.

— კარგი, სახლში შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ, — ოთახის კარი შეაღო ლანამ და კინაღამ ზედ მიეხალა გოგას.

— შენ სადღა გარბიხარ? — ჰკითხა მან ბიძაშვილს. — ერთად გვესაუზმა.

— რას გეტყვი, იცი?.. — აბუზღუნდა გოგა. — ქეთო ღვინოს აღარ აჩენს და მარტო ოფლის მოსადენად აქანა ნამდვილად ვერ დავრჩები...

— სულ ტყუილად ბუზღუნებ, — დაუყვავა მას ლანამ. — იცი, ბებიას რა გემრიელი ჩაი აქვს?

— თუ ასეა, ჩემი წილიც აგერ ა, ამ ვაჟკაცს დაალევინე! — იონას მხარზე მთელი ძალით დაჰკრა ხელი გოგამ. — გევიგე, ასკილი ნამეტანი ჰყვარებია!..

— თუ ასეა, როგორც გენებოს! — კარში გახიდულ ბიძაშვილს მოხერხებულად აუარა გვერდი ლანამ და ოთახში შევიდა.

— ხვალ რაიონში რომელ საათზე უნდა წაგიყვანო? — დაადევნა გოგამ.

— ნუ წუხდები, მანქანით ამომაკითხავენ.

— უჩემოდ ფეხსაც ვერსად გაადგამ! — დაუტატანა ქალს გოგამ. — შენ აქ თბილისი ხომ არ გგონია!..

— მაშინ, ინათეს თუ არა, აქ გაჩნდი, — არხეინად მიუჯდა სუფრას ბიძაშვილის ეჭვიანობით გამხიარულებული ლანა...

მთელი საუზმის მანძილზე, იონას ერთხელაც არ ამოუღია ხმა. ქეთოს და ლანას კითხვებზე მხოლოდ თავის დაქნევ-გაქნევით თუ პასუხობდა.

— რა დაემართა ამ ბიჭს? — ჰკითხა ლანამ ქეთოს, იონას წასვლისთანავე. — საერთოდ ხომ არ დამუნჯდა?

— არა. ზოგჯერ იცის ასე... როცა რაღაცაზე ძალიან ნერვიულობს ან პირიქით, რაღაც ძალიან უხარია, საერთოდ დადუმდება ხოლმე.

— ახლა ნერვიულობს თუ უხარია?

— ალბათ, ერთიცაა და მეორეც... თუმცა, უფრო გახარებული უნდა იყოს.

— რაზე ატყობ?

— თვალებზე... როცა უხარია, თვალები საოცრად ღრმა უხდება...

— ჰო, თვალები მართლაც არაჩვეულებრივი აქვს, ზღვასავით ლურჯი და თითქოს მთელი სამყაროს დამტევი... — თავისთვის ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა ლანამ.

— იონა საერთოდაც, არაჩვეულებრივი ადამიანია და გული მწყდება, რომ კარგად ვერ გაგაცანი, — სევდიანად ჩაილაპარაკა ქეთომ.

— ისე ოხრავ, თითქოს ან მე და ან იონა სიცოცხლის ბოლო დღეებს ვითვლიდეთ.

— თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ მე ნამდვილად ვითვლი. რა ვიცი, მოვესწრები კი შენს ხელახლა ნახვას... — დამჭკნარ ლოყაზე ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა ქეთოს.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — გაუწყრა მას ლანა. — მარტო მე კი არ მნახავ, შენს ქალიშვილსაც აუცილებლად ამოგიცუნცულებ აქ, აბა!

— ქენი სიკეთე და მართლა ამომიყვანე ის უგულო! — შეევედრა შვილიშვილს ქეთო.

— ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ თავად მისთვის მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი სათქმელი და საფლავში ნუ ჩამატან.

— საფლავის და სიკვდილის წამდაუწუმ ხსენებას თუ არ მოეშვები, იცოდე, მართლა გავბრაზდები! — ხმას აუწია ლანამ. — რას ჰგავს შენი საქციელი?! მართლა ხომ არ დაგვიბერდი?..

— ჩემი ხნისა რომ მოიყრები, ეგ კითხვა მაშინ საკუთარ თავს დაუსვი და კარგად მიხვდები, სიბერე რა არის.

— თხოვნას ვერ შეგისრულებ, იმიტომ, რომ შენს ასაკში, ჩემი ძვლებიც კი აღარსად იქნება.

— თავს ტყუილად მაცოდებ! — მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა ქეთომ შვილიშვილი. — ჩვენ ისეთი ჯიში გვაქვს, სულ ცოტა, 80 წლამდე მაინც იცოცხლებ...

— შენს პირს შაქარი, მაგრამ რა იცი, რომ მაინცდამაინც შენს ჯიშზე ვარ წასული? — ახლა ლანამ აათვალიერ-ჩაათვალიერა ქეთო. — რაზე მეტყობა?

— კოჭებზე... — მშვიდად მიუგო ქეთომ და ფეხზე წამოდგა. — და თუ საქმის კეთებას არ დამაცდი, მაგ კოჭებს წკეპლით ერთი გემრიელად აგიჭრელებ...

ამის შემდეგ, თითქმის მთელი დარჩენილი დღე ბებია-შვილიშვილმა ქეთოს პატარა სამფლობელოში გაატარა. ქეთომ სამკურნალო ნაყენი დაუმზადა ლანას. ერთი კოვზი მაშინვე დაალევინა, დანარჩენი კი, მოზრდილ მინის ბოთლში ჩაასხა.

— ესაა, პატარა შუშას დაგიმზადებო?.. — ბოთლს უნდოდ გახედა ლანამ. — ამდენს რა დალევს!

— თუ მორჩენა გინდა, ამასაც დალევ და კიდევ ორ ამდენსაც, — ბოთლს თავი საგულდაგულოდ დაუცო ქეთომ.

— რას ამბობ?! — შეიცხადა ლანამ. — 3 ამხელა ბოთლი რომ დავლიო, ხომ გავსკდი!

— თუ არ დალევ, მაშინ იარე აჭრელებული ხელებით და გაზაფხული რომ მოვა, ლაქები ჩიტებს ააკენკვინე! — გაგულისდა ქეთო.

— კარგი, კარგი, — დანებდა ლანა. — დავლევ, აბა, რა ჯანდაბას ვიზამ! ეტყობა, მართლა შენს ჯიშზე ვარ წასული: ხომ დიპლომიანი ექიმი ვარ, მაგრამ როგორც კი ჩემს ჯანმრთელობაზე მიდგება საქმე, ათასგზის გამოცდილ და აღიარებულ პრეპარატებზე მეტად, მაინც ბალახბულახის იმედი უფრო მაქვს...

— ბალახბულახს გაჩვენებ მე შენ! — გაუწყრა ქეთო შვილიშვილს. — უყურე ერთი ამას!.. იცი, ამ, როგორც შენ ეძახი, ბალახბულახის შეგროვებას, გაშრობას და გამოყენებას რამხელა ნიჭი და ცოდნა უნდა?

— ვიცი... — სასწრაფოდ უკან დაიხია ლანამ.

— არაფერიც არ იცი! — მაინც თავისას განაგრძობდა ქეთო. — თანაც, შენ გგონია, მარტო ბალახებით მკურნალობდნენ ძველი სახალხო მკურნალები? აგერ ა, შენს არჩვაძეს თავი მწვანე კიტრივით მოაქვს — არიქა, რაჭველებს ჩამოვეშველე, თიაქრის და ბრმა ნაწლავის ოპერაციები უნდა გავუკეთოო, — მაგრამ იცი, რომ ჩვენი წინაპრები, ხევსურები, მაგალითად, თავის ქალასაც თითქმის

უმტკივნეულოდ ხდიდნენ ავადმყოფებს და იქ ჩაბუდებულ სიმსივნესაც პეპელასავით მსუბუქად ამოარიდებდნენ ხოლმე!..

— რა-რა და ეგ ნამდვილად ვიცი! — ისევ შეეპასუხა ლანა. — მეტიც, ხევსურ მკურნალებში დიაგნოსტიკაც უმაღლეს დონეზე იყო. ისინი ჯერ ყველანაირად ადგენდნენ, საჭირო იყო თუ არა ტრეპანაცია და ავადმყოფს თავის ქალას მხოლოდ ამის შემდეგ ხდიდნენ. სხვათა შორის, ჩვენამდე მარტო მაშინდელი სამედიცინო იარაღები კი არა, ტრეპანირებული თავის ქალებიც კია შემორჩენილი და მე ეს ყველაფერი ხალხური მედიცინის მუზეუმში საკუთარი თვალით მაქვს ნანახი!

— ჰმ! ხედავ, როგორ აჭიკჭიკდი! — გაოცებით შეათვალიერა ქეთომ შვილიშვილი. — კაცმა რომ გკითხოს, ბაბუაწვერას, სარეველა ბალახისგან ვერ არჩევ, მაგრამ თუ დაგჭირდა, თავის ქალის ასახდელი ხალხური ინსტრუმენტების ჩამოთვლაც არ გაგიჭირდება!

— არ იცი, რომ?!.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! ჩვენი საქმე საბოლოოდ გარკვეულია...

— რომელი ჩვენი საქმე?

— რომელი და გომელი!.. — გამოაჯავრა ქეთომ შვილიშვილს. — ძაღლის ყბა ნუ გამომაბი!.. მიდგი ეს ბოთლი კუთხეში და აგერ ა, ეს ჩანაყე! — სანაყში რაღაც მარცვლები ჩაუყარა მან შემდეგ ლანას.

— როგორც მიბრძანებთ, ქალბატონო მკურნალო! — სანაყი თავისკენ მიიჩოჩა ლანამ და მარცვლების ნაყვა დაიწყო.

— მოიცა! — ხელში ხელი ჩაავლო და ისე გააჩერა ქეთომ შვილიშვილი — მგონი, სახლში ვიღაც შემოვიდა. გავალ ერთი, ვნახავ, ვინ არის.

როგორც კი ქეთო გავიდა, ლანა ისევ საქმეს მიუბრუნდა, თან, ფიქრის ძაფიც გულმოდგინედ გააბა: ჯერ თბილისში დარჩენილი დედა დაუდგა თვალწინ და მაშინვე თბილად გაეღიმა. შემდეგ, მისი ფიქრი ახალ სამსახურს გადასწვდა და გივი გიგაურის გახსენებაზე სახე უცებ მოელუშა... კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, ლანამ საკუთარ ფიქრებში ლევანიც „შემოუშვა“ და აშკარად იგრძნო, სულში სითბო როგორ ჩაელვარა... „შენ ის კაცი უკვე გიყვარს...“ — გაახსენდა დედის ნათქვამი და გაირინდა: „ვითომ, მართლა ასეა?.. არა, არა მგონია! — აბეზარი ფიქრის მოსაშორებლად თავიც კი გააქნია მან. — რა სიყვარული, რის სიყვარული?.. თვეზე მეტია, ლევანი თითქმის არ გამხსენებია და არც თვითონ მოუკლავს თავი ჩემი მოკითხვით... ისე, ერთხელ მაინც როგორ არ დამირეკა?.. არ დამირეკა და ნუ დამირეკა!“ — კიდევ ერთხელ ბრაზიანად გააქნია ლანამ თავი და სანაყს ისე გულმოდგინდედ დასცხო, თითქოს შიგ აბეზარი ფიქრების „ჩანაყვასაც“ აპირებსო...

ამასობაში, ოთახის კარი გაიღო, ქეთო შემოვიდა და ლანას გვერდით სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა.

— ვინ იყო? — ჰკითხა მას ლანამ.

— არავინ, — მოკლედ მოუჭრა ქეთომ.

— აბა, კარმა თავისით გაიხმაურა თუ ეს სახლი, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, მოჩვენებებით არის სავსე?

— ნეტავ, მართლა მოჩვენება ყოფილიყო... — ამოიოხრა ქეთომ.

— აბა, ვინ იყო?

— იონა... მაგრამ ვეღარ მივუსწარი.

— აბა, რა იცი, რომ ის იყო?

— საჩუქარი დაგიტოვა და იმით მივხვდი.

— მართლა?! — უმალ გახალისდა ლანა. — სად არის?

— შუა ოთახში დევს, მაგიდაზე... — მოიღუშა ქეთო.

— მერე, რა სახე ჩამოგტრის? — გაუკვირდა ლანას და ოთახიდან მკვირცხლად გავიდა, უკანაც მალევე შემობრუნდა, თან, ხის მოზრდილი ხონჩა შემოიტანა და მაგიდაზე ფრთხილად დადგა.

იონას მონდომების წყალობით, ხონჩაზე ხის ხავსი ბალახივით ლაღად „ამოსულიყო“, ზედ კი ათასნაირი და ათასფერი, მინდვრის გამხმარი ყვავილი იყო მიმობნეული. ხონჩის შუაგულში ვარდის მუქი კოკრებისგან გაკეთებული წნული იდო, მის შიგნით კი, თაფლის სანთელი ენთო. სანთლის ლიცლიცა შუქზე ხავსიცა და სიცოცხლეწართმეული, გამხმარი ყვავილებიც რაღაც უცნაურ, იდუმალ ფერზე ელვარებდნენ...

— მოგწონს? — ჰკითხა შვილიშვილს შუბლშეკრულმა ქეთომ.

— ჯერ არ ვიცი... — ბავშვივით აიჩეჩა მხრები ლანამ. — ეს ყველაფერი ნამდვილად ლამაზია, მაგრამ საკმაოდ სევდის მომგვრელიც. საერთოდ, გამხმარი ყვავილები არ მიყვარს. მერე კიდევ, ეს სანთელიც...

— ეჰ, ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი... — აწუწუნდა ქეთო.

— შენი რა ბრალია? იონას შენ ხომ არ ურჩევდი, ლანას სიყვარული ასე აუხსენიო?

— არა, მაგრამ მაინც ჩემი ბრალია... — თავი მართლა დამნაშავესავით ჩაქინდრა ქეთომ და წამით გაირინდა, შემდეგ, ერთი ამოიოხრა და თავისი ბრალეულობის ახსნა ცოტა შორიდან დაიწყო: — როცა იონას მშობლები დაელუპა და სულ მარტო დარჩა, სოფელი ყველანაირად მხარში ამოუდგა. მისთვის არც სასმელ-საჭმელი მოგვიკლია და არც ჩაცმა-დახურვა...

— ჩაცმა-დახურვა, თორემ, ეგეც „არმანის“ კოსტიუმებში არ იყოს გამოწყობილი, — გაეღიმა ლანას. — ალბათ, ყველამ თითო რაღაც გამონაცვალი მიუგდო...

— ამ სოფელში ყველა ერთმანეთის გამონაცვალში იზრდება, მაგრამ ამით გვარიშვილობა არავის წახდენია, — გაბრაზდა ქეთო.

— კარგი, რა, ბებია, რა ყველაფერს საწყენად იღებ! — მოხუცს გვერდით მიუჯდა ლანა და მუხლებზე დაწყობილი დაკოჟრილი ხელები რიგრიგობით დაუკოცნა. — მიდი, გააგრძელე ეგ ამბავი მართლა ძალიან მაინტერესებს.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ იონას ყველა მხარში ამოუდგა. მაგრამ მაინც მე მომეწება. თავიდან, ღამესაც ჩემთან ათევდა, რადგან თავის სახლში მარტო დარჩენის ეშინოდა: მკვდარი მშობლები მელანდებიანო, — ამბობდა. მერე, ეტყობა ამ შიშს მოერია და სახლში დაბრუნდა. თუმცა, ინათებდა თუ არა, მაშინვე ჩემთან გაჩნდებოდა. ხან წყაროს წყალს ამომირბენინებდა, ხანაც შეშას დამიჩეხდა... მერე და მერე, მთაში მცენარეების მოსაგროვებლადაც რამდენჯერმე გამომყვა... თავი რომ აღარ დამანება, მეც ავდექი და სამკურნალო მცენარეების ამოცნობა ვასწავლე...

— მოკლედ, დაღუპე საწყალი ბიჭი, ხომ? — გააწყვეტინა ლანამ. — შენ რომ არა, სულელი გოგას საშაყირო მაინც აღარ გახდებოდა!

— იონა ჩემამდე იყო დაღუპული... — თხრობა განაგრძო ქეთომ. — ერთხელ, ადრე გაზაფხულზე, ჩემი საწყალი ბიჭის — დათას საფლავზე გადაწყვიტე ასვლა. იონაც გამომეკიდა... მაშინ 2 თუ 4 წლის იქნებოდა. დედამისმა — მზია ერქვა საწყალს — დაუშალა — სასაფლაო შორსაა და ვერ ივლიო, — მაგრამ იონა გაჯიქდა. მეც ვთხოვე მზიას — გამოუშვი, ნუ ატირებ, ნელა ვივლით და არ დაიღლება-მეთქი... სასაფლაომდე მართლა, სულ სვენებ-სვენებით ვიარეთ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იონა იღლებოდა, მე ძლივსღა მიმქონდა სული... შვილის საფლავზე მიმავალი დედის გულში რაც ხდება, მტერსაც არ ვუსურვებ იმის განცდას...

— მართლა... — კიდევ ერთხელ გააწყვეტინა ქეთოს ლანამ. — დათა ბიძია რამ მოკლა?.. დედაჩემისგან ის კი ვიცი, რომ მთაში სათიბში იყო წასული და...

— სათიბში კი არა — სახვეტში, — გაუსწორა ქეთომ. — თივის საგროვებლად იყვნენ წასული ის და მამამისი... შუადღეზე წაუხემსიათ, ცოტა ღვინოც ჰქონდათ წაღებული... პირდაპირ მოგროვილ თივაზე მისძინებია ორივეს...

— მერე? — მოთმინების ძაფი გაუწყდა ლანას.

— მერე, ბაბუაშენს რომ გამოღვიძებია, დათა უკვე თივაზე გულაღმა იყო გაშოტილი და ცისთვის გაფართოებული თვალები „მიებჯინა“... სახლში მარხილით ჩამომისვენეს... როგორც კი ტანსაცმელი გახადეს და რუმბივით გასივებული ფეხი დავუნახე, მაშინვე მივხვდი, რომ გველს დაეგესლა... იმ ადგილებში დღესაც ძალიან ბევრი შხამიანი გველი ბუდობს...

— საწყალი... ძალიან ახალგაზრდა იყო, ხომ?

— 20 იმ გაზაფხულზე შეუსრულდა... შემოდგომაზე ცოლის მოყვანას აპირებდა...

— შეყვარებული ჰყავდა?

— ჰო... — ამოიოხრა ქეთომ — იონას დედა...

— იონას დედა? — გაოცებისგან თვალები გაუფრთოვდა ლანას.

— ჰო... ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. ღმერთმა აცხონოს საწყალი მზიას სული!.. ჩემი დათა მთელი 10 წელი იგლოვა... მაგრამ მერე, ხომ იცი, როგორც ხდება. ცხოვრებამ მაინც თავისი მოითხოვა და ისიც იონას მამას მისთხოვდა, თუმცა, ბოლომდე ჩემი დათა უყვარდა... ვინ იცის, რამდენჯერ ამოსულა აქ, ჩემს კალთაში თავი ჩაუდვია და ერთად გვიტირია ჩვენი დაკარგული სიხარული, ჩვენი დათა... — უცბად ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები ქეთოს.

— ნუ ტირი, რა, გეხვეწები! — გული ამოუჯდა ლანასაც და მოხუცს გულში ჩაე-

კრა. ქეთომ კი პატარა ბავშვივით დაარწია შვილიშვილი და უდროოდ დაღუპული შვილი ვინ მოსთვლის მერამდენედ, მოთქმით დაიტირა.

ამის შემდეგ, საუბარი ძლივს აეწყო. ლანას უნდოდა, სხვა რამეზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ ქეთო ისევ წარსულს დაუბრუნდა:

— სად გაგჩერდი?.. ჰო, იონა დათას საფლავზე წავიყვანე-მეთქი... ჰოდა, ავედი საფლავზე, დავანთე სანთლები, ქადა და ხაჭაპური ხელით დავამტვრიე და ხაჭაპურის ერთი ნატეხი იონას მივაწოდე. მაშინვე გემრიელად ჩაკბიჩა. მე კი, წეღანდელისა არ იყოს, გული ყელში მომებჯინა და ტირილი მოვრთე. ვტიროდი და თან, იონას არ ვაცილებდი თვალს: მეშინოდა, ჩემს მოთქმა-ვიშს არ შეეშინებინა. ის ერთხანს, საფლავის ქვაზე მოღიმარ დათას აკვირდებოდა, შემდეგ, ჩემთან მოირბინა და კაბის სახელოზე რამდენჯერმე დამქაჩა.

— რა იყო, შვილო, გაგაბეზრე, ხომ, ჩემი მოთქმით-მეთქი? — ვკითხე.

— ალაო, — მიპასუხა. მაშინ ჯერ კიდევ ენას იჩლექდა. — ლაგაც უნდა გითხლაო... — აბა, მითხარი, რა გინდა-მეთქი? — ჩავიმუხლე მის გვერდით. ლა და ასე ძალიან ლომ გენატლება სენი სვილი, იცი, ლა უნდა ქნაო? — რა-მეთქი? — გამიკვირდა. — ლა და, უნდა იპოვო „ცოცხლობის“ ბალახი, ამ ქვას წაუსვ-წამოუსვა და დათა მასინვე გაცოცხლდებაო. — რა მითხარი, რა ბალახი-მეთქი? — ჩავეძიე გაოგნებული. — „ცოცხლობის“ ბალახიო, — გამიმეორა... ეტყობა, სიტყვა „სიცოცხლე“ ვერ მოიგონა... — მერედა, ჩემო იონა, რომ არ ვიცი, სად არის ეგ „ცოცხლობის“ ბალახი?.. იქნებ, შენ მაპოვნინო-მეთქი!.. — ეჰო, — ისე ამოიოხრა თითისტოლა ბავშვმა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო, — იცი, მეც ლამდენი ხანია, ვეძებო?.. ეტყობა, დღემდე იმ „ცოცხლობის“ ბალახის საძებნელად დავეხეტებით მე და იონა მთასა და ბარში...

— მერე? — სევდიანად ჰკითხა ლანამ.

— რა — მერე? — ამოიოხრა ქეთომ და ისევ განაგრძო: — მერე იონას ტვინის ანთება დაემართა და თუ გადარჩებოდა, არავის ეგონა. ვინ იცის, იმ მძიმე დღეებში, სასიკვდილოდ განწირულ ბავშვს მთელი სოფელი წინასწარ რომ გლოვობდა, რამდენჯერ მინატრია — ნეტავ, ის „ცოცხლობის“ ბალახი მართლა არსებობდეს-მეთქი!.. მაგრამ იონა უმისოდაც გადარჩა. ღმერთმა სიცოცხლე აჩუქა, მაგრამ ტვინის ნაწილი წაართვა... მართლა, იცი, რომ იონა მას შემდეგ, წინასწარმტყველურ სიზმრებს ხედავს?.. — მიუბრუნდა ქეთო შვილიშვილს.

— საიდან უნდა ვიცოდე?! — გაუკვირდა ლანას. — ისე, მართალი გითხრა, მეტის მოსმენა ნამდვილად აღარ შემიძლია... ამდენ ახალ და მოულოდნელ ინფორმაციას უკვე, ჩემი ნორმალური ტვინიც ვეღარ იტევს.

— ცოტაღა დამრჩა და როგორმე მომისმინე! — სთხოვა ქეთომ და თხრობა განაგრძო: — იონას პირველად, 16 წლისას მოეწონა გოგო. იმ ზაფხულს, ჩვენს მეზობელ ჟუჟუნას ქალაქიდან შვილიშვილი ჩამოუვიდა და თან ამხანაგიც ჩამოიყვანა. ჟუჟუნას შვილიშვილსაც არა უშავდა, მაგრამ ის სტუმარი გოგო მართლაც რომ კალმით ნახატს ჰგავდა...

— ჰოდა, ჩვენმა იონამაც სწორედ მას დაადგა თვალი, ხომ?

— რა თქმა უნდა... დღე ერთი იყო და იმ გოგოსთვის ათნაირ საჩუქარს მაინც პოულობდა: ხან თავის ეზოში დაკრეფილ ვარდების თაიგულს მიართმევდა, ხან — მინდვრის ყვავილების უზარმაზარ თაიგულს, ხანაც — გვირილებისგან დაწნულ გვირგვინს... თავიდან იმ გოგონამაც შეიფერა ყურადღება, მაგრამ მერე, ეტყობა, იონას ჭკუასუსტობის ამბავი მანაც გაიგო და საწყალ ბიჭს ზედაც აღარ უყურებდა... მზია ძალიან განიცდიდა შვილის ამბავს. ერთხელ მეც შემომჩივლა: ნეტავ, ეს გოგოები აქედან დროზე წავიდოდნენ, თორემ, შვილი საბოლოოდ დამეჩაგრებაო!.. გოგონები მართლაც, მალე წავიდნენ და თითქოს ყველაფერი თავის უწინდელ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ იონას აღარაფრით გამოუკეთდა ხასიათი: სულ მოწყენილი და თავჩაქინდრული დადიოდა. ერთხელ, გავაჩერე და პირდაპირ ვკითხე: რა იყო, ბიჭო, ის გოგო ისევ ხომ არ გიყვარს-მეთქი?.. — არაო, — მიპასუხა, — მხოლოდ მებრალება, რადგან ლამაზი კია, მაგრამ სილამაზისა მაინც არაფერი გაეგებაო... გოგოებისგან კინაღამ პირი დავაღე: ასე ზუსტად იმ გოგოს ალბათ, სხვა ვერავინ დაახასიათებდა... მას შემდეგ, იონას ყვავილები აღარავისთვის უჩუქნია...

— რატომ? — გააწყვეტინა ლანამ. — გაზაფხულზე შენთვის ტყიდან ია-იები ხომ მოაქვს!

— ნუ სულელობ!.. — გაუწყრა ქეთო შვილიშვილს. — ძალიან კარგად ხვდები, რასაც ვგულისხმობ... მას შემდეგ, შენ პირველი ხარ, ვისაც იონამ...

— კარგი, რა, ბებია, გეხვეწები! — გააწყვეტინა ლანამ. — სრული ბედნიერებისთვის იონას სიყვარულიღა მაკლია!...

— თავად თუ გიყვარს ვინმე? — მაინც არ მოეშვა შვილიშვილს ქეთო.

— არა.

— არც შენ უყვარხარ?

— არა.

— როგორ?.. დავიჯერო, შენისთანა მოხდენილი გოგო აქამდე ვერავინ შეამჩნია?

— შემჩნევით ბევრი მამჩნევს, მაგრამ შეყვარებისა რა გითხრა?

— სახელი რა ჰქვია?

— ვის? — შეცბა ლანა.

— ვის გამოც თბილისში ასე მიგეჩქარება?

— მერედა, ვინ გითხრა, რომ ის ახლა თბილისშია? — დაუფიქრებლად წამოისროლა ლანამ და მაშინვე ენაზე იკბინა.

— აბა, სად არის? — ჩაეძია ქეთო.

— გერმანიაში, — ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ლანამ.

— გერმანელია? — შეიცხადა ქეთომ.

— არა, ქართველია. გერმანიაში მივლინებითაა წასული.

— რა ხელობის კაცია?

— პროფესიით გეოლოგია.

— ეგ რა მითხარი?.. გამოდის, რომ ისიც ჩემსავით კლდე-ღრეში დაეხეტება?

— არა. თავისი პროფესიით აღარ მუშაობს. საკუთარი სამშენებლო ფირმა აქვს გახსნილი.

— ფეხზე მყარად დამდგარი კაცი ყოფილა... დედაშენი რას ამბობს?

— დედაჩემს მისი სახელის გაგონებაც კი არ უნდა.

— რატომ? რას ერჩის?

— რას და... — ერთი კი ამოიოხრა ლანამ და შემდეგ, ლევან ქართველიშვილის მთელი ამბავი გადმოულაგა ბებიას.

ამის შემდეგ, ქეთოს დუმილი კარგა ხანს არ დაურღვევია.

— ბედნიერი კაცი ყოფილა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან შემდეგ.

— როგორ თუ ბედნიერი? — გაოცება ვერ დაფარა ლანამ.

— როგორ და ასეთი მძიმე წარსულის მქონე კაცი შენისთანა კარგ გოგოს რომ შეუყვარდა... მოდი, იცი, რა ვქნათ?.. ის ბიჭი ერთხელ ჩემთანაც ამოიყვანე!

— რას ამბობ?.. დედაჩემი კიდეც გადაირევა!

— გადაირევა და საკუთარ თავს დააბრალოს! — შორიდან დაექადნა ქეთო შვილს. — ალბათ, კარგად უნდა იცოდეს, გადარეულების ადგილი სადაცაა... ახლა კი, გამახსენე, ერთი, შენს უფროსს რა ჰქვია?

— რომელ უფროსს?

— საავადმყოფოში რომ გელოდება.

— დავით არჩვაძე.

— ჰო, არჩვაძე... ეს გვარი რამ დამავიწყა?

— არჩვაძისგან რაღა გინდა? — დაინტერესდა ლანა.

— რა და მისი გამონაცვალი კოსტიუმი... — გაეღიმა ქეთოს. — ამ საღამოს სტუმრად ვეპატიჟები.

— ვის? ბატონ დავითს?

— რა იყო მერე?.. სუფრას ვერ გავუშლი თუ სიტყვა-პასუხი შემეშლება?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რა დააბარა ლავრენტი ბერიამ მიხეილ ჯოჯუას

„დინამოელის" მიერ პოლონეთში ნამღერი არია

მიხეილ ჯოჯუა პირველი ქართველი ფეხბურთელი გახლდათ, რომელიც წარმატებული სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, არანაკლები წარმატებით მოღვაწეობდა სცენაზე (მეორე ასეთ მაგალითს, დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა წარმოადგენს). ბატონ მიშას სამსახიობო ნიჭი პატარაობიდანვე ჰქონდა, ხოლო როცა თბილისის „დინამო" დატოვა, არჩილ ჩხარტიშვილის ხელშეწყობით, მინიატიურების თეატრის მსახიობი გახდა. ყოფილი ფეხბურთელი თავის დროზე, მუსკომედიის, მინიატიურებისა და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრების დირექტორად მუშაობდა. ალბათ ყველას ახსოვს ფილმში — „მარტოხელა მონადირე" — მის მიერ ნამღერი „ბესამე მუჩო". აქვე გეტყვით, რომ ბატონმა მიშამ ჩამოაყალიბა „მეგობრობის თეატრი", სადაც დღემდე მოღვაწეობს. სპორტსმენი და ხელოვანი, რომელსაც თვის ბოლოს, 80 წელი უსრულდება, განვლილი ცხოვრების გზაზე საკმაოდ ხალისიანად გვესაუბრა.

გიორგი ლანჩავა

ორი თვე ფრონტზე და ოთხი დღე ფინალში

— საფეხბურთო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის „ტოდოში" ამიყვანეს და პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერაც ამ გუნდიდან დავიწყე. მაშინ, მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და თან, სავალდებულო სამხედრო სამსახურს საქართველოში, მოტომსროლელთა ბატალიონში გავდიოდი. ერთ საღამოს, საბრძოლო განგაში გამოცხადდა და ღამის 2 საათზე ყველანი სევასტოპოლში, ფრონტის წინა ხაზზე „გაგვაქანეს", სადაც ორი თვის განმავლობაში ვიბრძოდი. შემდეგ, გენერალ-ლეიტენანტ ხადეევის ბრძანებით, ისევ თბილისში დამაბრუნეს და „ტოდოში" ასპარეზობა გავაგრძელე. 1944 წელს, სტალინის ბრძანებით, ორგანიზაცია „შრომითი რეზერვები" ჩამოყალიბდა, რომლის ფუნქციაც, უპატრონო ბავშვებისთვის სწავლა-განათლების მიცემა გახლდათ. ამავე დროს, მასში გაერთიანებულ სასწავლებლებს შორის, საფეხბურთო პირველობაც იმართებოდა, რომლის ფინალი მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო. ამ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად, თბილისის გუნდებიდან ახალგაზრდა ფეხბურთელები შეკრიბეს, რომელთა შორის მეც ვიყავი. სხვათა შორის, ზოგიერთ მათგანს დაბადების წელი შეუცვალეს — ვითომ, ასაკით პატარები გახლდნენ... პირველი მატჩი როსტოვში ჩავატარეთ. ადგილობრივი გუნდი, რომლის ფეხბურთელებიც მოედანზე მაღალყელიანი, ზამთრის ფეხსაცმლით გამოვიდნენ, ადვილად დავამარცხეთ. მათ იკითხეს კიდეც: ეს გუნდი, თბილისის „დინამო" ხომ არ არისო? — და ჩვენს შესამოწმებლად, მოსკოვიდან კომისიაც კი მოიწვიეს. როდესაც ამის შესახებ შევიტყვე, თანაგუნდელებს, ულვაშთან ერთად, თმაც გავაპარსვინე და ჯარისკაცის ფარაჯები ჩავაცვი. კომისიის წევრების წინაშე ასე რომ წარვდექით, როსტოველები გაკვირვებულები ამბობდნენ — ფეხბურთელების შეცვლა როდის მოასწრესო?!. მომდევნო შეხვედრა ბაქოში ჩავატარეთ და იქაც გავიმარჯვეთ. ფინალში მოსკოვის „შრომითი რეზერვების" გუნდს შევხვდით, რომელსაც გავრილ კაჩალინი ავარჯიშებდა. თამაშს 1:0 ვიგებდით, მაგრამ მოსკოველებმა თერთმეტმეტრიანი გაგვიტანეს და იგი ფრედ დამთავრდა. გამარჯვებული ვერც მეორე და ვერც მესამე დღეს ჩატარებულმა მატჩმა ვერ გამოავლინა. მეოთხე თამაშის წინ, მოსკოველთა ხელმძღვანელებმა მითხრეს, რომ თუ გავიმარჯვებდით, ქვეყნის დედაქალაქი თასის გარეშე რჩებოდა, რადგან მანამდე, ლენინგრადის „ზენიტმა" საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოვის ცე-დე-კა დაამარცხა. ამიტომ, შეხვედრის დათმობა მთხოვეს. ეს ამბავი თანაგუნდელებს რომ ვაუწყე, ბიჭებმა მოსკოველებთან გარიგებაზე უარი თქვეს. მეორე დღეს, მოედანზე გასულებს, მატჩის არბიტრმა ლატიშევმა ფეხი არ გაგვანძრევინა და ფინალი 0:1 წავაგეთ. საღამოს გამართულ ბანკეტზე მოსკოველებმა ამერიკული ტყავის ქურთუკები, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი გვაჩუქეს. ამის შემხედვარე, წამოვდექი და ვთქვი: თუ ამდენ რამეს გვაძლევდით, ადრე გეთქვათ და ფინალს პირველსავე დღეს წავაგებდით-მეთქი... 1945 წელს, საბჭოთა კავშირის პირველობა განახლდა და მოსკოვის „შრომითი რეზერვების" გუნდში ჩავირიცხე, რომელიც ქვედა ლიგაში გამოდიოდა. მალევე, როგორც პერსპექტიული ფეხბურთელი, მოსკოვის „კრილია სოვეტოვში" მიმიწვიეს, სადაც პეტრე დემენტიევთან და ნიკიტა სიმონიანთან ერთად ვთამაშობდი.

ბატონმა მიშამ ჩამოაყალიბა „მეგობრობის თეატრი", სადაც დღემდე მოღვაწეობს. სპორტსმენი და ხელოვანი, რომელსაც თვის ბოლოს, 80 წელი უსრულდება

ბერიას ბრძანებით „დინამოში" ჩარიცხული

— თბილისის „დინამომ" 1949 წლის სეზონი ცუდად დაიწყო და გუნდი სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფებოდა. ამან ლავრენტი ბერია ძალიან გააბრაზა და „დინამოს" მწვრთნელები — შავგულიძე და სოკოლოვი მოსკოვში დაიბარა. შეხვედრაზე ბერიას მათთვის უკითხავს: საქართველოში ფეხბურთელები დაილია, გუნდი ასე ცუდად რომ ასპარეზობსო? მათ ლავრენტი პავლოვიჩისთვის უპასუხიათ, რომ გაიოზ ჯეჯელა-

ვას წასვლის შემდეგ, „დინამოს“ მარჯვენა თავდამსხმელი აღარ ჰყავდა და ამიტომ უჭირდა. თან შავგულიძეს დაუმატებია — მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“ მიხეილ ჯოჯუა თამაშობს, რომელიც ძალიან გამოგვადგებაო. „დინამოს“, ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი რიგაში ჰქონდა ჩასატარებელი, ხოლო „კრილია სოვეტოვს“ იმავე ტურის მატჩი ტაშკენტში უნდა ეთამაშა. ბერია, შავგულიძესა და სოკოლოვს შეჰპირებია — რიგაში ჯოჯუა უკვე გეყოლებათო. მართლაც, მოსკოველებთან ერთად ტაშკენტში რომ ჩავფრინდი, თვითმფრინავს შინსახკომის ორი ოფიცერი მოადგა, რომელთაც ჯოჯუა იკითხეს. მაშინვე ავტომანქანაში ჩამსვეს და უზბეკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში წამიყვანეს. გზაზე ვიკითხე, თუ რატომ დამაპატიმრეს, რაზეც მიპასუხეს, რომ ყველაფერს შს მინისტრი — მამედოვი მეტყოდა. მან ძალიან კარგად მიმიღო და ტელეფონით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ კარანაძესთან დამალაპარაკა, რომელმაც მითხრა: ბერიას ბრძანებით, თბილისის „დინამოში“ ჩაგრიცხესო. ტაშკენტიდან მოსკოვში გადამაფრინეს, საიდანაც რიგაში უნდა გავმგზავრებულიყავი. აეროპორტისკენ მიმავალს, ბერიას მდივანმა, მერკულოვმა, რომელიც ავტომობილში ჩემთან ერთად იჯდა, მითხრა: ბიჭებს გადაეცი, თუ კიდევ წააგებენ, ლავრენტი პავლოვიჩთან ექნებათ საქმეო. რიგელებთან მატჩამდე, როდესაც სოკოლოვმა ყველა ფეხბურთელს დარიგება მისცა, წამოვდექი და თანაგუნდელებს ვუთხარი, რომ მათთვის ბერიას დავალება უნდა გადამეცა. ამის გაგონებაზე, ფეხბურთელები გაფითრდნენ. ბერიას დანაბარები სიტყვასიტყვით გავიმეორე და მეორე დღეს, ფეხბურთელები მოედანზე შლეგიანებივით დარბოდნენ, ხოლო თამაში 3:1 მოვიგეთ... მომდევნო მატჩში თბილისში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ დავამარცხეთ 6:1 და ორი ბურთი გავიტანე. თამაშამდე სტადიონზე ადგილობრივმა დიქტორმა გამოაცხადა: გუნდის ახალწვეული, მიხეილ ჯოჯუა ორი გოლის გატანას გვპირდებაო. გასახდელში შესულს, თანაგუნდელები მეკითხებოდნენ — სტადიონის დიქტორს რამდენი გადაუხადეო?..

გალიას გამო დაყოჭლებული პაიჭაძე

— „დინამოს“ თითქმის ყველა თაობის მომსწრე ვარ და მიმაჩნია, რომ ბორის პაიჭაძე საქართველოს საფეხბურთო ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეა. მოსკოვში დაგეგმილი ერთ-ერთი მატჩის წინ, სტადიონის ტერიტორიაზე არსებულ საერთო საცხოვრებელში დავბინავდით, ვინაიდან იმ პერიოდში დღევანდელისგან განსხვავებით, მოსკოვში არცთუ ისე ბევრი სასტუმრო არსებობდა. პაიჭაძე მაშინ სუსტი სქესის წარმომადგენლებში პოპულარობით სარგებლობდა და ერთმა გოგონამ, რომელსაც გალია ერქვა, ბორისს საერთო საცხოვრებელში ტელეფონით დაურეკა. ყურმილი მე ავიღე. როდესაც პაიჭაძეს ვუთხარი, გალია გკითხულობს-მეთქი, მან მიპასუხა — გადაეცი, ავად არისთქო. როცა გოგონას თანაგუნდელის სიტყვები გადავეცი, გალიამ მთხოვა — იქნებ, ტელეფონთან მაინც მოვიდესო? ეს რომ ბორისს შევატყობინე, ლოგინიდან წამოდგა და ტელეფონისკენ განგებ კოჭლობით წამოვიდა. ამის დანახვაზე, ბიჭებს სიცილი აუტყდათ და პაიჭაძეს უთხრეს: კოჭლობით რომ მოდიხარ, გალია ტელეფონში დაგინახავს თუ რაო?..

მანქანა თუ ავტომანქანა?

— ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელ სოკოლოვს საბეჭდი მანქანა ჰქონდა და როდესაც თამაშებზე მატარებლით მივემგზავრებოდით, იგი დღის განრიგს გვიბეჭდავდა. ერთხელ, მოსკოვში მივდიოდით სათამაშოდ და მწვრთნელმა მანქანა გრამატიკოპულოს ჩააბარა, მან კი დაკარგა. ადგილზე ჩასვლისას, სოკოლოვმა საბეჭდი მანქანა მოიკითხა. გრამატიკოპულომ თავში ხელი შემოირტყა და წამოიძახა — ვაიმე, ვაგონში დამრჩაო! მართალია, მატარებლისკენ მაშინვე გაიქცნენ, მაგრამ ის უკვე წასული იყო. განერვიულებული სოკოლოვი რკინიგზის სადგურზე აქეთ-იქით დადიოდა და ყვიროდა: Где моя машина? ამ დროს, იქვე მდგომ ერთ-ერთი ავტომანქანის მძღოლთან მივედი და სოკოლოვზე ვუთხარი: პოლკოვნიკს მანქანა სჭირდება და მიდი-მეთქი. მძღოლი მწვრთნელს მიუახლოვდა და განუცხადა: Товарищь полковник, машина у меня. ამის გაგონებაზე სოკოლოვმა წამოიძახა: А где она? — რაზეც მძღოლმა უპასუხა — აქ დგასო, — და თავის ავტომანქანაზე მიუთითა. სოკოლოვი მიხვდა, ეს ოინი ვინც მოუწყო და თქვა: Ох, этот Джоджуа!

მეგრულად ნამღერი არია

— 1951 წელს, თბილისის „დინამომ“ პოლონეთში ტურნე გამართა. პირველი ამხანაგური მატჩი ფრედ დავამთავრეთ და მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში არ დამაყენა — მეორე თამაშისთვის „შემინახა“, რომელშიც პოლონეთის ყველაზე ძლიერ გუნდს — ვარშავის არმიელთა კლუბს უნდა შევხვედროდით. მაგრამ პირველ მატჩზეც, ძირითადი დროის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, შევედი მოედანზე და ანთაძემ სწორედ ჩემი გადაცემის შემდეგ გაათანაბრა ანგარიში. მეორე მატჩს, რომელიც ვარშავაში იმართებოდა, პოლონეთის მაშინდელი მთავრობის პირველი პირი, ბორისლავ ბერუტი და მარშალი როკოსოვსკი ესწრებოდნენ. თამაშის მსვლელობისას, ანთაძემ დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში, ზედიზედ 8 გადაცემა „გააცუდა“ — ბურთი მეტოქეს ჩააბარა. ამის დანახვაზე, გუნდის მთავარი მწვრთნელი, მიხაილ იაკუშინი სათადარიგოთა სკამიდან წამოხტა და გოგის დაუძახა: ანთაძე, „დინამო“ წითელ მაისურებში თამაშობსო!.. ის შეხვედრა, როგორც გუნდმა, ასევე მე, მაღალ დონეზე ჩავატარეთ და გავიმარჯვეთ. მეორე დღეს, ადგილობრივ

წამოვდექი და თანაგუნდელებს ვუთხარი, რომ მათთვის ბერიას დავალება უნდა გადამეცა. ამის გაგონებაზე, ფეხბურთელები გაფითრდნენ

სპორტულ გაზეთებში დაიწერა კიდეც — თავდასხმაში ყველაზე უკეთ ჯოჯუა თამაშობდაო. საღამოს გამართულ ბანკეტზე პოლონელებმა სუფრასთან თითო ფეხბურთელს თითო გოგო მოგვისვეს. დარბაზში ბერუტი და როკოსოვსკიც იმყოფებოდნენ. ხოლო სუფრასთან ჩვენ გვერდით ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალ-ლეიტენანტი გოგლიძე იჯდა. ქეიფი რომ გახურდა, იაკუშინმა და თანაგუნდელებმა ჩემი რეპერტუარიდან რომელიმე სიმღერის შესრულება მთხოვეს. სცენაზე ასულს, ორკესტრის წევრებმა მკითხეს — რას ვიმღერებდი. მე ვუპასუხე, რომ ერთ-ერთ ფილმში ცნობილი პოლონელი მომღერლის, იან კიპურას მიერ შესრულებულ „სიმღერას სიყვარულზე“ შევასრულებდი. მართლაც, ვიმღერე და დიდი ოვაციაც დავიმსახურე. როცა სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი დაინტერესდა, კიდევ რამეს ხომ არ წარმოვადგენდი საკუთარი რეპერტუარიდან, ვუთხარი, რომ ოპერა „ტოსკადან“ მქონდა მომზადებული არია. ამან ორკესტრის წევრები ცოტა არ იყოს, შეაცბუნა. სიმღერას კი შევუდექი, მაგრამ ტექსტის ნაწილი დამავიწყდა და შიგადაშიგ მეგრული სიტყვები შევურიე. ცხადია, ამას პოლონელები ვერ მიხვდნენ, მაგრამ გოგლიძეს მეგრული რომ მოესმა, უთქვამს: რაებს ლაყბობს? სასწრაფოდ ჩამოიყვანეთ სცენიდანო! თან ამას ისიც დაემთხვა, რომ მე სი ბემოლს ვიღებდი კარგად, ხოლო ორკესტრი დო-ზე უკრავდა და ამის გამო, როდესაც ტონს ავუწიე, ყელიდან ყალბი ბგერები ამოვუშვი. ბუნებრივია, ამან ორკესტრის წევრების სიცილი გამოიწვია.

„დინამოსთვის“ ძალით წართმეული პირველობა

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი 1952 წელს, დროებით შეჩერებული იყო, ვინაიდან ქვეყნის ნაკრები ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა. ოლიმპიურ

გუნდში, რომლის მთავარი მწვრთნელი ბორის არკადიევი გახლდათ, მეც ამიყვანეს და ფინეთში გამგზავრებამდე, სხვებთან ერთად, ოთხი თვე ვვარჯიშობდი. ნაკრებში ჩემი კონკურენტი, ტროფიმოვი იყო. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ის წაიყვანეს ოლიმპიადაზე. იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა გუნდმა კარგად შეთამაშება ვერ შეძლო, მან იუგოსლავიის გუნდთან წაგო და ოლიმპიადაზე მედლების გარეშე დარჩა. მოსკოვში ნაკრების დაბრუნების შემდეგ, ცე-დე-კა, რომლის ფეხბურთელები გუნდის ბირთვს შეადგენდნენ, სტალინმა დაშალა, ხოლო მისმა შვილმა, ვასილიმ სამხედრო-საჰაერო ძალების კლუბი შექმნა და მთავარ მწვრთნელად გაიოზ ჯეჯელავა დანიშნა. ოლიმპიადის დასრულებისას, როდესაც საბჭოთა კავშირის პირველობა განახლდა, თბილისის „დინამო“ მატჩები ძალიან კარგად ჩაატარა და მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად, ოქროს მედლების მოპოვების უპირველეს კანდიდატს წარმოადგენდა. უკანასკნელ ტურში მოსკოვში „ტორპედოს“ ვხვდებოდით, ხოლო „სპარტაკი“ სტუმრად ლენინგრადის „ზენიტს“ ეთამაშებოდა. „ტორპედოს“ 2:1 მოვუგეთ, ყველასათვის მოულოდნელად კი, „სპარტაკი“ ლენინგრადელებთან დამარცხდა და ქვეყნის ჩემპიონები გავხდით. საღამოს, ცხადია, ვიქეიფეთ და სადაც ვცხოვრობდით, უამრავი გულშემატკივარი მოდიოდა, ჩვენთვის წარმატების მოსალოცად. მაგრამ მეორე დღეს, იაკუშინმა გვითხრა, რომ „ტორპედოსთან“ მატჩი უნდა გადაგვეთამაშებინა, რადგან მოსკოველებს მატჩის შედეგი გაუპროტესტებიათ. ამ საქმეში ქვეყნის მთავრობა იყო ჩარეული, რომელსაც არ სურდა, რომ ქართული გუნდი გამხდარიყო ჩემპიონი და „სპარტაკს“ უჭირდა მხარს. ცხადია, ერთი ამბავი ავტეხეთ და გადათამაშება ვიუარეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, რადგან ეს უკვე გადაწყვეტილი იყო. არადა, ფეხბურთელთა ნაწილი წინადღეს გვარიანად დათვრა, ნაწილი კი საცხოვრებელში საერთოდ არ მოსულა, ვინაიდან ქალებთან ერთობოდა. სათამაშოდ ძალიან მონდომებულები გამოვედით, მაგრამ მატჩის მთავარმა არბიტრმა ლატიშევმა ფაქტობრივად, მეტოქის საჯარიმოსთან არ მიგვიშვა და 1:3 წავაგეთ, ასე რომ, ჩემპიონობა „სპარტაკს“ დავუთმეთ.

ყოჭებამდე ტრუსჩამძვრალი

— 1950 წელს, სტუმრად კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ ვეთამაშებოდით, როდესაც მეკარესთან პირისპირ გასულს, უკნიდან მეტოქის მცველმა ტრუსებში მომკიდა ხელი და კოჭებამდე ჩამაძრო. ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და ბურთიანად სირბილი გავაგრძელე, რის გამოც, სტადიონზე მყოფმა გულშემატკივარმა სიცილ-ხარხარი ატეხა. ტრუსები მხოლოდ მას შემდეგ ავიწიე, რაც გოლი გავიტანე. თამაშის დასრულებისას, გასახდელში ცოტა ხანს შევყოვნდი და თანაგუნდელები მეკითხებოდნენ — რატომ არ მივდიოდი? ვუპასუხე — ვერ მოვდივარ, რადგან სტადიონზე მყოფი ყველა ქალი გასახდელთან არის მოსული და მელოდება-მეთქი...

სარეცხის თოკი სტალინისა და ლენინისთვის

— „ტოდოში“ თამაშისას, როგორც უკვე აღვნიშნე, პარალელურად სავალდებულო სამხედრო სამსახურს მოტომსროლელთა ბატალიონში ვიხდიდი. ერთხელ, მორიგე ვიყავი და ვარჯიშის დასრულებისას ტრუს-მაისური რომ გავრეცხე, მათ გასაფენად ადგილი ვერ ვნახე. ბატალიონის ტერიტორიაზე ბევრი ხე იდგა, მაგრამ ჩემი სიმაღლის პატრონი, ვერც ერთს ვერ მივწვდი. ბატალიონში სცენა იყო, რომელზეც სტალინისა და ლენინის ბიუსტები იდგა. თოკი წავიღე და ჯერ სტალინს გამოვაბი კისერზე, შემდეგ — ლენინს და ზედ სარეცხი გავფინე. საღამოს, გენერალ-ლეიტენანტმა მახენკოვმა ტერიტორია დაათვალიერა და ბიუსტები ასეთ მდგომარეობაში რომ იხილა, თურმე დაუყვირია — ვინ „ჩამოახრჩო“ ბელადები? სასწრაფოდ ყველანი დაეწყვეთო! ამის გაგონებაზე, ყაზარმებიდან გამოვცვივდით და ერთ მწკრივად განვლაგდით. მახენკოვი დაინტერესდა, მორიგე ვინ იყო და როდესაც ჩემზე მიუთითეს, გაბრაზებულმა მითხრა: შენ ხომ არ გასულელდი? ომი მიმდინარეობს და ბელადებს „ახრჩობო“?! — თან ბრძანება გასცა, რომ ჰაუპტვახტში ჩავესვი. მას აუხსნეს, რომ მეორე დღეს, თამაში გვქონდა და გუნდს ვჭირდებოდი. მაშინ მახენკოვმა ჰაუპტვახტში ჩემი გამწესება ერთი დღით გადადო, მაგრამ საბედნიეროდ, მატჩი მოვიგეთ და სასჯელსაც ავცდი... ჩემი ძმა, შოთა კონსერვატორიაში სწავლობდა და ერთხელ, სპორტული ფორმა რომ გავრეცხე, შემთხვევით მისი ნოტებიც მივაყოლე. კონსერვატორიიდან დაბრუნებულმა დაინახა, რომ ნოტები გასაშრობად მიწაზე ეწყო, ხოლო გარს მყეფარე ძაღლები მეხვივნენ და საჭმელს ვაჭმევდი. იკითხა — რა ხდებაო? — და როდესაც ვუპასუხე, რომ სველ ნოტებს ვაშრობდი, გაბრაზებულმა დააყოლა — ძაღლებს რაღა აყეფებთო?! მე ვუთხარი: რაც დაწერე, იმაზე ყეფენ-მეთქი... ერთხელ, მას მეგობრები გაეხუმრნენ და მახენკოვს წერილი მისწერეს, რომ ბატალიონში კომპოზიტორი ჰყავდათ, რომელიც ცალკე ოთახს ითხოვდა. ბარათის წაკითხვის შემდეგ, გენერალმა ჰაუპტვახტში ჩაასმევინა შოთა. ეს რომ გავიგე, ჰაუპტვახტის სარკმელთან მივედი და ჩემს ძმას ვუთხარი: შოთა, ოთახი ხომ გიშოვეს! ხვალ როიალს შემოგიგზავნიან-მეთქი.

არეშიძის ლექსი და ამწით მირთმეული ხაში

— მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“ თამაშისას, მუსიკალურ ტექნიკუმში ვსწავლობდი, რომელიც გარკვეულ მიზეზთა გამო, ვერ დავამთავრე. თბილისის „დინამოში“ ასპარეზობისას, ჩემი გულშემატკივრები, რევაზ ლაღიძე, შოთა მილორავა, გოგი ცაბაძე, ბიძინა კვერნაძე, არჩილ კერესელიძე და არჩილ ჩხარტიშვილი იყვნენ, რომლებთანაც ქეიფის დროს, ხშირად ვმღეროდი. გარდა ამისა, ისინი, როდესაც მუსიკას დაწერდნენ, მთხოვდნენ, ეს ნაწარმოები შემესრულებინა, რათა გაეგოთ, თუ როგორ ჟღერდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებების შემდეგ, ესტრადაზე მოვხვდი. მახსოვს, საგურამოში ვიქეიფეთ, საიდანაც ჩემი ავტომობილითა და რევაზ ლაღიძის „მოსკვიჩით“ წამოვედით, რომელშიც კომპოზიტორები — სულხან ნასიძე და არჩილ კერესელიძე, ასევე პოეტი ნიკოლოზ არეშიძე ისხდნენ. მე მათ გამოვასწარი, ხოლო ლაღიძეს ავტომანქანა, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან გაუჩერებია და არეშიძეს საკუთარი ლექსი წაუკითხავს. გზა რომ გაუგრძელებიათ, რეზოს საჭესთან ჩასძინებია და თბილისის შესასვლელთან ავტომობილი თხრილში გადავარდნილა. კერესელიძეს იქიდან ამოსვლა როგორღაც მოუხერხებია და ამ დროს, ალექსი ინაურს (უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს) გამოუვლია, რომელსაც დაშავებულთა საავადმყოფოში გადასაყვანად „სასწრაფო დახმარება“ გამოუძახებია. როგორც კი შევიტყვე მომხდარის შესახებ, მაშინვე მეგობრებს მივაშურე და ამბავი გამოვკითხე. როცა ყველაფერს მომიყვნენ, ერთ-ერთმა დაამატა: ღმერთმა არ გვაპატია, არეშიძემ, ილიას ძეგლთან ლექსი რომ წაიკითხაო... საავადმყოფოში მყოფთ, ხაშის მიტანას შევპირდი, რამაც ისინი ძალიან გახარა. მართლაც, დიდი ქვაბით ხაში ვიყიდე და როცა საავადმყოფოში ვბრუნდებოდი, დავინახე, რომ ქუჩის განათების ბოძებზე ნათურებს ცვლიდნენ, ხოლო ერთ-ერთი ბოძი სწორედ ჩემი მეგობრების პალატის ფანჯრებთან იდგა. მძღოლს ფული გადავუხადე და მან ქვაბით ხელში ამწეზე მდგომი, პალატის ფანჯარასთან მიმაყენა. კერესელიძემ როცა დამინახა, გაკვირვებულმა მკითხა: ფანჯრის იქით ხარო? როდესაც დავუდასტურე და ფანჯრის გაღების შემდეგ, ქვაბიც მივაწოდე, მეგობრები სიცილით დაიხოცნენ... ■



...ამან განაპირობა, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებების შემდეგ, ესტრადაზე მოვხვდი. მახსოვს, საგურამოში ვიქეიფეთ, საიდანაც ჩემი ავტომობილითა და რევაზ ლაღიძის „მოსკვიჩით“ წამოვედით...

ნანკა კალატოზიშვილი: მსახიობობა იმას ამ ნიშნავს, ყველაფერი გაიხადო

ახალგაზრდა მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დაკავებულია და აკეთებს იმ საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს, 2005 წლით კმაყოფილი მაინც არ არის. თუმცა, იმედს არ კარგავს, რომ მომავალი — 2006 წელი საკმაოდ იღბლიანი იქნება მისთვის. ნანკას, ისევე, როგორც თითოეულ ჩვენგანს, უამრავი ჩანაფიქრი აქვს, მაგრამ დაკონკრეტებისგან თავს იკავებს: მისი აზრით, გამხელილი ნატვრა არ ასრულდება.

ეკა მინდაძე

— ნანკა, როგორ ხარ?

— კარგად, მაგრამ ცოტა დაღლილი ვარ.

— როგორც ვიცი, ძალზე დატვირთული ხარ. გვიამბე, რას საქმიანობ და რითი ხარ დაკავებული?

— მართლაც, ძალიან დაკავებული ვარ. დილიდან საღამომდე, გადაღებებზე ვიმყოფები. „იმედის“ არხისთვის რეჟისორი დათო ჯანელიძე 8-სერიიან ფილმს იღებს, რომლის სახელწოდებაა — „ატაგენოსი“. გადაღებები საჯარო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს, მე ბიბლიოთეკარს ვასახიერებ. გარდა ამისა, ვანო ბურდულის 10-წუთიან ფილმშიც ვმონაწილეობ. იქ ჩემი პარტნიორი, გიორგი ნაკაშიძეა. დაბოლოს, მესამე — ტელეკომპანია „მზის“ საახალწლო პროექტია, რომელსაც ლაშა ცერიაშვილი იღებს. ძალიან მაზალო სცენარია და ვფიქრობ, ასეთი მაგარი საახალწლო პროექტი ჯერ არ გაკეთებულა. იქ პარტნიორობას კაბუ მიწევს. რაც შეეხება თეატრს — ჯერჯერობით, ახალი არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „თეატრალურ სარდაფში“ სულ ცოტა ხნის წინ, პრემიერა გაიმართა სპექტაკლისა, რომლის სახელწოდებაა „ქრონიკა“. ახალ სპექტაკლში, გადაღებების გამო, სამწუხაროდ, ვერ ვმონაწილეობ, თორემ, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი.

— მსახიობობა უფრო ძნელია თუ გადაცემის წაყვანა?

— რა თქმა უნდა, ადვილი არც ერთი არ არის, მაგრამ მე ხომ ჟურნალისტი არ ვარ — უბრალოდ, მიმყავს გადაცემა. ისე, მაინც გამოდის, რომ ჟურნალისტებს საქმიანობაში ვეჩრები. არადა, ასე არ ვფიქრობ... ჩემი უმთავრესი საქმე, ამა თუ იმ როლის თამაშია. მსახიობობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და დღესაც, დიდი სიამოვნებით ვაკეთებ ამ საქმეს. ვერ ვიტყვი, რომ გადაცემის წაყვანა არ მომწონს, მაგრამ ჩემთვის მთავარია, კარგი მსახიობი ვიყო.

— რომელ ჟანრში ამჯობინებ მუშაობას?

— ყველანაირი ჟანრი მიყვარს. ვთვლი, რომ ჩემნაირმა, ახალბედა მსახიობმა ყველა ჟანრში უნდა გამოსცადოს თავი.

— საოცნებო როლი თუ გაქვს?

— ოცნებაზე შეგნებულად არ ვილაპარაკებ, რადგანაც, რომ გავამხილო, შეიძლება, არ ამიხდეს. ამიტომაც, გაჩუმებას ვამჯობინებ...

— ქართულ სერიალებში ინტიმურმა სცენებმა სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია. შენი აზრით, მსახიობმა შეიძლება, უარი თქვას ამა თუ იმ ეპიზოდში გადაღებაზე?

— იცი, რა, ბევრჯერ მსმენია — მსახიობი ყველანაირ როლზე უნდა დათანხმდეს, მაგრამ მე ამას არ ვეთანხმები, უფრო მეტიც — კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. საერთოდ, ფილმის ფორმასა და შინაარსს გააჩნია, მაგრამ პირადად მე, არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ასეთი როლი შევასრულო. მსახიობი თუ ხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გაიხადო და უხამსობა ჩაიდინო. ინტიმური სცენებისთვის შეუძლიათ, სპეციალურად მოიწვიონ ის ქალბატონები, ვინც ამას უპრობლემოდ გააკეთებს.

— რაიმე ჩვევა თუ გაქვს, სცენაზე გასვლის წინ?

— კი, როგორ არა. განსაკუთრებით, პრემიერის წინ, აუცილებლად უნდა დავწვე სწორ ადგილას და 15-20 წუთი სრულ სიჩუმეში გავატარო.

— საყვარელი პარტნიორი თუ გყავს?

— ძალიან მიყვარს დუტა სხირტლაძესთან ერთად თამაში. კარგი პარტნიორია გიორგი მეგრელიშვილიც („თეატრალური სარდაფის“ მსახიობი). მიყვარს ბაიკო დვალიშვილთან ერთად მუშაობა. ის არაჩვეულებრივი მსახიობი და პიროვნებაა. ამ ცოტა ხნის წინ, ზაზა პაპუაშვილთან ერთად მომიწია თამაშმა გიორგი შენგელაიას ფილმში — „მიდიოდა მატარებელი“. ყოველთვის მომწონდა ეს მსახიობი, მაგრამ მასთან თამაშის შემდეგ, ამ ადამიანის უსაზღვრო ნიჭიერებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— ყველაფერი სტაბილურად და მშვიდობიანად მიმდინარეობს...

— გავიგე, შეყვარებული ხარ. გვითხარი, ვინ არის შენი რჩეული?

— ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

— ახლო მომავალში, დაქორწინებას ხომ არ აპირებ?

— ვერც ამაზე გაგცემ პასუხს, რადგან იმ პიროვნებას არ უყვარს ჩვენს ურთიერთობაზე საჯაროდ საუბარი.

— კარგი. მაშინ ზოგადად მითხარი — როგორი მამაკაცები მოგწონს?

— მომწონს განათლებული ყმაწვილები. მამაკაცს პირველ რიგში, ძალიან ლამაზი და რაც მთავარია, მეტყველი თვალები ჰქონდეს. უნდა იყოს ძალიან თბილი და ჰქონდეს უდიდესი იუმორის გრძნობა. მოკლედ, საინტერესო ადამიანი უნდა იყოს, რა!..

— წუნია ხომ არ ხარ მამაკაცებთან ურთიერთობისას?

— აბა, რა გითხრა... არიან გოგოები, რომლებსაც ბავშვობიდან, მუდამ შეყვარებული ჰყოლიათ. მე მათ რიგს არ მივეკუთვნები. დღემდე, სულ ორი შეყვარებული მყავდა: პირველი — ადრე მყავდა, მეორე კი, ის გახლავთ, რომელიც დღეს მყავს.

— რამდენად მისაღებია შენთვის, ოჯახის შექმნამდე, ქალ-ვაჟის ერთად ცხოვრება?

— იცი, რა, როცა ადამიანები ერთად ცხოვრობენ და ერთმანეთზე ზრუნავენ, გინდა თუ არ გინდა, მათი ცხოვრება ოჯახს ემსგავსება. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯვარი დაწერილი არ აქვთ და არც ხელი აქვთ მოწერილი, მაინც ერთი ოჯახია. ჩემი აზრით, თუ მათ ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთისთვის ყოველდღიურად ზრუნავენ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ფორმალურ მხარეს. ჩვენში ცოტა ცუდად ესმით თავისუფლება. თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ დღეს, ერთი გყავდეს, ხვალ — მეორე. ხოლო იმ ადამიანის გვერდით ყოფნა, ვინც გიყვარს და ვისაც უყვარხარ, ცუდი რატომ უნდა იყოს?! ისინი ხომ ოჯახური ცხოვრებით ცხოვრობენ — უბრალოდ, კანონიერ ცოლ-ქმრად არ ითვლებიან.

— თაყვანისმცემლები შენს პირად ცხოვრებაში ხომ არ იჭრებიან ხოლმე და თავს ხომ არ გაბეზრებენ?

— თბილისი ისეთი პატარაა, ყველამ იცის, რომ ჩემი გული თავისუფალი არ არის. აქედან გამომდინარე, უხერხულიც იქნება, რომ მე ვიღაც თაყვანისმცემელმა გიჟურად ამიხსნას სიყვარული... ისე, ბევრჯერ უჩუქე-

ბიათ ყვავილები და წიგნი. სხვათა შორის, მესიჯიც უამრავი მომდის ლექსად და ვერ გამიგია, ვინ არის და რა უნდა...

— საყვარელი დღესასწაული თუ გაქვს?

— ახალი წელი.

— სულ მალე, ახალი წელიც შემოაბიჯებს. მის დადგომას შინ ხვდები ხოლმე თუ გარეთ?

— ვცდილობ, ახალ წელს შინ შევხვდე, ჩემს ოჯახთან ერთად, ხოლო შემდეგ, მე და ჩემი მეგობრები სადმე, გასართობ დაწესებულებაში მივდივართ.

— ვინ არის ხოლმე თქვენი ოჯახის მეკვლე?

— თითქმის ყოველ წელს, ჩემი ძმა გადის სახლიდან, სანამ 12 შესრულდება და 12-ის შემდეგ ბრუნდება. ბოლო წლებში, მას კონკურენტობას ჩემი მეგობარი — დათუნა ანთაძე უწევს. ამრიგად, ჩვენს ოჯახში მეკვლეობა დასწრებაზეა *(იცინის)*... ისე, ორთავეს კარგი ფეხი აქვს.

— თოვლის ბაბუისა და მის მიერ მოტანილი საჩუქრების რა ასაკამდე გჯეროდა?

— რამდენადაც მახსოვს, არ მჯეროდა. უბრალოდ, ზუსტად ვიცოდი — რომ გავიღვიძებდი, ჩემი ოჯახის წევრები დამახვედრებდნენ საჩუქარს. ყუთში აუცილებლად იყო სათამაშოც და შოკოლადიც.

— რომელი ზღაპრის გმირს მიამსგავსებდი თავს?

— პატარა რომ ვიყავი, დედაჩემის მეგობარი, პრინცესას მეძახდა. ამაზე ძალიან ვბრაზდებოდი და ვპასუხობდი — მე პრინცესა კი არა, ჯადოქარი ვარ-მეთქი!.. ვერ გეტყვი, პრინცესას, რატომ ვამჯობინებდი ჯადოქარს. შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა, მქონოდა მფრინავი ცოცხი, ისეთი, როგორიც მას ჰქონდა და სახლი, რომელშიც ის ცხოვრობდა. დღეს კი, თავს ჩექმებიან კატას მივამსგავსებ *(იცინის)*...

— ბავშვობაში, ყველაზე მეტად რომელი წიგნის კითხვა გიყვარდა?

— ბავშვობაში ძალიან მომწონდა „პეპი გრძელი წინდა“.

— შარშან ახალწლის ღამე სად გაატარე?

— შარშან გართობა ვერ მოვახერხე. ისეთი კურიოზი შემემთხვა, რომ მრცხვენია ამის გახსენება. შარშან, თბილისში ახალი წლის წინადღეს ჩამოვედი და ამიტომ, ძალიან დაღლილი ვიყავი. ვიფიქრე, ახალ წელს სახლში შევხვდები, ხოლო შემდეგ, მეგობრებთან წავალ-მეთქი. იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ დივანზე ჩამეძინა და მთელი ახალწლის ღამე დაძინებულმა გავატარე. იმედია, წელსაც ასე არ დამემართება...

— როგორი იყო შენთვის 2005 წელი?

— ძალიან დამღლელი. მხოლოდ ერთი რაღაც ამიხდა, სხვა მხრივ, ამ წლით კმაყოფილი არ ვარ. იმედი მაქვს, მომავალ წელს მაინც გამიმართლებს...

■

წიწიბურა მწვანე ფარდების საფასეულ

ვინც ჟურნალ „გზას“ მუდმივად ადევნებს თვალყურს, ალბათ, ახსოვს რუბრიკა — „სასიძო-საპატარძლო“, რომელიც მკითხველებს განსაკუთრებით მოსწონდათ. შემდეგ, იმ მიზეზის გამო, რომ გასათხოვარ-დასაქორწინებელი ყველა ცნობილი სახე რუბრიკამ მოიცვა, მცირე ხნით, გაჩერება გადავწყვიტეთ. მკითხველები მოსვენებას არ მაძლევდნენ, საყვედურებით მავსებდნენ და კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ მათი საყვარელი რუბრიკა კვლავ დაგვებრუნებინა ჟურნალის ფურცლებზე. ბევრ მათგანი საკუთარ თავსაც კი მთავაზობდა რესპონდენტის როლში. ვინაიდან საყვედურები ძალზე მომრავლდა, გადავწყვიტეთ, მკითხველის თხოვნა გაგვითვალისწინებინა.

დღევანდელი „საპატარძლო“, გვანცა პაპუაშვილი გახლავთ. მკითხველმა ის თავდაპირველად, ტელეპროექტში — „ამტანები“ — მონაწილეობისას გაიცნო. ამჟამად, გვანცა ტელეკომპანია „202“-ის წამყვანია.

„ამტანები“ თითქმის გადაჩვეული არიან ჭამას, ამიტომ მათი შენახვა იოლია, შესაბამისად — მათზე ქორწინება სარფიანი უნდა იყოს. დაეშურეთ, თორემ, მათზე დიდი მოთხოვნაა და მერე გვიან იქნება...

მარი ჯაფარიძე

— გვანცა, ვინ არიან შენი ოჯახის წევრები?

— მე ვცხოვრობ დედასთან და მამასთან ერთად. მყავს და, რომელიც გათხოვილია და მეუღლესთან და შვილთან ერთად ცალკე ცხოვრობს.

— გარდა „ამტანისა“, კიდევ რას საქმიანობდი?

— დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი და შემდეგ, მშობლებისგან მალულად ჩავბარე თეატრალურ უნივერსიტეტში. თავიდან, მამის წინააღმდეგობის გამო, ვერ შევიტანე საბუთები თეატრალურში. არადა, ძალიან მინდოდა, რადგან მოწოდებით სცენარისტი ვარ. მშობლებმა მხოლოდ მას შემდეგ გაიგეს ეს ამბავი, როცა გამოცდები უკვე ჩაბარებული მქონდა და სტუდენტი გავხდი.

— მოდი, „ამტანზე“ საუბრით დავიწყოთ: როგორია ის გარედან, მაყურებლის თვალით დანახული და როგორია მისი „სამზარეულო“?

— „ამტანი“ გარედან არის შოუ, ხოლო შიგნიდან — რეალური ცხოვრება, თანაც, ძალიან რთული. სიმართლე რომ გითხრათ, არ მეგონა, თუ გამიმართლებდა და შოუში მოვ-ჯდებოდი. ძნელია, ამდენ უცხო ადამიანს გაუგო და მათ ხასიათებს შეეწყო. თუმცა, თანდათან ყველას ეგუები. საერთოდ, ბუნებით „მაწანწალა“ ვარ, ამიტომ ყველაზე მეტად, ჩაკეტილ სივრცეში გაძლება გამიჭირდა. არც შიმშილია იოლი გასაძლები. ჩვენ ხომ ძირითადად, წიწიბურათი ვიკვებებოდით. იქ იმდენი ვჭამე, რომ წიწიბურა სამუდამოდ შემძულდა. ამასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს მოგიყვებით. გასულ ზაფხულს, ქობულეთში ვისვენებდი. ერთ საღამოს, კაფეში ვიჯექი მეგობრებთან ერთად. გვერდითი მაგიდიდან ერთი თეფში წიწიბურა გამომიგზავნეს, როგორც „ამტანს“. სულაც არ მინდოდა ჭამა, მაგრამ ხათრით, ცოტა მაინც შევჭამე...

— „ამტანი-2“-ს თუ ადევნებდი თვალყურს?

— რა თქმა უნდა... დონ ლევანს ვგულშემატკივრობდი. მას იგივე ნომერი ჰქონდა, რაც მე და ძალიან მინდოდა, რომ სწორედ მას მოეგო. ამ „ამტანებისგან“ განსხვავებით, ჩვენ მამუკას (ღლონტის) შიში და რიდი გვქონდა. ესენი კი ისე ეკამათებოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ, რომ მიკვირდა კიდეც, როგორ ბედავდნენ. ჩვენგან განსხვავებით, ისინი უფრო მაძღრებიც იყვნენ. ჩვენ მხოლოდ წიწიბურას, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში — კარტოფილს ვჭამდით. ისინი მრავალფეროვან საკვებს იღებდნენ... ეს „ამტანებიც“ კარგი ტიპები არიან,

მაგრამ პირველი ამტანები უფრო მაგრები ვიყავით და საყურებლადაც გაცილებით საინტერესო იყო პირველი შოუ.

— რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში „ამტანის“ შემდეგ?

— პირველ რიგში ის, რომ პოპულარული გავხდი. ეს ძალიან მსიამოვნებს. ვისწავლე დამოუკიდებლად ცხოვრება, ადამიანების გამოცნობა და მოვახერხე, რომ „202“-ში დავიწყე მუშაობა. ძალიან მომწონს ჩემი სამსახური და ასე რომ არ იყოს, მერწმუნეთ, მხოლოდ ხელფასისთვის არ ვიმუშავებდი.

— კარგი, მოვრჩეთ „ამტანზე“ საუბარს და კონკრეტულად შენზე ვილაპარაკოთ. დავიწყოთ ყველაზე მთავარი საკითხით: გაგვიმხილე, გყავს თუ არა გულის სწორი...

— არა, ამჟამად შეყვარებული არ ვარ.

— როგორც „საპატარძლოს“, ვალდებული ვარ, გკითხო — საოჯახო საქმე თუ გეხერხება?

— ცოტა ზარმაცი ვარ და არ მიყვარს საქმის კეთება, მაგრამ თუ დამჭირდება, ყველაფერს ვისწავლი და გავაკეთებ. მთავარია, მოვინდომო, თორემ... ისე, ძალიან არ მიყვარს სახლის დალაგება, რეცხვა, განსაკუთრებით, სამზარეულოში ფუსფუსი. აი, ზუსტად ასე დაწერეთ — რომ არ მიყვარს საქმის კეთება...

— ბუტია ხარ?

— არა, ბუტია არ ვარ. იოლად მწყინს, მაგრამ გულში ჩადება არ მახასიათებს. იოლად ვივიწყებ წყენას. შესაძლოა, უცებ ავფეთქდე, მაგრამ მალევე გადამივლის ხოლმე. მჩვევია სათქმელის პირში მიხლა. შესაძლოა, ბევრს არ მოსწონს, ასე რომ ვიქცევი, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია.

— წუწუნი თუ გიყვარს?

— არა, არ ვწუწუნებ ხოლმე და არც ჭირვეული ვარ. ყველანაირ სიტუაციას იოლად ვეგუები. მშობლები ჩემი დის მიმართ ყოველთვის გაცილებით მეტ ყურადღებას იჩენდნენ ხოლმე. მე უფრო თავისუფლად ვიზრდებოდი, ამიტომ მიჩვეული ვარ საკუთარი თავის გატანას.

— მახსოვს, „ამტანში“ იტირე, როცა თავი ცოტათი გადაგვარსეს. ასე იოლად ღვრი ხოლმე ცრემლს?

— არა, არა... მე მხოლოდ მაშინ ვტირი, როცა საყვარელი ადამიანი მაბრაზებს. მაშინაც ცრემლს ვმალავ ხოლმე, რადგან ეგრ ვიტანო, როცა ვიღაც ჩემს ცრემლებს ხედავს. ასეთ დროს ვიმალები და ჩუმად ვტირი... თქვენ რომ გაიხსენეთ, ეს ისეთი უბრალო შემთხვევა იყო, რომ წესით, არ უნდა მეტირა, მაგრამ როგორც ჩანს, ნერვებმა მიმტყუნა ან დეპრესიაში ვიყავი და ჩემი ცრემლები სწორედ ამან გამოიწვია. ერთ ამბავს მოგიყვებით: სკოლას რომ ვამთავრებდი, 16 წლის ვიყავი. ჩემს ეზოში ბევრი ჩემი ტოლი ბიჭი ცხოვრობდა და ყველამ თავი გადაიხოტრა. მხოლოდ მე დავრჩი თმიანი. გულიანად ვტიროდი — მეც გადამპარსეთ-მეთქი... ასე რომ, ჩემი მაშინდელი ცრემლები ნამდვილად დეპრესიის ბრალი იყო, თორემ, თავის გადაპარსვის ბავშვობიდან არ მეშინოდა.

— მოდი, შენი ოცნების პრინცი ალგვიწერე. როგორი უნდა იყოს შენი მომავალი მეორე ნახევარი?

— ო-ო... ის ყველასგან განსხვავებული უნდა იყოს... არაორდინარული. სულაც არ არის მთავარი, რომ ბევრი ფული ჰქონდეს და მაგარი „მერსედესი“... არ უნდა ეცვას ძვირად ღირებული ტანისამოსი. სამაგიეროდ, უნდა იყოს არაჩვეულებრივი ადამიანი, უყვარდეს ჩემთან ერთად წვიმაში ფეხით სიარული და შემისრულოს სურვილები. მე ფულთან დაკავშირებული სურვილები არ მაქვს. რომანტიკოსი ვარ და სურვილებიც შესაბამისად, ასეთი მაქვს. მაგალითად, სიმოვნებით წავიდოდი მასთან ერთად ალპინიადაზე და გამიხარდებოდა, თუ ფუნჯითა და საღებავით ჩემი სახლის წინ დამიწერდა — მიყვარხარო! — ან ფანჯრებთან სერენადას მიმღერებდა ან იცეკვებდა ჩემთან...

— წინათ, თუ ყოფილხარ შეყვარებული?

— კი, ყოფილვარ. მაგრამ ის ჩვეულებრივი ბიჭი იყო, არაფრით გამორჩეული სხვებისგან. ცხოვრობდა ჩვეულებრივი, თბილისური და „ვაკური“ ცხოვრებით, როგორც ყველა... მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ბიჭზე არ ვოცნებობდი, მაინც შემიყვარდა. თუმცა, შემდეგ მივხვდით, რომ განსხვავებული ადამიანები ვიყავით და ერთმანეთს დავშორდით. „ამტანის“ დროს, ის და მამამისი ერთად მიმესიჯებდნენ, თურმე...

— დედა ხომ არ გეუბნება ხოლმე, რომ დროა, ოჯახი შექმნა და გათხოვდე?

— არა, ამ საკითხს მე თავად გადავწყვეტ, როცა დრო მოვა. მაგრამ ჩემს რჩეულს მშობლებს აუცილებლად წინასწარ გავაცნობ. იმედია, მომიწონებენ არჩევანს. თუ არა და... მაშინ არ ვიცი, როგორ მოვიქცევი. დარწმუნებული ვარ, ისინი ჩემს გადაწყვეტილებას პატივს სცემენ.

— „ამტანში“ მონაწილეობის შემდეგ, თაყვანისმცემლები მოგიმრავლდნენ?

— კი, როგორ არა, რაც ძალიან მიხარია, რადგან ახლა, უკვე ასარჩევად მაქვს საქმე. ერთ-ერთი მათგანი შემპირდა, რომ მწვანე ვარდებს მაჩუქებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, არ ჩანს. ველოდები, როდის შეასრულებს თავის პირობას. კიდევ ერთი, 12 წლის თაყვანისმცემელი მყავდა, რომელმაც სათამაშო პისტოლეტი მაჩუქა და მითხრა: თუ ვინმე შეგაშინებს, აი, ასე აუნთე და გაიქცევაო...

— როგორ უყურებ გარიგებით ქორწინებას?

— არა, არა, ჩემთვის ეს მიუღებელია. არასოდეს გავთხოვდები გარიგებით და არც არავის ვურჩევ. მიმაჩნია, რომ ეს არის იძულებითი ქორწინება. არ გავთხოვდები გარიგებით, რაც არ უნდა „პატარკაციშვილი“ მთხოულობდეს...

— როგორც წესი, „საპატარძლოს“ ინტერვიუს მკითხველთა გამოხმაურებები მოჰყვება. თუ დაინტერესდები, ვინ გამოგეხმაურება და თუ გაგიჩნდება სურვილი, რომელიმე მათგანს შეხვდე?

— რას ჰქვია, არ დავინტერესდები?! აუცილებლად წავიკითხავ და ყველაზე კარგი მესიჯის ავტორს, ვინც მზად იქნება, ჩემთან ერთად წვიმაშიც ისეირნოს, შევხვდები კიდეც. იქნებ, ბედიც გამეხსნას და თუ „გზის“ საშუალებით გავთხოვდი, მეჯვარედ შენ წაგიყვან.

ვიცი, გვანცას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. იმედია, ჩვენს „საპატარძლოს“ უყურადღებოდ არ დატოვებთ. მასთან დაკავშირების მსურველებმა დამიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ველით თქვენს გამოხმაურებებს. გაითვალისწინეთ, რომ ტელეფონის ნომერი ჟურნალისტისაა და არა — რესპონდენტის. თქვენ მიერ გამოგზავნილი მესიჯები „გზის“ მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება. ■

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები - მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

Saab-ის ჯიპი 3 წლის შემდეგ გამოჩნდება

Saab-ის მარკის პირველი ყველგანმავალი მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 2008 წლის დამლევისთვის გამოჩნდება. სრულამძრავიანი ავტომანქანა, რომლის პროტოტიპს, წლეულს დამზადებული კონცეპტუალური მოდელი — 9-4X წარმოადგენს, ე.წ. „პარკეტის“ ჯიპების კატეგორიას მიეკუთვნება. ის V ტიპის, 3,6 ლ სამუშაო მოცულობის 6-ცილინდრიანი ძრავათი და 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი.

ახალი მანქანა ე.წ. პრემიუმ-სეგმენტისთვისაა გათვალისწინებული და დამპროექტებელთა და მწარმოებელთა ჩანაფიქრით, ისეთ მოდელებს გაუწევს კონკურენციას, როგორებიცაა: BMW X5, Infiniti FX, Lexus RX და Mercedes-Benz ML. მისი სავარაუდო ფასი, 35-დან 45 ათას დოლარს შორის მერყეობს. ■

„ამეჩიჯული“ Subaru ევროპის გზას გაუყენეს

ამ მარკის ყველაზე დიდი მოდელი —Subaru-B9 Tribeca — მალე არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც გაიყიდება. კომპანიის მესვეურებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ევროკავშირის ავტოსალონებში ის მომავალი წლის შემოდგომაზე გამოჩნდება. მაგრამ მანამდე, Tribeca-ში ბევრ ცვლილებას შეიტანენ, რაც იმითაა გამოწვეული, რომ აღნიშნული მოდელი ადრე, მხოლოდ ამერიკული ბაზრისთვის იყო განკუთვნილი და ამის გამო, 250 ცხ.ძ. სიმძლავრის, 3-ლიტრიანი ძრავათი გახლდათ აღჭურვილი. 5-ადგილიანი ვარიანტის მინიმალური ფასი 30.695, ხოლო 7-ადგილიანისა — 32.295 დოლარს აღწევს. ■

Honda-ს უნივერსალური სადგური

წყალბადით ავტომობილის დასატუმბი ავტოგასამართი სადგურები ჯერჯერობით, იშვიათობას წარმოადგენს — არადა, ამ საწვავზე აწყობილი აგრეგატებით აღჭურვილი მანქანების მასობრივი წარმოება, უახლოესი პერსპექტივის საკითხია. მაშ, სად დაიტუმბება ამ მანქანების ავზები?.. ამ პრობლემის გადაჭრის საკუთარი ვერსია სულ ცოტა ხნის წინ წარმოადგინა კომპანიამ — Honda R&D Americas Inc. (Honda Motor Company-ს ამერიკული ფილიალი): დანადგარი, რომლის სახელწოდებაა Home Energy Station III, ერთდროულად გაათბობს სახლს, უზრუნველყოფს მას ელექტროენერგიით და ყოველივე ამასთან ერთად, გამოიმუშავებს წყალბადს ავტომობილისთვის. ენერგიის ძირითად წყაროდ, Home Energy Station ბუნებრივ აირს განმოიყენებს.

კორეული კომპანია ამჟამად, მსოფლიო ლიდერად გვევლინება წყალბადზე მომუშავე ავტომანქანების დარგში. მის მიერ გამოშვებულ მანქანებს — FCX — უკვე აქტიურად იყენებს სხვადასხვა ორგანიზაცია, გასულ ზაფხულს კი, ასეთივე მანქანას პირველი კერძო მფლობელიც გამოუჩნდა. ■

General Motors სიმძიმის ცენტრს ცვლის

მსოფლიოში უმსხვილეს საავტომობილო კონცერნში — General Motors — საინტერესო ცვლილებები ხდება. სულ ცოტა ხნის წინ, კორეაში დიზელის ძრავების მწარმოებელი ახალი ქარხანა ამუშავდა. ამავე დროს, აშშ-ში გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც გვაუწყებს, რომ კონცერნი იქ მდებარე თავისი 4 ქარხნის დახურვას აპირებს... კორეული პროექტი კომპანიას — GM Daewoo — 466,5 მლნ დოლარი დაუჯდა, ხოლო მისი სიმძლავრე, Euro-4-ის სტანდარტის შესაბამისად აგებული 250 ათასი ძრავას გამოშვებას ითვალისწინებს. იქ გამოუშვებენ ახალ, შეშხეფების პრინციპით მოქმედ, 2-ლიტრიან აგრეგატს — SOHC, რომელიც კორეელი ინჟინრებისა და იტალიური კომპანიის — VM Motori — სპეციალისტების მიერაა შემუშავებული. ის განკუთვნილია ახალი ჯიპისათვის — GM Daewoo, რომელსაც გაისად წარმოადგენენ ავტომოყვარულთა სამსჯავროზე. უკვე ცნობილია, რომ ამ მანქანას, Chevrolet Captiva-ს სახელი მიენიჭება.

რაც შეეხება საწარმოთა დახურვას — მოარული ხმებით, ეს კონცერნის, განსაკუთრებით, მისი ამერიკული დანაყოფის შესაძლო გაკოტრების საშიშროებითაა გამოწვეული. ექსპერტთა ვარაუდით, პოტენციური მსვერპლის მდგომარეობაში გვევლინებიან: ქალაქ ლანსინგში მდებარე ქარხანა, რომელიც მოდელს — Chevrolet SSR — აწარმოებს, ქალაქ დორავილში მდებარე ქარხანა, რომელიც მინივენებს უშვებს და ჯეინსვილში მდებარე საწარმო, რომელშიც ყველგანმავლების აწყობა ხორციელდება. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეკალი

უბის წიგნაკიდან:

1. წყალბურთის სამშობლო დიდი ბრიტანეთია.

2. ნაპოლეონი 27 წლის ასაკში გახდა გენერალი.

3. ბეთჰოვენმა მთელი თავისი ქონება ძმისშვილს დაუტოვა.

4. ბეტმენი გოთჰემში ცხოვრობდა, სპაიდერმენი — ნიუ-იორკში.

5. ატომური წყალქვეშა ნავი დღეს, ყველაზე სრულყოფილი იარაღია.

6. რომის იმპერიის მოსახლეობის ერთ მესამედს მონები შეადგენდნენ.

7. ბეჰემოთის ნაშიერი ხშირად წყალქვეშ ყოფნის დროს წოვს ძუძუს.

8. მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე ხშირად, პიკასოს ტილოებს იტაცებენ.

9. წყალქვეშა ფლოტის ტრადიციებში არ შედის მოწინააღმდეგის ტყვედ აყვანა.

10. პიგმეებს არასოდეს გამოუყენებიათ ნავები. ისინი მდინარეზე ბაგირის ხიდებს აგებდნენ.

11. როდესაც სტუმართან არაფერი აქვთ სასაუბრო, მას ოჯახურ ალბომს აჩვენებენ ხოლმე.

12. ტერმიტებს რამდენიმე წელიწადში შეუძლიათ ადამიანის საცხოვრებელი სახლის დანგრევა.

13. „სელიოდკა“, კარტოფილი, ხახვი, არაყი, ლუდი — ასეთი გახლავთ რუსული „მეფური“ საუზმე.

14. ალექსანდრე დიუმა დიდი გურმანი იყო. დიდი კულინარიული წიგნი მას დაუმთავრებელი დარჩა.

15. „არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრული ტანისამოსი“, — ამბობდა კოკო შანელი.

16. ანტარქტიდა ყველაზე მშრალი კონტინენტია. იქ იმდენივე ნალექი მოდის წლის განმავლობაში, რამდენიც საჰარაში.

17. პლაჟის ფრენბურთში დაცემის შემდეგ, ნებადართულია წყლით თვალების ამობანა. ამ სპორტში საასპარეზო მოედანი წმინდა ქვიშით არის დაფარული.

18. სპარტაკმა, რომელიც ბრძოლის დროს, კრასუსამდე მიღწევას ლამობდა, ორი ცენტურიონი მოკლა ერთი დარტყმით და სწორედ მაშინ აკუწეს.

19. თბილისიდან ზესტაფონამდე თურქული ასფალტი დააგეს, წვიმის დროს დასველდა და გორამდე დამოკლდაო, — ჰყვებოდა საკუთარ შოუში ნიკა ქავთარაძე.

20. „ს ლუკომ, ს იაიცამი, ნო ნე პერაჟოკ“, — ამ გამოცანის პასუხი, ევ-

მოხდენილი, დახვეწილი მანერებით გამორჩეული პოლონელი არისტოკრატი ფრედერიკ შოპენი თვალებანთებული შესცქეროდა ამ პარიზელ საოცრებას. მის ქვეყანაში ასეთს ხომ ნამდვილად ვერ ნახავდა: ოთახის ცენტრში იდგა თაფლისფერთვალება, წაბლისფერთმიანი ქალბატონი, რომელსაც ტანთ მამაკაცის კოსტიუმი ემოსა. ქალს გარს შემორტყმოდნენ მამაკაცები და მოთმინებით უსმენდნენ მის მტკიცე მსჯელობას, რომელიც ვერავითარ შეკამათებას ვერ აიტანდა. ქალი ხმამაღლა უმტკიცებდა მათ რაღაცას, მაშინ, როცა სხვა ქალები დარბაზის კუთხეში კეკლუცად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ეს ქალი მთელ საფრანგეთში ცნობილი რომანისტი ჟორჟ სანდი იყო.

სიყვარული, რომელიც ტყვეობას ვერ ავლა

როცა შოპენს მოჰკრა თვალი, ქალბატონი აღარ დალოდებია, როდის წარუდგენდნენ მათ ერთმანეთს და მტკიცე ნაბიჯით გაემართა მისკენ. „მე უკვე ვიცი, ვინ ხართ თქვენ, — ღიმილით უთხრა მან. — მე კი ავრორა დიუდევანი ვარ“. შოპენს გაუკვირდა — როგორ არ უხდებოდა ეს მხიარული, კეკლუცი სახელი მის პატრონს!.. კაცმა თავი დაუკრა და თითქოს მისი ხელისკენ დაიხარა, მაგრამ არ ეამბორა — უბრალოდ, ჩამოართვა. პასუხად, ქალბატონმა დიუდევანმა ხმამაღლა გადაიხარხარა და მის რბილ, სათუთ თითებს მაგრად მოუჭირა ხელი. შოპენი შოკში ჩააგდო ქალის ასეთმა თავისუფალმა საქციელმა და შეეცადა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა ამ უცნაურ ქალბატონს. შემდგომში, როცა ისინი დროდადრო ხვდებოდნენ ერთმანეთს არტისტულ სალონებში, სადაც მას მუსიკის დასაკრავად იწვევდნენ, შოპენი ყოველნაირად გაურბოდა ავრორას საზოგადოებას, რადგან მის მიმართ ძალზე ანტიპათიურად განეწყო.

აი, მადამ დიუდევანი კი პირიქით, პირველსავე შეხვედრისას მოიხიბლა შოპენით. იგი მთლიანად აკმაყოფილებდა მის გემოვნებას: ჯერ კიდევ ყმაწვილი ფრედერიკი, სუსტი აღნაგობით გამოირჩეოდა, პატარა ხელები და ფეხები და იდუმალი, ნაღვლიანი გამოხედვა ჰქონდა. ის საოცრად უკრავდა როიალზე და თავისუფლად შეეძლო ფერენც ლისტსაც კი გასჯიბრებოდა. რაც შეეხება შოპენის მუსიკას — ჟორჟ სანდს ის ზეციურ, ღვთიურ ჰანგებად მიაჩნდა. მაგრამ როგორ მოეპოვებინა მისი კეთილგანწყობილება?.. ჟორჟ სანდმა ამისთვის, საზოგადოებრივი თვალსაზრისით ძალზე უცნაურ ხერხს მიმართა (თუმცა, ის უკვე დიდი ხანი იყო, აღარაფრად აგდებდა საზოგადოებრივ აზრს), მან 32-გვერდიანი გულახდილი წერილი მისწერა მუსიკოსისადმი საკუთარი გრძნობების შესახებ მის უახლოეს მეგობარს — გრაფ ალბერ გრჟიმალას, რომელთანაც თვითონაც მრავალი წელი იყო, რაც მეგობრობდა. ჟორჟ სანდი გრჟიმალას სთხოვდა, ნათლად და გარკვევით ეპასუხა მისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე შეკითხვაზე. უპირველესად, მას აინტერესებდა, იქნებოდა თუ არა შოპენი ბედნიერი, ახალგაზრდა მარია ვოძინსკასთან, რომელზეც ის დანიშნული იყო? თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითი იქნებოდა (თითქოს გრაფს შეეძლო თავდებად დასდგომოდა მათ ბედნიერებას...), მაშინ ჟორჟ სანდი მასზე აღარც იფიქრებდა, რადგან სულაც არ უნდოდა, საბედისწერო ქალის როლი შეესრულებინა და სხვისი ბედნიერებისთვის შეეშალა ხელი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქორწინება „არტისტული სულის საფლავად“ იქცეოდა, ჟორჟ სანდი წინააღმდეგი არ იქნებოდა, ხანდახან შეხვედროდა შოპენს, რათა მასთან ერთად რამდენიმე საათით მაინც გაეზიარებინა „კეთილგონივრული ვნება და ნათელი პოეზია“. მწერალი ქალი, სკოლის მასწავლებლის პედანტურობით ირწმუნებოდა, რომ ამ შეხვედრებისას არ ხელყოფდა შოპენის თავისუფლებას და ამასთან, წინასწარ უარს აცხადებდა მასთან პოლიტიკურ და რელიგიურ თემებზე დისკუსიების გამართვაზე... ეს წერილი ძალზე გახმაურდა და მთელი ქვეყანა დასცინოდა

სანდს: ყველა შოკში ჩააგდო მისმა უსაზღვრო გულახდილობამ და გადაჭარბებულმა ანგარიშიანობამ, რაც ჩვეულებრივ, უცხოა შეყვარებული ქალისთვის. მაინც რა უნდოდა სანდს?.. ის, რომ გრუიმალას მაჭანკლობა დაეწყო?.. რომ მას თავისი მეგობრისთვის ეცნობებინა, თუ რა პირობებზე იყო თანახმა, ოღონდაც მის გვერდით ყოფილიყო?..

გრაფი გრუიმალა საკმაოდ კარგად იცნობდა ჟორჟ სანდს და მის დასაცავად ყველაზე ზუსტი სიტყვები მოიშველია: „წარმოიდგინეთ, რომ ასეთი წერილი მამაკაცს დაეწერა იმ ქალთან დაკავშირებით, ვისი კეთილგანწყობილების მოპოვებასაც ის ლამობდა. მაშინ ხომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა!..“ გრუიმალას კარგად ესმოდა, თუ რას მოელოდა ეს უცნაური ქალი მისგან: პირდაპირ, გულახდილ, მამაკაცურ რჩევას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ქალი. მან უპასუხა, რომ ჯერ ერთი, შოპენის ნიშნობა კარგა ხნის წინ ჩაიშალა. და მეორეც (და ეს მთავარი იყო): თუ ჟორჟ სანდი „რბილ დაჟინებას“ გამოიჩენდა, საკვლევით შესაძლებელი იყო, რომ მას შოპენის ნდობა დაემსახურებინა. „ფრედერიკი მარტოსულია პარიზში, — სწერდა გრუიმალა, — და ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ბედნიერი იქნებოდა, თუ ისეთი ადამიანი გამოჩნდებოდა, რომელიც მასზე მბრძანებლობას მოინდომებდა!“. ამავე დროს, გრუიმალამ საჭიროდ ჩათვალა, გაეფრთხილებინა ქალი: „შოპენი კურდღელივით მშიშარაა და თუ გსურთ, დაიმორჩილოთ, კარგად უნდა შენიღბოთ თქვენი ძალა“.

ჟორჟ სანდი ამ რჩევის გამო ძალზე მადლიერი იყო გრუიმალასი. ის არც შემცდარა: შოპენი ზუსტად ის ადამიანი გახლდათ, ვინც მას სჭირდებოდა. მას ხომ საოცრად ხიბლავდა, როცა მამაკაცზე მბრძანებლობდა, როცა ის მთლიანად მისი საკუთრება იყო. რაც შეეხება გრუიმალას გაფრთხილებას, ის უნებურად მის ყველაზე მტკივნეულ ადგილს შეეხო. ჟორჟ სანდს მშვენივრად ესმოდა, რომ მისი მთავარი პრობლემა, მამაკაცებთან ურთიერთობისას, სწორედ მისი მამაკაცური ხასიათი და მისი საოცრად გამომწვევი დამოუკიდებლობა იყო. მისი ყველა სასიყვარულო კავშირი ხომ არსებითად, ამის გამო მთავრდებოდა სრული კრახით. ერთ-ერთმა მისმა ყოფილმა საყვარელმა, პოეტმა ალფრედ მიუსემ თავის დროზე აკი მისწერა კიდეც: „მე თქვენ ალბათ, ისე მიყვარხართ, როგორც ქალს უყვარს მამაკაცი. იქნებ, თქვენ მოგწონთ კიდეც, მამაკაცის როლში ყოფნა, მაგრამ მე არავითარი სურვილი არ მაქვს, ქალად ვიქცე“. მაგრამ რა ექნა? ის ასეთი იყო. მან ბრძოლით მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა და ამაყობდა კიდეც ამით.

მანამდე სულ ცოტა ხნით ადრე — 1836 წლის ზაფხულში, ჟორჟ სანდი ოფიციალურად გაეყარა ქმარს — კაზიმირ დიუდევანს. თავისთავად, ეს უკვე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. მთელმა პარიზმა იცოდა, რომ ჯერ კიდევ 8 წლის წინ, ურჩმა ცოლმა, ავრორა დიუდევანმა მტკიცედ განუცხადა ქმარს, რომ მასთან — მექალთანესთან, მისი მამულების უხეირო მმართველთან, ადამიანთან, რომელსაც ცხოვრებაში 5 წიგნიც კი არ წაუკითხავს, — აღარ აპირებდა ცხოვრებას უსიყვარულოდ, სიცრუისა და ფარისველობის ატმოსფეროში. ავრორამ ქმრისგან 3.000 ფრანკი მოითხოვა, იგი თავის მამულში — ნოანში დატოვა ორ პატარა შვილთან ერთად და თავად პარიზში გაემგზავრა, რათა ისე ეცხოვრა, როგორც გული და გონება უკარნახებდა.

პარიზში ავრორა ერთ პატარა ბინაში დასახლდა თავის საყვარელთან — ჟიულ სანდოსთან ერთად. აზრადაც არ მოსვლია, საზოგადოებისთვის დაემალა მასთან ურთიერთობის ამბავი. მოგვიანებით, შოპენი გაოგნებას ვერ ფარავდა — როგორ მიიღო პარიზის მაღალმა საზოგადოებამ ესოდენ დამოუკიდებელი ქალი?! ან იქნებ, ამის მიზეზი თვით ამ საზოგადოების გარყვნილება იყო?.. პოლონელ წვრილ აზნაურთა წრეში, მის წინ ყველა კარი უმალ დაიკეტებოდა... შესაძლოა, ავრორა დიუდევანს იმან უშველა, რომ მან თითქმის თავიდანვე მოიპოვა აღიარება, როგორც მწერალმა: რომანმა „ინდიანამ“, რომლის დაწერა ფაქტობრივად, შემოსავლის მიღებას ისახავდა მიზნად, რადგან ქმრის ფული არ ჰყოფნიდა, მოულოდნელად უდიდესი წარმატება მოუტანა. ფსევდონიმად კი, თავისი საყვარლის — ჟიულ სანდოს სახელის ოდნავ შეცვლილი ვარიანტი აიღო, რადგან იმედოვნებდა, რომ იგი მისი თანაავტორი გახდებოდა. გარდა ამისა, ისიც კარგად იცოდა, რომ მამაკაცის სახელით უფრო ადვილი იყო წიგნის დაბეჭდვა. მაგრამ მისი სატრფო ძალიან ზარმაცი და არცთუ ისე ნიჭიერი აღმოჩნდა. ასე უცბად იქცა ავრორა დიუდევანი, ჟორჟ სანდად. მას, თავისი დიდი პაპის — საფრანგეთის მარშლის — მორის საქსონელის მსგავსად რკინის ნებისყოფა აღმოაჩნდა და როგორღაც მოახერხა, საკუთარი თავი მამაკაცების დონეზე დაეყენებინა და წმინდა მამაკაცური თავისუფლება მოითხოვა. ყველაფერმა ამან და კიდევ, მამაკაცის კოსტიუმმა, რომელსაც ის ჯერ კიდევ ქალიშვილობაში შეეჩვია (მშობლიურ ნოანში ასე უფრო მოსახერხებელი იყო ცხენით ჯირითი), მას საზოგადოების მხრიდან გაკიცხვა აარიდა. ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ჟორჟ სანდი ხელთათმანებივით იცვლიდა საყვარლებს და როგორც ჩანს, მხოლოდ მას აძლევდნენ იმის უფლებას, რომ ეს დაუფარავად ეკეთებინა. უფრო მეტიც, მაღალი საზოგადოების სალონებში თვითონაც დაუფარავად მსჯელობდნენ თავისუფალ სიყვარულსა და ქორწინების უაზრობაზე.

...როგორც იქნა, ჟორჟ სანდმა მოახერხა, დაეყოლიებინა შოპენი ნოანში სტუმრობაზე. ეს საგვარეულო მამული ქმართან გაყრის შემდეგ, კვლავ მის საკუთრებაში გადავიდა. სანდიმ საკმაოდ იოლად მოახერხა შოპენის კეთილგანწყობილების მოპოვება. მას საათობით შეეძლო, როიალზე დაყრდნობილს ესმინა, როგორ უკრავდა იგი, ადვილად პოულობდა საჭირო სიტყვებს, რომ შეექო მისი ოსტატობა, ზოგჯერ კი სასარგებლო რჩევის მიცემაც კარგად ეხერხებოდა. ისინი მოუვლელ, დაბურულ პარკში საათობით სეირნობდნენ ბებერი ცაცხვების ქვეშ და ავრორა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

გენი პეტროსიანის მტკიცებით, რობინ ჰუდია.

21. პირველი გადაღების წინ, რეჟისორმა ლეონიდ გაიდაიმ იური ნიკულინს უთხრა, გრიმი არ გჭირდება, ისედაც სულელური გამომეტყველება გაქვს, ოღონდ, ხშირ-ხშირად ახამხამე თვალებიო.

22. „ექიმმა მითხრა, მეტი არ დალიო, თორემ, მოკვდებიო. სამი დღის წინ გავიგე, რომ თვითონ მომკვდარა“, — ჰყვებოდა ოთარ რამიშვილი.

23. რესტავრატორებს შორის, დღესაც მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, გახადონ თუ არა ტანსაცმელი მიქელანჯელოს ფრესკის — „საშინელი სამსჯავროს“ პერსონაჟებს. ეს ტანსაცმელი შედარებით გვიან, XII-XIII საუკუნეებშია დახატული, მანამდე ისინი შიშვლად იყვნენ გამოსახულნი.

24. პეტერბურგში ნიკოლოზ გოგოლი ერთი დიდებულის ოჯახში მასწავლებლად მუშაობდა. მისი მოსწავლე გონებასუსტი ბავშვი გახლდათ, რომელიც თავის ქალის დაზიანებით იყო დაბადებული. მწერალი მის გვერდით იჯდა, მაგიდაზე გაშლილი ჰქონდა ნახატებიანი დიდი წიგნი და უკვე მერამდენედ იმეორებდა: „შეხედე, საშენკა, ეს არის ბატკანი — მეეე, მეეე! ეს არის ძროხა — მუუ, მუუ! ეს არის ძაღლი — აუ, აუ!“ და ასე შემდეგ, გაუთავებლად. ასეთი შრომა უწევდა მწერალს, ლუკმაპური რომ ეშოვა.

25. ამას წინათ, ერთ-ერთ უცხოურ ტელეარხზე, დოკუმენტურ ფილმში ორი ინგლისელი მოგზაური გოგო აჩვენეს, რომლებიც იმერეთის მთავარ გზატკეცილზე ერთ-ერთი სასადილოს წინ იდგნენ და გულიანად იცინოდნენ. — რა გაცინებთ? — ჰკითხა მათ ოპერატორმა. — ჩვენ ახლახან აღმოვაჩინეთ ყველაზე საშინელი ტუალეტი მთელ ცენტრალურ აზიაში, — უპასუხეს მათ. მერე ერთმანეთს დაუწყეს ჩხუბი — არა, შენ აჩვენე ოპერატორს, არა, შენო! ბოლოს, ერთ-ერთმა დათმო, ოპერატორს წინ გაუძღვა, ცხვირზე თითები მოიჭირა, სასადილოსგან მოშორებით, ეულად მდგომი „ჩეჩმის“ კარი გამოაღო და განაცხადა: აი, შეხედეთ!.. წარმოგიდგენია, აქაურები, ტუალეტის ქაღალდის ნაცვლად, გაზეთებს ხმარობენ. P.S. ასეა!.. კინემატოგრაფიის, არქიტექტურის, სიმფონიური ორკესტრების, კულტურული ძეგლებისა და მდიდარი ისტორიის გარდა, სხვა კრიტერიუმებიც არსებობს ქვეყნის კულტურის შესაფასებლად.

ინტერესითა და თანაგრძნობით უსმენდა შოპენს, რომელიც სევდიანად უამბობდა თავის სათაყვანებელ, მაგრამ ფეხქვეშ გათელილ პოლონეთზე, დედასა და დაზე, იმაზე, თუ როგორ ჟღერდა ორგანი მის საყვარელ ეკლესიაში, რომელიც ვარშავის სიახლოეს მდებარეობდა, როგორ მოენატრა მშობლიურ ენაზე საუბარი და ნაცნობი სახეები... ქალი 7 წლით უფროსი იყო შოპენზე, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებით, როგორც თვითონ ამბობდა, მას დიდ ბებიად ერგებოდა. შოპენიც უსიტყვოდ ეთანხმებოდა მის ამ მოსაზრებას და სიამოვნებით აღიარებდა მის ავტორიტეტს.

ერთადერთი, რაც შოპენს ნოანში არ მოსწონდა, ჟორჟ სანდის ვაჟიშვილის რეპეტიტორი, მალფილი იყო. ფრედერიკს ეჩვენებოდა, რომ მალფილი გამუდმებით უთვალთვალებდა მას, თანაც მისგან ერთგვარ ფარულ მუქარასაც გრძნობდა. ბოლოს, რომელიღაც სტუმარმა ჩასჩურჩულა, რომ მალფილი, დიასახლისის საყვარელი იყო და თანაც, საოცრად ეჭვიანი. ერთხელ, გვიან საღამოს, ჟორჟ სანდმა მუსიკოსის ოთახში სანთლები შეიტანა და ცოტა ხნით შეყოვნდა, რომ კიდევ ერთხელ გამოეხატა თავისი აღფრთოვანება მისი იმდღევანდელი დაკვრით. ის იყო, ქალი გავიდა, რომ შოპენს მალფილის ღრიალი შემოესმა: „აჰა, როგორც იქნა, ჩაგიჭირეთ ამ ძუძუმწოვარასთან! მე ხომ დიდი ხანია, ვუთვალთვალებ მის ოთახს! ახლა კი ველარ გადამირჩებით ქალბატონო!“ შეშინებულმა შოპენმა ის იყო, საშინელების მოლოდინში, სახეზე ხელები აიფარა, რომ უეცრად, მის სმენას ჟორჟის სრულიად მშვიდი, ღირსებით აღსავსე ხმა მისწვდა: „თქვენ ცდებით, ჩემო ბატონო... უფრო სწორად, არა, არ ცდებით — მე მართლაც, მიყვარს ბატონი შოპენი, ამიტომ გთხოვთ, სამუდამოდ დატოვოთ ჩემი სახლი!“

შოპენი ერთიანად შეძრა გაგონილმა, თუმცა, იმავდროულად, უნებლიეთ აღფრთოვანდა კიდეც მადამ სანდის ესოდენ არაქალური, მტკიცე ხასიათის გამოვლინებით. ის ხომ ყოველთვის ცდილობდა, თავის მუსიკაში აესახა მეამბოხე, რომანტიკული სულის მქონე ქალი! ჰოდა, ასეთი ქალი მის გვერდით იყო და მას უყვარდა. ეს საოცრება იყო... მეორე დილას, მან უეცრად შენიშნა, რომ ავრორას — ამიერიდან ასე სურდა ფრედერიკს მისთვის მიემართა — ლამაზი თვალები, მოქნილი სხეული და ნაზი თითები ჰქონდა.

ახლა ქალს უკვე აღარ გასჭირვებია მისი დაყოლიება, გაქცეულიყო ნოანიდან, პარიზიდან და საერთოდ საფრანგეთიდან. შოპენს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მას მხოლოდ იმის ეშინოდა, რომ სანდთან მისი ურთიერთობის შესახებ, მისი მკაცრი კათოლიკური ოჯახი შეიტყობდა.

ჟორჟ სანდმა იგი პალმა დე მაიორკაზე წაიყვანა, ის ჩქარობდა, დაეწყო ცხოვრება ახალ საყვარელთან. ამაში ვლინდებოდა მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი: მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების ინსტიტუტი არ იზიდავდა, მუდამ იმისკენ მიილტვოდა, რომ ყოველ ახალ შეყვარებულთან ერთ ჭერქვეშ ეცხოვრა. თავის დროზე, ნაცნობებს იმით აღაშფოთებდა, რომ ჟიულ სანდო მოზეიმე კაცის იერით ასეირნებდა ჟორჟ სანდის 3 წლის ქალიშვილს სენ მიშელის სანაპიროზე. შემდგომში, ეს პატივი ყველა მის მომდევნო „ქმარსაც“ ხვდა წილად...

სანდმა და შოპენმა თვეში 100 ფრანკად იქირავეს მშვენიერი პატარა სახლი მთის ძირას და ოჯახური წყვილის ცხოვრება დაიწყეს. ქალს თან ჰყავდა თავისი შვილები: 15 წლის მორისი და 10 წლის სოლანჟი. შოპენი აღფრთოვანებული იყო: ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა, რასაც მხოლოდ ზღვის ტალღების ხმა არღვევდა... მაგრამ მოულოდნელად, წვიმები დაიწყო, განუწყვეტლივ წვიმდა ერთი კვირა, ორი, სამი... სახლი დანესტიანდა, ღუმელი არ ჰქონდათ და ფიზიკურად სუსტი შოპენი შეუძლოდ შეიქნა. მას ძლიერი ხველა დაეწყო და ქალაქიდან გამოძახებულმა სამმა ექიმმა ერთხმად განაუცხადა სანდს, რომ ფრედერიკს ჭლექი სჭირდა.

ჟორჟ სანდს არ სურდა, მათთვის დაეჯერებინა. მან ექიმები გააძევა და შოპენს უთხრა, რომ ჩვეულებრივი ანგინა აღმოუჩინეს. მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, როცა ექიმების დიაგნოზი შეიტყვეს, შეშინებულებმა, რომ არ გადასდებოდათ ეს საშინელი სენი, სასწრაფოდ გამოასახლეს ისინი ნაქირავები სახლიდან. უსახლკაროდ დარჩენილებმა, უკეთესი თავშესაფარი ვერ იშოვეს და ვალდემოზის სავანის ნანგრევებს მიაშურეს — ბერების მიერ მიტოვებულ მონასტერს, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა.

აი, ეს კი ნამდვილად რომანტიკული ადგილი იყო: მათ გარს ერტყათ ამწვანებული მთები, გაშიშვლებული სალი კლდეები და აქა-იქ ობლად შემორჩენილი პალმები. ღამღამობით მთვარის შუქით განათებული უძველესი ნაგებობები საერთოდ რაღაც ფანტასტიკურ იერს იძენდა. მორისი და სოლანჟი ყველგან დარბოდნენ, სახურავზე ძვრებოდნენ და მოჩვენებების როლებს თამაშობდნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შოპენი მხოლოდ მუსიკაში იყო რომანტიკოსი და არავითარ შემთხვევაში — რეალურ ცხოვრებაში. მას ეშინოდა სიმაღლის, აჩრდილებით სავსე ღამის პეიზაჟის, ირგვლივ რომ ერტყა; შიშისგან კანკალებდა ჭექა-ქუხილის დროს; ფითრდებოდა, როცა ძლიერი ქარი ქროდა; აურჟოლებდა არწივების დანახვისას, რომლებიც მათ სავანეს დასტრიალებდნენ თავს და როგორც კი ფრინველებს დაინახავდა, ყვირილს იწყებდა, თან ისტერიკულად იქნევდა თავის გრძელ, სუსტ, ძალიან ფერმკრთალ ხელებს, რაც მორისისა და სოლანჟის მხიარულებას იწვევდა... ყველაფერთან ერთად, შოპენი ვერ იტანდა ადგილობრივ სამზარეულოს და ჟორჟ სანდი იძულებული გახდა, თვითონ მოემზადებინა კერძები. ის თავსხმა წვიმაში დადიოდა პალმის ფარდულებში პროდუქტების შესაძენად. მეზობლები ეჭვით უყურებდნენ უცნაურ ფრანგებს და პროდუქტებს მათთვის სამმაგ ფასს ადებნენ... მაგრამ მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, ჟორჟ სანდი მაინც ასწრებდა ბავშვებთან მეცადინეობასაც და ახალი რომანის წერასაც. შოპენს კი, უკვე ყელში ჰქონდა ამოსული ეგზოტიკა და ერთ მშვენიერ დღეს მოითხოვა, სანდს გამგზავრების თარიღი დაენიშნა.

ბარსელონაში, საიდანაც ისინი პარიზში ბრუნდებოდნენ, შოპენს ყელიდან სისხლდენა დაეწყო. ადგილობრივმა ექიმებმა დაადასტურეს საშინელი დიაგნოზი და სანდს განუცხადეს, რომ მას ორი კვირის სიცოცხლეღა დარჩენოდა. შოპენი გაუნძრევლად იწვა ლოგინში, ჟორჟის ხელი ჩაებღუჯა და განუწყვეტლივ ტიროდა. მას ბავშვობიდან თან სდევდა ადრეული სიკვდილის საშინელი წინათგრძნობა და აი, ახლა რწმუნდებოდა, რომ ინტუიცია არ ატყუებდა. თუმცა, სანდი როგორღაც ახერხებდა სასოწარკვეთილებიდან მის გამოყვანას. გარეგნულად, ის სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ძალზე მხნედ ცრუობდა: „მე დედისგან გამომყვა ეს თვისება და უტყუარი გრძნობა მაქვს ასეთი რამეების სწორი შეფასების. ეს არავითარი ჭლექი არ არის, ჩვეულებრივი კატარია, ძალიან მალე გამოჯანმრთელდები“, — ამბობდა იგი. ჟორჟმა მას ყელზე მედალიონი ჩამოჰკიდა, რომელშიც მისი პორტრეტი იყო მოთავსებული: „დაე, ეს შენი თილისმა იყოს. იცოდე, რომ შენ გვერდით ვარ, არაფერი მოგივა“. ფრედერიკი შესცქეროდა მის მშვიდ, აღუშფოთებელ სახეს და თვითონაც მშვიდდებოდა. ის გრძნობდა, თუ თანდათან როგორ გადაეცემოდა მისგან ძალა და რწმენა. მას შემდეგ, შოპენი იმ მისტიკური რწმენით ცხოვრობდა, რომ ის აუცილებლად გადარჩებოდა, თუ ავრორა მის გვერდით იქნებოდა. ამჯერად ავადმყოფობამ მართლაც, დაიხია უკან და 1839 წლის ზაფხულში ისინი საფრანგეთში დაბრუნდნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

„მთელი ჩემი ცხოვრება ისე გავატარე, რომ გაჭირვება არ მინახავს, მაგრამ დადგა პერიოდი“... — ამბობს მსხიობი დოდო ჭიჭინაძე, რომელსაც უკანასკნელ ხანს ბევრი გულისტკივილი დაუგროვდა. ულამაზეს ქალბატონს თავისი მომხიბვლელობა დღემდე არ დაუკარგავს. როგორ მოხვდა მწვანილის საყიდლად წასული გოგონა ერმიტაჟში, მეფის სასახლეში, როდის ეწვია პირველი სიყვარული ქალს, რომელსაც თაყვანისმცემლები ლექსებს უძღვნიდნენ, ვინ არის კაცი, რომელსაც ქალბატონი დოდო ცრემლებით იხსენებს? — ამ და სხვა კითხვებზე ღვაწლმოსილი მსახიობი გვიპასუხებს.

კადრი ფილმიდან „ბედნიერი შესვედრა“

რისი ეშინოდა პანქორწინების შემდეგ დოდო ჭიჭინაძეს?

ლიკა ქაჯაია

— დედ-მამა ყვარელში ცხოვრობდა. 7 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემი ძმა თბილისში ჩამოგვიყვანეს და აღსაზრდელად გერმანელ ქალს — ტანტე ლილეს მიგვაბარეს. თბილისში მე-2 სკოლაში ვსწავლობდი. მეორე მსოფლიო ომის დროს კი, ისევ ყვარელში დავბრუნდით და საშუალო იქ დავამთავრეთ.

— როგორც ვიცი, სკოლის დამთავრების შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარეთ...

— მამაჩემს ძალიან უნდოდა, რომ ექიმი გამოვსულიყავი. ამიტომ სკოლის დამთავრების შემდეგ, სამედიცინოზე ჩავბარე. პირველი კურსის სტუდენტი გახლდით, როცა კინოსურათში როლი შემომთავაზეს. მაშინ 18 წლის ვიყავი. მეგობრებთან ერთად ბაზარში, მწვანილის საყიდლად წავედი. ვიღაც ქალი ამედევნა... იმ პერიოდში, რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი იღებდა ფილმს — „დავით გურამიშვილი“. პოეტის სატრფოს, ქეთევანის როლისთვის შესაფერის გოგონას მთელ საქართველოში ეძებდნენ, სწორედ ამ დროს მნახა ბატონი ნიკოლოზის დედამ ბაზარში, გამომყვა და ჩემი სახლის მისამართი გაიგო. მეორე დღეს, რეჟისორის ასისტენტებმა სახლში მომაკითხეს და სტუდიაში მიმიწვიეს. კინოსტუდიაში მისულს, აღფრთოვანებულნი მიყურებდნენ. მხატვარმა თამარ აბაკელიამ კი გაოცებულმა შემომხედა: ეს სწორედ ის არის, ვისაც ჩემს ესკიზებში ვხატავდიო!..

— მშობლებმა როგორ მიიღეს ეს ამბავი?

— მამაჩემი, ვასილ ჭიჭინაძე, ნიკოლოზის დროინდელი, ძველი ოფიცერი იყო. მას დამთავრებული ჰქონდა ქიმიური ფაკულტეტი, მაგრამ პროვიზორიც გახლდათ. ძალიან უნდოდა, რომ ექიმი გავმხდარიყავი (დედაც პროფესიით ფარმაცევტი იყო). როცა მამას უთხრეს — ფილმში დოდოს გადაღება გვინდაო, — გაოცდა: რას ჰგავს, ერთი გახუხული შავტუხა გოგო, რაში გამოგადგებათო?! — მაგრამ დავითანხმეთ. სხვათა შორის, როცა როლზე დამამტკიცეს, ჩემზე ხმები დადიოდა: ყვარლიდან ვიღაც შავტუხა, სოფლელი გოგო ჩამოუყვანიათო... როცა ფილმზე მუშაობა დასრულდა და მამამ ნახა, გადამეხვია და მითხრა — თუ გინდა, ხელოვნებას ემსახურეო...

— ამის შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლას თავი დაანებეთ?

— სამედიცინო არ დამიმთავრებია, რადგან „დავით გურამიშვილის“ გადაღების დროს და ამის შემდეგაც, ისეთ ხალხთან მომიხდა მუშაობა, რომ მათ გადაწყვიტეს ჩემი ბედი და თქვეს: შენ ხელოვნებაში უნდა დარჩეო. ეს არასდროს მინანია. ვცდილობდი, ბოლომდე დავხარჯულიყავი. სხვათა შორის, თეატრში უფრო მეტი საქმე გამიკეთებია, ვიდრე კინოში.

— სად უფრო საინტერესოა თამაში — თეატრში თუ კინოში?

— იცით, რა, კინოში გადაგიღებენ და მერე ნანობ: ნეტავ, ეს ასე არ მეთამაშა, ნეტავ, ის შემაცვლევინაო. თეატრში კი, სულ შეგიძლია იმუშაო როლზე, რაღაც შეცვალო.

— თქვენს შემოქმედებაში ყველაზე წარმატებული როლი რომელი იყო?

— წარმატებული როლი ბევრი მქონდა და ეს პარტნიორზეც იყო დამოკიდებული. მაგალითად, როცა ისეთ გენიალურ მსახიობთან ერთად გიხდებოდა სცენაზე დგომა, როგორიც გიორგი შავგულიძე გახლდათ, რომც არ გნდომოდა, ყველაფერი კარგად გამოგივიდოდა. ჯერ კიდევ პატარა გოგონა, 18-19 წლის ვიყავი, ის კი — 37 წლის ვაჟკაცი გახლდათ. „გურამიშვილის“ გადაღებისას იყო ასეთი სცენა: როცა ერთმანეთს ვეთხოვებოდით, შავგულიძეს ჩემთვის უნდა ეკოცნა. მოიტანდა თუ არა თავს ჩემს სახესთან ახლოს, სიცილი აუტყდებოდა... მერე მას აშაყირებდნენ: რა იყო, ქალისთვის არასდროს გიკოცნიაო?.. — ქალისთვის — კი, მაგრამ ბღარტისთვის — არასოდესო, — პასუხობდა. საოცრად სუფთა კაცი იყო...

მე ვცხოვრობდი ქვეყანაში, სადაც კომუნისტური წყობა იყო. ეს წყობა ძალიან მომწონდა, თუმცა მას ბევრი მინუსიც ჰქონდა (მარცხნიდან წინა პლანზე: თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე გოკიელი და ნატო ვარნაძე, დოდო ჭიჭინაძესთან ერთად)

— იყო თუ არა ისეთი როლი, რომლის შესრულებაც გინდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეთ?

— მინდოდა, ქეთევან წამებული მეთამაშა.

— რატომ მაინცდამაინც ქეთევან წამებული?

— ის ჩემი უსაყვარლესი გმირია. სურვილი მაქვს, ხელში იარაღი ავიღო და სამშობლო დავიცვა — ალბათ, ამიტომ...

— დაიცვათ რისგან ან ვისგან, ქალბატონო დოდო?

— მე ვცხოვრობდი ქვეყანაში, სადაც კომუნისტური წყობა იყო. ეს წყობა ძალიან მომწონდა, თუმცა მას ბევრი მინუსიც ჰქონდა. ახლა, დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და იმის მაგივრად, რომ ძველი წყობის მინუსი გამოვასწოროთ, ახალ უარყოფითს ვიძენთ. XX საუკუნეში ვცხოვრობთ და მიკვირს, რატომაა გაცხარებული რწმენათა ომი. ვინ გააკეთა ეს?.. ეს გააკეთა ერთმა დიდმა სახელმწიფომ, რომელსაც ამერიკა ჰქვია, რადგან იქ რწმენის მხრივ სრული ანარქიაა... მთელი ჩემი ცხოვრება ისე გავატარე, რომ გაჭირვება არ მინახავს, მაგრამ დადგა პერიოდი, როდესაც ჩემი უძვირფასესი როიალი გავყიდე. ეზოში ორი გარაჟი მაქვს, დღეს ორივე ცარიელია, მაგრამ ეს კი არ მაწუხებს — მაწუხებს ის, რომ მომრავლდა შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა თავს იკლავს იმის გამო, რომ ვერ იშოვა სამსახური, არ შეუძლია მათხოვრობა და ა.შ... გაოცებული ვარ, როცა ამბობენ: რეზო ჩხეიძესა და გიგა ლორთქიფანიძეს ცხოვრებაში რა გაუკეთებიათო?! ჩხეიძეს სახელისთვის მარტო ის ეყოფა, რომ „ჯარისკაცის მამა“ გადაიღო. თქვენ იცით, რომ ზაქარიაძეს იაპონიასა და სხვა ქვეყნებში „მამას“ ეძახდნენ?! ხალხნო, დავფიქრდეთ, სანამ რამეს ვიტყვით. ან რომ ამბობენ — ოთარ მეღვინეთუხუცესს — დათა თუთაშხიას როლის შემსრულებელს(!) — რაღა უნდა, წავიდეს, მოეშვას სამხატვრო ხელმძღვანელობასო! ეს სირცხვილია... ჩემი ასეთი განცდების გამო, კათალიკოსმა იცით, რა შემარქვა? — საქართველოს მშფოთვარე ჭირისუფალი...

— როგორც ვიცი, მამათქვენი, რეპრესიების გამო ობლად დარჩენილ 8 ბავშვს ზრდიდა.

— დიახ და თითოეულ მათგანს ბოლომდე შვილივით უპატრონა. მე ვამაყობ ჩემი წინაპრებით. ჩემმა ერთ-ერთმა დიდმა წინაპარმა — გენერალმა, როცა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჯარისკაცები ერმიტაჟში შეცვივდნენ და მისი დარბევა მოინდომეს, რუსული კულტურა განადგურებას გადაარჩინა... პაპაჩემის ძმამ, ალექსანდე ჭიჭინაძემ პირველი ქართული გიმნაზია დააარსა. ჩემმა შორეულმა წინაპარმა აჭარლეს ხელმეორედ ასწავლა ოდესღაც მივიწყებული ქართული წერა-კითხვა, ლაპარაკი და დღესაც, აჭარაში მისი სახელობის პროსპექტი არსებობს. პირველი გიმნაზიის დირექტორის შვილმა, ბესარიონ ჭიჭინაძემ ააშენა „ზაჰესი“ და „რიონჰესი“. მას მთელი საქართველო უმღეროდა: „ჭიჭინაძე, შენ გაგისკდეს ეგ თავიო, რათ გინდოდა ეს ზაჰესი ნეტავიო, არშიყობას თუ დაგვიშლით ქუჩებშიო, ელექტრონი ჩაგვანათეს ტუჩებშიო“. ბესარიონი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, ისევე როგორც ჩემი სხვა ნათესავები. მამაჩემიც, ვასილ ჭიჭინაძეც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს — სიკვდილმისჯილთა ვაგონიდან სკოლის მეგობარმა გამოიყვანა და იხსნა...

— ქალბატონო დოდო, თქვენს სილამაზეს პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ. ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ, ხომ?

— თაყვანისმცემლებისგან ნამდვილად განებივრებული ვიყავი, მაგრამ მე არასდროს მყვარებია ყურადღების ცენტრში ყოფნა. ლექსებს (და არა მარტო) მართლაც მიძღვნიდნენ. ყველა რომ შევაგროვო, კრებულიც კი გამოვა...

— პირველ პაემანს ხომ ვერ გაიხენებდით?

— პირველი პაემანი... ასეთი რაღაცების დიდად მოყვარული არ გახლდით... პირველი სიყვარული 16 წლის ასაკში მეწვია. მე და მამაჩემის მეგობრის ვაჟს, ახალგაზრდა გენერალს ერთმანეთი შეგვიყვარდა... როცა კინოფილმში გადამიღეს, მისთვის ახლობლებს უთქვამთ — მსახიობი ცოლად არ გამოგადგებაო, — და სხვა შერთეს. საშინლად გამიცრუვდა იმედები და მეც გავთხოვდი, მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის გაჩენილები არ ვიყავით და მისგან წამოვედი.

— როგორც ვიცი, თქვენი პირველი შეყვარებულის ქორწინებაც უიღბლო აღმოჩნდა.

— ჩემი გენერალიც მალევე გაშორდა ცოლს. პატიებას მთხოვდა, სიყვარულით სავსე წერილებს მწერდა, მეხვეწებოდა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ მე, იმ დიდი ტკივილის დავიწყება ვერ შევძელი. სხვათა შორის, მაშინ ეს ყველაფერი ჩემმა მეგობარმა, მედეა ჯაფარიძემ გადამატანინა.

— მედეა ჯაფარიძე როგორ გაიცანით?

— მაშინ ტანტე ლილესთან ვცხოვრობდი. 12 წლის გოგონას, აღმზრდელმა მითხრა: შენ ლამაზი ხარ, მაგრამ ახლა ჩემთან გოგო რომ მოვა, ის მართლაც ანგელოზიაო... მე ფარდის უკან დავიმალე, მინდოდა, ანგელოზი შორიდან მენახა. მედეას ვარდისფერი კაბა ეცვა... საოცრად ლამაზი იყო. მოულოდნელად, ის ჩემკენ მობრუნდა და იყვირა: „ბოჟე მოი“, ეს თვალებია თუ კაკლის მურაბებიო?!. მედეას გახსენება, მასზე ლაპარაკი მიჭირს, რადგან ეს ჩემთვის ძალზე მტკივნეულია...

ჩვენი დანახვისას, ერთ-ერთმა ჩინოსანმა გესლიანად თქვა: „გრუზინი ნე მოგუტ ნე ოგლიჩაგსია“... სტალინი სულაც არ იყო ისეთი, როგორც აღწერენ ხოლმე.

— თქვენ მეორედაც გათხოვდით, არა?

— განქორწინების შემდეგ, სულ მეშინოდა — ვინმემ ცუდი თვალით არ შემომხედოს, რამე არ თქვას-მეთქი. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მეორედ 45 წლის ასაკში გავთხოვდი — ალექსანდრე ბუზოღლიზე. ის არაჩვეულებრივი ადამიანი, უდიდესი ინჟინერი გახლდათ (მან გამოიყვანა საქართველოში ირანიდან და რუსეთიდან გაზსადენი), 7 ენას ფლობდა და მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ სპორტის იმ სახეობაში (კრივში), რომელიც მე საშინლად მეჯავრება.

— სად გაიცანით ბატონი ალექსანდრე?

— ჩემი ბიძაშვილის, დათო ჭიჭინაძის სახლში შეეხვდით ერთმანეთს... მე ვაჯანჯლებდი მასთან დაახლოებას, რადგან მოუცლელი ვიყავი (თან ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა...). ზუსტად ამ პერიოდში გაიმართა მოსკოვში ჩემი ორი საღამო: ერთი — შემოქმედებითი, მეორე კი — „ჯარისკაცის ქვრივის“ როლის შესრულების გამო მომიწყეს... იმ საღამოს 6 მარშალი ესწრებოდა!.. იმ დროს, თეატრებში ქართული საღამოების წაყვანა მიწევდა ხოლმე... ერთხელაც, ალექსანდრემ და ჩემმა მეგობარმა, ოთარ ეგაძემ დამავლეს ხელი, მმაჩის ბიუროში თითქმის ძალით წამიყვანეს, ხელი მომაწერინეს და ძალიანაც კარგი, რომ ეს გააკეთეს. ის კი არა, ვნანობ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრად ალექსანდრე ადრე რომ არ მივიღე. საოცარი თავშეკავების უნარი და ვაჟკაცური ბუნება ჰქონდა. არაჩვეულებრივი მეგობარი იყო. ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და ვენდობოდით. საოცრად მანებივრებდა, მთელი მსოფლიო მომატარა. 25 ბედნიერი წელი გავატარე მასთან ერთად. როცა გარდაიცვალა, მის გარეშე ცხოვრება ძალიან გამიჭირდა. ახლა ყველაზე მეტად იცით, რას განვიცდი და ვნანობ?.. ცოტა ადრე რომ გავყოლოდი, ახლა შვილი მეყოლებოდა...

ისეთ სალსთან მომიხდა მუშაობა, რომ მათ გადაწყვიტეს ჩემი ბედი და თქვეს: შენ ხელოვნებაში უნდა დარჩეო (არკადი რაიკინთან ერთად)

— როგორც ვიცი, თქვენ ერთადერთი ქალი იყავით, რომელიც სტალინს 70 წლის იუბილეზე ქართულ დელეგაციას გაჰყვა?

— დიახ და ჩვენი დელეგაცია სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდა. მე და ერთ ბიჭს, სოლიკო ვირსალაძის მიერ შექმნილი ქართული სამოსი გვეცვა. ჩვენი დანახვისას, ერთ-ერთმა ჩინოსანმა გესლიანად თქვა: „გრუზინი ნე მოგუტ ნე ოტლიჩატსია“... სტალინი სულაც არ იყო ისეთი, როგორც აღწერენ ხოლმე. იგი საშუალოზე მაღალი, საკმაოდ ლამაზი გახლდათ. თბილად გვიყურებდა და იღიმოდა...

— საზღვარგარეთ ბევრი გიმოგზაურიათ. ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა მოგეწონათ?

— ესპანეთი, რადგან ეს ქვეყანა და ხალხიც რაღაცით ჩვენ გვგვანან. აი, ფრანგები კი ცუდები — „ჟმოტები“ არიან... თუმცა, ყველგან არის ცუდი და კარგი. ცუდი რაღაცები ჩვენთანაც ხდება. მაგალითად, ერთხელ, ყოფილ პიონერთა სასახლეში სილამაზის კონკურსი გაიმართა. კომისიის თავმჯდომარედ დამნიშნეს. კონკურსში შესანიშნავი ბავშვები მონაწილეობდნენ. მათ შესაფასებლად 5-დან 10 „ბალამდე“ სისტემა იყო დაწესებული. სუყველას 10 „ბალი“ დავუწერე. ამის გამო მისაყვედურეს: ეს რატომ ქენი, ის იმას არ სჯობდა და ეს ამასო?.. გავბრაზდი: არც ერთი არ სჯობდა მეორეს-მეთქი. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ამით ბავშვებში შურის გრძნობას აღვივებენ?

— თავის დროზე, ავტომანქანაც გყავდათ. როგორ ფიქრობთ — ქალი საჭესთან უნდა იჯდეს?

— მე ძალიან კარგად ვიჯექი და რა ვიცი...

— პოლიციასთან პრობლემები არ გქონიათ?

— მე თვითონ საპატიო პოლიციელი ვარ... სხვათა შორის, უმაღლესი სასამართლოს მსაჯული ვიყავი. მართალია, ბოლო დროს იქ აღარ დავდივარ, მაგრამ წიგნაკი მაქვს. ვარ ორგანიზაციის — „ქალები მშვიდობისათვის“ — წევრი და ა.შ.

— ყავის სარეკლამო რგოლში რომ გადაგიღეს, ამაზე რას იტყვით?

— არა მარტო იქ; ბოლო პერიოდში 2 რუსულ ფილმში გადამიღეს. ახლა ფრანგებმა შემომთავაზეს როლი. იმ სარეკლამო რგოლისთვის (სრულიად მოულოდნელად) გარკვეული თანხა მივიღე.

— თანხით კმაყოფილი დარჩით?

— ძალიან... ყოველ შემთხვევაში, გადაღებაზე ნახევარი საათი ვიყავი და ანაზღაურება რატომ უნდა დამეწუნებინა?! სხვათა შორის, მათი ტექსტი ძალიან მომეწონა. ჩემს ბაში-აჩუკს — ოთარს ვეუბნები: გახსოვს, ჩემმა უბნის ბიჭებმა როგორ მიგტყიპეს, მე რომ მაცილებდი? ზევით რომ ამოხვედი, შემეცოდე და ყავა მოგიდუღე-მეთქი, — მაგრამ ეს ეპიზოდი ამოუჭრიათ... ■

მშვილდოსნის შეთავსება ზოდიაქოს ნიშნებთან

მამაკაცი

ძალიან მგრძნობიარეა ყველაფერ იმის მიმართ, რასაც ხორციელი სიამოვნება და ტკბობა ჰქვია. მას უყვარს გემრიელად ჭამა (განსაკუთრებით ხორცეულის), შესანიშნავად იტანს ალკოჰოლურ სასმელს, ცდილობს სასიყვარულო ვახშამს, ინტიმური ხასიათი მიანიჭოს, ამიტომ აუცილებლად იქნება მუსიკა, სანთლები, პოეზიაც კი. ხიბლავს საზოგადოებაში ტრიალი და სუსტი სქესის წარმომადგენლებთან თავის მოწონება. შესანიშნავი საყვარელია და შესაბამისად, როგორც მეუღლე, სანიმუშო არ გახლავთ. გულახდილი და პირდაპირია, ამიტომ, ურთიერთობისას ტყუილს იშვიათად მიმართავს. მიუხედავად ქალებთან ზერელე დამოკიდებულებისა, მისით ყოველთვის ინტერესდებიან (გავიხსენოთ ფრენკ სინატრა, რომელიც მშვილდოსნის კლასიკური ვარიანტი გახლდათ). მიისწრაფვის ფიზიკური კონტაქტისკენ, მაგრამ თუ წინააღმდეგობას წააწყდა, თავშეუკავებელი და აგრესიული ხდება.

ურთიერთობები ქალებთან

ვერძთან — შესანიშნავი ურთიერთობა აქვს. მშვილდოსნის აქტიურობა და თავგადასავლების ძიების წყურვილი ვერძს არანაირ პრობლემას არ უქმნის, პირიქით — ისიც სიამოვნებით უერთდება თავის პარტნიორს. ამ ურთიერთობას უფრო მშვილდოსნისთვის მოაქვს წარმატება, ვიდრე ვერძისთვის, რადგან მისი სწრაფვა პირველობისკენ მეტ-ნაკლებად იზღუდება.

კუროსთან — შეიძლება ითქვას, საშუალო დონისაა. თუ მათი ურთიერთობა მხოლოდ ნაცნობობითა და იტელექტუალური საუბრებით შემოიფარგლება, მაშინ შესაძლებელია, მათ საერთო ენის გამონახვა შეძლონ. ხანდახან მშვილდოსანი, კუროს სიზანტესა და ზედმეტ მომჭირნეობას გამოჰყავს წონასწორობიდან.

ტყუპთან — აქ ორი უკიდურესობიდან ერთ-ერთს — ან იდილიას, ან სრულ დისჰარმონიას ვაწყდებით. ეს ორი ნიშანი ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარეობს, ამიტომ, უფრო ხშირად, კინკლაობენ, ვიდრე ერთმანეთის გაგებას ცდილობენ. მშვილდოსნისა და ტყუპის ურთიერთობის საუკეთესო მაგალითს, ოთარ კობერიძისა და ლია ელიავას წყვილი წარმოადგენს.

კირჩხიბთან — კირჩხიბს აინტერესებს და იზიდავს მშვილდოსნის შინაგანი ბუნება, თუმცა, მის წყნარ ხასიათსა და ოჯახისადმი ერთგულებას მთლიანად ვერ აკმაყოფილებს პარტნიორის ხშირი მოგზაურობა და მუდმივი სტუმრიანობა. კირჩხიბს ურჩევნია, ისეთი მამაკაცი მონახოს, რომელიც საოჯახო საქმის წარმართვაში შეეშველება.

ლომთან — ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური ურთიერთობა აქვთ. ლომის პატივმოყვარეობას მთლიანად აკმაყოფილებს მშვილდოსნის ზოგჯერ უაზრობამდე მისული იდეები (უფრო ხშირად, სპორტსა და პოლიტიკასთან დაკავშირებული). მან იცის, რომ ცხოვრებაში ნებისმიერ ადამიანს ოდესმე უმართლებს, ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ ერთ დღეს, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანის მეუღლედ გაიღვიძოს.

ქალწულთან — არასასურველი შეთავსებაა, მშვილდოსნის ხშირმა საყვედურმა შეიძლება, ქალწული დეპრესიამდეც კი მიიყვანოს. ეს განსაკუთრებით, ცხოვრების მეორე ნახევარში იჩენს თავს, როდესაც რომანტიკა წარსულს ჩაჰბარდა და ყოფითი პრობლემები უფრო მძლავრად იჩენს თავს.

სასწორთან — შესაძლოა, გამოინახოს საერთო ენა. თუ მშვილდოსანს სასწორის სილამაზე არ დააბრმავებს და ამის მიღმა, მის ნამდვილ ღირსებებს დაინახავს (უპირველესად — ინტელექტუალურს), წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, ურთიერთობა დაიძაბოს და ყველაფერი კრახით დამთავრდეს.

ღრიანკალთან — როგორც ყველა სხვა ნიშნით დაბადებულ მამაკაცს, მშვილდოსანსაც იზიდავს ღრიანკლის დამაინტრიგებელი მზერა და მომნუსხავი ღიმილი, თუმცა, ის რეალურად აფასებს სიტუაციას და თუ მიხვდა, რომ ღრიანკალს უბრალოდ, ვერ მართავს, გაქცევით შველის თავს.

მშვილდოსანთან — საკმაოდ საეჭვო ურთიერთობაა; გააჩნია, კონკრეტულ ადამიანს და კონკრეტულ სიტუაციას, ყველაფერი შეიძლება მოხდეს — წყნარი და იდეალური ცხოვრებით დაწყებული, ერთობლივი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებით დამთავრებული (თუმცა, ეს ყველაფერი რით დამთავრდება, ძნელი სათქმელია).

თხის რქასთან — არამყარი ურთიერთობაა; მშვილდოსანს წონასწორობიდან გამოიყვანს თხის რქის მშვიდი და ერთი შეხედვით, უემოციო ხასიათი; თუ ის შეძლებს, ჩასწვდეს თხის რქის შინაგან ბუნებას, მაშინ ერთმანეთს გაუგებენ.

მერწყულთან — საკმაოდ პოზიტიური თანხვედრაა; ორივეს უყვარს ხეტიალი, გადაადგილება, მოგზაურობა, რაც პირველი ნაბიჯია ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ისინი უნდა გაუფრთხილდნენ საკუთარ ბიუჯეტს — სავარაუდოა, რომ ფინანსური პრობლემების წინაშე დადგნენ.

თევზებთან — რთული ტანდემია; ორივე, მუტაბელური ნიშანია, რაც ერთიორად ძაბავს ურთიერთობას, თევზების ემოციურმა და ეჭვიანმა ხასიათმა მშვილდოსანი მოსალოდნელია, ნევროზამდე და აგრესიამდეც კი მიიყვანოს.

ძალი

ისევე, როგორც ამ ნიშნის ძლიერი სქესის წარმომადგენელი, მშვილდოსანი-ქალიც ძალზე ხალისიანი, სიცოცხლისმოყვარე და განსაკუთრებული შთაბეჭდილებების მაძიებელია. მას ყველაფრის ბოლომდე ჩაწვდომის წყურვილი აქვს და ხშირად აღწევს კიდეც დასახულ მიზანს, თუმცა, ამ ყოველივეს ფიზიკური და სულიერი დანაკარგების ხარჯზე აღწევს. ის ცხოვრების ნებისმიერ გამოვლინებაში აქტიურად მონაწილეობს. იტაცებს ყველანაირი შეგრძნებით ტკბობა, განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას ანიჭებს გემო, სურნელი, გამოსახულება, ბგერა — თუმცაღა, ბუნების ყველაზე დიდ საჩუქრად ის... საკუთარ სხეულს მიიჩნევს, რომელიც მისთვის შესანიშნავ სასიყვარულო ისტრუმენტს წარმოადგენს. მისი სექსუალური შესაძლებლობები და ფანტაზიები უსაზღვრო და ამოუწურავია, ყოველ შემთხვევაში, მთელ ზოდიაქოში, ღრიანკალთან ერთად, ის პირველ ადგილზე იმყოფება. მას უყვარს მრავალფეროვნება, ამიტომ, სწორხაზოვან პარტნიორს ვერ იტანს. სანამ ის სასიყვარულო პარტნიორთან იმყოფება, მისი ერთგული რჩება, თუმცა, ნებისმიერ წვრილმანს მისი წონასწორობიდან გამოყვანა შეუძლია და სწრაფადვე შეუძლია ურთიერთობების დანგრევა. ის უნდა მოერიდოს ახალ-ახალი ნაცნობების ძიებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ერთხელაც, ძალზე არასაიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდეს.

ურთიერთობები მამაკაცებთან

ვერძთან — ნორმალური ურთიერთობაა; თუ ვერძი მას არ შეზღუდავს და მთლიანად არ გადაერთვება საკუთარ საქმესა და კარიერაზე, მაშინ მათი დაშორება ძალზე საეჭვო იქნება; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, მშვილდოსანმა ვერძი მიატოვოს.

კუროსთან — წინასწარვე განწირული ურთიერთობაა; ამ ვარიანტს ერთ-ერთი პარტნიორის „დანგრევა“ მოჰყვება (უფრო კი იმის, რომელიც ფიზიკურად და სულიერად სუსტი აღმოჩნდება). თუმცა, სექსუალურად ერთმანეთს იდეალურად ეწყობიან.

ტყუპთან — ეს უფრო დადებითი შეთ-

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
822-009-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ავსებაა, ვიდრე — საპირისპირო ვარიანტი, თუმცაღა, ამ წყვილშიც საკმაოდ დიდია კონფლიქტების ალბათობა; მთავარია, მშვილდოსანმა „განავარდება“ არ მოიწადინოს, რაც ტყუპს საკუთარი თავის რწმენას შეურყევს.

კირჩხიბთან — ამ წყვილს შინაგანი ბუნებისა და ემოციური სამყაროს თანხვედრა აკავშირებს, თუმცა, კირჩხიბი ვერ ეგუება პარტნიორის აქტიურ და თავისუფალ ხასიათს, შეძლებისდაგვარად ცდილობს მის შეზღუდვას, რაც გამოსდის კიდეც, ეს კი მშვილდოსანს ხელს არ აძლევს.

ლომთან — იდეალური ურთიერთობაა; მშვილდოსანს მთლიანად აკმაყოფილებს ლომის „მეფური“ ბუნება, პატივმოყვარეობა და მანერები. ადვილი შესაძლებელია, ერთობლივმა საქმიანობამ მათ მნიშვნელოვანი სიახლეები მოუტანოს.

ქალწულთან — მაინცდამაინც პოზიტიური თანხვედრა არ გახლავთ; ქალწულს საკუთარი საქმიანობა და კარიერა ხიბლავს, მშვილდოსანს — თავისუფლება და თავგადასავლები, რასაც მისი პარტნიორი ვერ ეგუება, ამას კი კონფლიქტი მოსდევს.

სასწორთან — მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობებია მოსალოდნელი; იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი ინტელექტუალია, არ არის სწორხაზოვანი და შეუძლია, ქალის ფსიქოლოგიაშიც გაერკვეს, მაშინ მათი ერთად ცხოვრება უფრო რეალური იქნება.

ღრიანკალთან — ორი ვნებიანი ნიშანი, ორი მოგიზგიზე ცეცხლის ენა (მიუხედავად იმისა, რომ ღრიანკალი წყლის სტიქიას განეკუთვნება). მათ უნდა გამოიჩინონ ზომიერება და ურთიერთობაში მეტი საინტერესო შტრიხის შეტანას უნდა შეეცადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთმანეთს გამოფიტავენ.

მშვილდოსანთან — საკმაოდ საეჭვო ურთიერთობაა; გააჩნია, კონკრეტულ ადამიანს და კონკრეტულ სიტუაციას, ყველაფერი შეიძლება მოხდეს — წყნარი და იდეალური ცხოვრებით დაწყებული, ერთობლივი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებით დამთავრებული (თუმცა, ეს ყველაფერი რით დამთავრდება, ძნელი სათქმელია).

თხის რქასთან — მათი თანაცხოვრება არცთუ ისე პოზიტიური და ჰარმონიული იქნება; ბევრი აღზევება და დაცემა ელოდებათ, რაც მშვილდოსანს უფრო დააზარალებს, ვიდრე თხის რქას, რადგან ამ უკანასკნელს საკმაოდ მყარი ნერვული სისტემა აქვს.

მერწყულთან — დადებითი წყვილია, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ცხოვრების ბოლომდე, მშვიდად იცხოვრონ, თუკი მერწყული არ იქნება გონებაგაფანტული და ზედმეტად ზეაწეული, მშვილდოსანი მეუღლის უცნაური ხასიათის ატანას შეძლებს.

თევზებთან — ნეგატიური თანხვედრაა, თუმცა, შეიძლება, ერთად ცხოვრება. მთავარია, მშვილდოსანს არ მოსწყინდეს თევზების ფანტაზიები — იდეალისტობასთან ერთად, მშვილდოსანი ხომ საოცრად პრაქტიკულიც არის.

■

რუბრიკა მოამზადა რამაზ გიგაურმა

ქართულ ენაში ღამყვიღრიბული გამოთქმები

ხულიგანი

ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა ერთი ოჯახი, რომლის წევრებს მთელ რაიონში დამსახურებული ავარებისა და გარეწართა სახელი ჰქონდათ გავარდნილი.

ეს ოჯახი ჰულიგანების გვარს ატარებდა.

გვარის საზოგადო სახელად გადაქცევას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მალე ჰულიგანების ოჯახის შესახებ სახუმარო სიმღერა შეითხზა, რომელიც კომიკურ ფორმებში აღწერდა ჰულიგანების „მოღვაწეობას“. სიმღერას ხალხურ მუზიკჰოლში ასრულებდნენ და, ამრიგად, მრავალი ადამიანის ცნობიერებაში „ჰულიგანი“ მკვიდრდებოდა, როგორც ქუჩის ავარის აღმნიშვნელი სიტყვა. შემდეგ „ჰულიგანი“ ინგლისურიდან სხვა ენებშიც გადავიდა.

ბართლომეს ღამე

ამ გამოთქმაში იგულისხმება ხალხის მასობრივი სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა.

კათოლიკური ეკლესიის რეფორმებმა ყველაზე ნათელი გამოხატულება პოვა კალვინის მოძღვრებაში. კალვინისტებს საფრანგეთში ჰუგენოტები ეწოდებოდათ. კათოლიკეებსა და ჰუგენოტებს შორის ბრძოლის იდეური საფუძველი იყო რელიგია, მაგრამ სინამდვილეში ჰუგენოტები დაკარგული პრივილეგიებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდნენ.

1572 წელს ჰუგენოტების ბელადი ჰენრიხ ნავარიელი საფრანგეთის მეფის კარლოს X დას, მარგარიტას ირთავდა. ქორწილზე დასასწრებად პროვინციებიდან ბევრი გავლენიანი ჰუგენოტი ჩავიდა პარიზში. კათოლიკეებმა ამით ისარგებლეს და გადაწყვიტეს მათთან ანგარიშსწორება. წინასწარ ჩამოუარეს და თეთრი ჯვრები დაუსვეს იმ სახლებს, სადაც ჰუგენოტები ეგულებოდათ.

1572 წლის 23 აგვისტოს, ღამით, წმინდა ბართლომეს დღესაწაულის წინ, ატყდა ზარების რეკვა. რაც იმის ნიშანი იყო, რომ შესდგომოდნენ ჰუგენოტების ხოცვას.

ბატეგმა რომი იხსნეს

390 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე გალების ლაშქარმა რომი დაიპყრო. არსებობს გადმოცემა, რომ რომაელი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა კაპიტოლიუმს შეაფარა თავი. რადგან კაპიტოლიუმის იერიშით აღება გალებმა ვერ შეძლეს, ალყა შემოარტყეს მას.

ერთ ღამეს გალების რაზმმა ფრთხილად იწყო ასვლა კაპიტალიუმის ფერდობზე; გალები ისე ჩუმად მიიწევდნენ, რომ ვერავინ გაიგო მათი ასვლა. ერთმა გალმა სულ ზემოთაც მოახერხა აძრომა, მაგრამ ამ დროს საშინელი ყიყინი დასცეს ბატებმა, რომლებიც ქალღმერთ იუნონას სადიდებლად იყვნენ შეწირული და ამიტომ კაპიტოლიუმის ტაძარში ჰყავდათ დამწყვდეული. მძინარე რომაელები წამოცვივდნენ და უფსკრულში გადაყარეს გალების მთელი რაზმი. აქედან წარმოიშვა გამოთქმა — ბატებმა რომი იხსნესო.

ბახუსი, იგივე დიონისე, ბახუსის თაყვანისცემა

ამ გამოთქმაში იგულისხმება ღვინო, ლხინი, ლოთობა. ნაბახუსევიაო, იტყვიან ხოლმე ნასვამ კაცზე.

ზევსმა მომაკვდავი მეფის ასული, მშვენიერი სემელა შეიყვარა. სემელას ზევსისგან ვაჟი შეეძინა, რომელსაც სახელად დიონისე (ბახუსი) დაარქვეს. ზევსის „კანონიერი“ მეუღლის, ქალღმერთ ჰერას ინტრიგების შედეგად, მშვენიერი სემელა ცეცხლში დაიღუპა, მისი ახალშობილი ვაჟი კი მამის ღვთაებრივი სურვილისამებრ გადაურჩა ხანძარს. ჰერამ ჭკუაზე შეშლილი ათამანტეს მეშვეობით ბავშვის დაღუპვაც მოინდომა, მაგრამ ღმერთმა ჰერმესმა იხსნა იგი და ჰაიდეს მიაბარა აღსაზრდელად ვენახით გაშენებულ ნისეის ველზე. როდესაც ბახუსი წამოიზარდა, ზევსმა იგი მეღვინეობის ღმერთად გახადა, ხოლო მისი აღმზრდელი ჰაიდები ზეცაში წაიყვანა და ისინი ღამღამობით ორიონის თანავარსკვლავედიდან დასციმციმებენ დედამიწას.

ვაზის გვირგვინებით შემკული, მუდამ მხიარული ბახუსი მენადების თანხლებით დადის ქვეყნიდან ქვეყანაში და სალამურის ხმაზე მართავს ცეკვა-თამაშს, სიმღერებს. ავიწყებს ადამიანებს მწუხარებას, ამხნევებს, ძალ-ღონესა და სითამამეს მატებს სუსტებსა და მშიშრებს.



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მარალი; 2. რენესანსი; 3. ტანგო; 4. ლავრა; 5. ფიტი; 6. ფანტომი; 7. ნანა; 8. ტანკერი; 9. ლინგვისტიკა; 10. მანე; 11. ერერა; 12. ალაფი; 13. სიგარა; 14. აქლემი; 15. გრიმასა; 16. მაიორი; 17. ილიკო; 18. აული; 19. პრადო; 20. სეიმი; 21. ანაბარი; 22. ქიმია; 23. ემისია; 24. ბაია; 25. კამბალა; 26. პიერ; 27. ლაფსუსი; 28. ორლი; 29. ონი; 30. რადიკალი; 31. პინო; 32. მექა.

სურათზე: მელ გიბსონი.

ბურბონებმა ვერაფერი ისწავლეს

აზრი: სიახლის გრძნობის უქონლობა, აზროვნების კონსერვატულობა. ირონიულად იტყვიან ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ვერ გარკვეულან დიდმნიშვნელოვან ისტორიულ, სოციალურ მოვლენებში და ვერავითარი გაკვეთილი ვერ მიუღიათ მომხდარი საზოგადოებრივი ძვრებიდან.

ნაპოლეონ ბონაპარტემ ელბის კუნძულზე დაყო 1814 წლის 4 მაისიდან 1815 წლის 26 თებერვლამდე და როდესაც იქიდან გამოქცეული, წვეთი სისხლის დაუღვრელად, შევიდა პარიზში, რამდენიმე საათით ადრე გაქცეული ბურბონების სასახლეში, მას ყველაფერი ძველ ყაიდაზე დახვდა, ისე, თითქოს საფრანგეთში რევოლუცია არც კი მომხდარიყოს. არსებობს გადმოცემა, რომ ასეთი სურათის დანახვაზე ნაპოლეონმა წამოიძახა: „ბურბონებმა ვერაფერი ისწავლეს!“

ბურთი და მოედანი

გადატანითი მნიშვნელობით ამ ფრაზაში იგულისხმება ისეთი სარბიელი, ხელსაყრელი პირობები და საშუალებანი, როცა ადამიანს სრული შესაძლებლობა ექმნება გამოავლინოს თავისი სიმამაცე, ცოდნა, ნიჭი, უნარი და საერთოდ, საგმირო საქმენი.

ბურდანის ვირი (ბურდანის სახედარი)

ყოყმანის სინონიმია და გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს მერყეობას, როდესაც უჭირთ არჩევანის გაკეთება.

ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბურიდანი (XV ს) უარყოფდა ნებისყოფის თავისუფლებას და იმის დასადასტურებლად, რომ ადამიანის ნებისყოფა გარე სამყაროზეა დამოკიდებული, მშიერი ვირის მაგალითი მოჰყავდა: მშიერი ვირისაგან აბსოლუტურად თანაბარ მანძილზე დევს ორი კონა თივა. ორივე კონა აბსოლუტურად ერთნაირია. ტოლობის ნიშანი იმდენად ზუსტია, რომ ვირს არჩევანისათვის აღარაფერი დარჩენია. ბურიდანი დასკვნიდა, რომ ასეთ პირობებში, მშიერი ვირი ადგილიდან ფეხს ვერ მოიცვლის და იქვე შიმშილით მოკვდება. მაშასადამე, მისი ნებისყოფა თავისუფალი არ არის.

მოამზადა თამუნა კვინიკაძემ

ქვითელ ენაში დამ ყოფილ ფასეულ ფასეულებ

ანეკდოტები

***

— ვალოდა, შენს ცოლს როგორი კბილები აქვს?

— არ ვიცი, სენი წილიმე... ჯერ არ უკბენია.

***

რაჭველის ჩანაწერებიდან:

ამ სააკაშვილმა ქვე იმდენი იძახა დაგასაქმებთ, დაგასაქმებთო, მგონი, ქვე დაგვასაქმა უკვე თავზე.

***

მიხოს ზურგზე სიდედრი მოუკიდებია:

— მიხოო!.. სად მიგყამს ეგ ქალი?!.

— ვენახი უნდა შავწამლო!

***

პირველ ღამეს ცოლი ქმარს ეუბნება:

— იცი, შუშის თვალი მაქვს.

— მერე რა.

— პროთეზის ხელ-ფეხი.

— მერე რა.

— ცოტა ელამი ვარ.

— მერე რა.

— ქალიშვილიც არ ვარ...

— აბა, აეწყვე ახლავე და დაახვიე აქედან!

***

განცხადება გაზეთში:

„დაიკარგა ბულტერიერი. მპოვნელის ხსოვნა არდავიწყება იყოს“...

***

ორი ჩუქჩა მიდის გზაზე, უცებ ერთი ამბობს:

— ვაااა, ნახე 10-დოლარიანი ვიპოვე.

— საღოლ! ე... ე... ე... შე დებილო, რატომ გადააგდე?

— ყალბი იყო.

— შენ რა იცი?

— აბა, სად გინახავს 10-დოლარიანი ორი ნულით?!.

***

— გუშინ მაიზერმა „ნასკები“ თვითონ გაირეცხა. — უყვება სვანის ცოლი მეგობარს.

— ვაა, როგორ მოუვიდა?

— როგორ და გახდა დაავიწყდა ბანაობისას.

***

— ეჰ, რა მაცდურია ბუნება, — გაიფიქრა ზღარბმა და კაქტუსიდან ჩამოფოფხდა.

***

ორი მონადირე ძაღლი ერთმანეთს ხვდება:

— გუშინ მე და ჩემი პატრონი დათვზე სანადიროდ ვიყავით.

— მერე?

— მერე, ამ ჩემს პატრონს იარაღი სახლში დარჩენია.

— ვაა!.. მერე?

— მერე, ერთი საათის მისულები ვიყავით, რომ მოულოდნელად, ბუჩქებიდან დათვი გამოგვიხტა.

— მერე?

— მე, ეგრევე ვეცი, ოთხივე თათით ჩავებღაუჭე, დავუწყე კბენა...

— შენ რა მამაცი ყოფილხარ, დათვს ეცი და კბენა დაუწყე?!.

— რა დათვს, პატრონს ვკბენდი, იარაღი როგორ დატოვე-მეთქი...

***

კითხვა:

შეძლებს საქართველო ოდესმე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას?

პასუხი:

რა თქმა უნდა, თუ გუნდში არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ იქნება.

***

— თქვენი აზრით, რომელი სჯობს, როცა ქალი იჭყიტება ჯიბეში, თუ როცა ძვრება?

— ნუუ, გააჩნია, თუ ეს შარვლის წინა ჯიბეა...

***

სვანმა ბევრ სატელევიზიო რეკლამას უყურა და „აიჭრა“.

მეორე დღეს აცხადებს:

— გუშინ პირველად გავსინჯე „ტამპაქსი“!.. ისე „სნიკერსი“ უფრო გემრიელი იყო!

***

თვითმფრინავი გადმობრუნდება და თავდაყირა მიფრინავს, სტიუარდესა:

— დამშვიდდით, ახლა პილოტი წამალს ცხვირში ჩაიწვეთებს და ჩვეულებრივად გავაგრძელებთ ფრენას.

***

მასწავლებელი მოსწავლის მშობელს ეუბნება:

— თქვენი შვილი ძალიან სუსტია გეოგრაფიაში!

— არა უშავს, პატივცემულო, ჩვენი შემოსავალი მოგზაურობას მაინც არ ჰყოფნის...

***

— დედიკო, მამა გაგიჟდა, ყველაფერს ფანჯრიდან ისვრიიიიიისს...

***

ორი ჩინოვნიკი საუბრობს:

— მდაა, ძნელია, დღეს პატიოსანი ადამიანი იყო და ისე იცხოვრო.

— მერე, შენ რა განაღვლებს.

***

უფროსი ყოველთვის არ არის მართალი, მაგრამ იგი ყოველთვის უფროსია;

აზრთა ნაყოფიერი გაცვლა-გამოცვლა: მიდიხარ უფროსთან კაბინეტში შენი აზრებით, იქიდან კი გამოდიხარ მისი აზრებით;

ყველაზე გადამდები სიცილი — ეს შეფის სიცილია.

***

— დიდი ხანია, ცოლიანი ხარ?

— რვა წელია.

— ვინ გაგაცნო შენი ცოლი?

— არავინ, შემთხვევით შევხვდით ქუჩაში. ასე რომ, ამ საქმეში არავის ვადანაშაულებ.

***

ლატვიაში გამოვიდა შესანიშნავი ზღაპრის — „პიტერ პენის“ თარგმანი. იგი ლატვიურ ენაზე ასე ჟღერს — „პიტერას პენის“.

***

ქალი კაცს:

— გიყვარვარ?

— ძალიან.

— ჩემი გულისთვის თავსაც მოიკლავდი?

— არასოდეს! ჩემი სიყვარული უკვდავია!

***

ღამის 4 საათზე მიხოს კარზე მიტუა უბრახუნებს. მიხო ნამძინარევი ხმით:

— რომელი ხარ მანდა?!.

— ჯან კლოდ ვან დამი! — გახუმრება სცადა მიტუამ.

— ი!.. მერედა, რატო არ მაძინებთ, ჰაა?!. ახლა გამოვალ და ოთხივეს დედებს მო...

ვინ ვინ არის?

სამზარეულომ შესაძლოა, სრულყოფილი წარმოდგენა შეგვიქმნას მისი პატრონების, განსაკუთრებით, სახლის დიასახლისის შესახებ. ხოლო თუკი დიასახლისზე ისიც გვეცოდინება, რა უყვარს მას, როგორ უმასპინძლდება სტუმრებს და რომელ რესტორანში დადის, მისი ფსიქოლგიური პორტრეტი პრაქტიკულად, სახეზე გვექნება.

1. დღეში რამდენჯერ იკვებებით?

ა) სამგზის საფუძვლიანად გეახლებით და ერთხელ ვსვამ ჩაის;

ბ) თუკი მოვასწარი ვსაუზმობ, დღის განმავლობაში სიტუაციისდა მიხედვით ვიკვებები, სამაგიეროდ, საღამოობით გეახლებით მსუყე ვახშამს;

გ) დილაობით აუცილებლად ვსაუზმობ; დღის დანარჩენ მონაკვეთში, როგორც მოვახერხებ: ზოგჯერ საერთოდ არაფერს მივირთმევ, ზოგჯერ კი, მთელი დღის განმავლობაში ვიცმუცნები.

2. რომელი ქვეყნის სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას?

ა) ქართულს და ფრანგულს — არ მიყვარს ექსპერიმენტები;

ბ) საზღვარგარეთ ყოფნისას, ადგილობრივ სამზარეულოს, შინ — გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ: ჩინურს, ინდურს, მაროკოულს და ა.შ.;

გ) ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისა და იაპონურ სამზარეულოს. საერთოდ, ზღვის პროდუქტებისა და ბოსტნეულის კერძები მიყვარს.

3) რა ნიშნით ირჩევთ კაფეს?

ა) მეგობრებისგან ვიღებ ინფორმაციას, თუმცა, მაინც ჩემთვის ნაცნობ კაფეში მივდივარ;

ბ) მოდურ დაწესებულებას ვსტუმრობ, რომელზეც საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ;

გ) რომლის გარე გაფორმება და ინტერიერიც მომწონს.

4. რესტორანში შესული, მხოლოდ ერთი თავი საჭმლით დაკმაყოფილებას აპირებთ. რა კერძს შეუკვეთთ ოფიციანტს?

ა) წვნიანს ან რაიმე ცხელ კერძს;

ბ) სალათას ან სხვა საუზმეულს — შესაძლოა, წვნიანი შევუკვეთო;

გ) სალათას ან დესერტს.

5. რომელია თქვენი საყვარელი სასმელი?

ა) სტაფილოს წვენი, მწვანე ჩაი, უგაზო მინერალური წყალი;

ბ) უკანასკნელ ხანს — მატე;

გ) ცხელი შოკოლადი და ჩაცივებული შამპანური.

6. თქვენთვის საუკეთესო დესერტია...

ა) ხილის სალათა;

ბ) ნაყინი;

გ) მარწყვი ნაღებით, კრემ-კარამელი ან ჩაის ნამცხვარი.

7. თქვენ მიდიხართ მაღაზიაში...

ა) კვირაში ერთხელ და თან მთელი კვირის სამყოფი პროდუქტების სია მიგაქვთ;

ბ) როცა რაიმე გჭირდებათ და ამის ხასიათზე ხართ;

გ) ამას სხვები აკეთებენ. თავად ბაზარში სიარული გიყვართ, რადგან იქ ფერთა სიუხვით იხიბლებით.

8. გირეკავენ მეგობრები და გეუბნებიან, რომ ცოტა ხანში გესტუმრებიან.

ა) ჩვეულებრივ, სტუმრებს წინასწარ ვპატიჟებ; მაგრამ კრიტიკულ სიტუაციაში, პროდუქტების მარაგიდან რაიმის მომზადებას შევძლებ;

ბ) თუკი ხასიათზე ვარ, რაიმე ექსტრავაგანტურს მოვამზადებ, თუ არა — ღვინით, ტკბილეულითა და ხილით გავუმასპინძლდები;

გ) ტელეფონით პიცას ან სუშის შევუკვეთ. ალბათ სტუმრებიც მოიტანენ რამეს და მომზადებაშიც დამეხმარებიან.

9. როგორ შლით სუფრას?

ა) ეტიკეტის დაცვით — სუფრასა და ხელსახოცებს სერვიზის ფერს შეუხამებთ; დააწყობთ ვერცხლის დანა-ჩანგალს;

ბ) ეფექტურად: ეგზოტიკური კერძებით, უჩვეულო ფორმისა და შეფერილობის ჭურჭლით; მაგიდაზე დადგამთ იკებანას.

გ) უპირატესობას ა-ლა-ფურშეტს ანიჭებთ — რა საჭიროა ზედმეტი ფორმალურობა? მთავარი ხომ ურთიერთობაა და არა — საჭმელი.

10. თქვენს ოჯახში ვინ რეცხავს ჭურჭელს?

ა) რიგრიგობით ოჯახის ყველა წევრი;

ბ) ჭურჭლის სარეცხი მანქანა;

გ) ერთჯერად ჭურჭელს იყენებთ, ასე რომ, გარეცხვა არ გიწევთ.

11. თქვენთვის იდეალური დიეტაა...

ა) კვების საკუთარი რეჟიმი, კალორიების დათვლა — ერთი სიტყვით, რაიმე რთული სქემის შედგენა;

ბ) ცოტა ჭამა და ბევრი სირბილი. შვებულებაში გასვლამდე, ყოველთვის იკეთებთ მასაჟს, იწყებთ სპორტდარბაზში სიარულს და აღარ ჭამთ ექვსი საათის შემდეგ — ამას მშვენიერი შედეგი მოაქვს.

გ) როცა შეყვარებული ხართ.

ტესტის შედეგები

ფრიალოსანი (როცა „ა“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს): წესრიგის დაცვას ყველაფერში მიჩვეული ხართ. შესანშნავი დიასახლისი, ყურადღებიანი დედა და იდეალური ცოლი ბრძანდებით. იმედია, თქვენი ცხოვრება ამით არ შემოიფარგლება, წინაალმდეგ შემთხვევაში, ის საკმაოდ მოსაწყენი იქნებოდა. თუკი თქვენ მუშაობთ, მოწესრიგებული ყოფა, დინჯად და მშვიდად მუშაობაში გიწყობთ ხელს. ხელქვეითებიცა და ხელმძღვანელებიც კმაყოფილი გყავთ. ერთადერთი, რაც ნაკლად შეიძლება ჩაგეთვალოთ, შემოქმედებითი ინიციატივის ნაკლებობაა. თუმცა, სხვების გენიალურ იდეებსაც ხომ ვიღაცამ უნდა შესახსა ხორცი! დაბოლოს, გირჩევთ, ზოგჯერ მაინც მისცეთ საკუთარ თავს მოდუნების საშუალება. წესები ხომ იმიტომ არსებობს, რომ ისინი დავარღვიოთ.

დემონსტრაციული პროვინცია (როცა „ბ“ ვარიანტი ჭარბობს): თქვენთვის უმთავრესი შთაბეჭდილების მოხდენაა და ამას ხშირად ახერხებთ კიდეც. მოდური და ელეგანტური ჩაცმულობით ყოველთვის ბრწყინავთ ხალხმრავალ თავყრილობებზე. ყველა ქორწილი თუ ახალი ამბის კურსში ხართ. შინ, სხვადასხვანაირად იქცევით — ხან სევდა შემოგაწვეთ, ხან დღესასწაულს უწყობთ ახლობლებს. აი, მეგობრები კი, თქვენთან ყოველთვის აღფრთოვანებულები არიან. რუტინული სამუშაო, რომელიც გამუდმებით ყურადღების მობილიზებას საჭიროებს, სათქვენო არ არის. სამაგიეროდ, კრიტიკულ სიტუაციასა და სწრაფად აზროვნების საჭიროების შემთხვევაში, შეუდარებელი ბრძანდებით. ოღონდ, გაითვალისწინეთ, გამუდმებით დაძაბულ სიტუაციაში ყოფნას ვერავინ იტანს — დროა, ყველაფრისგან დასვენოთ. ახლობლებსაც სჭირდებათ თქვენგან დასვენება — ვარსკვლავის გარემოცვის როლში ყოფნით ისინიც დაიღალნენ.

შემოქმედებითი ნატურა (როცა „გ“ ვარიანტი ჭარბობს): საკმაოდ დაუდეგარი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ეს სულაც არ განუხებთ. მით უმეტეს, რომ გვერდით თითქმის ყოველთვის გყავთ ვიღაც, ვინც თქვენს საზრუნავს საკუთარ თავზე იღებს. დიდად არც მუშაობა გსიბლავთ, მაგრამ როცა ამის აუცილებლობა არსებობს, ყველაზე მოსაწყენ საქმიანობაშიც კი, რაღაც მიმზიდველ მხარეს პოულობთ. რთული საკითხების მოკლე დროში გადაჭრაც გეხერხებათ. სწრაფ გადაწყვეტილებას კი ყოველთვის სასურველი შედეგი როდი მოჰყვება — ამის გამო, ზოგჯერ სირთულეები გექმნებათ. მრავალფეროვნებისთვის, რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩვეულებრივი ადამიანის როლში ყოფნას გირჩევთ, გაითვალისწინეთ, ამაზე თქვენი ახლობლები უკვე დიდი ხანია ოცნებობენ.

გენიოსების ცხოვრებიდან

1958 წლის აგვისტოში, მოგზაურობის მოტრფიალემ ლევან გოთუამ ატენის ხეობისა და თრიალეთის ქედის მოსანახულებლად მთამსვლელებთან ერთად წაიყვანა გიორგი შატბერაშვილი, სერგო ზაქარიაძე, მორის ფოცხიშვილი... გიორგი შატბერაშვილმა თან წაიღო ხის კასრი ღვინისთვის. ატენის მარანში შევიდა იქაური ღვინის საყიდლად. უკან შეწუხებული დაბრუნდა, დირექტორი ერთობ ძუნწი და ბიუროკრატი აღმოჩნდა, არც მაჩუქა, არც მომყიდაო... აქ წუხილმორეული პაუზა გააკეთა და მერმე ქართლელი კაცის ნამუსის მოსაწმენდად სერგო ზაქარიაძეს გადახედა და ჩაილაპარაკა: სხვათა შორის, აქაური არ გეგონოთ, იმერელიაო. სერგომ უმალ თავი დანანებით გადააქნია: აი, აი, აი, ქართლელებს ეს იმერელი კაცი როგორ გაუფუჭებიათო.

***



— რამდენი წლის ვიქნები? — თავმომწონედ ჰკითხა საკმაოდ ხანში შესულმა მანდილოსანმა ბერნარდ შოუს.

— თუ თქვენი კბილების ელვარებით ვიმსჯელებთ — თვრამეტისა, ოქროსფერი თმით — ცხრამეტისა, თქვენი უშუალობის და სიცელქის მიხედვით — თოთხმეტისა, — მიუგო შოუმ.

ნასიამოვნები მანდილოსანი არ მოეშვა:

— მაინც, რამდენის ვიქნები?

— ქალბატონო, შეკრიბეთ და ზუსტ პასუხს მიიღებთ.

***

ერთხელ ბერნარდ შოუმ თავისი ნიჭის თაყვანისმცემლისგან წერილი მიიღო: სთხოვდა, ნება მომეცით ჩემს ძაღლს შოუ დავარქვაო.

შოუმ უპასუხა: „ჩემო ძვირფასო, პატარა მეგობარო, უაღრესად აღტაცებული ვარ წინადადებით, მაგრამ თქვენ, უპირველეს ყოვლისა, მაინც უნდა შეეკითხოთ ძაღლს“.

***

ალექსანდრე მაკედონელი ეფესოში ათვალიერებდა თავის პორტრეტს, რომელიც მხატვარმა აპელესმა შეასრულა. იგი ნამუშევრით უკმაყოფილო დარჩა. როდესაც სახელოსნოში ალექსანდრეს ცხენი შემოიყვანეს, ის ჭიხვინით მიესალმა ცხენს, რომელზედაც მაკედონელი იჯდა. აპელესმა აღნიშნა: — მეფეო, ცხენი ხელოვნების უკეთესი მცოდნე აღმოჩნდა, ვიდრე თქვენ!

***

სოფოკლემ თქვა, რომ მის მიერ დაწერილი სამი ლექსი, სამი დღის შრომის შედეგი იყო.

— სამი დღის?! — შეჰყვირა საშუალო ნიჭის პოეტმა, — მე ხომ ამ ხნის განმავლობაში 100 ლექსს დავწერდი.

— დიახ, — უპასუხა სოფოკლემ, — მაგრამ ისინი იარსებებდნენ მხოლოდ სამ დღეს.

***

ერთხელ, აკაკი რამდენიმე ნაცნობთან ერთად ქართული კლუბის ბაღში ვახშმობდა. სუფრას მანდილოსნებიც უსხდნენ.

ვახშმის შემდეგ თანამეინახე ყმაწვილებმა მგოსანს, ისევე, როგორც მანდილოსნებს, ფული არ გადაახდევინეს, მთელი დანახარჯი თვითონ დაფარეს.

აკაკიმ ხუმრობით ამოიხვნეშა:

— ეჰ, ამ დროსაც მოვესწარი — ქალთა მარაქაში ჩამწერეთ!

***

ერთ-ერთ წვეულებაზე ბესარიონ ჟღენტი თამადად დაასახელეს. იუარა: თქვე უღმერთოებო, ერთხელ მაინც მაჭამეთ პური უშრომლად, გაურჯელად და სიტყვის უთქმელადო!

***

ერთი ახალგაზრდა დრამატურგი გაბრაზებული მივიდა ალფრედ კერთან — რა უფლება გქონდათ, რომ ჩემი დრამა ასე გაგიკილავთ, როცა თვითონ ერთაქტიანი პიესის დაწერაც არ შეგიძლიათ, — ბობოქრობდა ავტორი.

— მე კვერცხის დადებაც არ შემიძლია, მაგრამ კარგსა და ლაყეს ერთმანეთისგან მშვენივრად ვარჩევ, — მიუგო ღიმილით ხელოვნებათმცოდნემ.

***

ცნობილ რუს მოიგავეს, ივანე კრილოვს, ნეკრისის ქარის შეტევა ჰქონდა. ეს შეიტყო ერთმა წიგნით მოვაჭრემ და ყუთით განსაკუთრებული ხარისხის ღვინო გაუგზავნა: ეს ნეკრისის ქარის უებარი წამალიაო. კრილოვმა ღვინო გასინჯა და მაშინვე დაუბრუნა პატრონს, თან ბარათიც მიაყოლა: „გულისხმიერებისთვის მადლობა მომიხსენებია. თქვენი გამოგზავნილი ღვინო დავაჭაშნიკე. ნუ მიწყენთ, გეთაყვა, მაგრამ ნეკრისის ქარი მირჩევნია“. ■

ჯვარედინი

■	23	■	29	■	10	6	10	11	31	■	25	■	6	■
26	31	27	6	16	9	■	9	■	16	6	9	24	10	9
■	8	■	21	■	19	1	6	4	9	■	33	■	25	■
13	9	14	9	2	9	■	1	■	6	5	20	4	9	20
24	■	31	■	6	■	22	9	6	■	31	■	9	■	13
16	24	21	6	10	27	9	■	21	6	16	21	6	28	9
11	■	15	■	32	■	25	11	6	■	22	■	10	■	21
6	1	6	14	6	18	9	■	24	10	6	1	6	16	9
■	20	■	6	■	4	■	30	■	9	■	9	■	20	■
22	16	24	10	5	9	■	20	■	27	6	30	24	4	9
■	12	■	5	■	7	6	16	18	9	■	16	■	27	■
17	9	21	9	4	9	■	5	■	6	22	24	10	9	6
9	■	6	■	31	■	10	9	31	■	20	■	9	■	10
7	9	8	6	18	9	■	4	■	3	16	9	10	3	24
9	■	6	■	6	■	27	9	24	■	9	■	24	■	6

ა6	ბ	გ	დ	ე	ვ1	ზ	თ	ი9	კ	ლ
მ	ნ10	ო24	პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ
ღ	ყ	შ	ჩ	ც25	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ

წინა ნომრის ჯიფრვორდის პასუხები

ა-6; ბ-12; გ-9; დ-33; ე-5; ვ-19; ზ-14; თ-22; ი-1; კ-24; ლ-16; მ-2; ნ-18; ო-28; პ-15; ჟ-31; რ-8; ს-25; ტ-27; უ-13; ფ-4; ქ-30; ღ-11; ყ-23; შ-7; ჩ-26; ც-17; ძ-3; წ-21; ჭ-29; ხ-10; ჯ-32; ჰ-20.

რუბრიკა მოამზადა თამუნა კვინიკაძემ

ფოტოკუჩიოზები



b 81/34

№25(111) 8.XII–21.XII.05

ოჯახის

მეუღლეები

საშვილიშვილო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

როცა კონტაქტურობა ირღვევა

თუ გაზით თბებით

დიფტერია

მკურნალი ხვები

საფეკემბრო ქარიშხალი

გრიპი და ორსულობა

მთავარი თემა: ასთმა

რადიკულიტი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის